ა(ა)იპ ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო პროგრამა

# ძალადობრივი და არაძალადობრივი კონფლიქტები ესპანეთში: გარე ფაქტორების გავლენისა და სოციალური სტატუსის ანალიზი 1800-1980-იანი წლების პერიოდში

ავტორი: გრიგოლ კალანდაძე

სპეციალობა: პოლიტიკის მეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი თორნიკე შარაშენიძე

თბილისი, 2023

**რეზიუმე**
წინამდებარე სადოქტორო დისერტაციაში შესწავლილია ესპანეთის შიდა-კონფლიქტური სიტუაცია. წარმოდგენილი კვლევა ეხება ბასკეთისა და კატალონიის კონფლიქტებს. კვლევის მთავარი ფოკუსი არის აღნიშნული კონფლიქტების ძალადობრივი და არაძალადობრივი რაკურსით შესწავლაზე, საკვლევ პერიოდად კი აღებულია მე-19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით არსებული ვითარება. კვლევა ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არის შემთხვევები, როდესაც ცენტრსა და პერიფერიას შორის დაპირისპირება სერიოზულად მძიმე, სისხლისმღვრელ ხასიათს იღებს. ამავე დროს, არსებობს საპირისპირო სიტუაციებიც, როდესაც ეთნიკურ უმცირესობასა და ტიტულარულ უმრავლესობას შორის არსებული კონკრეტული დაპირისპირება ძირითადად მშვიდობიან პროტესტს მოიცავს და ამ თვალსაზრისით, იკვეთება რესურსი მხარეთა შორის დიალოგისა და კომპრომისული ხასიათის ურთიერთობებისათვის. წინამდებარე ნაშრომში კი სწორედ ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში არის შესწავლილი ხსენებულ ეთნიკურ უმცირესობებსა და ტიტულარულ უმრავლესობას შორის ურთიერთობები ესპანეთში. კერძოდ, დამოკიდებული ცვლადი არის ძალადობრივი და არაძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციები, ხოლო დამოუკიდებელი ცვლადები კი არის გარე აქტორების ზემოქმედება და სოციალური სტატუსი. ამ მხრივ, გაანალიზებულია თუ რამდენად ჰქონდა გარე აქტორების გავლენის არსებობა-არარსებობას დატვირთვა ბასკეთისა და კატალონიის ესპანელებთან ძალადობრივი ან/და არაძალადობრივი ურთიერთობის საკითხში. ამასთანავე, აქ შესწავლილია, თუ რამდენად ჰქონდა როგორც ერთი, ისე მეორე უმცირესობის სოციალურ სტატუსს გავლენა ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში, ერთი მხრივ, აღნიშნულ ეთნიკურ უმცირესობებსა და მეორე მხრივ, ესპანელებს შორის ურთიერთობების ფორმებზე. კვლევაში გამოყენებულია ე. წ. “case study”-ის, ანუ შემთხვევების შესწავლის მეთოდი და ასევე პროცესის ტრეისინგის, აღწერითი სტატისტიკის, დოკუმენტთა ანალიზის, ტექსტუალური ანალიზისა და ისტორიული ანალიზის მეთოდები.

## სარჩევი


შესავალი: კვლევის მიზანი, პრობლემის აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა, მეცნიერული სიახლე, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზები, ნაშრომის სტრუქტურის აღწერა ..... 1

თავი 1 - კვლევის დიზაინი: კონცეპტუალიზაცია, ოპერაციონალიზაცია, კვლევის მეთოდოლოგია ..... 5

თავი 2 - ლიტერატურის მიმოხილვა და საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე ..... 15

თავი 3 -ისტორიული ანალიზი ..... 34

3. 1. ბასკეთის ქეისის ისტორიული ანალიზი ..... 34

3. 2. კატალონიის ქეისის ისტორიული ანალიზი ..... 48

თავი 4 - პრობლემის კვლევა პირველი ჰიპოთეზის ჭრილში: გარე ფაქტორების გავლენის ანალიზი ..... 60

4. 1. გარე ფაქტორების გავლენა მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იან წლებში ..... 61

4. 1. 1. გარე ფაქტორების გავლენა მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იან წლებში ბასკეთის რეგიონზე ..... 61

4. 1. 2. გარე ფაქტორების გავლენა მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იან წლებში კატალონიის რეგიონზე ..... 72

4. 2. გარე ფაქტორების გავლენა 1950-1980-იან წლებში ..... 77

4. 2. 1. გარე ფაქტორების გავლენა 1950-1980-იან წლებში ბასკეთის რეგიონზე ..... 77

4. 2. 2. გარე ფაქტორების გავლენა 1950-1980-იან წლებში კატალონიის რეგიონზე ..... 89

თავი 5 - პრობლემის კვლევა მეორე ჰიპოთეზის ჭრილში: ბასკებისა და კატალონიელების სოციალური სტატუსის ანალიზი ..... 93

5. 1. ბასკური და კატალონიური უმცირესობების ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით ..... 94

5. 1. 1. ბასკური უმცირესობის ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით ..... 95

5. 1. 2. კატალონიური უმცირესობის ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით ..... 124

5. 2. ბასკური და კატალონიური უმცირესობების ანალიზი პოლიტიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით ..... 157

5. 2. 1. ბასკური უმცირესობის ანალიზი პოლიტიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით ..... 157
5. 2. 2. კატალონიური უმცირესობის ანალიზი პოლიტიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით ..... 199
5. 3. ბასკური და კატალონიური უმცირესობების ანალიზი ფსიქოლოგიური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით ..... 240
5. 3. 1. ბასკური უმცირესობის ანალიზი ფსიქოლოგიური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით ..... 240
5. 3. 2. კატალონიური უმცირესობის ანალიზი ფსიქოლოგიური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით ..... 260
დასკვნა ..... 272
ბიბლიოგრაფია ..... 283

**შესავალი: კვლევის მიზანი, პრობლემის აქტუალობა, პრაქტიკული მნიშვნელობა, მეცნიერული სიახლე, საკვლევი კითხვა, ჰიპოთეზები, ნაშრომის სტრუქტურის აღწერა**

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო და უფრო თვალსაჩინოა ეთნიკურ უმცირესობათა დაპირისპირება თავიანთი სახელმწიფოების ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ამგვარი დაპირისპირება პრობლემებს უქმნის კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ სხვა ფაქტორებს და მთლიანობაში აფერხებს მის განვითარებას. მნიშვნელოვანია, რომ ამგვარი დაპირისპირება შესაძლოა, დაძაბულ, სისხლისმღვრელ კონფლიქტებში გადაიზარდოს ან პირიქით, მშვიდობიანი პროტესტის ფორმა მიიღოს და ცენტრსა და პერიფერიას შორის გარკვეული კომპრომისების გამოძებნით დასრულდეს (დავითაშვილი, 2003). აქედან გამომდინარე, სრულიად არის შესაძლებელი, რომ ამგვარმა კონფლიქტმა, ერთი მხრივ, მიიღოს ძალადობრივი ხასიათი, რაც ერთი სახელმწიფოს შიგნით კონკრეტულ უმცირესობასა და ტიტულარულ უმრავლესობას შორის მწვავე და დრამატულ დაპირისპირებას გულისხმობს. მეორე მხრივ, თავისუფლად არის მოსალოდნელი, რომ კონფლიქტმა სისხლისმღვრელი და მანკიერი სახე არ მიიღოს და სახელმწიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და კონკრეტულ ეთნიკურ უმცირესობას შორის ურთიერთობა დათბეს ან უბრალოდ, კონფლიქტური ვითარება მშვიდობიანი სიტუაციით შეიცვალოს. სწორედ ამ თვალსაზრისით საინტერესოა, შევისწავლოთ ბასკეთისა და კატალონიის კონფლიქტური სიტუაციები ესპანეთში.

კვლევის მიზანია ესპანეთის შიდა კონფლიქტების, ბასკეთისა და კატალონიის არსის დეტალური ანალიზი და მათი ძალადობრივ-არაძალადობრივი ჩარჩოს ფარგლებში გამოკვლევა. ამ თვალსაზრისით, ბასკეთის შემთხვევაში საჭიროა იმ ასპექტების კვლევა, რომელთაც კონფლიქტის ესკალაცია გამოიწვიეს, ხოლო კატალონიის შემთხვევაში კი უფრო მშვიდი, არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარება შექმნეს. ეს

ყოველივე, შეიძლება ითქვას, ქმნის პარადოქსულ რეალობას იმიტომ, რომ ერთსა და იმავე სახელმწიფოში ორი განსხვავებული ფორმისა და შინაარსის კონფლიქტი ვლინდება.

შესაბამისად, კვლევის ფოკუსი არის იმ გარემოებების არსებობა-არარსებობის საკითხი, რომელთაც ძალადობრივი კონფლიქტის გაღვივებისაკენ წააქეზეს ბასკეთის სიტუაცია და პირიქით, ვითარება სტაბილურობისა და სიმშვიდისაკენ წაიყვანეს კატალონიაში. შესაბამისად, ნაშრომზე მუშაობის პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიული პროცესების შესაბამისად ჩამოყალიბებულ ისეთ ფაქტორებს, რომელთაც ესპანეთში ორი განსხვავებული სიტუაცია შექმნეს.

საკითხის აქტუალობას განაპირობებს ის ფაქტი, რომ დღევანდელ რეალობაში მსოფლიოს გეოპოლიტიკურ რუკაზე მომრავლდა ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე სახელმწიფოს შიგნით ტიტულარულ უმრავლესობასა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის მსგავსი კონფლიქტური სიტუაციები ვითარდება. გაგაუზია და დნესტრისპირეთი მოლდოვაში, ჩეჩნეთი და თათარსტანი რუსეთის ფედერაციაში, კოსოვო და ვოევოდინა სერბეთში... - ეს, შეიძლება ითქვას, იმ შემთხვევების არასრული ჩამონათვალია, რომლებშიც მსგავსი შინაარსის მოვლენები განვითარდა ისტორიის გარკვეულ ეტაპებზე (Wolff, 2007). გარდა ყოველივე ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს პრობლემა ჩვენი ქვეყნის რეალობისთვისაც აქტუალურია. ამას განაპირობებს ის, რომ უახლეს ისტორიაში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რადიკალური, დაძაბული კონფლიქტური სიტუაციები შეიქმნა (Gerrits & Bader, 2016), ხოლო სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში კი - შედარებით მშვიდი ხასიათის დაპირისპირება ცენტრალურ ხელისუფლებასთან (დვალი და ბადასიანი, 2014). ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, შესაძლებელია იმის თქმა, რომ ძალადობრივი და არაძალადობრივი კონფლიქტების პრობლემა თანამედროვე სამყაროსთვის საკმაოდ რელევანტურია, თუმცა ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევების რაოდენობა მწირია. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს,

რომ ამგვარი კონფლიქტების შესწავლა მნიშვნელოვან სიახლეს შესძენს როგორც სამეცნიერო წრეებს, ისე პრაქტიკული პოლიტიკის სფეროს.

ზემოთ მოცემული მსჯელობის საფუძველზე ნაშრომის საკვლევი კითხვა არის შემდეგი: რა ფაქტორებმა შეუწყო ხელი ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას, ხოლო კატალონიაში კი - არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას? ამ საკვლევი კითხვიდან გამომდინარე კი შეგვიძლია, ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ჰიპოთეზები: 1. ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას ხელი შეუწყო ამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების მზარდმა გავლენამ, ხოლო კატალონიაში არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას კი - აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების გავლენის არარსებობამ; 2. ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას ხელი შეუწყო ამ ეთნიკური უმცირესობის დაბალმა სოციალურმა სტატუსმა ესპანეთში, ხოლო კატალონიაში არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას კი - აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის მაღალმა სოციალურმა სტატუსმა ქვეყანაში.

მნიშვნელოვანი საკითხია ასევე სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურა. საწყის ეტაპზე, პირველ თავში განხილულია კვლევის დიზაინი, რომელშიც გაანალიზებულია კონცეპტუალიზაცია, ოპერაციონალიზაცია და კვლევის მეთოდოლოგია. მომდევნო მეორე თავი ეხება ლიტერატურის მიმოხილვას, რომელშიც გადმოცემულია საკვლევი საკითხის/პრობლემის შესწავლის დონე. აქ განსაკუთრებულად გამოკვეთილია საკითხთან შინაარსობრივად დაკავშირებულ კვლევებში არსებული ის ჩავარდნები, რომელთა შევსებაზეც არის ორიენტირებული წინამდებარე კვლევა. მესამე თავი მთლიანად ეთმობა ბასკეთისა და კატალონიის ქეისების ისტორიულ ანალიზს და მასში აქცენტი დასმულია მე-19 საუკუნემდე არსებულ ისტორიულ ვითარებაზე, რომლითაც მთავარი კონტურებია გამოკვეთილი

საკვლევი თემის ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში შესწავლისათვის. მეოთხე თავი ეხება პირველ ჰიპოთეზას (გარე ფაქტორების გავლენის ანალიზს) და მასში ორ ქვეთავად არის შესწავლილი თითოეული რეგიონის ქეისი ჯერ მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იან წლებში, შემდგომ კი 1950-1980-იან წლებში. მეხუთე თავი ეხება მეორე ჰიპოთეზას (ბასკებისა და კატალონიელების სოციალური სტატუსის ანალიზს) და მასში სოციალური სტატუსის თითოეული ქვეინდიკატორის (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური) მიხედვით არის დალაგებული ქვეთავები როგორც ბასკეთის, ისე კატალონიის შესახებ. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა, რომელშიც შეჯამებულია კვლევის შედეგები და ასევე გადმოცემულია რეკომენდაციები შემდგომი კვლევების ჩასატარებლად. ამ მხრივ, უნდა ითქვას, რომ ჰიპოთეზების სრულყოფილად გამოკვლევას დასჭირდა სამი წელი. ეს იმას ნიშნავს, რომ სრულფასოვანი კვლევის ჩატარებიდან საბოლოო დასკვნების გასაკეთებლად და საბოლოო სურათის წარმოსადგენად სამ-წლიანი კვლევა საკმარისი აღმოჩნდა. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ კვლევის ძირითადი შეზღუდვები არის ფულადი, დროისა და ადმინისტრაციული რესურსების სიმწირე და რაოდენობრივი მაჩვენებლების არც თუ ისე დიდი ბაზის არსებობა. მიუხედავად სამ-წლიანი კვლევისა, პრაქტიკულად, კვლევის შედეგების ფურცელზე გადატანისა და სადოქტორო დისერტაციის დასრულებისათვის მხოლოდ ერთი წელი დარჩა.

## თავი 1 - კვლევის დიზაინი: კონცეპტუალიზაცია, ოპერაციონალიზაცია, კვლევის მეთოდოლოგია

ესპანეთის კონფლიქტური სიტუაციის სრულფასოვანი ანალიზის მიზნით მნიშვნელოვანია, განვიხილოთ კვლევის დიზაინის ის ჩარჩო, რომლითაც კვლევაში წარმოდგენილი მსჯელობა კვლევის მიზნის შესაბამისად წარიმართება. კვლევის დიზაინი ასევე დამხმარე ფაქტორია დასაბუთებული დასკვნების გასაკეთებლად. კვლევის დიზაინი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან: 1. კონცეპტუალიზაცია; 2. ოპერაციონალიზაცია; 3. კვლევის მეთოდოლოგია (Babbie, 2016).

საწყის ეტაპზე, განვიხილოთ კონცეპტუალიზაცია. კვლევის დიზაინის ეს ნაწილი მოიცავს საკვანძო ცნებებისა და კონცეფციების ანალიზს (Babbie, 2016). ამ მხრივ, პირველ რიგში, აქცენტი კეთდება როგორც დამოუკიდებელ, ისე დამოკიდებულ ცვლადებზე (Van Evera, 1997). უპირველესად, უნდა ითქვას, რომ კვლევის ძირითად პერიოდად აღებულია მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდის მოვლენები და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან 80-იან წლებამდე არსებული მოვლენები. ანალიზიდან იკვეთება, რომ ამ პერიოდებში ყველაზე აქტიურ, დინამიკურ ფაზაში იყო ორივე რეგიონში არსებული უმცირესობების ურთიერთობების საკითხები და გამოწვევები ცენტრალურ ხელისუფლებასთან. აღნიშნულთან დაკავშირებით ქვემოთ მოცემულ ანალიზში დეტალურად ვისაუბრებთ. ზემოთ მოყვანილი ჰიპოთეზებიდან იკვეთება ერთი და იგივე დამოკიდებული ცვლადი: ძალადობრივი და არაძალადობრივი კონფლიქტები. დამოუკიდებელ ცვლადებს რაც შეეხება, გარე ფაქტორების გავლენა და უმცირესობათა სოციალური სტატუსი არის კვლევის დამოუკიდებელი ცვლადები. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, გადმოვცეთ, თუ რა იგულისხმება ძალადობრივ და არაძალადობრივ კონფლიქტებში. ბარტლეტისა და მილერის თანახმად, ძალადობრივ სიტუაციად ითვლება კონკრეტული ჯგუფის მხრიდან მანკიერი, სისხლისმღვრელი მიდგომების მასშტაბური გამოყენება სასურველი

შედეგების მისაღწევად. არაძალადობრივი სიტუაცია კი მოიცავს მშვიდობიანი, ცივილური ფორმის საპროტესტო განწყობებისა და ქმედებების ნაკრებს, რომელიც არ არის მოტივირებული კონფლიქტის ესკალაციისათვის და ცდილობს, კომპრომისების გამოძებნაში მხარეთა დახმარებას (Bartlett & Miller, 2012). ამავე დროს, უნდა განიმარტოს დამოუკიდებელი ცვლადებიც. მნიშვნელოვანია, რომ გარე ფაქტორები მოიაზრებს საერთაშორისო ასპარეზზე არსებულ ძალადობრივ ან/და არაძალადობრივ ვითარებებს, რომელთა გავლენითაც ესპანეთის აღნიშნული ორი რეგიონის შიგნით ჩამოყალიბდა კონკრეტული ხასიათის სიტუაციები. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ისეთი დაჯგუფებების/ორგანიზაციების მოქმედებები, როგორებიც არიან „ირლანდიის რესპუბლიკური არმია“, „წითელი არმიის ფრაქცია“, „ირგუნი“ და ა. შ. (Alonso, 2011). საჭიროა, დავაკვირდეთ ამ და სხვა მსგავსი აქტორების გავლენის შედეგებს როგორც ბასკეთში, ისე კატალონიაში არსებული ვითარების დინამიკის თვალსაზრისით. გარდა გარე ფაქტორებისა, მორიგი მნიშვნელოვანი ცვლადი არის უმცირესობების სოციალური სტატუსი. ეს ცვლადი, თავის მხრივ, მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორები (Saegert et al., 2006). აქედან გამომდინარე, აქცენტი მნიშვნელოვნად კეთდება ორივე უმცირესობის ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, რომელიც მოიცავს რეგიონების ეკონომიკური განვითარების დინამიკას, დასაქმების საკითხებს, განათლების მიმართ წვდომის თემას, სოციალურ სერვისებთან წვდომის საკითხს და ა. შ. ამ მხრივ, საყურადღებოა ბასკებისა და კატალონიელების მნიშვნელობა ესპანეთის სახელმწიფოში ცენტრალურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით. უფრო დაწვრილებით ამ საკითხზე ოპერაციონალიზაციაში არის ყურადღება გამახვილებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ კონვერსის თქმით, კატალონიელები ძირითადად მშვიდობიანი ფორმის პროტესტს მიმართავდნენ, ხოლო ბასკების

შემთხვევაში სიტუაცია ბევრად უფრო დაძაბული იყო (Conversi, 1993), ნათელია, რომ თითოეული განხილული ცვლადის სრულფასოვნად გამოკვლევაა მნიშვნელოვანი.

კვლევის დიზაინში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ცვლადების ოპერაციონალიზაციის ნაწილს (Babbie, 2016). აქედან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს ძალადობრივი და არაძალადობრივი სიტუაციების სრულფასოვანი ანალიზისათვის საჭირო ინდიკატორებზე. ამ მხრივ, ყურადღება, უპირველესად, უნდა გამახვილდეს ბასკეთსა და კატალონიაში არსებული ეთნიკური უმცირესობების გამოხატვის ფორმებზე. პრაქტიკულად, ისეთი შემთხვევები, რომლის დროსაც წახალისებულია დაძაბულობა და სისხლისღვრა და მიმდინარეობს რადიკალური დაჯგუფებების - ტერორისტული და სხვა ტიპის ექსტრემისტული ორგანიზაციების - მხრიდან ძალის გამოყენება, ძალადობრივ სიტუაციად ითვლება. ამის საპირისპიროდ, ისეთ სიტუაციას, რომელიც ეფუძნება კომპრომისული მეთოდებით (მშვიდობიანი დემონსტრაციები, მოლაპარაკებები და სხვ.) უმცირესობის მოთხოვნების გასაჯაროებას და არსობრივად არა ძალადობის გაღვივებაზეა ორიენტირებული, არამედ გარკვეული შეთანხმების მიღწევაზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან, არაძალადობრივი სიტუაციაა (Cunningham, 2013). გარდა ყოველივე ამისა, აუცილებელია, შეფასდეს თითოეულ რეგიონში არსებული სიტუაციიდან გამომდინარე წარმოშობილი ზარალი, რომლის შესწავლაც მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეინდიკატორის გამოყენებით. მნიშვნელოვანია აქცენტი ამ შემთხვევაში გაკეთდეს გამოსვლების ან/და მწვავე დაპირისპირებების დროს გარდაცვლილ და დაშავებულ ადამიანებზე, როგორც მარტივად, ისე ძნელად მისადგომ ტერიტორიებზე დაღუპულთა ან/და დაშავებულთა რიცხოვნობაზე. ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს ასევე იმასაც, რამდენია შემთხვევით გარდაცვლილი და რამდენი - განზრახ მოკლული მსხვერპლი (Brück, Justino, Verwimp & Tedesco, 2016). ეს მონაცემები საკმაოდ სერიოზულ როლს თამაშობს იმის გარკვევაში, თუ რამდენად მწვავე ან

პირიქით, რამდენად მშვიდი ფორმების კონფლიქტები მიმდინარეობდა ესპანეთის ორივე ზემოაღნიშნულ რეგიონში. აქვე თუ გავითვალისწინებთ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ დაზიანებებსა და დევნილების რაოდენობრივ მაჩვენებლებსაც (Nyanga, Sibanda & Kruger, 2019), მთლიანობაში საკმაოდ აქტუალური ხასიათის მოცემულობა იქმნება და შესაძლებელი ხდება ისტორიის განსაზღვრულ პერიოდში პროცესების მიმდინარეობა-ცვალებადობის ანალიზი. მნიშვნელოვანია ასევე ორივე კონფლიქტურ რეგიონში მიმდინარე პროცესების მონაწილე ძირითადი ორგანიზაციების/სუბიექტების არსი (მათი ზოგადი ქმედებები იყო ძალადობისაკენ თუ მშვიდობისაკენ მიმართული)(Alonso, 2004). აქვე არის გასათვალისწინებელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: სრულიად შესაძლებელია თავდაპირველი არაძალადობრივი ხასიათის დაპირისპირება გარდაიქმნას სისხლისმღვრელ, მანკიერ კონფლიქტად (Chikhi, 2017). არც ის არის გამორიცხული, რომ საწყის ეტაპზე რადიკალური ელფერით შემოსილი კონფლიქტი, რომელსაც რამდენიმე ტყვიის გასროლაც შეიძლება ახლდეს, მოვლენათა განვითარების პარალელურად გადაიქცეს კომპრომისულ სიტუაციად, რომელშიც თანდათან ჩაცხრება ძალადობრივი ვითარება (Brück, Justino, Verwimp & Tedesco, 2016). ამ ყოველივეს გათვალისწინებით, იქმნება მოცემულობა, რომ ყურადღება გასამახვილებელია მე-19 საუკუნესა და 1900-1980-იან წლებში ორივე ქეისის მიმდინარეობასა და კონფლიქტების ესკალაცია-დეესკალაციაზე. ეს კი უპირობოდ საჭიროებს სიღრმისეულ ისტორიულ ანალიზს. გარდა ყოველივე ზემოხსენებულისა, მნიშვნელოვანია აქცენტი უმცირესობის სოციალური სტატუსის შესწავლაზე. ამ თვალსაზრისით, უმცირესობის სოციალური სტატუსის შემსწავლელი ინდიკატორის მნიშვნელოვანი ქვეინდიკატორები, რომლებზეც ზემოაღნიშნულ ისტორიულ პერიოდში არის ორიენტირი, შემდეგია: 1. სოციალურ-ეკონომიკური ქვეინდიკატორები - ამ შემთხვევაში ყურადღება ეთმობა იმას, თუ რამდენად ახერხებდნენ როგორც ბასკები, ისე კატალონიელები განათლების,

დასაქმების, სოციალურ სერვისებთან წვდომას (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020). ამავე დროს, ყურადღება გამახვილებულია თითოეული რეგიონის ეკონომიკურ მნიშვნელობაზე ესპანეთისათვის (Guibernau, 2004). ამ მხრივ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ, თუ რამდენად იღებდნენ ამ ქვეინდიკატორების არსში გათვალისწინებულ ბენეფიტებს ბასკები და კატალონიელები და რამდენად ბედნიერნი იყვნენ ისინი აღნიშნული სერვისების გამოყენებით. რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონე მე-19 საუკუნიდან მოყოლებული 1980-იანი წლების ჩათვლით მნიშვნელოვან სურათს გვანახებს თითოეული რეგიონის ეკონომიკური პოტენციალის შესახებ როგორც ლოკალურად, ისე ქვეყნის მასშტაბით; 2. პოლიტიკური ქვეინდიკატორები - აქ იგულისხმება ორივე რეგიონში მცხოვრებთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობა, ზოგად პოლიტიკურ პროცესებში თანამონაწილეობა და მათი ადგილობრივი ავტონომიური მმართველობის მნიშვნელობა ესპანეთისათვის (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020). ამ მხრივ, ძირეულად არის საჭირო აღნიშნული უმცირესობების პოლიტიკურ აქტივობებში მონაწილეობის კვლევა. ყურადღება გამახვილებულია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და თვითმმართველობის პოლიტიკურ სიძლიერეზეც. ერთი სიტყვით, ორივე უმცირესობასთან მიმართებით გამოკვლეულია ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მათი მონაწილეობა პოლიტიკურ გაერთიანებებში, არჩევნებში და ასევე ესპანეთის ცენტრალურ პოლიტიკურ ელიტასთან ასოცირებულ პოლიტიკურ პროცესებში; 3. ფსიქოლოგიური ქვეინდიკატორები - ამ თვალსაზრისით, ყურადღება გასამახვილებელია იმ შესაძლო სტერეოტიპებზე (სოციალური ჯგუფების მიმართ წინასწარი მახასიათებლების საფუძველზე დამკვიდრებული შეხედულება), ცრურწმენებსა (ნეგატიური დამოკიდებულებები სოციალური ჯგუფების მიმართ) და სხვა ტიპის პოზიტიურ ან/და ნეგატიურ დამოკიდებულებებზე (ბალიაშვილი, 2010), რომლებიც ბასკი და კატალონიელი უმცირესობების მიმართ არსებობდა ისტორიის

ზემოაღნიშნულ ეტაპზე ესპანეთში. ამით შესწავლილია ორივე უმცირესობის წარმომადგენელთა დოსკრიმინაციის ხარისხი ესპანეთში. საინტერესოა, სტერეოტიპების გავლენა, ერთი მხრივ, უმცირესობების წარმომადგენლებსა და მეორე მხრივ, ესპანეთის ტიტუალური უმრავლესობის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობებში. გარე აქტორების გავლენის კვლევა არის ცალკე ფაქტორი, რომლის კვლევისთვისაც მნიშვნელოვანია როგორც "ირლანდიის რესპუბლიკური არმიის", ისე "წითელი არმიის ფრაქციისა" (Alonso, 2011) და სხვა დაჯგუფებების სისხლისმღვრელი ან/და მშვიდობიანი აქტივობების შესწავლა თავიანთ სახელმწიფოებში და ამ სულისკვეთების გავლენა ესპანეთის უმცირესობებზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც კვლევის დიზაინში არის ინტეგრირებული, ესაა კვლევის მეთოდები (მეთოდოლოგია). აქ ყურადღება ექცევა მონაცემთა მოძიებისა და დამუშავების მეთოდებსა და ტექნიკებს. სწორედ ამიტომ, უპირველესად, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ორივე რეგიონში არსებულ სიტუაციათა კვლევა თვისობრივ და რაოდენობრივ მონაცემებს დაეყრდნობა. საჭიროა თითოეული მეთოდის განხილვა სანდოობა-ვალიდურობის თვალსაზრისით (Babbie, 2016). ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდი არის პროცესის ტრეისინგი (Keohane, King & Verba, 1994), რადგან ეს არის, პრაქტიკულად, ხერხემალი, რომელზეც აიგება კვლევის ძირითადი ნაწილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დამოუკიდებელ ცვლადებსა - გარე აქტორების ზემოქმედება; უმცირესობების სოციალური სტატუსი - და დამოკიდებულ ცვლადს - ძალადობრივი და არაძალადობრივი კონფლიქტები - შორის ურთიერთკავშირის უზრუნველსაყოფად პროცესის ტრეისინგი კვლევისათვის ძალზე მნიშვნელოვანია. ამ მხრივ, ე. წ. "case study"/"ქეის სთადი" (შემთხვევების შესწავლის მეთოდი)(Van Evera, 1997) იძლევა სწორი აქცენტების დანახვის შესაძლებლობას ორივე რეგიონის კონფლიქტურ სიტუაციათა შესწავლისას კვლევის ჰიპოთეზებთან მიმართებით. ეს მეთოდი ვალიდურობის

თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, რათა ორივე კონფლიქტური სიტუაცია მაქსიმალურად ამომწურავად შევისწავლოთ. სანდოობის მხრივ კი ეს მეთოდი შესაძლებელს ხდის მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით დინამიკაში დავინახოთ პროცესები მართებულად ძალადობრივი და არაძალადობრივი რაკურსით. ეს ყოველივე ბუნებრივად აჩენს ისტორიული ანალიზის მეთოდის გამოყენების აუცილებლობასაც (Keohane, King & Verba, 1994), რომლის საშუალებითაც კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე უნდა შევისწავლოთ მნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპები და გარემოებები. ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვანია, დავეყრდნოთ ისეთ მეთოდს, როგორიცაა აღწერითი სტატისტიკა (Babbie, 2016), რომლითაც ნაშრომში კონფლიქტური სიტუაციების მეშვეობით შექმნილი დანაკარგების/ზარალის ინდიკატორი და მისი ზემოაღწერილი ქვეინდიკატორები არის გამოკვლეული. ძალზე მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ პირველი ჰიპოთეზის (ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას ხელი შეუწყო ამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების მზარდმა გავლენამ, ხოლო კატალონიაში არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას კი - აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების გავლენის არარსებობამ) ჭრილში მოვლენათა კვლევისას დავეყრდნოთ როგორც დოკუმენტთა ანალიზს (Bowen, 2009), ისე ტექსტუალურ ანალიზს (Belsey, 2013). ორივე მეთოდი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ შევისწავლოთ პოლიტიკური ლიდერების, იდეოლოგებისა და სხვა საჯარო ფიგურების გზავნილების შინაარსი და მათი მოქმედებების ჩვენი კვლევისათვის აქტუალური ასპექტები. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტთა ანალიზის მეთოდის ვალიდურობა ემყარება იმ ფაქტს, რომ ეს მეთოდი ორივე რეგიონზე გარე ფაქტორების ზემოქმედების რეზულტატების სწორად დანახვის საშუალებას იძლევა. ამ მეთოდის სანდოობა კი განისაზღვრება იმით, რომ იგი ამ გარე გავლენების შედეგების ძალადობრივ-

არაძალადობრივი თვალსაზრისით დროის მოცემულ პერიოდში (მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით) დინამიკურად დანახვის საშუალებას იძლევა. ტექსტუალური ანალიზის მეთოდის ვალიდურობა კი ჩვენს კვლევაში განისაზღვრება იმით, რომ იგი გვაძლევს საშუალებას გავიგოთ როგორც ესპანეთის რეგიონებში გარე აქტორების მიმართ გაკეთებული კონკრეტული სიმპათია-ანტიპათიის გამომხატველი გზავნილების შინაარსი, ისე გარე აქტორების კონკრეტული მესიჯების შედეგად წახალისებული ძალადობრივი ან/და არაძალადობრივი ფონის არსი აღნიშნულ რეგიონებში. ტექსტუალური ანალიზის მეთოდის სანდოობა კი რეალურად ემყარება ამ გზავნილების კავშირს ჩვენთვის საინტერესო ისტორიული ეტაპების მიმდინარეობისას ძალადობრივ-არაძალადობრივ ტენდენციებთან. მეორე ჰიპოთეზის - ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას ხელი შეუწყო ამ ეთნიკური უმცირესობის დაბალმა სოციალურმა სტატუსმა ესპანეთში, ხოლო კატალონიაში არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას კი - აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის მაღალმა სოციალურმა სტატუსმა ქვეყანაში - ჭრილში მოვლენების ანალიზისათვის მნიშვნელოვანი იქნება სწორედ სოციალური სტატუსის ინდიკატორთან დაკავშირებული ზემოაღწერილი ქვეინდიკატორების კვლევა აღწერითი სტატისტიკის, ისტორიული ანალიზის, დოკუმენტთა ანალიზისა და ტექსტუალური ანალიზის საშუალებით. ამ მხრივ, შესასწავლია სტატისტიკური მონაცემები როგორც ბასკების, ისე კატალონიელების მხრიდან კონკრეტულ სოციალურ-ეკონომიკურ სერვისებზე წვდომასთან მიმართებით, როგორებიცაა საგანმანათლებლო, დასაქმებისა და სოციალური ბენეფიტები. ვალიდურობის საფუძველი არის საერთო სურათის ჩვენება იმის შესახებ, თუ ორივე უმცირესობის რამდენ წარმომადგენელს ჰქონდა შესაძლებლობა, ესარგებლა კონკრეტული სერვისებით. სანდოობა კი ამ შემთხვევაში განსაზღვრულია ისტორიის კვლევისათვის სასურველ პერიოდებში ამ სერვისებით სარგებლობის

კონკრეტული რაოდენობრივი მონაცემების დინამიკით და ამ დინამიკის აფილირებით ძალადობრივ და არაძალადობრივ მოცემულობასთან. გარდა ამისა, ისტორიული ანალიზის მეთოდით უნდა გამოვიკვლიოთ როგორც ბასკეთის, ისე კატალონიის მოსახლეობის მხრიდან ზემოაღწერილი პოლიტიკური ხასიათის ქვეინდიკატორების მიმართ წვდომის თემა. ეს მეთოდი ამ შემთხვევაში ვალიდურია, რადგან ის იძლევა ბასკეთისა და კატალონიის მნიშვნელობის შესწავლის შესაძლებლობას ესპანური პოლიტიკური პროცესების რაკურსით. აღნიშნული მეთოდის ამ კონტექსტში სანდოობას კი მოწმობს ის ფაქტი, რომ მისი საშუალებით პოლიტიკურ რესურსებთან წვდომისა და ძალადობრივი ან/და არაძალადობრივი ფონის ურთიერთკავშირის დადგენა ხდება შესაძლებელი დროის დინამიკაში კვლევისათვის საჭირო ისტორიულ ეტაპებზე. ამ შემთხვევაში აქცენტი ასევე უნდა გაკეთდეს ნებისმიერი მესიჯის ან/და მოწოდების ტექსტუალური ანალიზის მეთოდით შესწავლის საკითხზეც. აღნიშნული მეთოდის ვალიდურობა განმტკიცებულია იმით, რომ მესიჯების შინაარსის გარჩევა ხდება შესაძლებელი ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების/ტიტულარული უმრავლესობისა და ორივე ეთნიკური უმცირესობის ურთიერთობაში არსებული შესაძლო ფსიქოლოგიური თუ პოლიტიკური ფაქტორების სრულყოფილად გასააზრებლად. სანდოობა ამ შემთხვევაში უკავშირდება იმას, რომ მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით შეფასებულია ძალადობის ხარისხი, ერთი მხრივ, ორივე უმცირესობის წარმომადგენელსა და მეორე მხრივ, ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ ასეთივე დატვირთვა აქვს დოკუმენტთა ანალიზის მეთოდს ამ შემთხვევაში როგორც სანდოობის, ისე ვალიდურობის თვალსაზრისით.

ამრიგად, წარმოდგენილი კვლევის კონცეპტუალიზაცია, ოპერაციონალიზაცია და მეთოდოლოგია ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია კვლევის სრულფასოვნად განხორციელებისათვის. ამ

მხრივ, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ კვლევის დიზაინს ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა კვლევის შედეგების მიღწევაში.

## თავი 2 - ლიტერატურის მიმოხილვა და საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე

ბასკეთისა და კატალონიის სიტუაციებთან დაკავშირებული კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესაბამის შედეგებზე გასასვლელად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო იმ სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა, რომელიც ამ ორი კონფლიქტური ქეისის შესახებ შექმნილა. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარდა ესპანეთის ამ ორი რეგიონის სიტუაციათა შესახებ შექმნილი ნაშრომებისა, ჩემი კვლევისათვის რელევანტურია ასევე ზოგადად ძალადობრივი და არაძალადობრივი კონფლიქტების შესახებ არსებული წყაროების დამუშავებაც. სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა როგორც ზოგადად სისხლისმღვრელი ან/და მშვიდი დაპირისპირებების შესახებ არსებული ლიტერატურის, ისე კონკრეტულად ორი ზემოაღნიშნული ქეისის ირგვლივ შექმნილი მასალების გაცნობა, საკითხის კონკრეტული თეორიული პერსპექტივებით დანახვა და ამ მხრივ, აზრის ჩამოყალიბება საკვლევ პრობლემასთან მიმართებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ყოველივე ემსახურებოდა იმას, რომ, ერთი მხრივ, თვალნათლივ წარმოჩენილიყო ამ მიმართულებით არსებული რეალობა და მეორე მხრივ, აღმოჩენილიყო ის ნაპრალები, რომლებიც ჩემი კვლევის მეშვეობით ივსება აკადემიურ სივრცეში.

ძალადობრივი და არაძალადობრივი ვითარების შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო არის ჯეიმი ბარტლეტისა და კარლ მილერის ნაშრომი. აღნიშნული ავტორების შეხედულებით, ძალადობრივი გზებით/საშუალებებით ხდება ნებისმიერი ტიპის დაძაბული ვითარების ესკალაცია და საქმე შეიძლება, სისხლისმღვრელ ვითარებაშიც კი გადაიზარდოს. არაძალადობრივი მეთოდები კი, ავტორების მოსაზრებით, არის დაძაბული ვითარების განმუხტვისაკენ მიმართული ფაქტორები, რომელთა ორიენტირიც საერთოდ არ არის ადამიანების დახოცვა, ინფრასტრუქტურული ზარალი და სხვა ტიპის საზიანო ქმედებები (Bartlett & Miller, 2012). ვფიქრობ, ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია სამსჯელოდ.

ამ მოცემულობიდან აშკარად ჩანს, რომ რთული მდგომარეობის კიდევ უფრო მეტად გამწვავება ძალის გამოყენებით უფრო შეიძლება, ვიდრე მშვიდი ფორმის მიდგომებით. ამ მხრივ, ბუნებრივია ჩნდება კითხვა: რა კონკრეტული სიტუაციები ითვლება ძალადობრივ და არაძალადობრივ კონფლიქტებად და როგორ შეიძლება, არაძალადობრივი კონფლიქტი ძალადობრივში გადაიზარდოს ან პირიქით, ძალადობრივი სიტუაცია არაძალადობრივი გახდეს? ეს ის შეკითხვაა, რომელსაც ჩემს კვლევაში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული აქცენტები ამ მიმართულებით აღნიშნულ ავტორებთანაც მოიძებნება. მაგალითად, ბარტლეტი და მილერი ეხებიან როგორც ინდივიდუალურ, ისე სოციალურ ასპექტებს (განათლების ფაქტორი და დისკრიმინაციის ეფექტი). ავტორების დაკვირვებით, განათლებითა და პროფესიული პერსპექტივებით დაინტერესებული პირები არაძალადობრივი ფონის შექმნაზე არიან ორიენტირებულნი ნებისმიერი კონფლიქტური ვითარების პირობებში (Bartlett & Miller, 2012). ბუნებრივია, ამ კვლევის შედეგებს აქსიომატურ მოცემულობად ვერ მივიღებთ და აქ მრავალი რამ არის დასაზუსტებელი უფრო კონკრეტული ინდიკატორებით. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ, თუ იკვეთებოდნენ მსგავსი მისწრაფებების პიროვნებები როგორც ბასკეთის, ისე კატალონიის კონფლიქტებში. ამ კუთხით ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია დასაქმების საკითხიც: მაგალითად, ავტორების აღმოჩენით, იმ 15 ადამიანიდან, რომელიც კონფლიქტის გადაწყვეტის უფრო მშვიდობიან ფორმებს იზიარებდნენ, არც მეტი და არც ნაკლები, 14 პიროვნება დასაქმებული იყო. ამის საპირწონედ კი ექსტრემისტული ქმედებების შემოქმედი 35 პირიდან კი 21 აღმოჩნდა სხვადასხვა კორპორაციაში მომუშავე, რაც არც ისე დიდი რიცხვია. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ავტორების გადმოცემით, ძალადობრივ ვითარებას გარკვეული ფაქტორები განაპირობებს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი არის უთანასწორო პირობებთან მიმართებით ჯგუფისა თუ ადამიანის პროტესტი, რომელსაც აფექტი ახლავს და ფსიქოლოგიურად

ძალზე დაძაბულ ვითარებას ქმნის. მორიჰი ფაქტორი არის ადამიანის/ჯგუფის სურვილი საკუთარი საპროტესტო ტალღა ძალადობრივი მეთოდებით ააგოროს. ავტორები ასახელებენ ადამიანის მხრიდან სოციუმში თავის დამკვიდრების აუცილებლობასაც. ავტორების გადმოცემით ვითარების რადიკალიზაცია და დაძაბვა ასევე შესაძლებელია კონკრეტული ჯგუფის შიგნით განსხვავებული შეხედულებების საფუძველზე შექმნილ განხეთქილებებსაც (Bartlett & Miller, 2012). აქედან გამომდინარე, კვლევის პროცესში აქცენტი უნდა გაკეთდეს როგორც ბასკეთის, ისე კატალონიის შიგნით ძალადობრივი მუხტის არსებობა-არარსებობის საკითხსა და უშუალოდ რეგიონებში მცხოვრების უმცირესობების შიგნით განსხვავებული მსოფლმხედბელობის გამო სხვადასხვა დაჯგუფების/მიმდინარეობის შესაძლო არსებობას. ამ ყოველივეს თუ დავამატებთ იმასაც, რომ ნაშრომში წარმოჩენილია დასავლურ ქვეყნებში მცხოვრები ტერორისტების ფსიქოლოგია, როგორც მათ მიმართ განხორციელებული დისკრიმინაციული ქმედებების შედეგად შექმნილი მოცემულობა (Bartlett & Miller, 2012), კიდევ უფრო ცხადი გახდება, რომ აუცილებელია სიღრმისეულად შევისწავლოთ ძალადობრივ-არაძალადობრივი ტენდენციები ერთი და იგივე სახელმწიფოს ფარგლებში, თუნდაც ეს სახელმწიფო ცივილიზებულ დასავლურ სამყაროს მიეკუთვნებოდეს. სწორედ ასეთია ესპანეთიც, რომელიც ამ სამყაროს მიეკუთვნება და რომელშიც ორი ზემოაღნიშნული საკვლევი ქეისია მოცემული. დისკრიმინაციული ფონით გამოწვეული პრობლემური ვითარება სულაც არ გამორიცხავს ერთი შეხედვით უწყინარი პროტესტის გადაზრდას ძალადობრივ კონფლიქტში. გარდა იმისა, რომ აღნიშნულ ავტორებთან ეს მოცემულობა, თუ რა შემთხვევაში შეიძლება ძალადობრივი დაპირისპირება დაცხრეს და გადაიზარდოს არაძალადობრივში ან/და პირიქით, არ არის კარგად ახსნილი, კონკრეტული სახელმწიფოების ეთნიკური კონფლიქტების მაგალითების არარსებობა კვლევაში არსებული

სერიოზული სიცარიელეა. აქედან გამომდინარე, ჩემი კვლევა სწორედ ამ სიცარიელის ამოვსებას მოემსახურება.

საბრინა ჩიხის ნააზრევში ჩანს როგორც ძალადობრივ, ისე არაძალადობრივ კონფლიქტებთან მიმართებით არსებული ფაქტორების კვლევა. მკვლევარი, პრაქტიკულად, ეყრდნობა დასავლეთ საჰარას მაცხოვრებელთა ქეისს და ისეთი ფაქტორების გამოყენებით, როგორებიცაა სიღარიბე, ასაკი და სქესი, წარმოაჩენს კონტრასტს ძალადობრივ და არაძალადობრივ დაპირისპირებათა შორის. ჩიხის მთავარი ფოკუსი, შეიძლება ითქვას, არის იმის ახსნა, თუ როგორ შეიძლება, ერთი შეხედვით, არც თუ ისე დრამატული ფორმებით დაწყებული პროტესტის რადიკალიზაცია და შემდგომ იარაღის ენით ლაპარაკში გადაზრდა (Chikhi, 2017), ეს გარემოებები, რეაურად, ეხმიანება იმ შეკითხვას, რომელიც ზემოთ დაისვა: როგორ შეიძლება არაძალადობრივი კონფლიქტი ტრანსფორმირდეს ძალადობრივი, მძიმე ფორმების დაპირისპირებად. აქედან გამომდინარე, ეს წყარო, შესაძლოა, ძალზე ღირებული აღმოჩნდეს ჩემი კვლევის საფუძვლების შესაქმნელად, მით უმეტეს თუ მხედველობის არიდან არ გამოგვრჩება ის გარემოება, რომ დასავლეთ საჰარელებმა, არც მეტი, არც ნაკლები, ესპანელი კოლონიალისტების წინააღმდეგ აიმაღლეს ხმა (Chikhi, 2017). გარდა იმისა, რომ ეს მოცემულობა ესპანეთის ფაქტორის გათვალისწინებით ჩიხის ნააზრევს ჩემი კვლევისთვის უფრო საინტერესოს ხდის, ყურადღებას იპყრობს ასევე ისტორიული შუღლის გარემოება, რომელსაც რადიკალური სახე ჰქონდა მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის დაპირისპირების პროცესში. ეს ასპექტი სერიოზულ დაკვირვებას საჭიროებს, რადგან შეიძლება, სწორედ ის იყოს კონფლიქტური ვითარების ესკალაციის მიზეზი. ზემოხსენებული სამი ინდიკატორიდან, ჩიხს ყველაზე მნიშვნელოვნად მიაჩნია სიღარიბე, რომელიც გამოკითხული პირების 45.7%-სათვის მძიმე ფაქტორად ითვლება, ვითარებას უფრო ამძაფრებს ამ მაჩვენებელში მოაზრებულთა 28.3%-ის მხრიდან ძალადობის წახალისების აუცილებლობაზე აქცენტი. საინტერესოა ისიც, რომ ავტორი ხაზს უსვამს

ახალგაზრდებში ძალადობრივი მეთოდებისაკენ მიდრეკილებებს (Chikhi, 2017). ვფიქრობ, ამ გარემოებით დასტურდება ის, რომ სიღატაკეს ძალზე სერიოზული როლის შესრულება შეუძლია ძალადობრივი კამპანიის ჩამოყალიბების პროცესში. ამ თვალსაზრისით, ეს ნაშრომი ძალზე ღირებული წყარო გამოდის ბასკეთისა და კატალონიის სიტუაციათა კვლევისათვის: აქ ჩანს სიღარიბის, ანუ დაბალი სოციალური სტატუსის უარყოფითი გავლენა კონფლიქტის ესკალაციაზე. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ჩიხის ნაშრომში იკვეთება გარკვეული ნაპრალი. კერძოდ, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის უფრო სიღრმისეული ანალიზი და კონკრეტულად სიღარიბის ინდიკატორის უფრო ფართოდ ჩაშლა კვლევაში უფრო ნათელ სურათს დახატავდა ძალადობრივ-არაძალადობრივ სიტუაციებთან მიმართებით. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის კონფლიქტების შესწავლაში საინტერესოა ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში სიღატაკის ფაქტორის უფრო სიღრმისეულად ჩაშლა და გამოკვლევა. ეს ყოველივე აღნიშნულ ნაშრომში არსებულ სიცარიელეს შეავსებს.

კონფლიქტების ძალადობრივ-არაძალადობრივი კონტექსტის შესასწავლად საკმაოდ საინტერესო კვლევის ავტორები არიან დიანა მიკონი, ანტონიო კალკანი, აბდელვაჰედ მეკი-ბერრადა და ჩეჩილე რუსო. ეს მკვლევრები თვალსაჩინო აქცენტს აკეთებენ იმ გარემოებაზე, რომ კვლევით-საგანმანათლებლო წრეებში ძალზე იშვიათი ნაშრომები მოიპოვება სისხლისმღვრელი, რადიკალური კონფლიქტური სიტუაციების სიღრმეებთან დაკავშირებით (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020). ამ მხრივ, თავისუფლად ჩანს საჭიროება ამ მიმართულებით სიღრმისეული კვლევების ჩატარებასთან დაკავშირებით, რაც, ბუნებრივია, ესპანეთის რეგიონების შესწავლის საკითხის მნიშვნელობას ზრდის. ონლაინ კითხვარების საშუალებით გამოკითხული 1765 ახალგაზრდის საფუძველზე ავტორები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ახალგაზრდების პიროვნული მახასიათებლები და ამავე დროს მათი საზოგადოებრივ

ცხოვრებაში თანამონაწილეობა. საინტერესოა, რომ ავტორების ფოკუსი არის კვებეკის კოლეჯის სტუდენტებზე, რომელთა ჯამური რაოდენობაც 1765 ადამიანს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მკვლევრებმა აღნიშნული სტუდენტები გამოიკითხეს ინტერნეტის მეშვეობით (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020). კვლევის არსიდან ჩანს, რომ აქ ორიენტირი არის დაძაბული ვითარების ესკალაციასა და მასში ძალადობრივი მუხტის გაჩენაზე, აქედან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ახალგაზრდების იარაღის ენით საუბარი სახელმწიფოსათვის საკმაოდ სახიფათო სიტუაციად აღიქმება, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მკვლევრების გადმოსახედიდან დისკრიმინაციული ფონი და ძალადობრივი ზეგავლენის ქვეშ თავის ამოყოფა ორი მნიშვნელოვანი წამახალისებელი ფაქტორია სისხლისმღვრელი გარემოს შესაქმნელად. ავტორები დაინტერესდნენ ახალგაზრდებში დისკრიმინაციული ფონის შესწავლით და მათ დაუსვეს კითხვები ჯანდაცვის საკითხებიდან დასაქმების პერსპექტივების თემის ჩათვლით. მკვლევრებს პასუხების მიხედვით ორად ჰყავთ დაჯგუფებული ახალგაზრდები: ისინი, ვინც განიცადეს დისკრიმინაცია და ისინი, ვინც ეს არ განიცადეს (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020). რასაკვირველია, აქ შესაძლოა, იმაზე დავა, რომ უკეთესი იქნებოდა უფრო სიღრმისეული შესწავლა დისკრიმინაციული ფონის (მაგალითად, კონკრეტული ახალგაზრდების მხრიდან დისკრიმინაციის მასშტაბები და რიცხობრივი მაჩვენებლები), თუმცა ეს სიცარიელე ძალიან კარგად აჩვენებს მიმართულებას, რომელიც, ვფიქრობ, ბასკეთსა და კატალონიის ქეისების კვლევაშიც უნდა იყოს გათვალისწინებული. კერძოდ, დისკრიმინაციის მასშტაბების ეფექტი კონფლიქტის ესკალაციასთან მიმართებით საკმაოდ საინტერესო ასპექტი იქნება ეთნიკური შუღლის შესწავლისას. ავტორები სიტუციის ძალადობასთან შესაძლო კავშირის დასადგენად აქცენტს აკეთებენ იმაზეც, თუ რა გავლენა შეიძლება, ჰქონდეს ადამიანის იდენტობისა და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებაზე მის უშუალო გარემოცვას/სოციუმს. ისინი

უყურადღებოდ არ ტოვებენ არც სხვა ადამიანთა თვალსაზრისს იმ კონკრეტული სოციუმის შესახებ, რომელსაც ისინი თავს არ მიაკუთვნებენ (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020). თუ კარგად დავაკვირდებით, დავრწმუნდებით ამ ასპექტების ბასკეთისა და კატალონიის კვლევის საკითხში გამოყენების საჭიროებაში. ეს რეალურად განპირობებულია იმით, რომ ესპანეთის ორივე რეგიონში ეთნიკური უმცირესობის კონკრეტული წარმომადგენლების მხრიდან თავიანთი უშუალო გარემოცვისთვის/სოციუმისათვის (დაჯგუფების, უმცირესობის და სხვ) თავის მიკუთვნება, შესაძლოა, ამ წარმომადგენლებს ანიჭებდა საკუთარი ჯგუფის უპირატესობებისა და სხვა ჯგუფების (ტიტულარული უმრავლესობის ან/და სხვა გარე მოწინააღმდეგეების) ნაკლოვანებების ხაზგასმის შინაგან მოთხოვნილებას ნებისმიერ ფასად. ეს ნებისმიერი ფასი კი სავსებით შესაძლებელია, სისხლისმღვრელ კონფლიქტი ან საჭიროების შემთხვევაში დაძაბული ვითარებიდან მშვიდობიანი, კომპრომისული პროცესის ფაზაში გადასვლა ყოფილიყო. ამასთანავე, ეს მსჯელობა აჩვენებს, რომ შესასწავლია, ბასკეთისა და კატალონიის მოსახლეობის შიგნით აზრთა სხვადასხვაობის საფუძველზე შექმნილი შესაძლო მიმართულებები/მიმდინარეობები მსგავსი იდეოლოგიით, თუმცა მოქმედების განსხვავებული სტრატეგიულ-ტაქტიკური ხასიათით. მკვლევრები ასევე დაინტერესდნენ ახალგაზრდების მხრიდან მათთვის ნაცნობ ან უცნობ ადამიანებზე განხორციელებული ძალადობის მოწმენი ან თავად ახალგაზრდებზე თუ ყოფილა ძალადობრივი ზეწოლა. ნებისმიერ შეკითხვაზე პოზიტიური პასუხი მკვლევრებმა ძალადობრივ ფონად მონათლეს (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020). შეიძლება ითქვას, რომ კვლევა უფრო სრულყოფილი იქნებოდა ძალადობრივი შემთხვევების რიცხობრივი და ხარისხობრივი მონაცემების აღწერა-გადმოცემის შემთხვევაში. ამავე დროს, არაძალადობრივ, მშვიდობიანი ფორმების დაპირისპირებებს აღნიშნული მკვლევრები ძალზე მცირედ ეხებიან, მაგრამ ეს რეალურად სულაც არ უკარგავს აღნიშნულ კვლევას

მთავარ ხიბლს კონფლიქტური სიტუაციების გამწვავების შესწავლისათვის რელევანტური მიმართულებების გამოკვეთასთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, შეიძლება იმის თქმა, რომ ის ღირსებები, რომლებიც კვლევას აქვს, არის საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ბასკეთისა და კატალონიის კონფლიქტურ ვითარებათა შესასწავლად. ამასთანავე, სიცარიელეები, რომლებიც აღნიშნულ ავტორებთან გვხვდება, შესაძლებელია, ამოივსოს ამავე კონფლიქტურ სიტუაციათა სიღრმისეული შესწავლის შედეგად.

ესპანეთის კონფლიქტური ქეისების სრულფასოვნად შესწავლის მიზნით აუცილებელია ისეთი წყაროების მიმოხილვაც, რომლებიც უშუალოდ ეხება თითოეულ კონფლიქტურ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ავტორი, რომელიც ყურადღებას იქცევს, არის დანიელ კონვერსი. ეს არის მკვლევარი, რომელიც ესპანეთის შიდა-კონფლიქტური სიტუაციის აღწერისას ეხება ორ საკმაოდ საინტერესო ფენომენს: დომინოს პრინციპსა და ძალის დემონსტრირების გავლენას. დომინოს პრინციპში იგი გულისხმობს სხვადასხვა სახელმწიფოს შიგნით არსებული ეთნიკური ჯგუფების განსხვავებულ გამოცდილებას, რომელიც საერთაშორისო ასპარეზზე გადის და ერთიანი პრაქტიკის სახით ყალიბდება. ძალის დემონსტრირების გავლენაში კონვერსი მოიაზრებს გარე ფაქტორიების, საერთაშორისო გამოცდილებების ეფექტით ამა თუ იმ სახელმწიფოს შიგნით შთაგონებულ ჯგუფებს, რომლებიც ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით იწყებენ ცენტრალურ მთავრობასთან დაპირისპირებას (Conversi, 1993). ეს ნააზრევი უდავოდ ყურადღების ღირსია მაშინ, როცა ბასკეთისა და კატალონიის შესწავლას ეხება საქმე. ამის მიზეზი, ერთი მხრივ, არის ის, რომ კონვერსი უშუალოდ ესპანეთის შიდა კონფლიქტურ სიტუაციაზე აკეთებს აქცენტს. ამავე დროს, როგორც დომინოს პრინციპი, ისე ძალის დემონსტრირების გავლენა, შესაძლოა, საკმაოდ ღირებული ასპექტები აღმოჩნდეს საკვლევი საკითხის ძალადობრივ-არაძალადობრივ ჭრილში წარმოდგენასთან დაკავშირებით.

კონვერსი მიიჩნევს, რომ ძალის დემონსტრირების გავლენას, დომინოს პრინციპთან შედარებით გაცილებით ნაკლები დიაპაზონის დაფარვა შეუძლია (Conversi, 1993). ეს გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან როგორც ზემოთქმულიდან იკვეთება, ძალის დემონსტრირების გავლენა ზემოდან ქვემოთ მიემართება, ანუ ზოგადი გამოცდილებიდან კერძო ჯგუფს ქმნის კონკრეტულ სახელმწიფოში, ხოლო დომინოს პრინციპი კი უფრო კონკრეტულიდან განზოგადებულისაკენ მიდის. უკვე არსებული ფართო სპექტრიდან ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ რეგიონზე გავლენის მოხდენა, ვფიქრობ, უფრო მარტივი საქმეა. თუმცა რასაკვირველია, კვლევის შედეგად არ არის გამორიცხული, რომ საპირისპირო სურათიც დავინახოთ. ამ ყოველივეს ფონზე, ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი დეტალი: თავად ავტორს მიაჩნია, რომ ბასკები უფრო მეტად იარაღის ჟღარუნითა და სისხლის წყურვილით გამოირჩევიან, განსხვავებით კატალონიელთაგან, რომელთაც კომპრომისებისა და კონსენსუსის მიმართ ინტერესი ამოძრავებთ (Conversi, 1993). ავტორი საკმაოდ საინტერესოდ გადმოსცემს ესპანეთში მიმდინარე შიდა პროცესებს. იგი კატალონიის საკითხზე საუბრისას აჩვენებს იმ კომპრომისულ ატმოსფეროს, რომელმაც კონფლიქტური ვითარება წაიყვანა არაძალადობრივი გზით. ამ მხრივ, კონვერსი აქენტს აკეთებს კატალონიაზე საგარეო ასპარეზიდან არსებული არაძალადობრივი ხასიათის გავლენაზე (მაგალითად, მე-19 საუკუნის ორგანიზაცია „ფელბრიჯი“)(Conversi, 1993). ეს მოცემულობა გვიბიძგებს კატალონიის არაძალადობრივ სიტუაციად მოაზრებისაკენ, თუმცა ვერ გავექცევით კონფლიქტის სრულყოფილად შესწავლის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო დეტალურად უნდა გამოვიკვლიოთ, რეალურად თუ შეუწყეს გარკვეულმა ფაქტორებმა არაძალადობრივი ფონის შექმნას ხელი კატალონიაში და რამდენად არსებობდა გარე გავლენები ძალადობის ესკალაციასთან მიმართებით. ამ თვალსაზრისით, გასათვალისწინებელია ვალენტი ალმირალის ფაქტორი, რომელიც ისტორიის იმავე ეტაპზე, მე-19 საუკუნეში კატალონიის ფედერალიზაციას

ემხრობოდა. ამ ყოველივეს ფონზე, შესაძლოა, პარადოქსული და მოულოდნელი ჩანდეს ერთი დეტალი: ამავე საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ ირლანდიაში აგორებული მკაცრი ძალადობრივი ტალღა კატალონიის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში (და ბასკებშიც) სიმპათიებს იწვევდა (Conversi, 1993). „ბასკური ნაციონალისტური პარტია“ (“PNV”), რომელიც თავდაპირველადვე მე-19 საუკუნის ბოლოს დაფუძნდა ექსტრემისტული მიდრეკილებებით და მიუხედავად მომდევნო საუკუნის დასაწყისში მისი ზოგიერთი წევრის პოზიციების შერბილებისა, საბოლოოდ მაინც ძალადობრივი სულისკვეთების მოძრაობად დარჩა, ბასკებს ირლანდიელი რადიკალების, „შინ ფეინის“ წარმომადგენლების მეთოდების მიმართ გაუჩინა სიმპათიები (Conversi, 1993). ეს მოცემულობა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ბასკურ ნაციონალისტურ დაჯგუფებებს ძირითადად ძალადობრივი ხასიათი ჰქონდათ. ამავე დროს, ნათელია ისიც, რომ ბასკეთზე საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდათ ისეთ გარე აქტორებს, რომლებიც ძალადობრივი მიდრეკილებებით იყვნენ დაინტერესებულნი. აქედან გამომდინარე, კარგად არის შესასწავლი უშუალოდ ბასკეთის სიტუაციაში ძალადობრივი ნიშნების შესაძლო არსებობის საკითხი. ყოველივე ამას ემატება კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი: „ბასკური ნაციონალისტური პარტიის“ ბაზაზე ქალების გაერთიანების შექმნა „ირლანდიელ ქალთა საბჭოს“ გავლენით; 1922 წელს ამბროს ო’დელის (ირლანდიელი რადიკალი) მხრიდან ბასკების ძალადობისაკენ წახალისება; „Ekin”-ის ბასკურ დაჯგუფებაზე ირლანდიური წარმოშობის რადიკალის, იმონ დე ვალერას მსოფლმხედველობის ზემოქმედება; მე-20 საუკუნის ჯერ 40-იან, ხოლო შემდეგ 80-იან წლებში ებრაელთა ორგანიზაცია „ირგუნის“ გავლენა; “ETA”-ს რადიკალიზმის წახალისება მსოფლიოში მე-20 საუკუნის 50-იან წლებში მიმდინარე ანტიკოლონიური სულისკვეთებით... - ეს არასრული ჩამონათვალია იმ გარემოებებისა, რომლებიც ბასკეთში ძალადობრივი ფონის გაჩენისაკენ მიუთითებს (Conversi, 1993). ეს ყოველივე კი მთლიანობაში იმაზე მიუთითებს, რომ გარე ფაქტორების გავლენის

კვლევა ისტორიულ კონტექსტში საკმაოდ საინტერესო საკითხია როგორც ერთი, ისე მეორე რეგიონის რაკურსით. ეს რეალურად კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ჩვენს კვლევას და ამავე დროს ადასტურებს ორივე კონფლიქტის სრულყოფილად შესწავლის აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, თვალსაჩინოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული წყარო საკმაოდ გამოსადეგი იქნება ესპანეთის შიდა კონფლიქტების იმ ჰიპოთეზების ჭრილში შესასწავლად, რომლებიც ზემოთ არის წარმოდგენილი. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად აღნიშნულ მასალაში მოცემული საინტერესო ცნობებისა, აქ მაინც არ არის სრულყოფილად გადმოცემული ის ვითარება, რომელიც ბასკეთსა და კატალონიაში კონფლიქტების გაჩენის შემდგომ წარმოიშვა, რაც კიდევ ერთხელ ქმნის უფრო სიღრმისეული კვლევის ჩატარების აუცილებლობას და კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ჩემი კვლევის აქტუალობას.

ესპანეთის შიდა-კონფლიქტური სიტუაციის შესწავლის პროცესში ჩნდება რჯელიო ალონსოს მოსაზრებების გაცნობის აუცილებლობაც. ეს მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ბასკ ნაციონალისტებზე საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა გარე გამოცდილებას, რომელიც ძალადობრივი იყო. კერძოდ, იგი ყურადღებას ამახვილებს ჩრდილო ირლანდიაში შექმნილ ორგანიზაცია „ირლანდიის რესპუბლიკურ არმიაზე“ (IRA) (Alonso, 2004). ამ თვალსაზრისით, კიდევ ერთხელ ჩანს ბასკეთში ძალადობრივი სიტუაცია და თან იკვეთება საერთაშორისო ასპარეზიდან წამოსული გავლენების კვალი, რაც ზემოთ გადმოცემულ მსჯელობასთან გვაბრუნებს. მკვლევრის თქმით, მე-20 საუკუნის მიწურულს, კონკრეტულად კი 1970-იანი წლების დეკადაში ავტონომიით აღჭურვილი ბასკური მოსახლეობის პოლიტიკური ხასიათის უფლებამოსილებები ძალზე გაიზარდა რეგიონის მასშტაბით. ეს ეხებოდა როგორც ფინანსურ, ისე ძალოვანი სტრუქტურების მართვის კუთხით გაზრდილ უფლებებს (Alonso, 2004). სავარაუდოა, რომ ამ პერიოდისათვის ბასკთა მოთხოვნები გარკვეული თვალსაზრისით უკვე დაკმაყოფილდა,

თუმცა უფრო სიღრმისეული ანალიზისათვის ბუნებრივია სურათის უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში დანახვაა საჭირო. ამას ემატება ისიც, რომ ავტორის მტკიცებით, საკმაოდ დიდი ხანია, რაც მეცნიერებს სერიოზული კვლევები არ ჩაუტარებიათ ბასკ ნაციონალისტებზე გარე გავლენების, მათ შორის ჩრდილო ირლანდიიდან მომდინარე საგარეო ეფექტის შესახებ (Alonso, 2004). ეს მოსაზრება დასტურია იმისა, რომ აკადემიურ სივრცეში არ არსებობს მნიშვნელოვნად ხელჩასაჭიდი წყაროები კონკრეტული სახელმწიფოს შიდა კონფლიქტებზე გარე გავლენების შესწავლასთან მიმართებით. ამ მხრივ, ჩემი კვლევა იქნება მნიშვნელოვანი დანამატი მეცნიერულ სივრცეში სწორედ ამ ღიად დატოვებული ადგილების შესავსებად. რაც შეეხება ალონსოს აღნიშნულ ნააზრევს, აქ, პრაქტიკულად, ჩანს მხოლოდ „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“ ზემოქმედება ბასკურ კონფლიქტურ სიტუაციაზე. ეს აჩვენებს, რომ სხვა გარე გავლენების ფაქტორი, ისევე როგორც ისტორიის კიდევ სხვა ეტაპები კარგად არის გამოსაკვლევი ესპანეთის აღნიშნულ რეგიონთან მიმართებით. გარდა ყოველივე ამისა, შენიშვნის სახით შესაძლებელია ასევე იმის თქმაც, რომ მკვლევარს აღნიშნულ წყაროში მხედველობის არეალიდან გამორჩა კატალონიის სიტუაცია, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ესპანეთის ორივე რეგიონში მიმდინარე პროცესების სრულფასოვანი შესწავლის საჭიროებას.

ზემოხსენებულ როჯელიო ალონსოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს ესპანეთის შიდა-კონფლიქტურ ვითარებასთან მიმართებით. საინტერესოა, რომ წინა წყაროს მსგავსად, ეს მკვლევარი აქაც აქცენტს აკეთებს გარე ფაქტორების გავლენაზე ესპანეთში ბასკეთის შიგნით მიმდინარე პროცესებზე. კერძოდ, ავტორს მიაჩნია მნიშვნელოვნად ის ფაქტი, რომ ორგანიზაცია „ბასკთა სამშობლო და თავისუფლება“ (“ETA”) საკმაოდ სერიოზულ ზემოქმედებას განიცდიდა გარე აქტორების მხრიდან. მკვლევარი ასევე ამახვილებს ყურადღებას იმ ურთიერთობებზე, რომლებსაც აღნიშნული დაჯგუფება ამყარებდა იდეოლოგიურად მსგავს ჯგუფებთან ესპანეთს გარეთ (Alonso, 2011). ამ ფაქტებზე დაყრდნობით

შეიძლება იმის თქმა, რომ ლიტერატურაში სერიოზულად ჩანს გარე ფაქტორების წვლილი ბასკეთის კონფლიქტში. აქედან გამომდინარე, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში როგორც ბასკეთის, ისე კატალონიის კონფლიქტის სწორედ საერთაშორისო აქტორების შეწავლის აუცილებლობას. საინტერესო საკითხია, რომ "ETA"-ში მოღვაწე მნიშვნელოვან პიროვნებას, სახელად ჩაბი ეჩებარიეტას საკმაოდ რელევანტურად მიაჩნდა ირლანდიელ ექსტრემისტთა ქმედებები, რის გამოც მათი, ისევე როგორც იტალიის მასშტაბით აქტიური „წითელი ბრიგადებისა" და გერმანიაში ცნობილი „წითელი არმიის ფრაქციის" ძალადობრივი პრაქტიკის ბასკეთში ახალგაზრდების ხელით გადატანას სიამოვნებით ემხრობოდა (Alonso, 2011). ამ მხრივ, ბასკური რეგიონი, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვან კავშირებს ამყარებდა ისეთ აქტორებთან, რომლებიც სისხლისმღვრელ მეთოდებსაც კი არ ერიდებოდნენ საკუთარი ჩანაფიქრების სისრულეში მოსაყვანად. აქ ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჭაბუკი ადამიანების ხელით ძალადობრივი კამპანიის წარმოება ძალზე მძიმე შედეგების მომტანი შეიძლება, გახდეს ნებისმიერი ქვეყნის სრული მოსახლეობისათვის, განურჩევლად იმისა, ტიტულარულ უმრავლესობაზე ვსაუბრობთ თუ ეთნიკურ უმცირესობებზე. გარდა ყოველივე ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ესპანეთში ბასკთა ძალადობისაკენ მიდრეკილებებს და უკვე 1960-იან წლებში "ETA"-ს წარმომადგენელთა მხრიდან ადამიანის სიცოცხლისათვის სახიფათო ექსტრემისტულ, მანკიერ კამპანიას (Alonso, 2011), ეს კიდევ ერთხელ მიგვითითებს იმაზე, რომ ბასკური რეგიონის სახით საქმე გვაქვს ძალადობრივი ხასიათის ძალზე პრობლემურ ქეისთან. აქვე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ "ETA"-ს ძალადობრივ ქმედებათა უმთავრესი მოტივატორი ფრანსისკო ფრანკოს სამხედრო დიქტატურა და გარე ფაქტორების კონფლიქტურ რეგიონზე გავლენა იყო (Alonso, 2011), კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი ბასკეთში ძალადობრივი სიტუაციის არსებობის კვლევის საჭიროებას. ალონსოს ამ ნაშრომის გაკრიტიკება

შესაძლებელია იმ კუთხით, რომ იგი არც ამჯერად განიხილავს კატალონიის კონფლიქტურ სიტუაციას. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ხდება ნათელი ჩემი კვლევის ჩატარების აუცილებლობა და ამასთანავე, ხაზი ესმება როგორც ბასკეთის, ისე კატალონიის ისტორიულ კონტექსტში შესწავლის მნიშვნელობას.

ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში ესპანეთის კონფლიქტური სიტუაციების კვლევისას მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ასევე სკოტ გრირის მიდგომებიც. მკვლევარი აღწერს და აანალიზებს კატალონიისა და შოტლანდიის ქეისებს და მათ შორის პარალელებს ავლებს. ის ფაქტი, რომ ორივე რეგიონს თავიანთ სახელმწიფოებში საკმაოდ გამართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი სისტემები ჰქონდათ, გრირს აძლევს ორივე ეთნოსის უფრო მშვიდობიანი ფორმის ვითარებისაკენ მიდრეკილ ჯგუფებად წარმოჩენის საშუალებას (Greer, 2007). ამ მხრივ, შესაძლებელია იმის თქმა, რომ წყაროებიდან კატალონიასთან მიმართებით იკვეთება არაძალადობრივი ხასიათის კონფლიქტის ტენდენცია. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კვლევაში აქცენტი გაკეთდეს, რამდენად ჰქონდა ან არ ჰქონდა გარე ფაქტორებს გავლენა კატალონიის სიტუაციაზე. გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორი ხასიათის გარე ფაქტორებს ჰქონდა გავლენა აღნიშნულ სიტუაციაზე - ძალადობრივ თუ არაძალადობრივ ფაქტორებს. როგორც ზემოთ ვახსენეთ, ავტორი აქცენტს აკეთებს კატალონიელების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მომწიფებაზე (Greer, 2007), რაც მიანიშნებს აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის სოციალური სტატუსის ანალიზის მეშვეობით მისი ძალადობრივი ან/და არაძალადობრივი მეთოდებისაკენ მიდრეკილებების კვლევის აუცილებლობაზე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კვლევაში არ არის ბასკეთის კონფლიქტი გაანალიზებული (რაც კვლევის სუსტ მხარედ შეიძლება, ჩაითვალოს), საინტერესო ხდება ორივე რეგიონში მცხოვრებთა კვლევა ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში როგორც გარე აქტორების გავლენის

მიხედვით, ისე სოციალური სტატუსისა და ძალადობრივი ან/და არაძალადობრივი ისტორიული კონტექსტის რაკურსით. ეს კვლევა, შეიძლება ითქვას, სიახლეს შეიტანს კვლევით-სამეცნიერო წრეებში.

ესპანეთის შიდა-კონფლიქტურ ვითარებასთან დაკავშირებით რელევანტურია მონცერატ გიბერნაუს ნააზრევის გათვალისწინებაც. ავტორს ერთი ძალზე დამაფიქრებელი დეტალი აქვს გადმოცემული: ესპანეთის დემოკრატიზაციის პროცესში თავი იჩინა კატალონიელთა გარკვეულმა საპროტესტო მუხტმა (Guibernau, 2004). ამ თვალსაზრისით, აუცილებელია, გამოვიკვლიოთ ეს ფაქტორი, რადგან აქ საქმე შეიძლება, გვქონდეს ძალადობრივი პროცესების გაჩენასთან. ეს აჩენს რეგიონის სიღრმისეულად გამოკვლევის აუცილებლობას. ავტორის თქმით, კატალონიის ავტონომიის ხელშემწყობი ფაქტორი იყო ესპანეთში ფრანკოს დიქატატურის დამხობა და დემოკრატიული გზით მოსული ხელისუფლება. საინტერესოა, რომ კატალონიელთა მნიშვნელობა არა მხოლოდ რეგიონის მასშტაბით, არამედ ეროვნულ დონეზეც მკაფიო გახდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით კატალონია ყოველთვის რელევანტური რეგიონი იყო (Guibernau, 2004), მნიშვნელობას შეიძენს კატალონიის არა მარტო სოციალური კონტექსტით, არამედ ძალადობრივი ტენდენციებისა და საერთაშორისო აქტორების მხრიდან რეგიონზე გავლენის არსებობა-არარსებობის თვალსაზრისით კვლევა. აღნიშნული წყარო კრიტიკას იმსახურებს იმ თვალსაზრისით, რომ აქ არ არის აქცენტი ბასკეთის სიტუაციაზე, რაც რეალურად საჭიროა როგორც შედარებით ანალიზის, ისე ზოგადად ესპანეთის შიდა-კონფლიქტური სიტუაციის სიღრმისეულად გამოკვლევისათვის. ეს კიდევ ერთხელ ქმნის ახალი კვლევის ჩატარების საჭიროებას, რომელშიც გაანალიზებული იქნება ორივე კონფლიქტური ქეისი და შესაბამისად, შეივსება ეს სიცარიელე.

ესპანეთის შიდა-კონფლიქტური სიტუაციის საფუძვლიანად გამოკვლევისათვის მნიშვნელოვანია სკოტ გრირის, დანიელ ბელანდის,

ანდრე ლეკურსისა და კენეტ დუბინის მოსაზრებებიც. ავტორები აქცენტს აკეთებენ სახელმწიფოში ისტორიულად მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებზე და ამავე კონტექსტში საუბრობენ მის რეგიონებზე, მათ შორის კატალონიასა და ბასკეთზეც. ამ ორ რეგიონზე საუბრისას ავტორები აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ ორივე მათგანში წარმოშობილი ეთნიკური უმცირესობის პრობლემები გახდა მათი სერიოზული პროტესტის საფუძველი ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, რამაც ესპანეთს სამართლებრივი და პოლიტიკური ხასიათის გამოწვევები შეუქმნა. მკვლევართა თვალთახედვით, კატალონიაში ვაჭრობის განვითარებამ (ზეთი, ღვინო, ტექსტილი და სხვ.) რეგიონის სამრეწველო პოტენციალი გააუმჯობესა, რამაც ბურჟუაზიული კლასის განვითარებას შეუწყო ხელი (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ რეგიონში მოსახლეობის ეკონომიკური განვითარების დონე საგრძნობლად იზრდებოდა, რაც კატალონიელთა სოციალურ სტატუსზეც უნდა ასახულიყო. იმის გათვალისწინებით, რომ კატალონიაში პროფესიული გაერთიანებებიც კი ცდილობდნენ მშვიდი ფორმებით გამეხატათ პროტესტი ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და ამით ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების მშვიდობიანი, კომპრომისული ფორმებით ჩამოყალიბების მოწინააღმდეგეების ხმას ახშობდნენ (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023), შეიძლება ითქვას, რომ რეგიონში უფრო ცივილური, არაძალადობრივი ფონისაკენ იხრებოდა საზოგადოებრივი ჯგუფების მიდგომები. ეს, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სოციალური სტატუსის კონტექსტში ესპანეთის შიდა კონფლიქტების შესწავლის აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს ავტორების მოსაზრება, რომ ესპანეთის სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრების ურღვეობაზე კატალონიას ნეგატიური გავლენა ჰქონდა (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). ეს მოსაზრება გასათვალისწინებელია ჩვენი საკითხის კვლევის დროს, რადგან შესაძლოა, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს აღნიშნულ რეგიონში ძალადობრივ-

არაძალადობრივი ფონის შესასწავლად. მკვლევართა გადმოცემით, ესპანეთის პოლიტიკურ პროცესში სხვადასხვა რეგიონის მასშტაბით მოქმედი ფინანსური და მატერიალური რესურსების მქონე გავლენიანი ჯგუფები ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). ეს მიუთითებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული კონფლიქტური რეგიონების შესწავლა მათი მოსახლეობის სოციალური სტატუსის თვალსაზრისით. აქვე გასათვალისწინებელია ავტორების ნააზრევი "ETA"-ს ბასკეთში საქმიანობასთან დაკავშირებით. ტერორისტული ორგანიზაცია, რომელსაც ძალადობაზე უარი არ უთქვამს ესპანეთის დემოკრატიზაციის შემდგომაც, რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ დესტაბილიზაციას უზრუნველყოფდა 1950-იან წლებში. მკვლევრები "ETA"-ს ამგვარი სისასტიკის მიზეზებს ეძებენ ეკონომიკური მიმართულებითაც. ის ფაქტი, რომ რეგიონის ძირითადი ბიზნეს წრეები ესპანეთის სხვა ტერიტორიებიდან შემოყვანილ ხალხს ასაქმებდნენ (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023), კიდევ ერთხელ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ბასკთა სოციალური სტატუსის მიმართება რეგიონში ძალადობის გაჩაღების საკითხზე საკმაოდ სერიოზულად გამოსაკვლევი თემაა. ავტორების თქმით, "ETA"-ს პროტესტსა და 1000-მდე ადამიანის მკვლელობას სწორედ გაბატონებული ეკონომიკური კლასის მიმართ სიძულვილი იწვევდა. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ კატალონიაში მსგავსი გასამხედროებული ორგანიზაციის ჩამოყალიბების საკითხი კრახით დასრულდა, რადგან მოსახლეობის მხარდაჭერა არ ჰქონია და მხოლოდ 1 მსხვერპლი ჰყავდა (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). შეიძლება ითქვას, რომ კონტრასტი ძალადობისადმი მიდრეკილების თვალსაზრისით ამ ორ რეგიონს შორის იკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ წყარო საინტერესო ინფორმაციას შეიცავს, აქ ბოლომდე სრულყოფილად მაინც არ არის შესწავლილი ბასკეთისა და კატალონიის სიტუაციათა ძალადობრივ-არაძალადობრივი კონტექსტი, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ჩემი კვლევის აქტუალობას.

ესპანეთის შიდა კონფლიქტების შესასწავლად თეორიული ჩარჩოს ჩამოყალიბების მიზნით მნიშვნელოვანია მელანი ლოკერტისა და ჟასმინ სუარესის წყარო რაციონალური არჩევანის თეორიის შესახებ. ამ მხრივ, რაციონალური არჩევანის თეორია არის მოდელი, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ ამა თუ იმ ქცევის ან განწყობის მთავარი მოტივატორი არის კონკრეტული მიზანი და ინტერესი. აღნიშნული თეორიისათვის მოცემულობაა ის, რომ თითოეული მოქმედი სუბიექტის ქმედებები გარკვეულ რაციონალური ლოგიკით არის ნაკარნახევი (Lockert & Suarez, 2022). აღნიშნული თეორიის ჭრილში საინტერესოა ბასკეთისა და კატალონიის კონფლიქტების განხილვა იმ თვალსაზრისითი, რათა დადგინდეს, რა განაპირობებდა თითოეულ რეგიონში ძალადობრივი ან არაძალადობრივი ხასიათის პროცესების ჩამოყალიბებას. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რამდენად არის თითოეული რეგიონის შიგნით მიმდინარე პროცესების ფორმა და შინაარსი რაციონალური ხასიათის და რა განაპირობებს ამ რაციონალობას. აქ საინტერესოა ისიც, რომ რაციონალური არჩევანის თეორიის თვალთახედვით, ადამიანი ან ჯგუფი კონკრეტულ ქმედებას ახორციელებს გარკვეული პირადი რისკების გათვლით, რომელთა შორისაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აქვს ფინანსურ ინტერესებს. ამავე დროს, აქ მნიშვნელობა ენიჭება ქმედების პროცესში ამ ქმედების იმგვარად დაგეგმვას, რომ შედეგი მაქსიმალურად სასარგებლო იყოს ქმედების ავტორისათვის (Lockert & Suarez, 2022). ეს მიანიშნებს, რომ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობასთან სერიოზულად არის დაკავშირებული ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა, აღნიშნული თეორიის ჭრილში სოციალური სტატუსის ჰიპოთეზის განხილვა. ამ ყოველივეს ფონზე, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ რაციონალური არჩევანის თეორია გარკვეული პროგნოზების გაკეთების შესაძლებლობასაც იძლევა (Lockert & Suarez, 2022). აქედან გამომდინარე, საინტერესოა კვლევის პროცესში თითოეული ისტორიული

ფაქტის შეფასებისას რამდენად გამოიკვეთება მომდევნო ეტაპზე უმცირესობის მოსალოდნელი ქმედებები და თავის მხრივ, ქმედებათა ისტორიული რაკურსი. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ თეორია საინტერესო კვლევის ჩატარების ალბათობას ზრდის.

ლიტერატურის მიმოხილვიდან ნათელია, რომ ესპანეთის შიდა-კონფლიქტური სიტუაციის კვლევა მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მხრივ, ის სიცარიელეები, რომლებიც აკადემიურ ნაშრომებში არსებობს, ნამდვილად საჭიროა, რომ შეივსოს აღნიშნული კონფლიქტების როგორც საერთაშორისო აქტორების, ისე სოციალური სტატუსისა და ისტორიაში არსებული ძალადობრივი შემთხვევების რაკურსით. ეს კი, რასაკვირველია, მიუთითებს, რომ ბასკეთისა და კატალონიის ქეისების განხილვა ძალზე საინტერესო და აქტუალური საკითხია ძალადობრივი და არაძალადობრივი კონფლიქტების ჭრილში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ფენომენის მიმართულებით არსებული ლიტერატურაც, როგორც ზემოთ გადმოცემული ანალიზი ადასტურებს, საჭიროებს მნიშვნელოვან შევსებას ხარისხიანი კვლევით. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ჩემს კვლევას ორმხრივად სასარგებლო შედეგი ექნება.

## თავი 3 -ისტორიული ანალიზი

კატალონიისა და ბასკეთის შემთხვევების ისტორიული ანალიზი უმნიშვნელოვანესია იმ თვალსაზრისით, რომ შემდგომ ორივე ჰიპოთეზის რაკურსით გამარტივდეს მოვლენათა კვლევა. რეალურად, შეიძლება ითქვას, ესპანეთის ორივე რეგიონის ისტორიული ანალიზი სერიოზული ბაზისია კვლევის საფუძვლიანად წარმართვისათვის. ამ მხრივ, საინტერესოა ორივე მოვლენის ცალ-ცალკე შესწავლა საკუთარი ისტორიული კონტექსტის ჭრილში.

### 3. 1. ბასკეთის ქეისის ისტორიული ანალიზი

ბასკთა წარმოშობა საკმაოდ საინტერესო ისტორიას მოიცავს. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ისინი გამორჩეულ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენენ. განსაკუთრებით საინტერესოა მათი ენის საკითხი: საინტერესოა, რომ მათი ენის ფუძე ამ დრომდე გაურკვეველია, რაც დიდწილად იმის დამსახურებაა, რომ არ იძებნება კავშირი რომელიმე ენობრივ ოჯახთან (Turner, 2015). შეიძლება ითქვას, ეს გვიქმნის შთაბეჭდილებას, რომ ისტორიული თვალსაზრისით ორიგინალურ ეთნოსთან გვაქვს საქმე, რომლის ენობრივი და ეთნიკური თვალსაზრისით თავისი თვითმყოფადობით გამოირჩევა. ამ მხრივ, საინტერესო ხდება იმის გარკვევა, როგორ დაიწყო უადრესი პერიოდიდან ამ ეთნოსის განვითარება და რამდენად იძებნება მისი ისტორიის საფუძვლებში ძალადობრივი ან პირიქით, არაძალადობრივი ასექტები. საინტერესოა, რომ ჩანაწერების ნაწილი, რომლებშიც ბასკებზე არის აქცენტი, ეკუთვნით სტრაბონს, პომპონიუს მელასა და სხვ. ამ ჩანაწერებში ბასკები მოხსენიებულნი არიან როგორც საფრანგეთის სამხრეთ და ესპანეთის ჩრდილო ნაწილებში მცხოვრები ეთნოსი (Muro Ruiz, 2004). რეალურად, პირველი ისტორიული წყაროებიდან ჩანს, რომ ბასკები ასოცირდებიან ფრანგულ და ესპანურ ტერიტორიებთან. ეს ძალზე მნიშვნელოვანი დეტალია, რადგან, შესაძლოა, ამ ორ ტერიტორიასთან კავშირს ჰქონდეს მნიშვნელობა რომელიმე ან ყველა ჰიპოთეზის კვლევისას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ

ისტორიკოსების ნაწილი გადმოსცემს ფაქტებს ბასკებზე რომაელების, ვესტგუთებისა და ფრანკების გავლენასთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ ბასკურ ეთნოსს რომაელების მიერ მინიჭებული ავტონომიური უფლებამოსილებები ვესტგუთებმა სერიოზულად შეუმცირეს (Bothen, 2014). შეიძლება ითქვას, რომ ისტორიიდან იკვეთება ბასკებზე გარე ძალების მხრიდან გავლენები, რომლებიც თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო ძალადობრივი ფონისა და მიდრეკილებების წამახალისებელი ეთნოსში და მისი განვითარების გრძელვადიან ისტორიულ პერიოდზე სერიოზული გავლენა მოეხდინა პროცესების სწორედ ძალადობრივი სცენარის მიხედვით განვითარების თვალსაზრისით. აქ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე არის გასამახვილებელი ყურადღება: ადრეულ ეპოქაში მცხოვრებ ხსენებულ მკვლევართა გადმოცემებს იმის შესახებ, რომ ბასკები ერთი დამპყრობლის ხელიდან მეორე დამპყრობლის ხელში ძალზე ხშირად გადადიოდნენ (Muro Ruiz, 2004). ეს მიანიშნებს იმაზე, რომ თავის მხრივ, წარსული, რომლითაც მე-19 საუკუნემდე მიაღწია ბასკეთმა (ჩვენი ჰიპოთეზების კვლევისათვის საინტერესო პერიოდამდე) საკმაოდ დამძიმებული იყო მრავალი მეტროპოლიის მავნე გავლენებით აღნიშნულ ეთნოსზე. აქედან გამომდინარე, იბადება ინტერესი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად შეიძლებოდა ეს გამხდარიყო ბასკთა ძალადობრივი მიდრეკილებების წამახალისებელი ფაქტორი.

აღსანიშნავია, რომ იკვეთება ბასკების ისტორიულად არსებული მიდრეკილებები სისხლისღვრისა და ძალადობისაკენ. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ისტორიის ადრეულ ეტაპზე, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით მე-3 საუკუნიდან მოყოლებული ისინი ძალის გამოყენებით სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ რომაელების კონტროლქვეშ არსებული ესპანური ტერიტორიების მხრიდან მათზე პოლიტიკური ზეგავლენის გავრცელების პროცესს, რომელიც ახალი წელთაღრიცხვით მე-5 საუკუნის ჩათვლით გაგრძელდა (Rykala, 2007), შესამჩნევი გახდება, რომ იმ პერიოდიდან, რომლიდანაც, პრაქტიკულად, უადრესი ცნობები

მოიპოვება ბასკებზე როგორც ეთნოსზე, ბასკთა მდგომარეობა დაკავშირებულია ძალის გამოყენების ფაქტორთან. ამ მხრივ, საინტერესოა, რამდენად გაგრძელდა ამგვარი ძალადობრივი სულისკვეთება სხვა ეთნოსებთან განსაკუთრებით კი ესპანელებთან მიმართებით. აქვე აღსანიშნავია, რომ ბასკი სამხედრო მოსამსახურეების რომაელებისადმი მსახურებისას ბრძოლის განსაკუთრებული უნარის გამოვლინება და მათი ბრძოლებში საკმაოდ ხშირი მონაწილეობა (Turner, 2015) ნათლად აჩვენებს ეთნოსის მიდრეკილებებს ძალისმიერი მეთოდებისაკენ. ამ მხრივ, თუ ისტორიას მივყვებით, წყაროებიდან იკვეთება გერმანული ტომების ზეობის პერიოდში ბასკური ეთნოსის მთავარი მახასიათებელი: ეს არის მათი ძალადობრივი დაპირისპირება ანექსიის ზრახვებით შეპყრობილ სხვადასხვა აგრესორთან მე-5 საუკუნიდან მე-8 საუკუნის ჩათვლით პერიოდში (Rykala, 2007). რეალურად, ის ფაქტი, რომ ბასკთა მთავარი ასპექტი ისტორიულ ცნობებში მათი იარაღის ენით საუბარია, მიანიშნებს ბასკთა ძალადობრივ სულისკვეთებაზე. ეს კი, თავის მხრივ, იმის მანიშნებელია, რომ დროთა განმავლობაში ბასკების ძალადობისადმი მისწრაფება კი არ იკლებდა, არამედ, პირიქით, იმატებდა და თანაც სულ უფრო მასშტაბურ ხასიათს იძენდა. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ვიკინგების მხრიდან ბასკების ტერიტორიაზე შეჭრას ისინი წელში არ გაუტეხავს და თავის მხრივ, არაბებს 300-წლიანი ტერიტორიული სიახლოვის მიუხედავად მათ საზღვრებში შეჭრა, პრაქტიკულად, არ გამოუვიდათ (Turner, 2015), ამ მოსაზრების სისწორეს კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი. ამ ყოველივეს თუ დავამატებთ კიდევ ერთ დეტალს, ბასკთა ძალზე ხშირ ჩართულობას ბრძოლებში (Turner, 2015), თვალსაჩინო გახდება ის, რომ გარკვეული მიდრეკილებები ძალადობისაკენ უკვე ადრეული პერიოდიდანვე იკვეთება ამ ეთნოსის ისტორიაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 700-იანი წლების პერიოდიდან 800-იანი წლების პერიოდამდე, მას შემდეგ, რაც ბასკურმა გაერთიანებებმა უკვე სრულყოფილი ტომობრივი სახე მიიღეს (რითაც, პრაქტიკულად, საბოლოო

სახე მიეცა ძველი წელთაღრიცხვით მე-13 საუკუნიდან 200-იან წლებამდე განსაკუთრებულად აქტუალურად მიმდინარე ბასკური ტომობრივი გაერთიანებების ჩამოყალიბების პროცესს) და ასტურიის, კასტილისა და პამპლონას (ნავარის) ნაწილად იქცნენ, მათ კვლავ ძალის გამოყენების გზით გალაშქრება გადაწყვიტეს ასტურიის მმართველის წინააღმდეგ (Rykala, 2007). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ძალადობრივი მიდრეკილებები ბასკებში კვლავ აქტუალური იყო და უკვე მიანიშნებს იმაზე, რომ ადრეულ ისტორიულ სამეფოში განაწილებულ ესპანელებს/კასტილიელებსა და ბასკებს შორის ძალადობრივი პრეცედენტი მკვიდრდებოდა, რასაც თავისუფლად შეეძლო, სამომავლოდ ხელი შეეწყო ეთნოსებს შორის უფრო ინტენსიური დაპირისპირებისათვის. ახალი წელთაღრიცხვით მე-9 და მე-16 საუკუნეებს შორის პერიოდში ნავარის სამეფოში არსებული სამხედრო მართვის სტილი (Turner, 2015) რეალურად იმავე ლოგიკას ავითარებს და მიანიშნებს იმაზე, რომ ეთნოსი ძალის გამოყენებაზე უკან არასოდეს იხევდა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, იკვეთება, რომ ეთნოსს ჯერ კიდევ ესპანელებთან შეხებამდე ჰქონდა მიდრეკილებები ძალადობისაკენ. ეს საინტერესოს ხდის კვლევას, რადგან, პრაქტიკულად, ჩანს, რომ ეთნოსს სისხლში ჰქონდა გამჯდარი იარაღის ენით საუბარი, რაც აჩვენებს მის იდენტობაში ძალადობისაკენ მიდრეკილებებს. ამასთანავე, თავის მხრივ, ესპანელებთან თავდაპირველი ურთიერთობების დაძაბული, სისხლისმღვრელი ხასიათიც მიანიშნებს ორ ეთნოსს შორის არსებულ ისტორიულ დაპირისპირებაზე. აქ გასათვალისწინებელია ისიც, რომ მე-16 საუკუნეში ნავარის სამეფოს მიმართულებით კასტილიელთა მხრიდან განხორციელებული ძალადობრივი კამპანია, რომელთაც ბასკებმა ძალადობრივი აჯანყებებით უპასუხეს. საინტერესო საკითხია, რომ ბასკების მხრიდან კასტილიელი მმართველების მიმართ ხშირი იყო ხოლმე აჯანყებებითა და მსგავსი ძალისმიერი მეთოდებით აღნიშნული მმართველების ლეგიტიმაციის საკითხისადმი პროტესტი (Aiartza & Zabalo, 2010). ეს აჩვენებს, რომ ბასკთა ეთნოფსიქოლოგიაში არსებული

მიდრეკილებები ძალის გამოყენების საკითხის მიმართ რეალურად ძალზე აქტუალური იყო, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მათ მიმართ შიდა თუ გარე აქტორების მხრიდან ხორციელდებოდა წნეხი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ბასკთა ძალადობისკენ მიდრეკილება ისტორიის განვითარების შესაბამისად ესპანელებთან ურთიერთობებისას იჩენდა თავს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მე-13 საუკუნის 30-იან წლებში ნავარის ხელმწიფე სანჩო VII-ს შემდგომ მისი გვარი აღარ გაგრძელებულა და ფრანგებმა საკუთარი სამეფო გვარის წარმომადგენლები შეიყვანეს ნავარში (Muro Ruiz, 2004), საკვლევად საინტერესო ხდება ფრანგების შესაძლო მავნე ზემოქმედება ბასკებში ძალადობის წახალისების მიმართულებით. საინტერესოა, რომ 1510-იანი წლებიდან ბასკთა ესპანური ნაწილი მოიცავს ოთხ ძირითად ტერიტორიულ ერთეულს (ბისკაია, არაბა/ალავა, გიპუზკოა და ნაფარროა/ნავარი), ხოლო ფრანგული კი - სამ ტერიტორიულ ერთეულს (ზუბეროა, ქვემო ნავარი, ლაპურდი) (Bothen, 2014). თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ ბასკთა ტერიტორიები ოფიციალურად ორი სხვადასხვა სახელმწიფოს საზღვრებში არის დახლეჩილი შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, მატებს მეტ მუხტს ამ რეგიონში გაღვივებული შესაძლო ძალადობრივი ფონის მიზეზების შესწავლის აუცილებლობას.

მნიშვნელოვანია, რომ მე-16 საუკუნის დასაწყისში ფრანგებსა და ესპანელებს შორის მიმდინარე დაპირისპირების პროცესში ესპანელებმა აიღეს ნავარზე კონტროლი, რომლის შედეგადაც მისი კასტილის ტერიტორიისათვის მიერთება გადაწყვიტეს. ესპანელებმა ნავარს ე. წ. “ფუეროები” მიანიჭეს, რომელიც მათ ავტონომიურ პოლიტიკურ და სამართლებრივ სივრცეს უქმნიდა (Muro Ruiz, 2004). პრაქტიკულად, იგივე ტიპის უფლებებმა უფრო გაუმყარა ადრე არსებული ავტონომიური მდგომარეობა გიპუზკოას, ბისკაიასა და არაბას, რომლებიც ასევე დაიმორჩილა კასტილის მონარქიულმა მმართველობამ (Bothen, 2014). ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ერთი შეხედვით, ბასკები სიმშვიდისა და

კომპრომისული ვითარებისაკენ შეიძლებოდა, გამხდარიყვნენ მიდრეკილნი, რადგან მათ, პრაქტიკულად, თავიანთი უფლებების რეალიზების შესაძლებლობა მიენიჭათ. მიუხედავად ამისა, ფაქტია, რომ ფრანგების გავლენის ქვეშ, პრაქტიკულად, სამი საუკუნის პირობებში არსებული ბასკთა მიწა მოულოდნელად ესპანელთა ხელში აღმოჩნდა, რაც აჩენს იმის ალბათობას, რომ აღნიშნული რეგიონი მიდრეკილიყო ძალადობისაკენ. ამ ყოველივეს ფონზე კარლისტური ომები, რომლებზეც აქცენტი უფრო დეტალურად ქვემოთ არის გაკეთებული, აღმოჩნდა პრობლემების გამომწვევი ბასკების ამ უფლებებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ იარამ ძალზე მძიმე კვალი დაატყო ბასკებს და მათში ეთნიკური ნაციონალიზმი გაამძაფრა (Post, 2007). ეს, თავის მხრივ, მეტყველებს იმაზე, რომ ბასკებში შესაძლოა, ეფეთქა იმ თავდაპირველ ძალადობრივ მიდრეკილებებს, რომლებიც მე-15 საუკუნეში თითქოს ჩააცხრო მათთვის ავტონომიური უფლებების მინიჭებამ. შესაბამისად, ძალადობრივი ფონის ბასკეთში კვლევის საკითხი, შეიძლება ითქვას, ინტერესს იძენს. აქ კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი დეტალია გასათვალისწინებელი: ვაჭრობის, როგორც ერთი მხრივ, სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა ფენას შორის, მეორე მხრივ კი საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებისათვის მნიშვნელოვანი ფენომენის განვითარებამ სერიოზული ბზარი გააჩინა ვაჭრობით დაკავებულ ესპანელებსა და გლეხის ხელობით დასაქმებულ ბასკებს შორის თანასწორობის საკითხზე (Turner, 2015). ეს ფაქტი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ისტორიული პროცესების მიმდინარეობისას ბასკურმა ეთნოსმა გარკვეული უთანასწორობა იგრძნო ესპანელებთან მიმართებით. ეს იძლევა საფუძველს იმის გამოსაკვლევად, რამდენად შეიძლება, სოციალური სტატუსი ყოფილიყო ბასკების მხრიდან ძალადობრივი ქმედებების დაწყების მიზეზი. ამ მხრივ, მნიშვნელობას იძენს ამ ფენომენის შესწავლა ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში ბასკებთან მიმართებით. აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1659 წელს ესპანეთის მმართველმა ფილიპე IV-მ და საფრანგეთის მონარქმა ლუი XIV-

მ გააფორმეს “პირენეის ხელშეკრულება”, რომლითაც ამ ორ ქვეყანას შორის განაწილდა ბასკთა ტერიტორია (Stubbs, 2012). ამ მხრივ, ნათელია, რომ ისტორიულად არაერთი საინტერესო პროცესი მოხდა, რომლიდანაც შეიძლება, ჩანდეს როგორც საფრანგეთის, ისე სხვა აქტორების წვლილი ბასკეთის კონფლიქტში. ეს კიდევ უფრო მეტად საინტერესოს ხდის ბასკეთის კონფლიქტის კვლევის პროცესს

საინტერესოა 1800-იან წლებში ფრანგების მხრიდან ესპანური ტერიტორიაზე შეტევის პროცესში ბასკებზე ძალადობრივი ზეწოლა. ის ფაქტი, რომ მიუხედავად ბასკების მხრიდან შეირაღებული წინააღმდეგობისა ფრანგებმა მაინც მოახერხეს სალოცავების, მიწის ნაკვეთების, ადამიანებისა და კიდევ სხვათა წამება და მათზე იერიშის მიტანა (Turner, 2015), პრაქტიკულად, იმაზე მიანიშნებს, რომ მე-19 საუკუნის საწყის წლებში გარედან პროვოცირებულმა კონფლიქტმა შექმნა წინაპირობები იმისათვის, რომ ბასკები ძალადობრივად დაემუხტა. ამას თუ დავამატებთ იმ გარემოებას, რომ იმავე საუკუნის მომდევნო დეკადაში ფრანგები იბერიის ტერიტორიიდან სამი დიდი აქტორის - ესპანეთის, პორტუგალიისა და გაერთიანებული სამეფოს - ერთობლივმა ძალისხმევამ გააგდო (Turner, 2015), ესეც, პრაქტიკულად, ძალადობრივი ცეცხლის გამღვივებელ ფაქტორად შეიძლება, ჩაითვალოს ბასკებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იბერიის ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბასკებში, რეალურად, ეს კოალიციური მუხტი, რომელმაც იქიდან ფრანგები გააგდო, შესაძლებელია, წამახალისებელი ფაქტორი გამხდარიყო ბასკების მხრიდან ძალადობრივი მეთოდებისაკენ მიდრეკილების გაჩენის თვალსაზრისით. ამ მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მონაცვლეობით ესპანელებისა და ფრანგების გავლენები, როგორც ჩანს, სერიოზულ კვალს ტოვებდა ბასკებში ძალადობრივი მუხტის გაჩენისა და გაღვივების თვალსაზრისით. აქ იკვეთება როგორც გარე აქტორების მხრიდან ძალადობრივი სიტუაციის, ისე ისტორიული თვალსაზრისით

დაძაბულობის ფაქტორი. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ხდება ამ ორი პრიზმიდან საკითხის კვლევა.

ბასკთა ისტორიის კვლევისას ძალზე მნიშვნელოვანია ასევე მე-19 საუკუნის სამოქალაქო დაპირისპირებაში მათი მდგომარეობა. აქ უპირველესად აღსანიშნავია 1820-იან წლებში მიმდინარე როაიალისტური ომი. ამ ომის მსვლელობისას შეტაკებები მიმდინარეობდა ნავარის ტერიტორიაზე (Turner, 2015). შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნის მსვლელობისას ბასკები კვლავ ძალადობრივი პროცესის მონაწილე ეთნოსი იყვნენ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1830-იან წლებში პირველ კარლისტურ ომში საკუთარი რწმენისა და ეთნიკური მსოფლმხედველობრივი სიახლოვის გათვალისწინებით ბასკები კარლოსს უჭერდნენ მხარს და უკვე მეორე კარლისტური ომის შედეგად 1870-იან წლებში კარლოსის დამხობის გამო როგორც ლინგვისტური, ისე ეთნიკური მჩაგვრელობის საშიშროებას ხედავდნენ (Turner, 2015), იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძალადობრივი ფაქტორი კვლავ მოსდევდათ ბასკებს მე-19 საუკუნეშიც. რეალურად, დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნეშიც და მანამდეც ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა, შეელახა ბასკების პრესტიჟი და ხელეყო მისი თვითმმართველი უფლებები. ამ შემზღუდველმა პოლიტიკამ, პრაქტიკულად, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბასკური ეთნოსის ერთ მუშტად შესაკრავად (Shih, 1998). ეს ფაქტი იძლევა საშუალებას ბასკების გარშემო არსებული ვითარების მრავალი რაკურსით შესაფასებლად. თავისუფლად არის შესაძლებელი, ეს ფაქტორი ყოფილიყო ერთგვარი შემავსებელი იმისათვის, რომ ბასკებზე გარედან არსებულ ნეგატიურ თუ პოზიტიურ გავლენებს სერიოზული წამახალისებელი როლი ეთამაშათ ეთნოსში ძალადობის გასაღვივებლად. გარდა ამისა, ეს და კიდევ სხვა მსგავსი ისტორიული ფაქტები შესაძლებელია, გახდეს იმაზე მსჯელობის წინაპირობა, რომ ბასკები რეალურად არა მხოლოდ თავს არ მიაკუთვნებდნენ ესპანელებს, არამედ სულიერად ძალზე შორს იყვნენ მათგან და თავად ესპანელების არც თუ

სასიამოვნო ნაბიჯები მათი მისამართით კიდევ უფრო უზრუნველყოფდა ამ სიშორის განვითარებას. ეს ყოველივე კი, კიდევ ერთხელ ხაზგასმით რომ ითქვას, შეიძლებოდა გამხდარიყო იმის მიზეზი, რომ ბასკები გარე გავლენების მიმართ მოწყვლადნი გამხდარიყვნენ. ამ ფაქტში ჩანს ისიც, რომ სერიოზულად არის შესასწავლი ბასკების სოციალური სტატუსი ესპანელთა საზოგადოებაში.

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე კიდევ ერთი გარემოება არის მხედველობაში მისაღები: რამირესი და სხვა მკვლევრები ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რატომ წარმოიშვა ბასკური რადიკალური ფორმის ნაციონალისტური მოძრაობა ბასკთა განსახლების არეალის არა ფრანგულ, არამედ ესპანურ ნაწილში, თანაც ისეთ სოფლის ტიპის დასახლებებში, სადაც სერიოზულად იყო შებღალული ბასკების ენა, იგივე "ეუსკერა" კასტილიური ენისათვის უპირატესობის მინიჭებით. ამას ბევრი მკვლევარი უკავშირებს იმას, რომ ფრანგები თავიანთ ტერიტორიაზე არსებულ ბასკურ ნაწილს აძლევდნენ ეთნიკურ და ტრადიციულ თავისუფლებას, განსხვავებით ესპანელებისაგან, რომელთა ძალადობრივმა დამოკიდებულებამ შექმნა მძიმე უღელი ბასკებისათვის (Shih, 1998). ამ მხრივ, იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალი. პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ფრანგი ბასკებისათვის კარგი დამოკიდებულების ჩვენებით, შესაძლოა, ფრანგები ირიბად ახდენდნენ გარე გავლენას ესპანეთში მცხოვრებ ბასკებზე, რათა მათ ესპანური ტიტულარული უმრავლესობის წინააღმდეგ ხმა იარაღისა და სისხლისღვრის ენით აემაღლებინათ. გარდა ამისა, კატალონიელთა კასტილიური ენის მიმართ არსებული ლოიალური დამოკიდებულებისაგან განსხვავებით (Smith, 2014), ფაქტია, რომ ესპანეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბასკებს კასტილიური ენა თავიანთი მშობლიური "ეუსკერას" თანასწორად არ მიაჩნდათ და არავითარი სურვილი მის საკუთარ რეგიონში გასავრცელებლად არ ჰქონდათ. ეს კი, თავის მხრივ, აჩვენებს სურათს, რომ ხელისუფლების მხრიდან უმცირესობის მიმართ

რეპრესიულ დამოკიდებულებას კარგად ახალისებდა ძალადობრივი მუხტით საფრანგეთის მხრიდან გარედან არსებული როგორც პირდაპირი, ისე ირიბი გავლენები. ამასთანავე, ბასკებში ძალადობის გაძლიერების რაკურსით საინტერესო ხდება გამოსაკვლევად ის ფენომენიც, რომ ბასკეთის რეგიონის ორი ძირითადი ტერიტორია სხვადასხვა სახელმწიფოს საზღვრებში იყო მოქცეული.

ამ ყოველივეს ფონზე, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საკუთარი ისტორიის მანძილზე ბასკებს რეალურად ცეცხლითა და მახვილით უწევდათ ბრძოლა აგრესორების წინააღმდეგ, გასაკვირი არ იქნება, რომ ნაციონალისტური მოძრაობის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა საბინო არანამ სწორედ ძალადობრივი მუხტით შექმნა მე-19 საუკუნის ბოლოს ბასკური ორგანიზებული ჯგუფი სახელწოდებით „ბასკური ნაციონალისტური პარტია“ (“PNV”), რომელსაც თავდაპირველად “ცენტრო ვასკო” ერქვა. არანას მოწოდებები ეფუძნებოდა ესპანელების წინააღმდეგ ბასკების მხრიდან რადიკალური, იარაღის ენით ლაპარაკსა და როგორც ესპანეთის, ისე საფრანგეთის მასშტაბით ყველა ბასკური ტერიტორიული ერთეულის გაერთიანებას (Turner, 2015). რეალურად, იქმნება შემდეგი სურათი: მე-19 საუკუნეში ყალიბდება პოლიტიკური ხასიათის ბასკური ნაციონალისტური დაჯგუფება, რომელიც ცდილობს, მანკიერი, ძალადობრივი მეთოდების გამოყენებისაკენ მოუწოდოს ბასკურ მოსახლეობას ესპანელთა მიმართ და თავის მხრივ, სისხლისღვრისაკენ წაიყვანოს პროცესები. აქვე თუ მოვიხმობთ იმ ისტორიულ ფაქტსაც, რომ პრიმო დე რივერას რეპრესიული რეჟიმის პირობებში “PNV” საგულდაგულოდ გადაიმალა და მზის სხივი მხოლოდ მეორე რესპუბლიკის დაარსების შემდგომ იხილა 1930-იან წლებში მინიჭებული ავტონომიის სახით (Turner, 2015), შესაძლებელი გახდება იმის თქმა, რომ სერიოზულ საკვლევ მასალას იძლევა ბასკების მდგომარეობის ძალადობრივი ფონი მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით. თავის წერილებში, სტატიებსა და გამოსვლებში არანა მე-19 საუკუნის 80-იან და 90-

იან წლებში ესპანელების წინააღმდეგ ბასკთა მხრიდან მასობრივი მკვლელობის მოწოდებებითაც კი გამოდიოდა და ბასკების განსაკუთრებულობის ხაზგასმით სრულიად ნორმალურად მიაჩნდა ასეთი სცენარის განვითარება (Post, 2007). ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ, პრაქტიკულად, მანკიერი, ძალადობრივი ხასიათის ფაქტორი ძალზე დიდ მნიშვნელობას იძენდა ბასკების კონფლიქტში და სწორედ ამიტომ საინტერესოა ბასკთა მხრიდან ძალადობის წახალისების მიზეზების კვლევა. ტერნერის თქმით, მიუხედავად ეთნიკური და ლინგვისტური გადარჩენისა, ბასკებს მუდმივად ჰქონდათ პოლიტიკური ხასიათის პრობლემები, რომელთაც სერიოზული ტკივილი მიაყენეს მათ ეთნოფსიქოლოგიას. რეალურად, ეს ტკივილი არ არის მოკლევადიანი და მას გრძელვადიანი ხასიათი აქვს ბასკების მრავალ სხვადასხვა შთამომავლობაზე.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, იმდენად მძიმე აღმოჩნდა ბასკთა წარსულში არსებული დაძაბულობა სხვადასხვა გარე ძალასთან, რომ მათ ცნობიერებას ამან სერიოზული ზიანი მიაყენა. რეალურად, მათ ესპანელთა მიმართ გაუჩნდათ ცრურწმენა იმასთან დაკავშირებით, რომ ესპანელები მათი მჩაგვრელი ერია, რომელიც მათ უმძიმეს პირობებში ამყოფებს უსამართლოდ (Turner, 2015). ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ გამოსაკვლევად საინტერესო ინფორმაციას იძლევა ისტორიული ანალიზის ასეთი ფაქტები. ეს ყოველივე მიანიშნებს იმაზე, რომ ისტორიული ანალიზი მნიშვნელოვანია ბასკების ძალადობისაკენ შესაძლო მიდრეკილებების გამოსაკვლევად. ამასთანავე, ისტორიული ანალიზი აჩვენებს, რომ საინტერესოა, ამ თვალსაზრისით, სოციალური სტატუსის ფენომენი და მასში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ფაქტორები/ქვეინდიკატორები, რადგან ფაქტია, რომ ეკონომიკური განვითარების დონე და ფსიქოლოგიური ხასიათის კლიშეები სერიოზული დაძაბულობის შემომტანი შესაძლოა, ყოფილიყო ესპანურ ტიტულარულ უმრავლესობასა და ბასკურ ეთნიკურ უმცირესობას შორის არსებულ ურთიერთობებში. ამ ყოველივეს ფონზე, თუ გავითვალისწინებთ იმასაც,

რომ 1930-იანი წლების მიმდინარეობისას და შემდგომაც არაერთი წნეხის ქვეშ აღმოჩნდა ეს უმცირესობა, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითიც ფრანკოს მხრიდან მისთვის მოღალატის იარლიყის მინიჭება იყო 1937 წელს (Turner, 2015), ცალსახად საინტერესო ხდება ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში აღნიშნულ რეგიონში განვითარებული კონფლიქტური სიტუაციის შესწავლის საკითხი. ამ მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ ალონსოს მოსაზრებით, ბასკების შემთხვევაში გარდა ესპანელებთან ისტორიულად არსებული შუღლისა, ასევე ჩანს გარე ფაქტორების გავლენა კონფლიქტის მიმდინარეობაზე (Alonso, 2011). ეს, რასაკვირველია, ბადებს ბასკების ესპანელებთან დაპირისპირების პროცესში გარე აქტორების გავლენის სრულყოფილად შესწავლის აუცილებლობის საკითხს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ ბასკების მიმართ ისტორიულად არსებობდა სტერეოტიპი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ეთნოსი მზად იყო, სასტიკად შებრძოლებოდა ნებისმიერ აგრესორს, რომელიც მის შევიწროებას შეეცდებოდა (Alonso, 2011), კიდევ ერთხელ ჩნდება ბასკეთის კონფლიქტის ძალადობრივი ხასიათის კვლევის საჭიროება. საინტერესოა იმის გააზრება, რომ რეალურად ტერორისტული დაჯგუფება "ETA" თაობების მიერ მემკვიდრეობით გადაცემული სიძულვილის ადრესატი იყო ესპანელების მიმართ. ეს იყო ერთგვარი პროტესტი წინაპრების მიერ ესპანელების დამსახურებით მიღებული ტკივილის გამო, რომელმაც, პირველ რიგში, ბასკური ეთნოსის კონსოლიდაცია მოახდინა და შემდგომ მათ წიაღში აღმოაცენა ექსტრემისტული დაჯგუფება, რომელსაც ამ პროტექსტის გამოვლენის საშუალების ხასიათი მიეცა. ამ მხრივ, რადიკალური ზომების გამოყენება იმ ტიტულარული უმრავლესობის მიმართ, რომელიც ბასკების, როგორც ეთნიკური უმცირესობის თვითმყოფადობის საშუალებებსა და არეალს ავიწროებდა სრულიად ლოგიკური და მიზანშეწონილიც კი იყო მათ თვალში (Post, 2007). ეს ყოველივე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ

ისტორიულად ჩანს ძალადობრივი განწყობები ბასკების მხრიდან პროტესტის გამოხატვასთან მიმართებით. ეს კი, თავის მხრივ, კვლავაც მიანიშნებს იმაზე, რომ გამოსაკვლევად საინტერესო საკითხია რა ფაქტორები ახდენდა ბასკების წახალისებას სისხლში გამჯდარი ძალადობრივი მიდრეკილებების რეალიზების საკითხში. თუ აქვე გავითვალისწინებთ, რომ ერთი მხრივ, ბასკები ხატავდნენ "მტრის ხატს" ესპანელებისაგან, მეორე მხრივ კი, ესპანელები ბასკებს ანალოგიური ფსიქოლოგიური პორტრეტით ამკობდნენ (Post, 2007), ამ საკითხის ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში შესწავლა მნიშვნელოვან ელფერს შეიძენს, მათ შორის სოციალური სტატუსის ინდიკატორის (განსაკუთრებით კი მისი ფსიქოლოგიური ქვეინდიკატორის გათვალისწინებით). ბასკების 10 საუკუნეზე მეტი ხნის დაპირისპირების გამოცდილება ესპანელებთან (Post, 2007) თავისუფლად შეიძლებოდა, ქცეულიყო გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით ძალადობრივ კონფლიქტად, რომლის რეზულტატებსაც შესაძლოა, უარყოფითი გავლენა ჰქონოდა როგორც ეთნიკური უმცირესობის, ისე ტიტულარული უმრავლესობისა და ზოგადად სახელმწიფოს განვითარების საკითხზე.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ბასკების ისტორიული ანალიზი ნაშრომის ჰიპოთეზების მიხედვით საინტერესო ფაქტორების გამოკვლევის აუცილებლობისაკენ მიგვანიშნებს. მნიშვნელოვანია, რომ ისტორიულ ანალიზში იკვეთება კონტურები გარე ფაქტორების სერიოზულ გავლენებთან დაკავშირებით. კერძოდ, ბასკებზე, როგორც ანალიზიდან გამოჩნდა, სერიოზულად ახდენდნენ გავლენას როგორც სახელმწიფოები (მაგალითად, საფრანგეთი), ისე კონკრეტული არასახელმწიფოებრივი აქტორები ან/და კერძო პირები (მაგალითად, ირლანდიელი ნაციონალისტები). ამ მხრივ, საინტერესოა, შეფასდეს მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით, ყველაზე აქტიური ნაციონალისტური პროცესების განვითარების დინამიკაზე გრძელვადიან პერსპექტივაში გარე აქტორების გავლენა. ამ მხრივ, ყურადღება

გასამახვილებელია განსაკუთრებით იმაზე, რამდენად გაძლიერდა გარე აქტორების მხრიდან რეგიონზე გავლენა და თავის მხრივ, ბასკების აფილირება გარე აქტორების მიმართულებით სწორედ აღნიშნულ პერიოდში. გარდა ყოველივე ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისტორიულმა ანალიზმა აჩვენა ესპანეთის საზოგადოებაში ბასკების სოციალური სტატუსის კვლევის საჭიროებაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისტორიული ანალიზი აჩვენებს ბასკური უმცირესობის არც თუ სახარბიელო მდგომარეობას ესპანური ტიტულარული უმრავლესობის მის მიმართ არსებული მიდგომებით. ამ თვალსაზრისით, საინტერესო იქნება ის, თუ რა შედეგებზე გავა საკითხის კვლევა სოციალური სტატუსის იმ ქვეინდიკატორების რაკურსით, რომლებიც აღწერილია კვლევის დიზაინში. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ბუნებრივია დასაფიქრებელია უშუალოდ ისტორიული შუღლის თვალსაზრისით საკითხის გამოკვლევა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, აშკარად იკვეთება კონტურები ბასკების ესპანელების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. სწორედ ამ თვალსაზრისით, საინტერესოა შესასწავლად ის გარემოება, თუ რამდენად ხშირი იყო ამ ნეგატიური დამოკიდებულების ფონზე დაძაბულობა და ღია დაპირისპირება ბასკებსა და ესპანელებს შორის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდის ჩათვლით, ანუ იმ დრომდე, როცა ნაციონალისტურმა მოძრაობამ დაიწყო სერიოზული აღმავლობა ბასკთა გარემოში. ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს ანალიზი იმისა, თუ რამდენად შეიძლებოდა, ეს დაპირისპირება ყოფილიყო ძალადობრივი სულისკვეთების წამახალისებელი ფაქტორი მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდიდან 1980-იანი წლების ჩათვლით პერიოდში. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ საინტერესოა ბასკეთში ძალადობის წახალისებისა და გაღრმავების საკითხის სიღრმისეულად გამოკვლევა ზემოაღნიშნული ჰიპოთეზების ჭრილში.

### 3. 2. კატალონიის ქეისის ისტორიული ანალიზი

საინტერესოა ასევე კატალონიის შემთხვევის ისტორიული ანალიზიც. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ კატალონია იბერიის ნახევარკუნძულზე წარმოიშვა მე-8 საუკუნეში. ტერიტორიის განსაკუთრებით გაფართოება უკავშირდება მე-12 საუკუნის პერიოდს, როდესაც კონფედერაციული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პირობებში მას შეუერთდა ბალეარის კუნძულები, ლეიდა, ტარაგონა, ტორტოსა და სხვა ტერიტორიები. მომდევნო საუკუნეში კი სწორედ კატალონიის ქვეშ არაგონის მონარქიულმა მმართველობამ ჩამოაყალიბა ჯანსაღი, ვაჭრობაზე ორიენტირებული სახელმწიფო თავისი უდიდესი მასშტაბებით, რომლებიც სიცილიისა და სარდინიის ტერიტორიებამდეც კი მიდიოდა (Smith, 2014). ეს აჩვენებს მოცემულობას, რომ შუა საუკუნეების გარკვეულ ეტაპზე კატალონიელები უკვე სერიოზულ ეკონომიკურ გეგმებს ფლობდნენ. აქედან გამომდინარე, საინტერესო ხდება მათი სოციალური სტატუსის შესწავლა ჩვენი კვლევის პერიოდში, ანუ მე-19 საუკუნის ბოლოდან 1980-იან წლებამდე. მნიშვნელოვანია, რომ მე-14 საუკუნეში კატალონია მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე ჩანდა, როგორც რეგიონი, რომელიც არ იღებდა გარე გავლენებს. სწორედ შუა საუკუნეების პერიოდში კატალონია ჩანდა, როგორც რეგიონი, რომელიც კანონიერი გზით ძალზე წარმატებულად ნერგავდა ფედერალიზაციის სისტემას (Payne, 1971). ეს ყოველივე მოწმობს, რომ კვლევისას ყურადღება უნდა მიექცეს ამ ფაქტორს, რამდენად მოახდინა მან რეგიონში არაძალადობრივი ატმოსფეროს შემოტანა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ვაჭრობისა და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით კატალონიელები ერთ-ერთი მოწინავენი იყვნენ კონტინენტზე (Payne, 1971), კიდევ ერთხელ წარმოიშობა იმის ვარაუდი, რომ კატალონიელებს შესაძლოა, კარგი სოციალური პირობები ჰქონოდათ თავიანთი სახელმწიფოს შიგნით, რაც ყოფილიყო ესპანელებთან მათი მშვიდობიანი თანაარსებობის წინაპირობა.

ამ მხრივ, იკვეთება, რომ სიღრმისეულად გამოსაკვლევი და საინტერესოა როგორც გარე გავლენების, ისე სოციალური სტატუსის ფაქტორები. აქ საინტერესოა ერთი დეტალი: მე-15 საუკუნეში არაგონისა და კასტილიის მონარქიულმა ხელმძღვანელებმა, ისევე როგორც იმჟამინდელ გეოპოლიტიკურ სივრცეში არსებულმა სხვა სახელმწიფოებმა მკაცრი ბრძოლა გააჩაღეს სასულიერო პირების პოლიტიკური გავლენების საგრძნობლად შემცირების მიზნით. ისინი ასევე ეწინააღმდეგებოდნენ ფეოდალების ავტორიტეტის გაძლიერებასაც (Smith, 2014). თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს დეტალი საინტერესოს ხდის კვლევის შინაარსს, თუ მით უმეტეს გავითვალისწინებთ, რომ ბასკურ ნაციონალიზმში რელიგიური ფაქტორი ჩანდა (Payne, 1971). საინტერესოა, მთლიანობაში ეკლესიის დატვირთვა როგორც ერთი, ისე მეორე უმცირესობის კონფლიქტების კვლევისას. როგორც ჩანს, მე-14 საუკუნის მდგომარეობის გამოძახილი იყო ის ფაქტი, რომ მიუხედავად მომდევნო სამი საუკუნის განმავლობაში არსებული გარკვეული ეკონომიკური ჩავარდნებისა და დაძაბულობებისა, მე-18 საუკუნეში კატალონიამ შეძლო, ესპანურ სოციალურ-ეკონომიკურ სივრცეში თავის სრულფასოვნად დამკვიდრება, მას შემდეგ, რაც ესპანეთმა საკანონმდებლო ცვლილებები განახორციელა და მეტად გაუხსნა კარი კატალონიას ეკონომიკური აქტივობებისაკენ (Payne, 1971). პრაქტიკულად, საინტერესო მასალას იძლევა საკვლევად ეს ისტორიული ფონი: ფაქტია, რომ მშვიდობიანი, ცივილიზებული ურთიერთობებისაკენ მიდრეკილი კატალონია ნაციონალისტური მოძრაობების აღმავლობამდე დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე მაინც კომპრომისულ და არაძალადობრივ ფონს ინარჩუნებდა, მიუხედავად შუა საუკუნეებში რეგიონში არსებული გარკვეული არეულობებისა და სამოქალაქო დაძაბულობებისა. მნიშვნელოვანია, რომ მე-17 საუკუნეში კატალონიას სერიოზული საკანონმდებლო გამოცდილება ჰქონდა დაგროვილი, რაც განსაკუთრებით კარგად იკვეთებოდა კორტსის (საკანონმდებლო ორგანოს) სიძლიერესა და სამეფო მმართველის

შეზღუდულ ძალაუფლებაში. საინტერესოა, რომ მონარქსა და საკანონმდებლო ხელისუფლებას შორის არსებობდა ერთგვარი ურთიერთბალანსის სისტემა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში (Smith, 2014). ეს ფაქტი ძალზე მნიშვნელოვანია საკითხის სიღრმისეული კვლევისათვის, რადგან, პრაქტიკულად, ჩანს, რომ კატალონიელებს ჰქონდათ სამართლებრივი კულტურა და მე-17 საუკუნისათვის არც თუ სტანდარტულად დამახასიათებელი ძალაუფლების დანაწილების პრინციპები. ეს კი სავსებით შესაძლებელია, დაძაბული კონფლიქტური ვითარების განეიტრალებისა და უფრო მშვიდი, ზომიერი ფორმების პროტესტის შექმნის ან/და მოგვიანებით გარდაქმნის წინაპირობა ყოფილიყო. თუ მით უმეტეს მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ კასტილიის სამეფოს საკანონმდებლო ორგანო კატალონიასთან შედარებით გაცილებით მოუქნელი და არაეფექტური იყო სახელმწიფო მმართველობის საკითხებში (Smith, 2014), საკითხის შესწავლა კიდევ უფრო საინტერესო ხდება.

კატალონიის ქეისის გარშემო არსებული ისტორიული ფაქტების ანალიზის პროცესში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მე-17 საუკუნეში საფრანგეთის მხრიდან ესპანური ტერიტორიების მიმართ ინტერესის მიუხედავად, კატალონიამ საკუთარი კონსტიტუციური ავტონომია შეინარჩუნა. საინტერესოა, რომ იმავე საუკუნეში კატალონიას ესპანელმა მმართველებმა (მაგალითად, ფილიპე IV-მ) საკანონომდებლო ბერკეტები ადგილობრივ დონეზე ხელუხლებელი შეუნარჩუნა, რამაც გაამარტივა მისი სრულფასოვანი ინტეგრირება ესპანურ საზოგადოებასთან (Smith, 2014). ეს ყოველივე აჩვენებს იმას, რომ შუა საუკუნეების პერიოდში საკმაოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევდა ესპანური საზოგადოება კატალონიელების ინტეგრირებას საკუთარ სივრცეში, რაც, თავის მხრივ, კატალონიელების სოციალურ სტატუსზე დადებით გავლენას ახდენდა. ამ მხრივ, საინტერესოა გამოსაკვლევად კატალონიელების მდგომარეობა სოციალური სტატუსის ჭრილში. აქ ჩანს ისიც, რომ გარე გავლენები

რეგიონზე პრაქტიკულად, არ არსებობდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ კატალონიელების უმეტესობა ესპანეთთან გაერთიანებას მნიშვნელოვნად მიიჩნევდა და როგორც ესპანელ მეწარმეებთან, ისე ზოგადად ესპანურ საზოგადოებასთან სულიერი და ფიზიკურ სიახლოვის აუცილებლობას გრძნობდა (Smith, 2014), კიდევ უფრო მეტი ელფერი ემატება გარე გავლენების არსებობა-არარსებობის თვალსაზრისით კატალონიაში ძალადობრივ-არაძალადობრივი მდგომარეობის კვლევას. ამ ყოველივეს ისიც ემატება, რომ მე-18 საუკუნის 70-იანი წლებიდან კატალონიელების უმრავლესობაში გაჩნდა შეგრძნება, რომ ისინი კულუტურულად ესპანური ერის ნაწილი იყვნენ და მათი იდენტობა ესპანელებთან ერთად განისაზღვრებოდა (Smith, 2014). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბასკებისაგან განსხვავებით, კატალონიელები, პრაქტიკულად, მშვიდობიანად თანაარსებობდნენ ესპანელებთან და ესპანურ ნაციასთან ინტეგრაციას ძალზე მნიშვნელოვან უპირატესობას მიიჩნევდნენ. როგორც კვლევიდან იკვეთება, ეს მათ შეგნებაში მშობლიურ გარემოში განვითარების ტოლფასი იყო, სადაც მათთვის კომფორტული პირობები იყო. საინტერესოა ისიც, რომ მე-16 და მე-17 საუკუნეებშიც და შემდგომაც კატალონიელებისათვის კასტილიური ენა მათ მშობლიურ კატალონიურთან ჩვეულებრივ თანაარსებობდა საზოგადოებრივ ურთიერთობებში (Smith, 2014), რაც, პრაქტიკულად, აჩვენებს მათ მიჯაჭვულობას ესპანელების მიმართ. ამ მხრივ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ მიუხედავად მე-19 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის მცდელობებისა, გავლენები გაევრცელებინა აღნიშნულ ეთნოსზე (ძირითადად მხოლოდ მისი დროშისა და იდენტობის გამომხატველ სხვა სიმბოლოებზე ირიბი ზემოქმედებით), კატალონიელების უმრავლესობას მაინც ესპანური სულისკვეთება ამოძრავებდა (Smith, 2014), კიდევ ერთხელ იკვეთება გარე გავლენების არარსებობა, რაც კვლევის შინაარსს მეტ ელფერს სძენს. თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ კატალონიელები ესპანელების, როგორც ეთნოსის მიმართ

სერიოზულ სიმპათიას გამოხატავდნენ (Smith, 2014), საინტერესო აქცენტს აკეთებს კატალონიელთა სურვილზე, არ მიეღოთ გარე გავლენები არც ფრანგებისაგან და არც სხვა ერებისა თუ გაერთიანებებისაგან და ამავე დროს, დარჩენილიყვნენ ესპანელთა ერთგულები. როგორც ჩანს, ამან გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმაზე, რომ კატალონიელების პროტესტი ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ყოფილიყო არაძალადობრივი და მათ არ ჰქონოდათ ესპანელების მიმართ ძალის გამოყენების სურვილი. სწორედ ამიტომ, ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ, როგორ გაგრძელდა მოვლენები უშუალოდ მე-19 საუკუნის ბოლოდან, როცა ნაციონალისტური პროცესების აღმავლობა დაიწყო რეგიონში.

უდავოდ საყურადღებოა ის, რომ კატალონიურ პრესაში უხვად იწერებოდა ფრანგების წინააღმდეგ და ესპანელების სასარგებლოდ სხვადასხვა შინაარსის სტატიები. ნაპოლეონ ბონაპარტის საძაგებლად და ესპანურ საზოგადოებასთან სიახლოვის ხაზგასასმელად პატრიოტიზმის, როგორც ცნებისა და ამავე დროს, როგორც მნიშვნელოვანი ფენომენის წარმოჩენა (Smith, 2014), ვფიქრობ, კიდევ ერთხელ აკეთებს მნიშვნელოვან აქცენტს კატალონიელების მიკუთვნებულობაზე ესპანელების მიმართ და თავის მხრივ, აჩვენებს მნიშვნელოვან გზას კვლევის საინტერესოდ განვითარებისათვის. ესპანელების აღგვა პირისაგან მიწისა კატალონიელთა უმრავლესობის თვალში თავიანთი ეთნოსის გაქარწყლების ექვივალენტი იყო (Smith, 2014), რაც იმავე ლოგიკას ავითარებს, რომ გარე გავლენებისაგან დისტანცირებული კატალონია მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდიდან მოყოლებულიც, შესაძლოა, ამ ტენდენციის ერთგული დარჩენილიყო. ამაზე ვრცლად უფრო ქვემოთ, უშუალოდ გარე გავლენების ჰიპოთეზის ანალიზში ვისაუბრებთ. საინტერესო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ზემოხსენებული სამსაუკუნოვანი რთული პერიოდის პროცესშიც კი კატალონიელებს ანტიპათია ჰქონდათ გარე გავლენების მიმართ, მათ შორის საფრანგეთის შესაძლო ზემოქმედების მიმართ რეგიონსა და მის

მოსახლეობაზე. თუ ამას დავამატებთ იმ გარემოებას, რომ ესპანეთის სასარგებლოდ ფრანგების წინააღმდეგ მათ მე-18 საუკუნეშიც გამოთქვეს პროტესტი (Payne, 1971), უფრო საინტერესო გახდება კატალონიაზე გარე ფაქტორების გავლენის არსებობა-არარსებობის კვლევის საკითხი. მე-18 საუკუნესთან მიმართებით კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალის აღნიშვნაა საჭირო კატალონიელებზე საუბრისას: იმ პერიოდის კატალონიელი მეწარმეების წარმატება ესპანურ ეკონომიკურ სივრცეში და თავის მხრივ, უნივერსიტეტების წარმატებული კატალონიელი კურსდამთავრებულების მხრიდან ესპანეთში საკმაოდ სერიოზული პროფესიული მიღწევები უზრუნველყოფდა კატალონიელების კომერციული და საგანმანათებლო თვალსაზრისით ესპანურ საზოგადოებასთან დაახლოებას (Smith, 2014), რაც თავისუფლად შეიძლებოდა, ყოფილიყო როგორც გარე გავლენებისაგან კატალონიელების თავისუფლების უზრუნველყოფის, ისე ესპანურ საზოგადოებაში კატალონიელების სოციალური სტატუსის ამაღლების წყარო მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდისათვის, საიდანაც იწყება ჩვენი კვლევის ძირითადი პერიოდის რაკურსი. პეინის თქმით, კატალონიელები ესპანეთის მიმართ სიმპათიით ისევე იყვნენ განწყობილნი, როგორც სხვა უმცირესობათა დიდი ნაწილი. მისმა ეკონომიკურმა პოტენციალმა და ამავე დროს, სერიოზულმა მუშაობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ესპანური საზოგადოების განვითარებაში. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში კატალონიელების უმრავლესობას წვდომა ჰქონდა ესპანური პოლიტიკური და საზოგადოებრივი ამინდის შემქმნელებთან და თავის მხრივ, მრეწველობისა და ვაჭრობის სფეროებში დასაქმებულ კატალონიელებს საპატიო სტატუსი ჰქონდათ ესპანურ წრეებში (Payne, 1971), კიდევ ერთხელ გახდება ცხადი, რომ საკითხი სერიოზულ კვლევას საჭიროებს. ამ მხრივ, მიმზიდველი ხდება სოციალური სტატუსის ჭრილში აღნიშნული უმცირესობის კვლევა მე-19 საუკუნიდან, ანუ იმ პერიოდიდან, რომლის დროსაც იწყება ნაციონალისტური პროცესების ყველაზე

მნიშვნელოვანი აღმავლობა რეგიონში. ამას დეტალურად ქვემოთ შევეხებით.

მნიშვნელოვანია იმ ფაქტის გააზრება, რომ კატალონიას სერიოზული პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა ესპანეთის სახელმწიფოში მე-19 საუკუნეში. ამასთანავე, რეგიონში საკმაოდ სერიოზული ნიადაგი მზადდებოდა დემოკრატიული განვითარებისათვის. 1830-იან წლებში კატალონიაში აზრი ორად იყოფოდა პოლიტიკურ ველზე: კატალონიელთა ნაწილი "პროგრესულ პარტიას" ემხრობოდა, ნაწილი კი - "ზომიერებს" (Payne, 1971). ეს აჩვენებს, რომ რეგიონში მე-19 საუკუნის მიმდინარეობისას უკვე იკვეთებოდა მშვიდი, ცივილური ხასიათის თანაცხოვრების პერსპექტივები ცენტრალურ ესპანეთთან. აქედან გამომდინარე, ინტერესს იწვევს იმის კვლევა, თუ რამდენად იყო ან პირიქით, არ იყო გარე გავლენები ამ პერიოდში რეგიონზე და ამან რა თვალსაზრისით განავითარა შემდგომში მოვლენები. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ 1875 წლის რეფორმების შემდგომ კატალონიელები საკმაოდ დაწინაურებულნი იყვნენ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების დონეზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში (Payne, 1971), საკითხის კვლევა კიდევ უფრო საინტერესო შინაარსს შეიძენს. ამ მხრივ, მხედველობაში მისაღებია ისეთი საინტერესო ფაქტი, როგორიც არის ამ მოვლენამდე 20 წლით ადრე 1855 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წიგნში აქცენტი კატალონიის როგორც პოლიტიკური, ისე ფინანსურ-ეკონომიკური აღმავლობის შესახებ. ამ წიგნში ხაზი იყო გასმული იმაზე, რომ კატალონიელთათვის ერთიანი ესპანეთის კონცეფცია მისაღები და აუცილებელი ფაქტორი იყო თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიკური მომავლის დაგეგმვისათვის (Payne, 1971). ეს მიანიშნებს, რომ კატალონიელებს ესპანური ერის ნაწილად მიაჩნდათ საკუთარი ეთნოსი და ამ მხრივ, გამოსაკვლევად საინტერესო ხდება ორ ეთნოსს შორის ურთიერთობების საკითხი.

ამ ყოველივეს ფონზე აუცილებლად უნდა გამოიყოს ვალენტი ალმირალის ფენომენი. ალმირალი, რომელიც კატალონიური

ნაციონალიზმის ერთ-ერთ სულისჩამდგმელად ითვლება, ძალზე დიდი სიმპათიით იყო განწყობილი ფედერალისტური იდეების მიმართ და ზოგადად სერიოზულად ფიქრობდა ამ იდეის აღორძინებაზე (Payne, 1971). დაკვირვების შედეგად ცხადი ხდება, რომ ამ შემთხვევაში უკვე საქმე გვაქვს კატალონიაში ნაციონალიზმის გაღვივების დასაწყისთან. სწორედ ამიტომ, ფედერალიზაციისა და მსგავსი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის იდეების მომხრე ადამიანის ნაციონალისტური პროცესების სათავეში მოქცევა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ერთი შეხედვით, მშვიდობიანი იდეები უნდა ჰქონოდა საფუძვლებში კატალონიურ ნაციონალიზმს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ ალმირალი 1870-იანი წლების დასაწყისში სათავეში ედგა როგორც რენესანსული, ისე ფედერალისტური იდეებით გარშემორტყმულ ახალგაზრდულ გაერთიანებას და ამავე დროს, საკუთარ გაზეთშიც ბეჭდავდა ანალოგიური შინაარსის სტატიებს (Payne, 1971), კიდევ უფრო საინტერესო ხდება კატალონიაში ნაციონალისტური პროცესების აღმავლობის საკითხის ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში კვლევა. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ მან კატალონიურად დაიწყო კიდევ ერთი გაზეთის, "კატალონიური გაზეთის" გამოცემა, რომელშიც მკაფიო აქცენტს აკეთებდა კატალონიური ტერიტორიების ფედერალური მოწყობის სტილზე. მან საკუთარი რეგიონის კონგრესის მოწვევაც კი გადაწყვიტა, რომელზე დასწრების სურვილიც 1000-ზე მეტმა ადამიანმა გამოხატა (Payne, 1971). ლოგიკა, პრაქტიკულად, იმას გვკარნახობს, რომ მაშინ, როცა ნაციონალისტური ტალღა ფეხს იკიდებდა კატალონიელთა შორის, მშვიდობიანი ხასიათის პროექტები მიზანშეწონილ ფაქტორად მიიჩნეოდა თავად ნაციონალიზმის იდეოლოგებს შორის. რეალურად, რეგიონული ავტონომიის გაძლიერებაზე აქცენტი და როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ფაქტორებზე აქცენტები ხაზს უსვამს სოციალური სტატუსის ფაქტორის კვლევას ამ მიმართულებით. აქვე ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნის 80-იანი წლების ერთ-ერთი ცნობილი კატალონიელი

ჟურნალისტი და პუბლიცისტი, ხუან მანე ი ფლაკერი თავის ნააზრევში უდავო უპირატესობას ანიჭებდა პერიფერიულ დონეზე კატალონიელთა გადაწყვეტილებების მიღების ბერკეტების ზრდას, მიუხედავად იმისა, რომ ორი წამყვანი პარტიით წარმოდგენილი ესპანური ცენტრალური პოლტიკური სისტემა მისთვის მისაღები იყო. სატარიფო ბარიერების კატალონიელთა ინტერესების შესაბამისი ლიბერალიზაცია, პოლიტიკური სისტემის განვითარების წახალისება რეგიონის ეკონომიკური აღმავლობისათვის და კიდევ მსგავსი მიდგომები ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან საკმაოდ სერიოზულ უპირატესობებს აგრძნობინებდა კატალონიელებს (Payne, 1971). ეს ყოველივე საკმაოდ საინტერესო ერთიან სურათს ქმნის კატალონიის რეგიონის მდგომარეობის შესაფასებლად ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში.

ამ თვალსაზრისით, დამაფიქრებელია ის გარემოებაც, რომ გარე გავლენები ამ პერიოდში რეგიონზე, პრაქტიკულად, არ ჩანდა. ამავე დროს, ისტორიული ანალიზიდან ჩანს ისიც, რომ ცენტრალური ხელსიუფლების დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად დადებითი და ლოიალური იყო ეთნიკური უმცირესობის მიმართ. ეს ყოველივე, თავის მხრივ, საინტერესო კვლევის საგანი ხდება. ამ ყოველივეს ფონზე, საინტერესოა რომ "კატალონიური გაერთიანება" როგორც პოლიტიკური ხასიათის ორგანიზაცია 1890-იანი წლების დასაწყისიდან იწყებდა ფორმირებას. 100 კატალონიური დასახლებიდან მიღებული აქტივისტებისა და წევრების მეშვეობით აღნიშნულმა ორგანიზაციამ 1892 წელს მოიწვია ყრილობა, რომელზეც ნაციონალიზმის საჭიროებაზე გაკეთდა აქცენტები და ეს ყველაფერი გაიგივდა რეგიონის ავტონომიური ხასიათის ამაღლებასთან (Payne, 1971). რეალურად, შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალისტური პროცესების განვითარებას რეგიონში თან ახლდა დინამიკურად გავნითარებადი პოლიტიკური პროცესის ჩამოყალიბება, რომელსაც თავდაპირველადვე ეტყობოდა ჯანსაღი ხასიათი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ენრიკ პრატ დე ლა რიბა, რომელმაც,

პრაქტიკულად, ვალენტი ალმირალის იდეების მიხედვით უფრო პრაგმატული ხედვების ჩამოყალიბება დაიწყო, აქცენტებს აკეთებდა კატალონიის ადგილობრივი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ასპექტების, ლოკალური საჯარო მმართველობისა და სხვა ფაქტორების გაძლიერებაზე (Payne, 1971), ერთი შეხედვით იკვეთება ამ ეთნოსში არსებული ნაციონალისტური მისწრაფებების მშვიდობიანი, ცივილური მიმართულებისაკენ მიდრეკილება. ეს, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმის კვლევის საჭიროებას, თუ რამდენად ახდენდნენ ან პირიქით, არ ახდენდნენ გავლენას გარე აქტორები პროცესების ძალადობრივ ან არაძალადობრივ განვითარებაზე რეგიონში, რამდენად მაღალი იყო კატალონიელთა სოციალური სტატუსი ესპანურ საზოგადოებაში და ამასთანავე, რამდენად არსებობდა ისტორიული შუღლი ესპანურ და კატალონიურ ეთნოსებს შორის. თუ მით უმეტეს ყურადღების მიღმა არ დავტოვებთ იმას, რომ პეინის გადმოცემით, კატალონიური ნაციონალისტური სულისკვეთება უფრო მეტად საზოგადოებრივი წესრიგისა და მშვიდობიანი განვითარების ასპექტებს ეყრდნობოდა (Payne, 1971), თვალსაჩინო ხდება აღნიშნულ რეგიონში არაძალადობრივი კონფლიქტის ჩამოყალიბების ალბათობა.

საინტერესოა, რომ მოდერნიზაციაზე აქცენტით საშუალო ფენის განვითარებაზე ორიენტირებულ კატალონიურ ნაციონალიზმს, თავის მხრივ, ძალზე ცხოვრებისეული და პრაგმატული თვალსაზრისით საჭირო საკითხებზე (ინსტიტუციური დეცენტრალიზაცია, ქრთამის სახელმწიფო სტრუქტურებში ტრიალის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა და სხვ.) აქცენტირება ახასიათებდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კატალონიელთა შორის გაღვივებულმა ამ ჯანსაღმა საპროტესტო ტალღამ ესპანეთის ცენტრალურ პოლიტიკურ სისტემაში არსებულ კონსერვატიულ პოლიტიკურ გაერთიანებაში შეიტანა განხეთქილება და პოლიტიკისაგან დისტანცირებული ხალხის გულებშიც კი აღძრა სიმპათიები (Payne, 1971),

კიდევ უფრო მეტად საინტერესო ხდება კატალონიელების პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობის კვლევის საკითხი, რაც მთლიანობაში მათ სოციალურ სტატუსზე აკეთებს მნიშვნელოვან აქცენტებს. ამ ყოველივეს ფონზე, მნიშვნელოვანია ისიც, რომ მშრომელთა საკმაოდ სერიოზული მობილიზების ეპიცენტრი იყო მე-19 საუკუნის ბარსელონა. მუშათა მხრიდან პროფესიული გაერთიანებების ფორმირებისა და საზოგადოებრივად აქტიური ხასიათის გამოვლენის ფაქტები (Payne, 1971) კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კატალონიაში მიმდინარე ნაციონალისტური ტალღის შედარებით უფრო მშვიდობიან საქმიან შედეგებზე ორიენტირებულ და არა ძალადობასა და სისხლისღვრაზე აქცენტირებულ ხასიათს. შეიძლება ითქვას, რომ კატალონიურ ნაციონალიზმს არა ერთი რომელიმე იდეოლოგის ან რომელიმე ვიწრო ჯგუფის, არამედ კატალონიელთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით დასაწყისში აღმოაჩნდა მშვიდობიანი, პროგრესზე ორიენტირებული სახე. ამ მხრივ, კატალონიაში პოლიტიკური პროცესების ნაციონალისტურ საკითხებთან გადაკვეთის ასპექტი ძალიან კარგად, შეიძლება ითქვას, მკაფიოდ და გასაგებად წარმოჩინდება  შემდეგი მილერისა და მილერის ნააზრევით. ავტორების აზრით, დროთა განმავლობაში კატალონიაში არსებულმა პოლიტიკურმა გაერთიანებებმა ძალზე საინტერესო და ამავე დროს, მნიშვნელოვანი კვალი დაატყეს რეგიონის თვითმმართველობის განვითარებას, რამაც მათ კარი გაუხსნა ესპანელებთან ცივილური ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. ეს ყოველივე კი ესპანეთის პოლიტიკურ სისტემაში მათი მკვეთრად გამოხატული მყარი პოზიციების ჩამოყალიბებისა და კატალონიელების ცნობიერებიდან ძალადობრივი მიდრეკილებების თითქმის სრულად გაქარწყლების წინაპირობა აღმოჩნდა (Miller & Miller, 1996). ეს კიდევ ერთხელ აკეთებს ძალზე მკაფიო აქცენტს რეგიონის პოლიტიკური კულტურის დახვეწილობასა და თავის მხრივ, მასში მცხოვრები ეთნოსის არაძალადობრივ ფსიქოპორტრეტზე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მილერისა და მილერის აზრით, ამ

უმცირესობის როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ელიტებს გრძელვადიან პერსპექტივაში საკუთარი მიზნების რეალიზება ესპანელებთან თანაარსებობით წარმოედგინათ (Miller & Miller, 1996), კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი ესპანურ საზოგადოებაში კატალონიელების როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვის/ასპექტების სიღრმისეული ანალიზის აუცილებლობას.

კატალონიის ისტორიული ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონზე გარე გავლენის მცდელობები ადრეული პერიოდიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის ჩათვლით, პრაქტიკულად, არ იკვეთებოდა. თუ მხედველობაში მივიღებთ ფრანგებისა და მსგავს ზედაპირულ მცდელობებს, შესაძლებელია იმის აღნიშვნა, რომ ამას სერიოზული გავლენა არ მოუხდენია რეგიონზე მით უმეტეს ნაციონალისტური ტალღისა და ძალადობრივ-არაძალადობრივი კონტექსტის თვალსაზრისით. ამასთანავე, საინტერესო ასპექტები გამოიკვეთა კატალონიელთა ესპანურ საზოგადოებაში სოციალურ სტატუსთან მიმართებითაც. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა როგორ განვითარდა ეთნიკური უმცირესობის სოციალური სტატუსი კვლევისათვის მნიშვნელოვან მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით პერიოდში, ანუ მაშინ, როცა ნაციონალისტური პროცესების დინამიკა ყველაზე ძლიერი იყო. ბუნებრივია, ამ ყოველივეს ფონზე, ინტერესს იწვევს ბასკებისა და ესპანელების ურთიერთობების კვლევა ისტორიული შუღლის არსებობა-არარსებობის კონტექსტშიც. მთლიანობაში, შესაძლებელია იმის აღნიშვნა, რომ ისტორიული ანალიზი მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს კატალონიელების მდგომარეობის კვლევის სრულყოფილად წარმართვისათვის.

## თავი 4 - პრობლემის კვლევა პირველი ჰიპოთეზის ჭრილში: გარე ფაქტორების გავლენის ანალიზი

ესპანეთის კონფლიქტური ქეისების შესწავლისას გამოიკვეთა გარე ფაქტორების გავლენის მნიშვნელობა. შესაბამისად, ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზა: ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას ხელი შეუწყო ამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების მზარდმა გავლენამ, ხოლო კატალონიაში არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას კი - აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების გავლენის არარსებობამ.

ამ მხრივ, მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს ძალის დემონსტრირების გავლენა, რომელიც გულისხმობს გარე ფაქტორების, საერთაშორისო გამოცდილებების ზემოქმედებას კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული ეთნიკური უმცირესობის/უმცირესობების მხრიდან ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ პროტესტზე (Conversi, 1993). ამ თვალსაზრისით, ძალზე საინტერესოა, თუ სამყაროს რომელი კონკრეტული სივრციდან/სახელმწიფოებიდან მომდინარეობდა ბასკეთისა და კატალონიის უმცირესობების მიმართ შესაძლო ზეგავლენები ორივე რეგიონის ძალადობრივი ან არაძალადობრივი მიმართულებით წასაქეზებლად. შესაბამისად, საინტერესოა ამ ჭრილში პრობლემის კვლევა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ბასკურ, ისე კატალონიურ მოძრაობებში არსებობდა, ერთი მხრივ, ექსტრემისტული და მეორე მხრივ, შედარებით კომპრომისული, ლმობიერი ორი ცალ-ცალკე ფრთა. ამასთანავე, როგორც ზემოთ აღინიშნა, ძალის დემონსტრირების გავლენა არის პროცესი რომელიც საერთაშორისო დონიდან ერთი კონკრეტული ქვეყნის შიგნით არსებულ რეალობაზე ახდენს გავლენას (Conversi, 1993). კვლევით დგინდება, რომ რადიკალურ, ექსტრემისტულ ფრთას უფრო დიდი გავლენა ჰქონდა ბასკეთის საერთო სიტუაციაზე, ხოლო კატალონიაში კი უფრო ლმობიერი ფრთა აგებდა სამოქმედო დღის წესრიგს.

## 4. 1. გარე ფაქტორების გავლენა მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იან წლებში

საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია ბასკეთისა და კატალონიის ქეისების განხილვა მათზე მე-19 საუკუნეში და ასევე მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იმავე საუკუნის 40-იან წლების ჩათვლით გარე აქტორების მხრიდან არსებული გავლენის ჭრილში. აქვე უნდა ვახსენოთ ისიც, რომ კონვერსის გადმოცემით, ბასკეთში ფონი უფრო ძალადობრივი და მანკიერი იყო, ხოლო კატალონიაში კი - არაძალადობრივი (Conversi, 1993). ამ ყოველივეს ფონზე, ბუნებრივია, ინტერესს იწვევს ის გარემოება, თუ რა გავლენა ჰქონდა სხვადასხვა გარე აქტორს ესპანეთის შიდა-კონფლიქტურ ვითარებაზე.

### 4. 1. 1. გარე ფაქტორების გავლენა მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იან წლებში ბასკეთის რეგიონზე

საინტერესოა, როგორ მიმდინარეობდა გარე აქტორების გავლენა ბასკურ ნაციონალისტურ მოძრაობაზე და რა გავლენა ჰქონდათ ამ აქტორებს რეგიონის შიგნით არსებული სიტუაციის ძალადობრივი მიმართულებით წახალისების საკითხში მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იანი წლებში. სანამ უშუალოდ მე-19 საუკუნის პერიოდთან მივალთ, უნდა გამოვკვეთოთ ზემოხსენებული მე-17 საუკუნის "პირენეის ხელშეკრულება". მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ამ ხელშეკრულებასთან მიმართებით ბასკების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ორი საუკუნის თავზე, 1856 წელს გამოვლინდა, რამაც ბასკეთზე საფრანგეთ-ესპანეთის საზღვრის ფორმების ხელახალი გადასინჯვა გამოიწვია (Stubbs, 2012). აქედან ჩანს, რომ ჯერ კიდევ მე-17 და მე-19 საუკუნეთა შორის განვლილი პერიოდიდან საფრანგეთის როლი იკვეთება ბასკეთის საკითხში. ამის მიხედვით, ჩანს, რომ საფრანგეთი, როგორც გარე აქტორი ბასკებსა და ესპანაელებს შორის დაპირისპირებაში გარკვეულ წვლილს დებდა. ამის თქმის საფუძველს იძლევა ფაქტი, რომ ამ ხელშეკრულებით ფრანგებმა ესპანელებს მისცეს საშუალება, ბასკური ეთნოსის საცხოვრებელი ტერიტორია ორად გაეხლიჩა (Stubbs, 2012). შეიძლება ითქვას, რომ მე-17 საუკუნიდან მოყოლებული ფრანგებმა ხელი შეუწყვეს ბასკებში ძალადობრივი განწყობების გაღვივებას,

რომელმაც რამდენიმე საუკუნის შემდგომ ამოხეთქა ესპანელთა წინააღმდეგ.

საინტერესო ფაქტია, რომ ბასკები საკუთარ ეთნოსს აღიქვამდნენ, როგორც იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს, რომელიც ფრანგულ და ესპანურ სახელმწიფოთა ბრძოლის ველი, ასპარეზობის ადგილი იყო (Stubbs, 2012). მე-19 საუკუნის ბოლოს შექმნის დღიდანვე ძალადობრივი სულისკვეთებით „ბასკური ნაციონალისტური პარტია“ (“PNV”) განიმსჭვალა, რაშიც ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმავე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთის ფაქტორმა. რეალურად, ისტორიული ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფრანგების მხრიდან ესპანელებზე იერიშის მიტანის პროცესში ბასკებისათვის ინფრასქტრუტურული ზიანის მიყენების ფაქტმა (Turner, 2015) ძალადობრივი ნიშნით დამუხტა ეს ეთნოსი და შეაგულიანა, რომ სწორედ იარაღის ენით დაეწყო საუბარი საკუთარ მოთხოვნებზე. ეს მოცემულობა აჩვენებს, რომ ისტორიულ პერსპექტივაში საფრანგეთის, როგორც გარე ძალის მხრიდან ეთნოსის განსახლების ადგილისათვის ზიანის ძალის გამოყენებით მიყენება ძალადობრივი მიდრეკილებების განვითარების წინაპირობა აღმოჩნდა ამ ეთნოსის ქმედებებში. აქვე თუ გავიხსენებთ იმ ფაქტსაც, რომ საფრანგეთში “განმანათლებლობის” ეპოქაში არსებული იდეების მიმართ ბასკებს სიმპათია ჰქონდათ და საფრანგეთი, თავის მხრივ, ბასკების ერთ-ერთ რეგიონზე, გიპუზკოაზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ავრცელებდა გავლენებს (Payne, 1971), საფრანგეთის ბასკებზე გარე გავლენების რეალობა ნათელი ხდება. თუ ხაზი გაესმება ასევე იმას, რომ გარდა “განმანათლებლობის” იდეებისა, “საფრანგეთის დიდმა რევოლუციამაც” მნიშვნელოვანი კვალი დაატყო ბასკეთს მე-18 საუკუნეში და ზოგადად ამ რევოლუციის სულისკვეთება მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა ბასკების უმრავლესობის მსოფლმხედველობაში (Bothen, 2014), თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ფრანგულმა გარე ფაქტორმა მნიშვნელოვნად წაახალისა ძალადობრივი მიდრეკილებები ბასკთა

თვითშეგნებასა და გარემოში. აქ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ფრანგების მხრიდან ესპანურ ტერიტორიებზე შესვლის პროცესში მათ ცენტრალიზებულ იდეოლოგიურ საფუძველზე დამყარებული ინსტიტუციური წესრიგის ჩამოყალიბების გადაწყვეტილება მიიღეს, რამაც ბასკური ავტონომიური ბერკეტები შეარყია (Shih, 1998), პრაქტიკულად, გამოდის, რომ გარე აქტორების მოქმედებებს ბასკების ძალადობისაკენ წაქეზებაზე ძირითადი ნაციონალისტური პროცესების აღმავლობამდეც სერიოზული გავლენა ჰქონდათ. ამ მხრივ, თუ იმასაც გავუსვამთ ხაზს, რომ მე-19 საუკუნეში ერთი პერიოდი ბასკეთის ქალაქ ბილბაოს ინფრასქტურული და კომერციული დატვირთვიდან გამომდინარე ფრანგები მოწადინებულნი იყვნენ ბასკების მთელ რეგიონზე თავიანთი გავლენა გაეძლიერებინათ ესპანელთა წინააღმდეგ და ამან ერთი პერიოდი მატერიალურ ნიადაგზე წარმოშობილი საბაბით სერიოზულად დაამძიმა ფრანგულ-ესპანური ურთიერთობები (Stubbs, 2012), კიდევ ერთხელ გახდება ნათელი, რომ ფრანგთა გარე გავლენა ბასკეთს სერიოზულად ეტყობოდა 1800-იანი წლებიდანვე.

გრეჰემ სტაბსის თქმით, ფრანგების წაქეზებით ბასკებსა და ესპანელებს შორის უთანხმოებას, რომელმაც ძალადობრივი ფორმა მიიღო, იდენტობის საკითხი ედო საფუძვლად, რამაც პროცესების ნორმალური რეჟიმიდან მძიმე მდგომარეობაში გადაყვანა განაპირობა (Stubbs, 2012). ეს ყოველივე მიანიშნებს, რომ საფრანგეთს, როგორც გარე აქტორს, სერიოზული გავლენა ჰქონდა ბასკეთის კონფლიქტის ესკალაციის საკითხში. ეს ყოველივე კი იმაზე მიანიშნებს, რომ სწორედ გარე აქტორების ძალისხმევა იყო ის მნიშვნელოვანი კომპონენტი, რომელმაც ძალადობრივი ელემენტის გაღვივება გამოიწვია ბასკებსა და ესპანელებს შორის ურთიერთობებში და ამით პრაქტიკულად, ძირი გამოსთხარა კონფლიქტის მშვიდობიანი, კომპრომისული მეთოდებით მოგვარების თემას. ფრანგების ნაბიჯების ზემოხსენებულ პირველ და მეორე კარლისტურ ომებში გადაზრდამ 1830-იან და 1870-იან წლებში რეალურად მოამზადა ნიადაგი

ნაციონალისტური სულისკვეთებისათვის. აქ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ ფრანგი დამპყრობლების მხრიდან ბასკების თვითმმართველი უფლებების შერყევის კვალობაზე სწორედ კარლისტური ომების დამსახურებით ბასკებს ბევრი ავტონომიური უფლება დაეკარგათ, რაც მათ თავიანთი ისტორიული სიძლიერის შელახვად შერაცხეს (Shih, 1998), ფაქტობრივად, ჩანს გარე აქტორების მავნე გავლენა რადიკალური ზომების წახალისებაში. როგორც შიჰი აღნიშნავს, ძალადობრივ ასპექტებზე დამყარებული პროცესები გამოიწვია სწორედ ამ უფლებრივმა შეზღუდვებმა, რომლებიც თავის დროზე ფრანგების რეგიონის საქმეებში ჩარევით და შემდგომ კარლისტური მსოფლმხედველობის რეგიონში შეჭრის შედეგად გაჩნდა (Shih, 1998). აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მე-19 საუკუნეში სხვადასხვა დროს ბასკურ ეთნოსზე არსებული ფრანგული გარე გავლენებით წარმოშობილი და ესპანური იდეოლოგიური ქოლგით გაძლიერებული ძალადობრივი კამპანია, რომელსაც სერიოზული გამოხმაურება ჰქონდა ბასკურ ეთნოსს შიგნით, მნიშვნელოვნად გახდა ძალადობრივი მუხტის ამოქედების წინაპირობა ეთნოსში.

ისტორიული ანალიზიდან გამომდინარე, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელებისაგან განსხვავებით, ბასკებში არ იკვეთებოდა ფსიქოლოგიური და სულიერი კავშირი ესპანელების მიმართ. ამასთანავე, შეიძლება ითქვას, რომ ისინი, პრაქტიკულად, მოწყვლადნი აღმოჩნდნენ გარე გავლენების მიმართ იმ თვალსაზრისით, რომ ამ გავლენებს მათში ძალადობრივი სულისკვეთება თანდათან უფრო გაეღვივებინათ ესპანელების წინააღმდეგ. ამ მხრივ, გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს, რომ “PNV”, რომელსაც დაძაბული სულისკვეთების ხაზიდან საბოლოოდ აღარ გადაუხვევია, ირლანდიური რადიკალური ჯგუფის, „შინ ფეინის“ იდეოლოგიური გავლენის ქვეშაც მოექცა დაარსების პროცესშიც და შემდგომაც (Conversi, 1993). ეს იმ რეალობას ადასტურებს, რომ მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდიდან, როცა ნაციონალისტური სულისკვეთება

რეგიონში ფეხს იკიდებდა, ბასკებზე საკმაოდ სერიოზულ გავლენას ახდენდნენ რადიკალური გარე აქტორები. გასათვალისწინებელია, რომ სწორედ "შინ ფეინის" წევრთა ზეგავლენით ბასკები სკეპტიკურად განეწყვნენ პოლიტიკური პროცესის დემოკრატიული პრინციპებით წარმართვისა და თავიანთი ნაციონალისტურ ორგანიზაციის შიდა-ინფრასტრუქტურული სამუშაოებიც სწორედ მათი გამოცდილების გაზიარებით შექმნეს, რაც დიდწილად ძალადობრივ სულისკვეთებას ეყრდნობოდა (McCreanor, 2019). ეს ბუნებრივია, ქმნის სურათს, რომ ბასკებს დასახული მიზნების მიღწევა თავდაპირველადვე ძალადობრივი მიდრეკილებების მეშვეობით ესახებოდათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მე-12 საუკუნის პერიოდიდან იკვეთებოდა მონათესავე კავშირები ბასკ და ირლანდიურ ეთნოსებს შორის (McCreanor, 2019), ერთი შეხედვით, თითქოს გასაკვირი არც უნდა იყოს, რომ შეიძლებოდა ირლანდიელებს ბასკების კონფლიქტზე გარკვეული გავლენები ჰქონოდათ. საინტერესოა, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს, როცა ბასკური "PNV" დაფუძნდა და ფეხს იკიდებდა, არანამ საკუთარი სტრატეგიულ-ტაქტიკური ნაბიჯების დაგეგმვა სწორედ ირლანდიელების გავლენით დაიწყო. მე-19 საუკუნის 90-იან წლებში პერიოდულ გამოცემებში იბეჭდებოდა ირლანდიელი ნაციონალისტების, დენიელ ო'კონელის, ჩარლზ სტიუარტ პარნელისა და სხვათა გზავნილები ბასკების რადიკალური ნაციონალიზმისაკენ მიდრეკილების შესახებ (McCreanor, 2020). ეს, პრაქტიკულად, აჩვენებს, რომ ნაციონალისტური მოძრაობის ფორმირების საწყისი ეტაპიდანვე იგრძნობოდა გავლენები ირლანდიელი ნაციონალისტების მხრიდან ბასკების ძალადობრივი მიდრეკილებების გასაძლიერებლად. ამ მხრივ, გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს, თუკი ბასკური ეთნიკური უმცირესობა სისხლისღვრის მანკიერ გზას დაადგა ესპანელების წინააღმდეგ.

მაკრეანორის პირდაპირი აქცენტი იმაზე, რომ ბასკური რადიკალიზმის გამძაფრებაში სერიოზული წვლილი შეიტანეს ირლანდიურმა 1916 წლის "აღდგომის აჯანყებამ" და მისმა იდეოლოგებმა

(McCreanor, 2020), კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ ბასკების ნაციონალისტური მოძრაობის წარმოშობისთანავე ის ძალადობისაკენ წახალისდა გარე ფაქტორების გავლენით. გარდა ამისა, თუ გავითვალისწინებთ „ბასკური ნაციონალისტური პარტიის“ ბაზაზე 1920-იან წლებში ქალთა ორგანიზაციის ექსტრემისტული მოტივებით შექმნას „ირლანდიელ ქალთა საბჭოს“ მოდელით (Conversi, 1993), ცხადი გახდება, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისშიც ბასკების მიდრეკილებები ძალადობისაკენ არ შენელებულა. თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ იმავე 1920-იანი წლების დასაწყისში ირლანდიელმა ამბროს მარტინ ო'დელიმ ირლანდიური ნაციონალისტური მოძრაობის განვითარებაში ქალების განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი ბილბაოში „ბასკური ნაციონალისტური პარტიის“ ღონისძიებაზე ყოფნისას და ამით ბასკეთში „პატრიოტ ქალთა ასოციაციის“ აღმავლობას შეუწყო ხელი (Conversi, 1993), მიუთითებს ისტორიის ამ ეტაპზე არსებული ძალადობრივი გარე ფაქტორების სერიოზულ წვლილზე ძალადობრივი მიდრეკილებების წახალისებასთან მიმართებით ესპანეთის აღნიშნულ რეგიონში. საინტერესოა, რომ ო'დელი, რომელიც, თავის მხრივ, არგენტინაში იძულებით ემიგრირებული ირლანდიელი იყო, თავად არგენტინის სახელმწიფოში მცხოვრებ ბასკებთანაც დაამყარა კავშირი და მათშიც ცდილობდა, ირლანდიური ნაციონალისტური სულისკვეთების ჩანერგვას (McCreanor, 2020). აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1920-იანი წლების დასაწყისში, როდესაც "CNV"-ში განხეთქილება მოხდა, ექსტრემისტულად განწყობილი ფრთის მიერ კვლავ "PNV"-ის რეინკარნაცია ძალადობრივი შემართებით სწორედ ირლანდიური "შინ ფეინის" გავლენით დაიმუხტა (Conversi, 1994). ეს, შეიძლება ითქვას, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ირლანდიელებს, როგორც ცალკეულ გარე აქტორს სერიოზული გავლენა ჰქონდათ ბასკურ კონფლიქტზე. ის ფაქტი, რომ არგენტინაში ემიგრირებულმა ირლანდიელმა ბასკეთში სტუმრობისას ბასკებს ყურადღება გაუმახვილა თავდაჯერებულობითა და საჭირო მომენტში

თავგანწირვით ცეცხლისა და მახვილის გამოყენებით მიზნებისაკენ სწრაფვაზე (McCreanor, 2019) მეტყველებს ძალადობის წახალისებაზე ესპანეთის აღნიშნულ რეგიონში. თავის მხრივ, ო'დელის ყურადღება ასევე გამახვილებული ჰქონდა ცნობადობის ამაღლებასა და ბასკების მხრიდან საკუთარი თავის მსხვერპლის როლში გამოყვანაზე (McCreanor, 2019), რასაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, შემდგომმა ისტორიულმა მოვლენებმაც შუეწყო ხელი.

გარდა ყოველივე ზემოხსენებულისა, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სწორედ ირლანდიელებისაგან ისწავლეს ბასკებმა პოლიტიკური პატიმრებისა და რეჟიმს შეწირული ადამიანების გამოყენებით საკუთარი თავის ესპანელთა მხრიდან ჩაგრულად გამოყვანა და ამ მხრივ, პოლიტიკური დივიდენდების მიღება ძალადობის განხორციელების ლეგიტიმაციისათვის (McCreanor, 2019). ამ ყოველივეს გასაანალიზებლად ნუნეცის აზრი უნდა მოვიშველიოთ, რომლის თანახმადაც, ირლანდიური რადიკალური სულისკვეთება უდავოდ იყო გარე ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა ბასკთა გამართული, მწყობრი იდეოლოგიური დღის წესრიგის ჩამოყალიბებას ესპანელთა წინააღმდეგ (McCreanor, 2019). ეს გვაძლევს საფუძველს, აღვნიშნოთ, რომ ირლანდიელთა ეს ინსპირაცია ნამდვილად სერიოზული წამახალისებელი ფაქტორი იყო ბასკური ნაციონალისტური სულისკვეთების ძალადობრივი ენერგიით დასამუხტად. მნიშვნელოვანია ისიც, რომ 1920-იან წლებში, ანუ ბასკური ნაციონალიზმის განვითარების ჯერ კიდევ საწყის ფაზაში, ირლანდიური სამოქალაქო დაპირისპირების მიმდინარეობის ფონზე ბასკურ პერიოდულ გამოცემა "Euzkadi"-ში ქვეყნდებოდა ირლანდიური აგიტაციის ამსახველი მასალები. აღნიშნულ მასალას რეალურად ბასკ ადრესატებს აწვდიდა ესპანეთის ტერიტორიაზე მომუშავე ირლანდიური ფარული აგენტურული ქსელის წარმომადგენლობა (McCreanor, 2019). ეს ყოველივე, თავის მხრივ, კიდევ ერთი წამახალისებელი ფაქტია ბასკეთში ძალადობრივი მოძრაობის მიმართულებით. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამას ადასტურებს

ბასკურ პრესაში გავრცელებული საზოგადოებრივი აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ ბასკებს საკუთარი თავისუფლებებისა და უფლებების დასაცავად ისევე მოუწევდათ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლა ესპანელების წინააღმდეგ, როგორც ამას ირლანდიელები ინგლისელების წინააღმდეგ აკეთებდნენ. თუ აქვე გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ აზრს განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს რამდენიმე გამორჩეული ბასკი ნაციონალისტი, მათ შორის ელი გალასტეგი (McCreanor, 2019), კიდევ ერთხელ ნათელი გახდება ირლანდიური ნაციონალისტური სულისკვეთების გავლენა ბასკებზე ძალადობის წახალისების თვალსაზრისით.

ო'დელის თანამემამულე იმონ დე ვალერას მსოფლმხედველობრივი ზეგავლენა ბასკურ დაჯგუფება „Ekin"-ზე (Conversi, 1993), შეიძლება ითქვას, სწორედ ამავე ლოგიკას ავითარებს. 1916 წლის ირლანდიური აჯანყება და დე ვალერას მიდგომები მნიშვნელოვან მუხტად იქცა ბასკეთში ექსტრემისტული ხასიათის წინააღმდეგობის მოძრაობის ჩამოყალიბებაში (Conversi, 1993), რაც, ფაქტობრივად, ძალადობრივი კამპანიის კიდევ უფრო გამწვავების ტოლფასია. ამ გარემოებებიდან ნათლად ჩანს, რომ ნაციონალისტური მიდგომების გაჩაღების საწყის ეტაპზე საკმაოდ თვალსაჩინო გავლენა ვრცელდებოდა ბასკეთში ძალადობრივი ხასიათის აქტორების მხრიდან, რაც სერიოზულ ნიადაგს ამზადებდა სისხლისმღვრელი, მანკიერი დაპირისპირებისათვის. ამ ყოველივეს ფონზე, ბუნებრივია, გაკვირვებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ ბასკეთში ნაციონალისტური მუხტის განვითარების მომდევნო ეტაპებს თან ახლდა ძალადობრივი ფონის გაძლიერებაც. თუ დავაკვირდებით ოდნავ მოგვიანებით განვითარებულ მოვლენებს, შევამჩნევთ, რომ ირლანდიელების მხრიდან ბასკების ძალადობრივი წახალისება არა თუ არ განელებულა, არამედ უფრო გაძლიერდა კიდეც. 1930-იან წლებში გენერალი ეოინ ო'დაფი და ჯორჯ გილმორი ბასკეთში ჩავიდნენ. ო'დაფიმ წერილობითი დოკუმენტით ირლანდიელთა შეიარაღებული მხარდაჭერა

აღუთქვა ბასკებს მეორე რესპუბლიკის წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ბრძოლის გასაჩაღებლად, ხოლო გილმორმა კი ნაციონალისტურად განწყობილ სასულიერო პირთან და მის თანამოაზრეებთან დაამყარა კონტაქტი. მაკრეანორის გადმოცემით, ეს რეალურად იყო რეგიონში სისხლიანი დაპირისპირების წამახალისებელი ფაქტორი, რომელიც ეყრდნობოდა ირლანდიელთა სამოქალაქო დაპირისპირების გამოცდილებას (McCreanor, 2022). ამ მხრივ, პრაქტიკულად, ნათელი ხდება, რომ რადიკალური ატმოსფეროს გაღვივება ბასკეთში ირლანდიური გავლენით საკმაოდ თვალსაჩინო იყო მანამდე, სანამ ტერორიზმი ფეხს მოიკიდებდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს გარე აქტორი აღნიშნულ რეგიონში ჭარბად ახალისებდა ძალადობრივ ფონს. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმის აღნიშვნა, რომ ასეთი გარემო სერიოზული პირობების შემქმნელი იყო ტერორისტულ-ექსტრემისტული ჯგუფის/ჯგუფების განვითარებისათვის.

აღსანიშნავია, რომ 1940-იან წლებში “PNV” აწყობდა მრავალ ძალადობრივ პროვოკაციას ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, რაზეც ფრანკომ ბასკების მიმართ მკვლელობებისა და დაპატიმრებების სერია წამოიწყო. 100 000-ობით ბასკი რეგიონიდან გადაიხვეწა კიდეც (Turner, 2015). ეს მიუთითებს იმაზე, რომ, თავის მხრივ, ბასკი ნაციონალისტები არ უშინდებოდნენ ძალის დემონსტრირებას ესპანეთის ხელისუფლების მიმართ არც მაშინ, როდესაც ნაციონალისტური ტალღის ახალი ეტაპი იწყებოდა. ფაქტებიდან ცალსახად ჩანს, რომ ამ პერიოდში ბასკი რადიკალების პროტესტს ესპანეთის დიქტატორულმა რეჟიმმა რეპრესიული პოლიტიკით უპასუხა, რამაც ბევრი ადამიანის ციხეში გამომწყვდევა, სიკვდილი ან/და გადასახლება გამოიწვია. აქედან გამომდინარე, ნათელია ძალადობრივი ფონი ამ მოვლენებში. ბასკეთში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებით ძალზე საინტერესოა ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ სახელმწიფოში, ისრაელში არსებული სიტუაციის გავლენა. მნიშვნელოვანია, რომ მე-20 საუკუნის 40-იანი წლების პერიოდში

ესპანეთის აღნიშნულ რეგიონში სწორედ ისრაელი იქცა მნიშვნელოვან მაგალითად მოქმედებათა განსაზღვრის თვალსაზრისით. ისრაელში საკუთარი საპროტესტო განწყობებით ცნობილი ორგანიზაცია "ირგუნი" საკმაო პოპულარობით სარგებლობდა "Ekin"-ის წევრთა შორის. ბასკებზე ძალზე დიდი ეფექტი მოახდინა აღნიშნული ებრაული ორგანიზაციის ლიდერის, მენაჰემ ბეგინის ძალადობრივმა მოწოდებებმა (Conversi, 1993). ეს ყოველივე მიუთითებს, რომ ისრაელში არსებული მოძრაობა "ირგუნის" იდეოლოგია და მისი შემქმნელები შთაგონების მნიშვნელოვან წყაროდ იქცნენ ბასკების მხრიდან ძალადობრივი კამპანიის დაგეგმვისა და განხორციელების საკითხში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ "ირგუნის" მხრიდან 1948 წელს იერუსალიმში არსებულ ერთ-ერთ სასტუმროზე, "მეფე დავითზე" თავდასხმამ (რომელმაც 90-ზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო 40-ზე მეტი მძიმედ დააზარალა (კაუფმანი, 2020)) ექსტრემისტი ბასკების თვალში ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა (Alonso, 2011), ნათელი გახდება ის ფაქტი, რომ ბასკებისათვის ძალადობა, მათ შორის ინფრასტრუქტურული ზარალის მომტანი ტერაქტები მნიშვნელოვან იარაღად უნდა ქცეულიყო.

გაერთიანებული სამეფოს კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცების წინააღმდეგ მხოლოდ 40 კაცამდე მებრძოლით დაკომპლექტებული "ირგუნი" ბასკეთში, პრაქტიკულად, იქცა ძალადობის წამახალისებელ გარემოებად (Alonso, 2011), რაც, შეიძლება ითქვას, გარე სივრციდან ესპანეთის აღნიშნულ რეგიონზე არსებული გავლენის მორიგი დასტურია. ახლო აღმოსავლეთის რეგიონის "ETA"-ს ძალადობისაკენ მიდრეკილების საკითხზე მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებდა ლიბანისა და იემენის ფაქტორიც (Alonso, 2011). ორივე სახელმწიფო, შეიძლება ითქვას, არა მხოლოდ უბრალო შთაგონების წყარო იყო, არამედ პრაქტიკულ დანიშნულებასაც ატარებდა ბასკეთში სიტუაციის რადიკალური ნიშნით წახალისებასთან მიმართებით. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ. საინტერესოა, რომ 1930-იან წლებში, როდესაც ბასკებს

მკვეთრად დაეძაბათ ურთიერთობა ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ბევრი მათგანი საფრანგეთში გადაიხვეწა, სადაც მათი შეფარება და უზრუნველყოფა საკუთარ თავზე აიღო ფრანგული ხელისუფლების მხარდაჭერით მოქმედმა არაერთმა ორგანიზაციამ, რომლებიც ბასკეთის ადგილობრივ მმართველობას ექვემდებარებოდნენ. ამ ბასკებმა შემდგომ ასევე საფრანგეთის ხელისუფლების ხელშეწყობით ჩამოაყალიბეს კავშირები და სხვადასხვა ხერხის საშუალებით ცდილობდნენ ესპანეთის ბასკეთის რეგიონში დარჩენილ ბასკთა ხელშეწყობას ესპანელების წინააღმდეგ ნაბიჯების გადასადგმელად (Stubbs, 2012). ამ ფაქტობრივ გარემოებაში იკვეთება, რომ საფრანგეთის მხრიდან ესპანელთა წინააღმდეგ ბასკთა არა მხოლოდ წაქეზების, არამედ ღიად მხარდაჭერის ნიშნები იკვეთებოდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში, რაც რეალურად აღვივებდა კონფლიქტს ბასკებსა და ესპანელებს შორის და სიტუაციას ძალადობრივ ელფერს ანიჭებდა. ეს კი მთლიანობაში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გარე გავლენების რელევანტურობას ბასკეთის კონფლიქტში.

მართალია საფრანგეთის ნაცისტური ოკუპაციის შემდგომ ჰიტლერის გუნდი ბასკების მიმართ კეთილგანწყობით არ გამოირჩეოდა (Stubbs, 2012), თუმცა ფაქტია, რომ საფრანგეთი მუდმივად ცდილობდა როგორც თავის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი ბასკური თემის, ისე ესპანურ სახელმწიფოში მცხოვრები ბასკების მხარდაჭერას, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბასკთა მხრიდან ძალადობის საკითხში გარე გავლენების ფაქტორის არსებობას. საინტერესოა ასევე ის ფაქტიც, რომ ფრანკოს დიქტატორული მმართველობის პირობებშიც 1950-იან წლებში, ნაცისტური ოკუპაციისაგან გათავისუფლებული საფრანგეთი ესპანეთის წინააღმდეგ მკაცრი ნაბიჯების გადადგმის ინიციატივით გამოდიოდა (Stubbs, 2012). პრაქტიკულად, ჩანს საფრანგეთის ნეგატიური დამოკიდებულება ესპანეთის სახელმწიფოს მიმართ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან, როცა ის უკვე აღარ იმყოფება უცხო ქვეყნის

ანექსიის ქვეშ და ცდილობს, იმ სახელმწიფოს მიმართ გამოხატოს პროტესტი, რომელიც თავის ტერიტორიაზე ბასკურ უმცირესობას ჩაგრავს. ამ ყოველივეს, შეიძლება ითქვას, ნიადაგს უმყარებდა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც გარე აქტორის წვლილიც ბასკთა ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში. კონკრეტულად, ფრანკოს რეჟიმის დამყარების შედეგად როგორც ესპანეთიდან გაძევებულ ბასკეთის ადგილობრივ ხელისუფლებას, ისე "PNV"-ის ჰქონდათ გარკვეული ხასიათის მხარდაჭერა ამერიკელების მხრიდან (Stubbs, 2012). ამ მხრივ, ნათელია, რომ გარე ფაქტორები სერიოზულად მნიშვნელოვან წვლილს დებდა ბასკური ეთნიკური ნაციონალიზმის რადიკალიზაციაში ჯერ კიდევ ტერორიზმის რეგიონში განვითარებამდე. ეს მიუთითებს, რომ ძალადობის წახალისებაში მრავალ გარე აქტორს, განსაკუთრებით კი საფრანგეთს საკმაოდ სერიოზული გავლენა ჰქონდა რეგიონზე.

**4. 1. 2. გარე ფაქტორების გავლენა მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იან წლებში კატალონიის რეგიონზე**

კატალონიასთან მიმართებით კვლევის პროცესში გამოიკვეთა ის კომპრომისული ვითარება, რომელზეც გავლენა ნაკლებად ჰქონდათ გარე აქტორებს მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იან წლებში. უფრო კონკრეტულად რომ ითქვას, კატალონიის შიგნით არსებული მოსახლეობა ძირითადად არ განიცდიდა გავლენას გარე ასპარეზიდან. კატალონიაში მცირედი იყო მხოლოდ და მხოლოდ ისეთი აქტორების მიმართ სიმპათია, რომელთაც უფრო არაძალადობრივი გზით სურდათ მიზნების მიღწევა. ამის ერთ-ერთ უპირველესი მაგალითი მე-19 საუკუნეში შექმნილი ორგანიზაცია „ფელიბრიჯი" არის. საფრანგეთში კულტურული მოტივებით შექმნილი ეს გაერთიანება, რომლის მუხტიც რადიკალური ეთნიკური მიდრეკილებების გაჩენისკენ საერთოდ არ ყოფილა მიმართული, მიზიდულობის მნიშვნელოვან ცენტრად იქცა კატალონიელებისათვის (Conversi, 1993). აქვე გასათვალისწინებელია ამავე საუკუნეში კულტურულ მოტივებზე

დაწყებული მოძრაობა „რენექსენკა“ (“რენესანსი”), რომელმაც მნიშვნელოვანი საფუძველი მოამზადა შემდგომში განვითარებული მოვლენებისათვის (Etherington, 2003). ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ საწყის ეტაპზე კატალონიელებს სრულებით არ ჰქონდათ სიმპათია ძალადობრივი განწყობების მქონე გარე აქტორთა მიმართ. მათი ყურადღება, პირიქით, უფრო მშვიდობიანი ფორმის მოძრაობებისაკენ იყო მიმართული. თუ მით უმეტეს გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ვალენტი ალმირალი მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კატალონიისა და კასტილის მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ავსტრია-უნგრეთის მოდელის შესაბამისი ფედერალური მოწყობის იდეით გამოდიოდა (Conversi, 1993), კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი კატალონიაში ნაციონალისტური პროცესების საწყის ეტაპზე არსებულ არაძალადობრივ ხასიათს.

საინტერესოა, რომ ისტორიის იმავე ეტაპზე ირლანდიური მოძრაობის მიდგომები თავდაპირველად კატალონიის მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა აიტაცა. მიუხედავად ამისა, ამ რეგიონის მოსახლეობას განსხვავებული დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა აღნიშნული გარე აქტორის მიმართ როგორც იმავე მე-19, ისე მომდევნო მე-20 საუკუნეებში. კერძოდ, კატალონიური ეთნოსის დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ თვისობრივი განსხვავება არსებობდა ირლანდიისა და კატალონიის საკითხში: ირლანდია როგორც გეოგრაფიულად, ისე რელიგიურად, რასობრივად და კიდევ ბევრი სხვა კრიტერიუმით ძალზე შორს იყო ბრიტანეთისაგან, კატალონია კი როგორც ადგილმდებარეობით, ისე ისტორიული წარსულით კასტილიის ნაწილი იყო (Ehrlich, 1995). ამასთან, 1916-1936 წლების პერიოდში ირლანდიელების მიერ წამოწყებული პროცესები კატალონიაში გარკვეულწილად გახდა რადიკალურ-ექსტრემისტული მიდგომების წამახალისებელი ფაქტორი, თუმცა ამ რეგიონში ამ იდეას საბოლოოდ პოპულარობა ნაკლებად ხვდა წილად (Conversi, 1993). ამ ყოველივედან ჩანს, რომ მიუხედავად გარკვეული გადახვევებისა, კატალონია მთლიანობაში მე-19 საუკუნის პერიოდსა და მე-

20 საუკუნის დასაწყისში მშვიდობიანი, არაძალადობრივი ხასიათის ვითარებით გამოირჩეოდა. ამ მხრივ, შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ რეგიონში არსებული გარკვეული უთანხმოებები ცენტრალური ხელისუფლების მიმართ სულაც არ ყოფილა ისტორიის ამ ეტაპზე ძალადობისა და სისხლისმღვრელი კამპანიის წინაპირობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კატალონიელებს სერიოზული სურვილი და მისწრაფება ჰქონდათ, ესპანელებს დახმარებოდნენ თავიანთი სახელმწიფოს გაუმჯობესებაში სხვადასხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური რეფორმის საფუძველზე (Ehrlich, 1995), კიდევ ერთხელ ცხადი გახდება, რომ კატალონიას ნამდვილად არ ჰქონდა თავის სახელმწიფოსთან და მის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ძალადობრივი გზით დაპირისპირების სურვილი. ამაში კი, თავის მხრივ, როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ კატალონიაზე ისტორიის ამ ეტაპზე თითქმის არცერთ გარე აქტორს არ ჰქონდა არავითარი მავნე ზემოქმედება რეგიონში ძალადობის წახალისების მიმართულებით. მცირედით არსებული ამგვარი გავლენები ძირითადად მხოლოდ მოკლევადიანი ეფექტის მატარებელი იყო და მომდინარეობდა ისეთი გარე ფაქტორებიდან, რომელთაც შინაარსობრივად არაძალადობრივი ხასიათი ჰქონდათ.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ კატალონიური მოდელი, თავის მხრივ, ჩამოყალიბდა ევროპაში ფედერალიზაციის მნიშვნელოვან ასპექტად, რომლის თანახმადაც ყველა ეთნოსს უნდა ესარგებლა როგორც კულტურული თვითმყოფადობით, ისე ინსტიტუციური ავტონომიით. ამ მხრივ, კატალონიას ურთიერთობები ჰქონდა შოტლანდიასთან (Conversi, 1993), თუმცა კვლევიდან ჩანს, რომ კატალონია შოტლანდიაზე გაცილებით ადრე ახერხებდა მიზნების მიღწევას. მაგალითად, თუ შოტლანდიაში რეგიონალიზაციის განვითარების საკითხი 1990-იანი წლების ბოლოს წარიმართა, კატალონიაში ეს ყოველივე გაცილებით ადრე 1970-იანი წლების ბოლოს მოხდა (Greer, 2007). ეს, შეიძლება ითქვას, ქმნის ძალზე საინტერესო სურათს: კატალონიაზე ისტორიის ამ ეტაპზე არსებული გარე აქტორები კი

არ ახდენდნენ გავლენას ნაციონალისტური პროცესების წარმართვის თვალსაზრისით, არამედ ის თავად იყო მისაბაძი რეგიონი ბევრი სხვა გარე აქტორისათვის კონტინენტზე. ეს აჩვენებს იმ მოცემულობას, რომ კატალონიის რეგიონში მიმდინარე პროცესზე, პრაქტიკულად, არ ჰქონდათ გავლენა კონკრეტულ აქტორებს. ის ფაქტი, რომ ბურჟუაზიული და ინტელიგენტური წრეების წარმომადგენელთა ჩართულობით კატალონიის ნაციონალიზმს ზნეობრივი, კულტურული ორიგინალობა ახასიათებდა (Medrano, 1994), კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კომპრომისული ვითარების ალბათობას რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესში. „ლიგა რეჯიონალისტა“ რომელიც ნაციონალიზმის პროცესების სათავეში იდგა რეგიონში, ორიენტირებული იყო ძირითადად საგანმანათლებლო, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ რეფორმებზე.

საინტერესოა, რომ მიუხედავად აზრთა პრინციპული სხვადასხვაობისა, კატალონიის ელიტა ცდილობდა გარკვეულ საკითხებზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომპრომისების გამოძებნას 1920-30-იან წლებში (Medrano, 1994). აქ, პრაქტიკულად, იკვეთება რეგიონის მოსახლეობის საქმიანი მიდგომა პროცესებისადმი, რომელიც ძირითად შემთხვევებში მოიცავდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან საერთო ენის გამონახვის ასპექტებს. საინტერესოა, რომ 1930-იან წლებში „ლიგა რეჯიონალისტამ“ უკანა პლანზე გადაიწია, რადგან ასპარეზის დიდი ნაწილი კატალონიაში „რესპუბლიკელი მემარცხენეები“ („ესკუერა რეპუბლიკანამ”), ანარქისტთა გაერთიანება “CNT”-იმ და აგრარულ სექტორში დასაქმებულთა ჯგუფმა „უნიო დე რიბასარესმა“ დაიკავეს კოალიციურ ფორმატში, წინა პლანზე კი წამოვიდა კატალონიის სეპარატიზმის საკითხები (Medrano, 1994). აქ იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროცესები შესაძლოა, სულაც ძალადობრივი გზით წასულიყო და სისხლისმღვრელი კონფლიქტი გაჩაღებულიყო. იმის გათვალისწინებით, რომ ესპანეთის ხელისუფლებამ მაშინ რეგიონის მოსახლეობას შესთავაზა ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებით მოლაპარაკებების პროცესის

დაწყება, დაძაბული ფონი დამშვიდდა და სეპარატისტული მიდრეკილებებიც ჩაცხრა (Medrano, 1994). ბუნებრივია, აქ შესაძლებელია გაჩნდეს აზრი იმის შესახებ, რომ გარკვეულ პერიოდებში სიტუაციის განმუხტვას ცენტრალური ხელისუფლების მიდგომები განაპირობებდა. რასაკვირველია, ამ მოსაზრებას არსებობის უფლება აქვს, თუმცა თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კატალონიის მოსახლეობაში გარკვეული რადიკალიზმის გამოვლენის დროს არც გარე ფაქტორების გავლენა და არც უშუალოდ რეგიონის მათთან კავშირები მაინც და მაინც არ იგრძნობოდა, თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ამგვარი გავლენების არარსებობა კომპრომისების გამოძებნისათვის გაცილებით მეტ სივრცეს აჩენდა. აქ ძალზე საინტერესოა ერთი გარემოება: კატალონიაში შემავალი ტერიტორიების - ბარსელონას, ჟირონის, ლეიდასა და ტარაგონას - ერთიანი მმართველობის ჩამოყალიბების პროცესს ხელი შეუშალა გენერალ პრიმო დე რივერას მმართველობამ, რომელიც 1930 წლამდე გაგრძელდა. დე რივერას რეჟიმის დემონტაჟის შემდგომ კი კატალონიას მიეცა გარკვეული ხასიათის ავტონომია საკუთარ ტერიტორიაზე (Etherington, 2003), რომელიც შემდგომ ფრანკოს რეჟიმმა ჩამოართვა ძალადობრივი გზებით 1930-იანი წლების მეორე ნახევარში (Webber & Strubell i Trueta, 1991). აქ მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მიუხედავად იმისა, რომ იკვეთებოდა ძალადობრივი მიდგომები ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებაში არსებული სხვადასხვა ჯგუფის მხრიდან კატალონიის მისამართით, უშუალოდ რეგიონის ძირითად მოსახლეობაში ყოველთვის ჩანდა იმის ნებისყოფა, რომ მათ ძალადობრივი პასუხი არ გაეცათ მანკიერი რეჟიმის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ფრანკოს დიქტატურა სერიოზულად ავიწროებდა რეგიონს, კატალონიელთა მხრიდან თითქმის არ ყოფილა მიდრეკილებები ძალადობისაკენ (Webber & Strubell i Trueta, 1991). როგორც ჩანს, აქ თავისებურ გავლენას ახდენდა ის ფაქტი, რომ როგორც მე-19 საუკუნეში, ისე მე-20 საუკუნის საწყის დეკადებში გარე სივრციდან არ იყო წახალისებული ძალადობრივი ფონი რეგიონში. თუ გავითვალისწინებთ

იმასაც, რომ ირლანდიური მოდელი დროთა განმავლობაში კატალონიელთათვის მიუღებელი გახდა სწორედ მისი ძალადობრივი ხასიათის გამო (Conversi, 1993), ნათელი გახდება, რომ კატალონიელთათვის ძირითადად უფრო არაძალადობრივი ხასიათის მიდგომები იყო მნიშვნელოვანი ესპანეთის ხელისუფლების მიმართ.

ამ მხრივ, კვლევის თანახმად, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნესა და 1900-1940-იან წლებში ბასკეთში გარე აქტორების გავლენით სიტუაციის წახალისება ხდებოდა უფრო ძალადობისაკენ, ხოლო კატალონიის ვითარება კი შედარებით უფრო კომპრომისული იყო, რადგან აქ გარე ასპარეზიდან ნაკლებად იგრძნობოდა გავლენა პროცესებზე და რა დოზითაც იგრძნობოდა, ეს მხოლოდ არაძალადობრივ თემატიკას ეხმიანებოდა.

**4. 2. გარე ფაქტორების გავლენა 1950-1980-იან წლებში**

ზემოაღწერილი გარემოებებიდან გამომდინარე საინტერესოა, როგორ განვითარდა მოვლენები 1950-1980-იანი წლების პერიოდებში. ისტორიის ამ ეტაპზე ორივე კონფლიქტური სიტუაციის გამოკვლევის აუცილებლობა შექმნა იმ ფაქტმა, რომ ამ პერიოდში განსხვავებულ ტალღაზე გადავიდა ნაციონალისტური პროცესები ესპანეთის რეგიონებში. აქედან გამომდინარე, საჭიროა განვიხილოთ ამ პერიოდის კვლევის შედეგები გარე აქტორების გავლენის თვალსაზრისით ბასკეთსა და კატალონიაზე.

**4. 2. 1. გარე ფაქტორების გავლენა 1950-1980-იან წლებში ბასკეთის რეგიონზე**

კვლევიდან ჩანს, რომ მიუხედავად “PNV”-ის რადიკალური მიდგომებისა, მისი პოლიტიკა საკმარისად მკაცრი არ იყო ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, რის გამოც საჭიროება გაჩნდა ზემოხსნებული “Ekin”-ის შექმნასთან დაკავშირებით (Turner, 2015). ამ მხრივ, გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს, რომ ასპარეზზე ახალგაზრდობის გამოსვლის საჭიროება გამოიკვეთა. ამასთანავე, ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში ესპანეთში არსებული

არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში საფრანგეთი, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გამოირჩეოდა ბასკების პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერით, ესპანელთა მიმართ სერიოზულ წინააღმდეგობას ავლენდა (Stubbs, 2012). ეს, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ 50-იან წლებში ბასკებმა შეაბიჯეს ფრანგული გარე გავლენების თანხლებით. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ბასკური ნაციონალიზმი იმ პერიოდში კიდევ უფრო მეტად უნდა წასულიყო რადიკალიზაციისაკენ.

ნაციონალისტურ მოძრაობაში ახალგაზრდული რესურსის გამოყენების პრაქტიკა ბასკმა ექსტრემისტებმა აითვისეს როგორც „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის“, ისე გერმანული „წითელი არმიის ფრაქციისა“ და იტალიური „წითელი ბრიგადების“ პრაქტიკით. აქვე გასათვალისწინებელია ის ასპექტიც, რომ 1940-1950-იან წლებში რადიკალური პროტესტით განმსჭვალულ “Ekin”-სა და სხვა ახალგაზრდულ ჯგუფებს ფრანგული “ეგზისტენციალიზმისა”, შემდგომ ფილოსოფოს ჟან პოლ სარტრის (რომელიც შემდგომ, არც მეტი, არც ნაკლები, “ETA’-ს მიმართ პირდაპირ კეთილგანწყობილ დამოკიდებულებასაც კი ავლენდა) გავლენით ძალადობისაკენ მიდრეკილებები ემჩენეოდათ (Conversi, 1994). ეს, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ბასკებში გარე გავლენების დამსახურებით პროტესტის გამოხატვის ფორმები ძალადობრივ ელფერს იძენდა. ამ გავლენებში კი, ფაქტია, რომ ფრანგულ გავლენებს საკმაოდ სერიოზული ხასიათი ჰქონდა როგორც საწყის, ანუ მე-19 საუკუნის ეტაპზე, ისე შემდგომ პროცესების დინამიკაში მიმდინარეობისას.

ამ ყოველივეს ფონზე, ბასკთა მიერ 1950-იან წლებში შექმნილი ძალადობრივი ორგანიზაცია „ბასკთა სამშობლო და თავისუფლება“ (“ETA”) ამ ტერორისტული დაჯგუფებების იდეოლოგიური გავლენით ხალხის ხოცვას სწორედ ახალგაზრდების ხელით შეუდგა მომდევნო 1960-იანი წლების დეკადაში (Alonso, 2011). ამ მხრივ, ნათელია, რომ ამ პერიოდში გარე აქტორებს საკმაოდ მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდათ ბასკ

ექსტრემისტებზე ისტორიის იმ ეტაპებზეც, რომლებზეც, პრაქტიკულად, უფრო ცხელ ფაზაში გადადიოდა ნაციონალისტური სულისკვეთება: ანალიზიდან ჩანს, რომ საპროტესტო ტალღა გაცილებით უფრო ძალადობრივი გახდა ზემოაღნიშნული ორი დეკადის, ანუ 1950-60-იანი წლების პერიოდში, რადგან, ერთი მხრივ, ტერორისტული ფორმები შეიძინა, მეორე მხრივ კი, ახალი თაობის მეშვეობით დაიწყო საკუთარი მიზნების განხორციელება. რასაკვირველია, ფრანსისკო ფრანკოს დიქტატურის წნეხმა წააქეზა ჩაბი ეჩებარიეტასა და სხვა ლიდერების მხრიდან ბასკების მისამართით მოწოდება იარაღით ხელში საკუთარი პრინციპების დაცვასთან მიმართებით (Alonso, 2011). აქ ჩნდება მოსაზრება, რომ ფრანკოს რეპრესიული პოლიტიკაც, თავის მხრივ, გარკვეული დატვირთვის მატარებელი ფაქტორი იყო ბასკების ექსტრემიზმისაკენ წაქეზების საკითხში. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეჩებარიეტა, ისევე როგორც ბევრი მისი ბასკი თანამოაზრე, ხშირად ირლანდიურ პრაქტიკას იშველიებდა "ETA"-ს წევრების ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად (Alonso, 2011), კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი გარე ფაქტორების რელევანტურ წვლილს კონფლიქტის ესკალაციის მიმართულებით. ალონსოს აქცენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ახალგაზრდების "ETA"-ში გაწევრიანების სურვილს სწორედ გარე ფაქტორების გავლენა აძლიერებდა (Alonso, 2011), პრაქტიკულად, ანალოგიურ მოსაზრებას ამყარებს. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ "ETA"-ში გაწევრიანების მსურველთა რიცხვის 70-დან 300 კაცამდე ზრდა 1959-1960 წლებში (Turner, 2015) და თავის მხრივ, ორგანიზაციის მხრიდან 800-ზე მეტი ადამიანის მასობრივი ხოცვა 1968 წლიდან 2003 წლამდე (De la Calle & Snchez-Cuenca, 2006) სრულებით არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა და გარკვეული ლოგიკით ავითარებდა ძალადობას რეგიონში. ამ მხრივ, შესაძლოა, ფრანკოს მჩაგვრელობა თავისებურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა რეგიონში რადიკალიზმის განვითარებაზე, თუმცა გარე ფაქტორების

გავლენის წვლილი ბასკებში ექსტრემისტული და ძალადობრივი სიტუაციის ჩამოყალიბებაში, შეიძლება ითქვას, საგრძნობლად მნიშვნელოვანი იყო.

თუ განვიხილავთ 1960-იანი წლების მოვლენებს უფრო დეტალურად, ბასკთა ერთ-ერთმა თვალსაჩინო ლიდერმა ტქსილარდეგიმ, იგივე ხოსე ლუის ალვარეს ემპარანცამ (Conversi, 1993) საფრანგეთიდან ბასკთა მტკიცე ერთსულოვნების საჭიროების შესახებ გააკეთა მოწოდება, რასაც შემდგომ მოჰყვა "ETA"-ს მხრიდან ფრანკოს თანამებრძოლებით სავსე მატარებელზე თავდასხმა. ამას ფრანკოს რეჟიმის მხრიდან ორგანიზაციის წევრების მიმართ დევნა მოჰყვა, რის გამოც ბევრი მათგანი საფრანგეთში გადაიხვეწა (Turner, 2015). აქ რეალურად საქმე გვაქვს, როგორც გამიზნულ მსხვერპლთან, ისე ინფრასტრუქტურულ ზარალთან. აქ ასევე ჩანს იძულებით გადაადგილებული ხალხის ფაქტორი, რაც მნიშვნელოვანია ძალადობრივი სიტუაციის საერთო სურათის შესაფასებლად. ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ როგორც გეოგრაფიული სიახლოვის, ისე ხელისუფლების ლოიალური განწყობის გამო საფრანგეთში "ETA"-მ შეძლო საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და ასამბლეის პირველად მოწვევა (Turner, 2015), შესაძლებელი გახდება იმის თქმა, რომ საფრანგეთი, როგორც ევროპული გარე აქტორი ასევე მნიშვნელოვან წვლილს დებდა 1960-იან წლებში ბასკეთის კონფლიქტის გაღვივებაში. ამის ფონზე, 1968 წელს ბასკური დაჯგუფების წევრების მიერ მოკლული პოლიციის მაღალჩინოსანი, მილტონ მანძანასი, რასაც აფეთქებების, ხოცვა-ჟლეტისა და სხვა ტიპის კრიმინალური აქტივობების მთელი სერია მოჰყვა (Turner, 2015), რეალურად, კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, თუ საითკენ გადაიხარა სიტუაცია აღნიშნულ რეგიონში. საინტერესოა, რომ იმავე წელს ტერორისტული დაჯგუფების ერთ-ერთმა თვალსაჩინო ლიდერმა, ჩაბი ეჩებარიეტამ სიცოცხლეს გამოასალმა სამოქალაქო გვარდიის ოფიცერი, ხოსე პარდინეს არკაი. თავის მხრივ, ეჩებარიეტა შემდგომ სამართალდამცველებს ემსხვერპლა ("ETA ten years on: The key moments that

led to the end of the Spanish terror group", 2021). ეს გამიზნული მსხვერპლის ამსახველი ფაქტები კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დაარსებიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ მოძლიერებულმა დაჯგუფებამ თავისი ამბიციების დაკმაყოფილების მნიშვნელოვან მეთოდად სწორედ ძალადობა აირჩია, რომელსაც, როგორც კვლევა აჩვენებს, მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს გარე ფაქტორების ინსპირაცია ბასკეთის რეგიონზე.

მიუხედავად "ETA"-ს შიდა განხეთქილებების საფუძველზე ორგანიზაციის რამდენიმე ფრაქციად დაყოფისა, მისი წევრები ძირითად რადიკალურ ხაზს კვლავ უცვლელად განაგრძობდნენ. 1970-იან წლებში დაჯგუფების მხრიდან ესპანეთის პრემიერ-მინისტრ ადმირალ კარერო ბლანკოს მკვლელობამ და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობაზე თავდასხმით 12 უდანაშაულო ადამიანის დაღუპვამ გამიზნული მსხვერპლის რაოდენობა გაზარდა (Turner, 2015). ეს რეალურად კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ მოცემულობას, რომ ძალადობრივი ფონი საკმაოდ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა რეგიონში არსებული პროცესების მიმდინარეობაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ პრემიერი ბლანკო ესპანეთის დედაქალაქში მიწაში "ETA"-ს მიერ ჩამონტაჟებული ბომბის მსხვერპლი გახდა (Alonso, 2011), ნათელი გახდება ძალადობრივი ფონის გაძლიერების, გამიზნული მსხვერპლისა და ინფრასტრუქტურული ზიანის მორიგი შემთხვევა, რომელიც ზოგად ფონს უფრო აუარესებდა ბასკეთის რეგიონში. ამავე დროს, აქ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ სწორედ ამ დეკადაში "ETA"-ს სტრუქტურაში დაემატა საერთაშორისო ურთიერთობებზე უშუალოდ პასუხისმგებელი ქვედანაყოფი (Alonso, 2011), შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო მეტად ესმება ხაზი გარე ფაქტორების მნიშვნელობას ბასკების საპროტესტო განწყობების ჩამოყალიბებაში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ბასკური ექსტრემისტული დაჯგუფების მიერ მოკლული ადამიანების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, 90%-ზე მეტი დაფიქსირდა ფრანსისკო ფრანკოს ქვეყნის სათავიდან წასვლის, ანუ 1975 წლის შემდგომ, ანუ მას შემდეგ, რაც ესპანეთის დემოკრატიზაცია დაიწყო

(Post, 2007). ეს ფაქტი, შეიძლება ითქვას, ნათელს ხდის იმ მოსაზრებას, რომ ფრანკოს დიქტატურის რეპრესიული ხასიათი არ იყო ერთადერთი ფაქტორი ბასკების და ზოგადად ესპანეთის ტერიტორიაზე არსებული უმცირესობების მხრიდან ძალადობის პროვოცირებასთან მიმართებით. როგორც ჩანს, გრძელვადიან პერსპექტივაში გარე ფაქტორების გავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანი კატალიზატორი იყო უმცირესობის მხრიდან ძალადობის გამოწვევის საკითხში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბურგოსის სასამართლო პროცესით, რომელზეც დაჯგუფების ბევრი მომხრე და წევრი გაასამართლეს, "ETA"-ს საერთაშორისო ავტორიტეტი იმდენად გაიზარდა, რომ მისი მომხრეები საზღვარგარეთ აწყობდნენ მასშტაბურ გამოსვლებს ორგანიზაციის მხარდასაჭერად და ესპანეთის ხელისუფლების მხრიდან ორგანიზაციის მომხრეთა წამებისა და გასახლების ფაქტების გასაპროტესტებლად (Turner, 2015). ეს ყოველივე რეალურად აჩვენებს, რომ 1970-იან წლებშიც გარე ფაქტორების გავლენით კვლავ მიმდინარეობდა ძალადობრივი სიტუაციის წახალისება ესპანეთის შიგნით, რაც ართულებდა ვითარების განმუხტვისა და დამშვიდების საკითხს.

საინტერესოა, რომ 1971 წელს „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" ("IRA") წარმომადგენელს, შონ სტიოფენს ჰქონდა მოლაპარაკება "ETA"-ს წარმომადგენლებთან, რომლის დროსაც გადაწყდა "ETA"-ს მხრიდან "IRA"-სთვის იარაღის მიწოდება, რის სანაცვლოდაც "IRA"-ს წარმომადგენლები თავიანთ ბასკ კოლეგებს გადაამზადებდნენ ასაფეთქებელი მოწყობილობების გამოყენების მიმართულებით. ეს ყოველივე ზუსტად ისე მოხდა, როგორც დაიგეგმა (Alonso, 2011). ამ მხრივ, კიდევ ერთხელ თვალსაჩინოა, რომ ბასკეთის მიმართულებით გარე გავლენები კი არ შეწყდა, არამედ გაიზარდა და გააქტიურდა. ეს კი, თავის მხრივ, იარაღის ენით ლაპარაკსა და რადიკალიზმის, დაძაბულობის წახალისებაზე იყო ორიენტირებული, რაც კიდევ უფრო მეტად ახალისებდა ძალადობრივ კონფლიქტურ სიტუაციას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იემენსა და ლიბანს ძალზე მნიშვნელოვანი პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ ბასკეთის

კონფლიქტის მიმდინარეობაზე. 1970-1980-იან წლებში ეს პრაქტიკული დანიშნულება რეალურად გამოიკვეთა იქიდან, რომ წარმატებით ჩამოყალიბებული კავშირების წყალობით "ETA"-ს წევრებმა გამოცდილება მიიღეს ისეთი ექსტრემისტული დაჯგუფებებისაგან, როგორებიც არიან "ალ ფათაჰი", "პალესტინის განმათავისუფლებელი სახალხო ფრონტი" და სხვ. ესპანეთის დაზვერვის მაშინდელი ანალიზით, როგორც სტრატეგიულ-ტაქტიკური მოქმედებების, ისე ენთუზიაზმის გაღვივებისა და საზღვარგარეთული კავშირების ჩამოყალიბების საკითხში როგორც ლიბანის, ისე იემენის ფაქტორი ძალზე დაეხმარა ბასკურ დაჯგუფებას (Alonso, 2011). ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ცალსახაა, რომ ახლო აღმოსავლეთში არსებული აქტორები ესპანეთის აღნიშნულ რეგიონში ძალადობას ახალისებდნენ 1950-1980-იანი წლების პერიოდში როგორც ემოციური და მსოფლმხედველობრივი, ისე სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების თვალსაზრისით. ეს კი, თავის მხრივ, რეგიონში აღვივებდა ტერორიზმისა და სისხლისღვრისაკენ მიდრეკილებებს და არასტაბილურ ფონს უფრო მეტად ამძიმებდა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ "ETA"-მ და ახლო აღმოსავლეთში ძალადობრივი სულისკვეთებით გამორჩეულმა "პალესტინის განმათავისუფლებელმა ორგანიზაციამ" ("PLO") 1970-იან წლებში ერთობლივ დოკუმენტს მოაწერეს ხელი, რომლითაც "IRA"-ს უცხადებდნენ სოლიდარობას (Alonso, 2011). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1960-1980-იან წლებში "PLO" განსაკუთრებით აქტიურ ძალადობრივ კამპანიას ეწეოდა (მაგალითად, 1972 წლის თავდასხმა ებრაელ ოლიმპიელ სპორტსმენებზე გერმანიაში, 1985 წლის ტერაქტები ავსტრიასა და იტალიაში და სხვ.) (კაუფმანი, 2020), ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ მოცემულობას, რომ იმავე პერიოდში ძალადობრივი ხასიათის კონფლიქტის წამახალისებელი ფაქტორი უდავოდ იყო გარე ასპარეზზე არსებული ეს აქტორი ბასკეთისათვის. მორიგი გარე სიტუაცია, რომელსაც გავლენა ჰქონდა ბასკეთში მიმდინარე პროცესებზე 1970-80-იან წლებში, იყო ალჟირის სიტუაცია. ალჟირის "ეროვნულ-განმათავისუფლებელი

ფრონტის” მხრიდან წარმოებული ექსტრემისტული ბრძოლები ბასკებისათვის იქცა ძალადობრივი სიტუაციის გაძლიერების წინაპირობად (Alonso, 2011). ეს რეალურად, გვიბიძგებს, ვივარაუდოთ, რომ “მესამე სამყაროს” ეს სახელმწიფო საკმაოდ სერიოზულ გავლენას ახდენდა “ETA”-ს ძალადობრივად დამუხტვაზე. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ალჟირელები როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად და პოლიტიკურად ეხმარებოდნენ ბასკური ორგანიზაციის წარმომადგენლებს (მაგალითად, 1976 წელს 60-მდე ბასკის გაწვრთნა; 1984 წელს დამატებითი საბრძოლო მომზადების ჩატარება ბასკებისათვის სამხედრო ნაწილებში და სხვ.) ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან საბრძოლველად (Alonso, 2011), კიდევ ერთხელ ცხადი გახდება 1950-1980-იან წლებში ბასკებზე არსებული გარე ძალების გავლენა ძალადობის წახალისების კუთხით. საინტერესო ფაქტია, რომ სწორედ ალჟირში ფრანგების ძალადობრივ ქმედებებთან მიმართებით ააგო მაშინდელმა მოაზროვნემ, ფრანც ფენონმა თავისი ცნობილი მიდგომა კოლონიური მჩაგვრელობის შესახებ. ამ მიდგომის თანახმად, ცენტრალური ხელისუფლების ან/და მეტროპოლიის მხრიდან ჩაგრულ უმცირესობაში რადიკალური პროტესტი თავისუფლად შეიძლება, იქცეს ძალადობრივ ქმედებათა კრებულად (Conversi, 1993). მიუხედავად იმისა, რომ ფენონის მოსაზრებები გარე ინსპირაციად შეიძლება ჩაითვალოს, აქ ჩნდება მოსაზრება, რომ ბასკეთის ძალადობრივი სიტუაცია ცენტრალური ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკის შედეგიც იყო. ეს დამაფიქრებელია გარემოებაა, რომელზეც ქვემოთ უფრო დეტალურად არის აქცენტი გაკეთებული.

რეალურად, კვლევით დგინდება, რომ გავლენა ბასკეთის იმჟამინდელ პროცესებზე, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჰქონდათ განვითარებადი სამყაროს შიგნით წარმოშობილ ნაციონალისტურ ჯგუფებს (Conversi, 1993). რეალურად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ “მესამე სამყაროდან” წამოსული ძალადობრივი მუხტი, რომელიც ამსხვრევდა კოლონიურ იმპერიებს და ქმნიდა ახალ

გეოპოლიტიკურ ვითარებას იმჟამინდელ მსოფლიოში, ძალზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ბასკეთის სიტუაციის გამწვავებაზე. ის ფაქტი, რომ "ETA"-ს წევრები ერთნაირად გატაცებულნი იყვნენ როგორც ალჟირში მიმდინარე მოვლენების თავიანთ რეალობაში გადატანით, ისე საფრანგეთში ფენონის ძალადობრივი გზით სასურველი შედეგის მიღწევის თეორიის გავრცელების შემდგომ ამ თეორიის პრაქტიკაში რეალიზებით (Conversi, 1993), მოწმობს კიდევ ერთხელ, რომ 1950-80-იანი წლების შუალედი ძალადობის გაძლიერებას ემსახურებოდა ესპანეთის რეგიონში. ამ მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ საფრანგეთის მხრიდან გარე გავლენები კვლავ არ ჩამცხრალა. მნიშვნელოვანია, რომ 1978 წელს საფრანგეთს საერთოდ არ ეპრობლემებოდა თავის ტერიტორიაზე ბასკთა მხრიდან ექსტრემისტული სტრატეგიულ-ტაქტიკური გეგმების შემუშავება, რაც ესპანელთა გადმოსახედიდან იყო ბასკების მხრიდან ესპანური სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული პოტენციური ძალადობრივი ქმედებების ღიად მხარდაჭერა საფრანგეთის მთავრობის მიერ (Stubbs, 2012). ამ თვალსაზრისით, უდავოა, რომ ფრანგები არ წყვეტდნენ ბასკთა მხარდაჭერას ესპანელთა საპირისპიროდ. რეალურად, ანალიზიდან ჩანს, რომ ზოგჯერ თავად ბასკების წინააღმდეგ, ზოგჯერ კი ბასკების მხარდამჭერი სულისკვეთებით ფრანგები სხვადასხვა პერიოდში ახალისებდნენ აღნიშნული ეთნოსის ძალადობრივ, სისხლისმღვრელ სულისკვეთებას ესპანელთა მიმართ. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს, ბუნებრივია, რთული და დრამატული პროცესების გამომწვევი ფაქტორი იქნებოდა. თუ ხაზს გავუსვამთ იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ესპანელების სერიოზული მოთხოვნისა, ფრანგები საბოლოო ჯამში მაინც აჭიანურებდნენ ბასკების წინააღმდეგ რადიკალური ნაბიჯების განხორციელებას (რამაც, სხვათა შორის, ესპანელთა მხრიდან ბასკების წინააღმდეგ ძალის გამოყენება გამოიწვია საფრანგეთის საზღვრისპირა ტერიტორიებზე)(Stubbs, 2012), კვლავ ნათელი გახდება ფრანგების მხრიდან ბასკთა წახალისება ესპანელების წინააღმდეგ მიმართული ქმედებების

განხორციელებაში. ეს ყოველივე კარგად შეიძლება, გადმოიცეს გრეჰემ სტაბსის სიტყვებით:

> ბასკების ისტორიის დეტალების საფუძველზე, ძირითადი გარემოებები შეიძლება, შეფასდეს, როგორც ბასკ და ესპანელ ოფიციალურ პირებს შორის მიმდინარე პროცესები, რომლებსაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირები აქვს. მრავალი ზემოაღნიშნული კომპონენტი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საფრანგეთს, ესპანეთსა და ბასკეთს შორის არსებული კონფლიქტი მოუშუშებელ იარად იქცა ამ სამ სუბიექტს შორის (Stubbs, 2012, გვ. 65).

ამ პროცესს კი, რასაკვირველია, მძიმე შედეგები შეიძლებოდა, მოჰყოლოდა. აქვე თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1980 წლისთვის ბასკურმა ექსტრემისტულმა დაჯგუფებამ სიცოცხლეს მანკერად გამოასალმა, არც მეტი, არც ნაკლები, 100-მდე პირი (“ETA’s bloody history: 853 killings in 60 years of violence”, 2019), თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ძალადობის პროცესის პირდაპირი წახალისება მიმდინარეობდა რეგიონში გარე აქტორების მეშვეობით. თუმცა ისტორია აქ არ შეწყვეტილა.

დაახლოებით სამი წლის შემდეგ, ესპანეთის სპეცსამსახურებმა სერიოზულად დაიწყეს ფიქრი “ETA”-ს წინააღმდეგ მოქმედებების უფრო მეტად გასაძლიერებლად, რისთვისაც ე. წ. “ანტიტერორისტული განმათავისუფლებელი ჯგუფები” (“GAL”) ჩამოაყალიბეს. მათმა ძალისხმევამ 30-მდე ადამიანის სიკვდილი მოიტანა შედეგად (“ETA’s bloody history: 853 killings in 60 years of violence”, 2019). ეს, შეიძლება ითქვას, ძალზე საინტერესო დეტალია ბასკეთის ისტორიაში და საბოლოო ჯამში, ასევე საინტერესო სურათს ხატავს: 1980-იან წლებში ერთი მხრივ, ძალადობრივი ექსტრემისტული ორგანიზაციის მიერ ჩადენილი უმძიმესი ქმედებები და მეორე მხრივ, მათ საპასუხოდ ხელისუფლების მიერ შექმნილი გარკვეული დაჯგუფებები მთლიანობაში ძალადობრივი კოცონის უფრო მეტად გაღვივების მანიშნებელია. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ასპარეზზე არსებული ძალადობრივი ჯგუფების წაქეზებამ საკმაოდ

სერიოზული შედეგი გამოიღო ბასკეთში არსებული სიტუაციის გასამწვავებლად. ძალადობრივი სიტუაციის ბოთლისათვის თავის მოხსნამ, შეიძლება ითქვას, ჯინის ბოლომდე ამოშვების პროცესი გააჩაღა. 1986 წელს ესპანეთის დედაქალაქში სამოქალაქო გვარდიის 12 თანამშრომლის გამიზნულ მკვლელობას თან დაერთო 50 შემთხვევით შერჩეული უდანაშაულო ადამიანის დაშავება იმ ტერორისტული აქტის საფუძველზე, რომელზეც "ETA"-ს დაეკისრა პასუხისმგებლობა ("ETA's bloody history: 853 killings in 60 years of violence", 2019). ნათლად ჩანს, რომ შემთხვევითი და გამიზნული მსხვერპლის რიცხვის ასეთმა ზრდამ, პრაქტიკულად, კიდევ უფრო ძლიერ გააღვივა ძალადობა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ "ETA"-მ 1987 წელს თავი გამოიჩინა 22 ადამიანის მკვლელობითა (Turner, 2015) და 45 პირის დაშავებით ("ETA's bloody history: 853 killings in 60 years of violence", 2019) სავაჭრო დაწესებულება "ჰიპერკორში". დაჯგუფების მიერ სამოქალაქო გვარდიის სამხედრო ნაწილების ტერიტორიაზე ჩამოგდებულმა ბომბმა 11 ადამიანი იმსხვერპლა (Turner, 2015), ხოლო 40 პირი კი დაასახიჩრა სარაგოსაში ("ETA ten years on: The key moments that led to the end of the Spanish terror group", 2021). თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ დაჯგუფება როგორც ადვილად მისაღწევ სავაჭრო დაწესებულებაში, ისე რთულად მისადგომ სამხედრო ტერიტორიებზე კლავდა ქაოტურადაც და გამიზნულადაც ადამიანებს. ამ მხრივ, კიდევ ერთხელ თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ როგორც მე-20 საუკუნის შუა ხანებში, ისე 80-იანი წლების დეკადაში ძალადობა ძალზე მნიშვნელოვან ფაქტორად რჩებოდა ბასკი ექსტრემისტების ხელში. ძალადობრივი ფონი კი, როგორც ზემოთ არაერთგზის დადასტურდა, გარე ძალების ინსპირაციით იყო წახალისებული აღნიშნულ რეგიონში.

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იმავე 1985 წელს ადგილობრივი ბასკური პოლიციის, იგივე "ერცანცას" შეფის მკვლელობისათვის რეგიონის მმართველმა პარტიამ "ETA"-ს მისამართით შეშფოთება გამოთქვა (რაც, სხვათა შორის, მანამდე არასოდეს

მომხდარა)(Turner, 2015) და 1989 წელს კი ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში ჩართულმა დაჯგუფებამ სამოქალაქო გვარდიის კიდევ ერთი თანამშრომელი იმსხვერპლა ("ETA's bloody history: 853 killings in 60 years of violence", 2019), ნათელი გახდება, რომ გამიზნული მსხვერპლი აღნიშნული დაჯგუფებისათვის ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო რეგიონში ძალადობის ესკალაციისათვის. საბოლოო ჯამში კი იხატება სურათი, რომ ბასკეთის რეგიონში როგორც ადვილად, ისე რთულად მისადგომ ადგილებში გამიზნულად და შემთხვევით მოკლული და დაშავებული ადამიანების რიცხვი წლების მანძილზე შესამჩნევად დინამიკური იყო, რაც გარე ძალების გავლენით წახალისებული ძალადობრივი სიტუაციის ნათელი დასტურია. ერთიანი სურათი რომ წარმოვიდგინოთ, იყო პერიოდები, როდესაც "ETA"-ს არც დაუსახიჩრებია ადამიანები და არც მოუკლავს (მაგალითად, 1970 და 1971 წლები), თუმცა კონკრეტულ წლებში როგორც დაშავებული (მაგალითად, 1978 წელს 91, ხოლო 1979 წელს 141 ადამიანი), ისე მოკლული (მაგალითად, იმავე 2 წელიწადში 67 და 72 ადამიანი) ადამიანების რიცხვი საკმაოდ მაღალი იყო. ასევე მნიშვნელოვანია, რომ შემთხვევით მოკლული და დასახიჩრებული ხალხის რიცხვიც მაღალი იყო გარკვეულ შემთხვევებში (მაგალითად, 1974 წელს მადრიდის ერთ-ერთ კვების ობიექტზე თავდასხმისას შემთხვევით შერჩეული 16 მოკლული და 56 დაშავებული ადამიანის საკითხი)(Edles, 1999). თუ კვლევის სრულ სურათს გავიაზრებთ, შევამჩნევთ, რომ განსაკუთრებით 1960-იანი წლებიდან მოყოლებული 1980-იანი წლების პერიოდის ჩათვლით აღნიშნული ტერორისტული დაჯგუფების მიერ ჩადენილი დანაშაულებების სერია სერიოზულ ძალადობრივ ფონს ქმნიდა ბასკეთის რეგიონში. შესაბამისად, გარე ფაქტორების მხრიდან წახალისებულმა "ETA"-მ, შეიძლება ითქვას, რადიკალური ფონი ამ წლების განმავლობაში სულ უფრო და უფრო გააძლიერა ესპანეთის აღნიშნულ რეგიონში.

### 4. 2. 2. გარე ფაქტორების გავლენა 1950-1980-იან წლებში კატალონიის რეგიონზე

საინტერესოა, როგორ მიმდინარეობდა მოვლენები ამ პერიოდის კატალონიაში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1960-იან წლებში კატალონიაში უმთავრეს პრიორიტეტად სწორედ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომპრომისებზე წასვლა განიხილებოდა (De la Calle, 2015), თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ისტორიის ამ ეტაპზეც გაგრძელდა არაძალადობრივი მიდგომები რეგიონის მასშტაბით. როგორც ჩანს გარე აქტორებიდან მომდინარე ძალადობრივი წახალისება მიუღებელი აღმოჩნდა კატალონიელთათვის, რადგან აქ ძირშივე აღიკვეთა ექსტრემისტთა მცირე ჯგუფის ჩანაფიქრები, განსხვავებით ბასკების ძალადობისადმი კეთილგანწყობისაგან. რასაკვირველია, იკვეთება მოსაზრებაც, რომ კატალონიაში არაძალადობრივი ვითარების ჩამოყალიბებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ამ რეგიონს უფრო მდიდარი გამოცდილება ჰქონდა ინსტიტუციური მართვის პროცესებთან მიმართებით, ვიდრე ბასკეთს, რადგან კატალონიაში 1931 წლიდან ავტონომიური მმართველობა იყო ფრანკოს რეჟიმის საბოლოოდ დამყარებამდე, ხოლო ბასკეთმა ავტონომია მხოლოდ სამოქალაქო ომის მსვლელობისას მიიღო ისიც მცირე ხნით (De la Calle, 2015). ეს გარემოება ხელშემწყობი ფაქტორი, შეიძლება ითქვას, იყო, თუმცა ისიც ფაქტია, რომ გარე ინსპირაციის არარსებობა ასევე მნიშვნელოვან წამახალისებელ ასპექტად იქცა მშვიდობიანი გზით საკითხების დაყენებასთან მიმართებით.

აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ექსტრემისტული ხასიათის ორგანიზაცია “კატალონიის განმათავისუფლებელი ფრონტი” (“FAC”) იმიგრანტების ძალზე მცირე ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობდა რეგიონში. 1970-იან წლებში ესპანეთის დემოკრატიზაციამდე აღნიშნულმა ორგანიზაციამ 100-მდე პროვოკაციული აქტივობა განახორციელა, თუმცა მსხვერპლი მხოლოდ ერთი ადამიანი იყო, რომელზეც ორგანიზაციას პასუხისმგებლობა არ აუღია (De la Calle, 2015). თუ ამ მოცემულობას

შევადარებთ ბასკეთში განვითარებულ ზემოაღწერილ მოვლენებს, დავინახავთ სერიოზულ კონტრასტს. პირველ რიგში, “ETA”-ს მიმართ არა მხოლოდ სიმპათიით იყო განწყობილი ბევრი ადამიანი, არამედ მისი წევრობის სურვილი იზრდებოდა (Turner, 2015). თუ ორგანიზაციათა ძალადობრივ მასშტაბებსაც შევადარებთ, მთლიანობაში 800-ზე მეტი კაცი იმსხვერპლა “ETA”-მ (De la Calle & Snchez-Cuenca, 2006), მაშინ, როდესაც მაქსიმუმ 100 რადიკალური ღონისძიება არის “FAC”-ის ანგარიშზე (De la Calle, 2015). ამავე დროს, ზემო ანალიზიდან “ETA”-ს შემთხვევაში ინფრასტრუქტურული ზარალიც გამოიკვეთა, ხოლო კატალონიაში კი მსგავსი შემთხვევა არ გამოვლენილა. აქ თუ გავითვალისწინებთ 1970-იან წლებში ექსტრემისტული მსოფლმეხდველობის ჯგუფების ერთიან ორგანიზაციად, “ტიერა ლიურად” ჩამოყალიბების ფაქტს, რომელსაც დღიდან შექმნისა მაინც და მაინც დიდი პოპულარობა არ ჰქონია და 1980-იან წლებში არაძალადობრივი მიდგომების მომხრეთა ზრდით საერთოდ ჩავარდა (De la Calle, 2015), რეგიონში არსებული საერთო სურათის შესახებ ამგვარი ანალიზის გაკეთება გახდება შესაძლებელი: იმის გათვალისწინებით, რომ გარე ასპარეზიდან არავითარი ძალადობრივი წყარო არ ყოფილა რადიკალიზმის წამახალისებელი კატალონიაში, რეგიონის შიგნით მთლიანობაში კომპრომისული, არაძალადობრივი ვითარება ჩამოყალიბდა, მიუხედავად ექსტრემისტული ჯგუფების გარკვეული მცდელობებისა კონფლიქტის ესკალაციასთან მიმართებით.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1979-2003 წლებში კატალონიის მმართველი პოლიტიკური ელიტა, რომელიც პოლიტიკურ ორგანიზაცია “ერთიანობა და კავშირის” (“CiU”) წევრებით იყო დაკომპლექტებული, პრინციპულად, მაგრამ მშვიდობიანი, კომპრომისული მიდგომით ითხოვდა კატალონიური ენის საკითხზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დათმობებს (Conversi & Jeram, 2017). თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ აქ დაახლოებით იმ პერიოდზეა საუბარი, რომლის განმავლობაშიც ბასკეთში მძვინვარებდა ტერორისტების მხრიდან ხალხის მასობრივი

ხოცვა-ჟლეტა და ფონი გაცილებით მძიმე და არასტაბილური იყო, ვიდრე კატალონიაში. ამ მხრივ, საინტერესოა, რომ კატალონიაში არსებული ოპოზიციური წრეების, მათ შორის კომუნისტების, რელიგიურ და ინტელექტუალურ მსოფლმხედველობაზე დაფუძნებული პოლიტიკური ჯგუფების, პროფესიული გაერთიანებებისა და სხვათა მეშვეობით შექმნილი დიდი ალიანსი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის წინადადებით გამოდიოდა. ამ საკითხთა შორის იყო ამნისტიის თემა, კატალონიის ავტონომიის საკითხი და სხვ. (Edles, 1999). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ გარე ძალების მხრიდან საწყის ეტაპზე მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მცირედით არსებულმა, ხოლო შემდგომ, პრაქტიკულად, გაქარწყლებულმა გავლენებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სიტუაციის არაძალადობრივი გზით წარმართვას კატალონიის რეგიონში 1950-1980-იან წლებში. ფაქტია, რომ მიუხედავად არადემოკრატიული რეჟიმის მხრიდან არსებული წნეხისა, კატალონიას, ბასკეთისაგან განსხვავებით, არ მიუმართავს ძალადობრივი მეთოდებისათვის.

ამგვარად, კვლევა აჩვენებს, რომ 1950-1980-იან წლებში ბასკეთისა და კატალონიის სიტუაციები კვლავ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამის მიზეზი ისევ და ისევ ის მოცემულობა იყო, რომ ბასკეთში გარე ძალების ზეგავლენით აქტიურად მიმდინარეობდა ძალადობრივი ფონის წახალისება, რაც სისხლისღვრასა და რეგიონსა და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ურთიერთობების დაძაბვას უწყობდა ხელს. კატალონიაში კი გარე ძალების ჩარევის საკითხი თითქმის არ იყო სახეზე და რეგიონი ძირითადად თავად წყვეტდა საკუთარი მიდგომების არსს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ დასტურდება ნაშრომის ამ თავში წამოყენებული ჰიპოთეზა: ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას ხელი შეუწყო ამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების მზარდმა

გავლენამ, ხოლო კატალონიაში არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას კი - აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების გავლენის არარსებობამ.

## თავი 5 - პრობლემის კვლევა მეორე ჰიპოთეზის ჭრილში: ბასკებისა და კატალონიელების სოციალური სტატუსის ანალიზი

ბასკეთისა და კატალონიის შემთხვევების კვლევის პროცესში ყურადღება მიიპყრო სოციალური სტატუსის ფაქტორმა. ამ მხრივ, ჩამოყალიბდა ჰიპოთეზა შემდეგი ფორმულირებით: ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას ხელი შეუწყო ამ ეთნიკური უმცირესობის დაბალმა სოციალურმა სტატუსმა ესპანეთში, ხოლო კატალონიაში არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას კი - აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის მაღალმა სოციალურმა სტატუსმა ქვეყანაში.

ეს ჰიპოთეზა საინტერესოა რაციონალური არჩევანის თეორიის ჭრილში განსახილველად (Lockert & Suarez, 2022). ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, თუ რამდენად დგამდნენ ძალადობრივ ან არაძალადობრივ ნაბიჯებს როგორც ერთი, ისე მეორე უმცირესობის წარმომადგენლები იქიდან გამომდინარე, როგორი ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური გარემო ჰქონდათ მათ შექმნილი ესპანეთის სახელმწიფოში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საინტერესოა მათი ქმედებების დაგეგმვაზე რამდენად ჰქონდა გავლენას ზოგად ფონს, რომელიც მათ ჰქონდათ შექმნილი თავიანთ სახელმწიფოში.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა განვიხილოთ ბასკეთსა და კატალონიაში არსებული ვითარება აღნიშნული ჰიპოთეზის ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ამისათვის, მნიშვნელოვანია, კვლევის დიზაინში მოცემული სოციალური სტატუსის ინდიკატორი, რომლის გამოსაკვლევადაც გამოვყავით კონკრეტული ქვეინდიკატორები: 1. სოციალურ-ეკონომიკური ქვეინდიკატორები - განათლების, დასაქმებისა და სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020) და თითოეული უმცირესობის ეკონომიკური განვითარების დონე და ასევე დატვირთვა ესპანური სახელმწიფოსათვის (Guibernau, 2004); 2. პოლიტიკური ქვეინდიკატორები - ორივე უმცირესობის

საარჩევნო საკითხებში მონაწილეობა, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხი და ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების რაობა ესპანური სახელმწიფოსათვის (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020); 3. ფსიქოლოგიური ქვეინდიკატორები - კონკრეტული ცრურწმენების, სტერეოტიპებისა და სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორების (ბალიაშვილი, 2010) გავლენა ბასკთა და ესპანელთა და მეორე მხრივ, კატალონიელთა და ესპანელთა ურთიერთობებზე. ეს ყოველივე, ბუნებრივია, მოიცავს კვლევის ძირითად პერიოდს მე-19 საუკუნიდან მოყოლებული 1980-იანი წლების ჩათვლით.

**5. 1. ბასკური და კატალონიური უმცირესობების ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით**

შესასწავლად საინტერესოა ორივე უმცირესობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მათი წვდომა ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა ბენეფიტთან, რომლებიც წარმოდგენილია კვლევის დიზაინში. მნიშვნელოვანია ნაირნის მიერ ხაზგასმული ერთი განმასხვავებელი გარემოება: ეკონომიკურად განვითარებულ ეთნოსებს ძირითადად მშვიდობიანი ფორმის პროტესტით ან დიალოგით სურთ საკუთარი მოთხოვნები წაუყენონ ცენტრალურ ხელისუფლებას თავიანთი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ეკონომიკური თვალსაზრისით ჩამორჩენილ ეთნიკურ უმცირესობებს კი ახასიათებთ რადიკალური მეთოდების გამოყენებით დაპირისპირება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და სისხლისღვრასაც არ ერიდებიან (Medrano, 1994). ამ მხრივ, უდავოდ საინტერესოა, რა ვითარება ჰქონდათ როგორც ბასკებს, ისე კატალონიელებს ესპანური სახელმწიფოს შიგნით მე-19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ესპანეთში საუკუნეების განმავლობაში ეკონომიკური გავლენების მქონე მძლავრი ჯგუფები ხშირად პერიფერიულ დონეზე იკიდებდნენ ფეხს. ამ მხრივ, ცენტრალურ ხელისუფლებას ყოველთვის უწევდა ურთიერთობა პოლიტიკური

თვალსაზრისით რელევანტურ ეკონომიკურ ჯგუფებთან, რომლებიც ძირითადად სწორედ პერიფერიულ დონეზე საქმიანობდნენ (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ესპანეთის რეგიონებში არსებული ეკონომიკური ფონი საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დატვირთვას იძენდა მრავალი წლის მანძილზე. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, თუკი ამ ფონს თავისებური მნიშვნელობა ჰქონდა ეთნიკური შუღლის წახალისება-არწახალისების საკითხში, ერთი მხრივ, ბასკეთსა და კატალონიას და მეორე მხრივ, ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას შორის. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 1800-იან წლებში ეკლესიის ზედმეტი სამართლებრივი ჩარჩოების წნეხისაგან გათავისუფლებისა და პრივატიზაციის მასშტაბური ტალღის დაწყების საფუძველზე ყმა-გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო დაამძიმა და ამან პროცესების დაძაბვას შეუწყო ხელი (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023), უდავოდ შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური დაპირისპირების წახალისებაში ეკონომიკურ პროცესებს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა.

**5. 1. 1. ბასკური უმცირესობის ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით**

ბასკეთში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები საკმაოდ საინტერესოა მე-19 საუკუნიდან 1980-იან წლებამდე. სანტამარიას თქმით, რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა სწორედ ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან პერიფერიის არც თუ ისე დალაგებულმა ურთიერთობებმა (Santamaria, 2005). საწყის ეტაპზე, აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ეკონომიკურად ბასკეთი ერთ-ერთი ყველაზე დაბალგანვითარებული რეგიონი იყო, რადგან მის მიერ გაწეული სამეწარმეო საქმიანობა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 2%-ს შეადგენდა (Medrano, 1994). პრაქტიკულად, საუკუნის დასაწყისში ბასკეთს რთული ეკონომიკური მდგომარეობა ჰქონდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ შესაძლოა, დაძაბული სიტუაციისათვის სასათბურე პირობები შექმნილიყო. თუ

გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმჟამინდელი სავაჭრო და სამრეწველო ჩავარდნების ფონზე რეგიონს სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ბევრი პრობლემა ჰქონდა, რაშიც ესპანელების ხელიც ერია (Medrano, 1994), ჩანს, რომ რეგიონის ეკონომიკური ეფექტიანობა არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაში იყო. ამ მხრივ, საინტერესოა გრეჰემ სტაბსის ნაშრომში მოცემული მარიან ჰაიბერგის სიტყვები:

> მიუხედავად იმისა, რომ ბასკური ნაციონალიზმი სასოფლო კულტურისა და ენის სიმბოლოებით იყო შემკული, ის ურბანული პროდუქტი იყო, რომლის მთავარი დანიშნულებაც ინდუსტრიალიზაციის პროცესში მყოფი ბასკეთის სოციალური და ეკონომიკური გამოწვევებისათვის პასუხი იყო… ისინი საკუთარ თავს აღიქვამდნენ ეკონომიკურად და პოლიტიკურად ორი მთავარი პროტაგონისტის მიერ დატყვებეულებად და შეშინებულებად: იმიგრანტი ესპანური პროლეტარიატი და ბასკური ფინანსური ოლიგარქია (Stubbs, 2012, გვ. 23).

ამ თვალსაზრისით, ჩანს, რომ თავდაპირველად, მე-19 საუკუნეში ბასკთა საშუალო ფენა მაინც და მაინც კარგ პირობებში ვერ იყო. გრირის, ბელანდის, ლეკურსისა და დუბინის გადმოცემით, ისტორიული თვალსაზრისით ბასკეთის რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას ძალზე მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა ბასკთა ქმედებებზე ცენტრალური ხელისუფლების მიმართ. მე-19 საუკუნის ბოლოს ბასკთა საშუალო კლასის სიმპათიით მოსარგებლე „ბასკური ნაციონალისტური პარტია“ გავლენიანი ბიზნეს წრეების ინტერესებში ვერ ჩაჯდა, რადგანაც მათ ესპანეთის სხვა ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანები ჩაიყვანეს რეგიონში და ისინი დაასაქმეს წარმოებაში, რაც სერიოზულ პრობლემებს აჩენდა ადგილობრივი ბიზნესების წარმატებისათვის (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ იკვეთება ბასკთა ეკონომიკური მდგომარეობის დაზარალება ქვეყანაში არსებული გავლენიანი ბიზნეს ჯგუფების მხრიდან, რაც მთლიანობაში ბასკთა სოციალური სტატუსზე

ნეგატიურ გავლენას ახდენდა ესპანეთს შიგნით. ფაქტობრივად, ჩანს, რომ ბასკური ეთნიკური უმცირესობის საშუალო კლასის მხარდაჭერით გამორჩეული “PNV” ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისა და მძლავრი ეკონომიკური წრეების მხრიდან შევიწროების სუბიექტი იყო. მნიშვნელოვანია, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასა და ბასკების ადგილობრივ მმართველობას შორის განათლების თემაზე ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლებიდან გამოიკვეთა უთანხმოება. თუ გავითვალისწინებთ, რომ სწორედ მე-19 საუკუნის 50-იან წლების დასაწყისში ბასკეთის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ძალზე მცირე რაოდენობის, სულ რაღაც ორი სკოლა გაუქმდა იმის გამო, რომ სათანადო სახსრები არ გამოუყო სახელმწიფომ სათანადო აღჭურვილობის შესასყიდად, სასკოლო ინფრასტრუქტურის გასამართად და ზოგადად, სკოლის ფუნქციონირებისათვის (Anduaga Egaña, 2008), ცხადი გახდება ესპანელებსა და ბასკებს შორის განათლების საკითხთან მიმართებით წარმოშობილი უთანხმოება. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ ბასკთა მხრიდან განათლების ხელმისაწვდომობა პრობლემური იყო იმის გამო, რომ ცენტრალური ხელისუფლება უშლიდა მათ ხელს საგანმანათლებლო საშუალებების გაძლიერებაში. თუ ამავე დროს შევეხებით მხირე ხნით ადრე განვითარებულ მოვლენებს, 1847 წელს ესპანეთში კომერციის, ინსტრუქციებისა და საზოგადო საქმეთა სამინისტროს დაარსების პარალელურად როგორც კომერციული, ისე სანავიგაციო სასწავლებლების მართვა-გამგეობის საკითხები მთლიანად ჩამოერთვათ ბასკებს (მაგალითად, ბილბაოში ადგილობრივ “კომერციულ კომისიას” ჩამოერთვა ეს ფუნქცია და ცენტრალურ ხელისუფლებას გადაეცა). ამან ისიც მოიტანა, რომ სწავლა ფასიანი გახდა ამ დაწესებულებებში (Anduaga Egaña, 2008). ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებათა რელევანტურობაზე და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რაციონალური არჩევანის გადმოსახედიდან, შესაძლოა, ბასკებს იმჟამად უკვე ეფიქრათ იარაღის ენით ესპანელებთან საუბარზე.

ანდუაგა ეგანას გადმოცემით, ცენტრალური ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა, რათა ბასკეთში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა შეეფერხებინა და განათლების ინსტიტუციონალიზაციის პროცესისათვის ხელი შეეშალა. კერძო სასწავლებლების მხოლოდ მცირე რაოდენობა აღმოჩნდა ადგილობრივი მმართველობის ხელში ისინიც საკმაოდ სერიოზული შეზღუდვებით (მაგალითად, მუნდაკას სანავიგაციო სკოლა ბილბაოში)(Anduaga Egaña, 2008). პრაქტიკულად, ძალზე აქტიურად მიმდინარეობდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეგიონის საგანმანათლებლო პოტენციალის შეკვეცისა და ზოგადად, განათლების ადმინისტრირებისათვის საჭირო რესურსების გაქარწყლების პროცესი, რაც ბუნებრივია, ბასკების სოციალურ სტატუსს ძალზე აკნინდებდა ესპანურ სახელმწიფოში. ამას თუ დავამატებთ იმ ფაქტსაც, რომ ე. წ. "მოიანოს კანონის" მიღების შედეგად ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის ქვეშ დარჩენილი უნივერსიტეტებისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მოვლა-პატრონობისა და შესაბამისი ინვენტარით უზრუნველყოფის ხარჯები ადგილობრივ ხელისუფლებებს გადაბარდათ, რამაც განსაკუთრებულად დააზარალა ბასკეთის მდგომარეობა (მაგალითად, 1860 წელს დაიხურა ბერგარას სკოლა გიპუზკოაში)(Anduaga Egaña, 2008), კიდევ ერთხელ ნათელი გახდება ის, რომ ცენტრალური ხელისუფლება ნამდვილად ცდილობდა ბასკთა საგანმანათლებლო შესაძლებლობების შეზღუდვას. ეს კი, შეიძლება ითქვას, მთლიანობაში ბასკების სოციალურ სტატუსს აზარალებდა სერიოზულად. საინტერესო ფაქტია, რომ 1876 წლის საკანონმდებლო ცვლილებებით განათლების დაფინანსების, საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავებისა და სხვა ადმინისტრაციულ ნაწილებში პერიფერიულ ხელისუფლებას სერიოზულად შეეზღუდა უფლებამოსილებები და ამის საპირწონედ, ცენტრალური ხელისუფლების ბერკეტები გაძლიერდა ადგილობრივ დონეზე (Anduaga Egaña, 2008). ეს ძალზე თვალსაჩინოდ გადმოსცემს, თუ რამდენად იგრძნობოდა დაძაბული ურთიერთობა ცენტრალურ და

პერიფერიულ ხელისუფლებებს შორის მე-19 საუკუნიდანვე. ამასთან, აქ ჩანს, რომ ცენტრალური ხელისუფლება თავიდანვე პრობლემებს უქმნიდა განათლების ხელმისაწვდომობის საკითხს ბასკეთში, რაც რეალურად რთულ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს მოასწავებდა რეგიონში და ამ მხრივ, ბასკთა სოციალურ სტატუსსაც აკნინებდა ესპანეთში. თუ აქვე ხაზი გაესმება იმ გარემოებასაც, რომ ბასკეთს საუნივერსიტეტო სწავლა-სწავლებისა და კვლევების საკითხებში სერიოზული ჩამორჩენის დამსახურებით (1960-იანი წლების ბოლო პერიოდამდე რეგიონს მხოლოდ დეუსტოს უნივერსიტეტი ჰქონდა იურისპრუდენციისა და ეკონომიკური მიმართულებით) რეგიონში მე-19 საუკუნეშიც და შემდგომაც ინტელექტუალური წრეები არ არსებობდნენ, განსხვავებით კატალონიელთაგან (Sabanadze, 2017), ცხადი გახდება, რომ ბასკებს საგანმანათლებლო თვალსაზრისით პრობლემური სიტუაცია ჰქონდათ და მით უფრო ღრმავდებოდა ამ მხრივ პრობლემები იმ თვალსაზრისით, რომ ესპანელები მათ ხელს არ უწყობდნენ სამეცნიერო, საგანმანათლებლო და კულტურული თვალსაზრისით განვითარებაში.

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე, საინტერესოა, რა ვითარება იყო სოციალურ სერვისებთან მიმართებით. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ 1787 წლის მონაცემებით, ბასკეთის მასშტაბით მოქმედი ძირითადი საავადმყოფოების რაოდენობა 51-ს უტოლდებოდა, 1797 წლის მონაცემებით - 66 (პასიური სამედიცინო ცენტრების ჩათვლით). ამ მხრივ, გასათვალისწინებელია ისიც, რომ 1810 წელს ბასკეთის მასშტაბით სულ 250 საწოლი იყო განთავსებული სხვადასხვა ქალაქის, მათ შორის ბილბაოს, ოჩანდიანოს, ელორიოს, გერნიკას ჩათვლით. დინამიკაში პროცესი კლებისაკენ წავიდა, რადგანაც 1859 წლისათვის ძირითად საავადმყოფოთა რაოდენობა დაეცა 33-მდე (Castroviejo, 2002). შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო სერვისების შემცირება რეალურად აჩვენებს, რომ ბასკებს დროთა განმავლობაში ურთულდებოდათ სოციალური მდგომარეობა და თავის მხრივ, ხარისხიან სამედიცინო რესურსებზე წვდომის შემცირება

რეგიონში არაჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს. ამ მხრივ, ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს ბასკების რეგრესირებად სოციალურ სტატუსზე მთელი ესპანეთის მასშტაბით. ეს კი შეკვეცილ საგანმანათლებლო შესაძლებლობებთან ერთად თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო ძალადობის წამახალისებელი ფაქტორი რეგიონის მოსახლეობის მხრიდან ესპანელთა მიმართ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ აჩურის საავადმყოფოს განახლების გეგმა, რომელიც, გამომდინარე რეგიონისათვის საავადმყოფოს მნიშვნელოვანი დატვირთვიდან, ბასკეთის რეგიონის მასშტაბით ეთნოსისათვის დაგეგმილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტი იყო, არავითარ ფინანსებს არ იღებდა არც ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არც მადრიდში მოღვაწე ბიზნეს ელიტისაგან (Castroviejo, 2002), კიდევ ერთხელ დადასტურდება ის გარემოება, რომ ესპანელთათვის საერთოდ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა ბასკთა სოციალურ მდგრადობას. საავადმყოფოს მმართველი რგოლი რეალურად საავადმყოფოს ინოვაციისათვის საჭირო ფინანსების მაქსიმუმ 30 პროცენტს ფლობდა და დანარჩენი თანხები, რომლებიც ძველი საავადმყოფოს გაყიდვიდან დარჩა, გადავიდა ადგილობრივი მმართველობის ხელში. ამ საქმისთვის გამოყოფილი საგრანტო სახსრები კი, რეალურად, მთლიანი ღირებულების 8.87 პროცენტს შეადგენდა. დანარჩენი თანხების აკუმულირებას ბასკების ადგილობრივი მოსახლეობის შემოწირულობებიდან ცდილობდნენ (Castroviejo, 2002). ეს ყოველივე იმის დასტურია, რომ სერიოზული გულგრილობა იგრძნობოდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ბასკების მდგომარეობის მიმართ, რაც მთლიანობაში რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას აფერხებდა. რაციონალური არჩევანის თვალსაზრისით, სულაც არ არის გასაკვირი თუკი ბასკები მძიმე ნაბიჯების გადადგმას არ ერიდებოდნენ ესპანელთა მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ბასკები დამოუკიდებლად ახერხებდნენ ერთიანი ძალების გამონახვას ეთნოსისათვის სასარგებლო პროექტების ორგანიზებისათვის, ფაქტია, რომ მათ მაინც ხელი ეშლებოდათ

ესპანეთის სახელმწიფოში სრულფასოვანი ცხოვრებისათვის და ესპანური საზოგადოების ღირსეულ წევრად ჩამოყალიბებისათვის. ამ ყოველივეს ფონზე, საინტერესო ფაქტია, რომ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ საკმაოდ დიდი გადასახადები დააკისრა ბასკებს, რამაც რეგიონში მასობრივი არეულობა და სისხლისმღვრელი გამოსვლები გამოიწვია (Payne, 1971). ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ პრაქტიკულად, დასაწყისიდანვე ესპანეთში ბასკეთის ეკონომიკური მნიშვნელობა ძალზე დაკნინებული იყო ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და ძალადობრივი, რადიკალური ზომების გამოყენების აუცილებლობას ეს ეთნიკური უმცირესობა უკვე მე-19 საუკუნეში ხედავდა ესპანელების მიმართ. მართალია, ეს გაზრდილი გადასახადები ესპანეთის დანარჩენ რეგიონებთან შედარებით სულაც არ იყო მაღალი (Payne, 1971), თუმცა, როგორც ჩანს, თავად ფაქტი იმასთან დაკავშირებით, რომ რეგიონის მოსახლეობას ცენტრალურმა ხელისუფლებამ ცხოვრება გაუძვირა არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ ფსიქოლოგიურ ბარიერადაც იქცა ბასკებისათვის.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის ბოლო 80-90-იანი წლებისა და მე-20 საუკუნის საწყის პერიოდებში ბასკეთში არსებული საავადმყოფოების ხარჯები აღემატებოდა შემოსავლებს, რის გამოც მათ ხელმძღვანელობას სერიოზული მუშაობა სჭირდებოდა რთული ფინანსური მდგომარეობის მოსაწესრიგებლად. იქიდან გამომდინარე, რომ მათ საკუთარი ეთნოსისათვის სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობაზე სურდათ ზრუნვა, ისინი დაბალ გადასახადს აწესებდნენ და საკუთარი ხარჯების გასტუმრებას ძლივს თუ ახერხებდნენ (Castroviejo, 2002). ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ მოცემულობას, რომ სახელმწიფოს მხხრიდან არავითარი ხელშეწყობა არ ჰქონდა ბასკეთში არსებული სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირებას, რაც, შეიძელება ითქვას, ცუდად აისახებოდა რეგიონის მდგომარეობაზე. თუ მაგალითად ჩავხედავთ ბილბაოს ცენტრალური საავადმყოფოს ხარჯებისა და შემოსავლების

საკითხს, უმეტეს პერიოდებში შემოსავლებს ხარჯები აღემატებოდა. მაგალითად, 1884-1885 და 1888-1889 წლებში შემოსავლებს ხარჯები 0.62-ით აღემატებოდა, 1900-1914 წლებში - 6.11-ით, 1905-1909 წლებში - 9.21-ით, 1910-1914 წლებში - 2.4-ით, 1920-1924 წლებში - 0.29-ით, 1925-1929 წლებში - 2.67-ით, 1930-1934 წლებში - 4.79-ით. მსგავსი ტენდენცია შეინიშნებოდა რეგიონის მასშტაბით ფუნქციონირებად ძირითად საავადმყოფოებშიც (Castroviejo, 2002). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ბასკეთში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებს რთული მდგომარეობა ჰქონდათ. შეიძლება ითქვას, რომ ისინი ვერ ახერხებდნენ სათანადო თანხების აკუმულირებას ჯანსაღი, მოსახლეობისათვის სასარგებლო მომსახურების შესათავაზებლად, რაც ბუნებრივია, ხარვეზებს წარმოშობდა ამ კუთხით. ამ მოცემულობას კი მივყავართ იმ ლოგიკამდე, რომ ბასკების ზოგადი სოციალური ფონი ნამდვილად არ იყო სახარბიელო მდგომარეობაში ამ პერიოდში. ეს კიდევ ერთხელ აჩენს მოლოდინს, რომ ამგვარი მდგომარეობა, თავის მხრივ, შეიძლებოდა, გამხდარიყო ესპანელXებთან დაპირისპირების მიზეზი, რადგან რეგიონის სოციალური მდგომარეობის მიმართ ცენტრალურ ხელისუფლებას გულგრილი და უფრო მეტიც, ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა. ამ ყოველივეს ფონზე, აღსანიშნავია, რომ მედრანოს კვლევის საფუძველზე, მე-19 საუკუნეში ბასკებს, მით უმეტეს კატალონიელებთან შედარებით, ძალზე გაუჭირდათ სამრეწველო საქმიანობის ახალი ტენდენციებისათვის ფეხის აწყობა, რაც რეალურად გახდა იმის მიზეზი, რომ როგორც გლეხთა წრეებმა, ისე ინდუსტრიამდე არსებულმა გავლენიანმა ჯგუფებმა ნაციონალიზმის დაძაბულ, რადიკალურ ფორმებს მიმართეს (Medrano, 1994). აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ეკონომიკა, პრაქტიკულად, პირდაპირ კავშირში იყო ბასკთა მხრიდან რადიკალური ნაციონალისტური მოძრაობის დაწყების საკითხთან და შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ პროცესის ძალადობრივი გზით განვითარებაში. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ კატალონიური სურათისაგან განსხვავებით, ბასკეთში

წარმოების განვითარება (მიწის საკითხები, მაღაროების გასხვისების თემები, ფასების პოლიტიკის ცვლილება და სხვ.) სერიოზულად ნეგატიურ გავლენას ახდენდა გლეხთა მდგომარეობასა და განწყობაზე (Medrano, 1994), ფაქტობრივად, გამოდის, რომ რეგიონის გარკვეული ეკონომიკური წარმატებების მიუხედავად, მთლიანობაში ეს ეკონომიკური მდგომარეობა საზოგადოებრივ კონსოლიდაციას ვერ ახდენდა. თუ ამ ფაქტობრივ გარემოებებს დავამატებთ იმასაც, რომ ბასკეთის მთლიანი შიდა პროდუქტის განვითარება მე-19 საუკუნეში მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა როგორც ესპანეთის დედაქალაქის, ისე კატალონიის რეგიონის შედეგებს (Medrano, 1994), შეიძლება ითქვას, რომ არც ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით იყო სერიოზულად დაწინაურებული ეს რეგიონი, რაც გვაბრუნებს იმ მოსაზრებასთან, რომ ერთიან ესპანურ საზოგადოებაში ბასკთა სოციალური სტატუსის ეკონომიკური ასპექტი ძალზე დაქვეითებული იყო.

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მე-19 საუკუნის 80-იან წლებამდე ბასკურ ნაციონალისტურ მოძრაობას ორი ძირითად შტო ჰქონდა: ტრადიციული ხასიათის საშუალო ფენის დაბალგანვითარებული ნაწილის ნაციონალისტური ტალღა და ლიბერალური მიდგომების ბურჟუაზიული კლასის ნაციონალისტური ფორმა. მიუხედავად თავდაპირველი განსხვავებებისა, საბოლოოდ ერთიან პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბდა ბასკთა ორივე ნაციონალისტური მიმართულება და მას, როგორც ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, “ბასკური ნაციონალისტური პარტია” ეწოდა. ამ მხრივ, მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის 10-იან წლებში შეიქმნა საინტერესო სურათი რეგიონში: ძველი ყაიდის მმართველობის მოსურნე ესპანური “კარლისტური პარტია” საკმაოდ ძლიერი იყო სოფლის ტიპის დასახლებებში. რეგიონის ეკონომიკურად დაწინაურებულ ფენაზე საკმაოდ სერიოზული გავლენა ჰქონდა ესპანურ ცენტრალურ ავტორიტეტებს, რის საფუძველზეც ისინი როგორც ესპანური კონსერვატიული, ისე ლიბერალური იდეოლოგიის გამტარებელი პარტიების მიმართ

გამოხატავდნენ ინტერესსა და სიმპათიებს. რაც შეეხება დაბალ ფენას, რომელიც ძირითადად იმიგრანტებით იყო დაკომპლექტებული, ის ძირითადად "ესპანეთის სოციალისტური პარტიის" მხარდამჭერი იყო. ეს ყოველივე კი "PNV"-ის პოპულარობისა და სიძლიერის მასშტაბებს ძალზე ამცირებდა ბასკეთის მასშტაბით და მხოლოდ ბისკაიის პროვინციის დონეზე აძლევდა გასაქანს (Medrano, 1994). ეს ყოველივე რეალურად იმას გულისხმობს, რომ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება, ცენტრალურ დონეზე მოღვაწე საზოგადოებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური ჯგუფები საკმაოდ თვალსაჩინო დოზით ერეოდნენ ბასკეთის რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში და რაც ყველაზე მთავარია, საგრძნობლად ავიწროებდნენ ძირითადი ნაციონალისტური ხაზის გამტარებელი "ბასკური ნაციონალისტური პარტიის" მოქმედებებს. ეს, თავის მხრივ, აჩვენებს, რომ ბასკური ეთნოსის ნაციონალისტური სულისკვეთების გამომხატველი მთავარი ორგანიზაცია ცენტრის მიერ საგრძნობლად იჩრდილებოდა, რაც იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ბასკების ეკონომიკური განვითარების დამოუკიდებელ შესაძლებლობებს სერიოზულად ავიწროებდა ცენტრალური ხელისუფლება და ცდილობდა, საკუთარი თამაშის წესებზე გადაეწყო მთელი რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური სპექტრი.

ამ ყოველივეს ფონზე, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წარმატებული "შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების" შემქმნელი და საბანკო საქმიანობით დაკავებული ბასკები არა ბასკეთში, არამედ ძირითადად ესპანეთის დედაქალაქში საქმიანობდნენ (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023), ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ბასკების სტატუსი ესპანეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო დაფასებული, თუკი ისინი თავიანთ სამეწარმეო საქმიანობას არა მშობლიურ რეგიონში, არამედ მადრიდში ან ესპანეთის სხვა ტერიტორიაზე ახორციელებდნენ. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ თავისუფლად შეიძლებოდა, ბასკური რეგიონის მოსახლეობას გასჩენოდა სერიოზული პროტესტის გრძნობა ცენტრალური

ხელისუფლების მიმართ, რაც თავის მხრივ, შემდგომ ძალადობრივი დაპირისპირებით დაგვირგვინებულიყო. ამ მხრივ, სულაც არ არის გასაკვირი, რომ "ETA"-ს ჩანასახში, გარდა ენობრივი, რასობრივი თუ ადმინისტრაციულ-ტექნიკური დისკრიმინაციისა, ეკონომიკური მიზეზებიც იდო, რაც მისი მდიდარი ეკონომიკური კლასის მხრიდან რეგიონის მოსახლეობის შევიწროების წინააღმდეგ მოქმედებებშიც ვლინდებოდა. საბოლოო ჯამში, ორგანიზაციამ, პრაქტიკულად, როგორც მორალური და მსოფლმხედველობრივი, ისე ფინანსური ხასიათის ასპექტებზე გააკეთა აქცენტი (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). ამ თვალსაზრისით, ლოგიკას მივყავართ იქითკენ, რომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მიუხედავად გარკვეული ბიზნეს წარმატებებისა, ბასკების ეკონომიკური მდგომარეობა ესპანეთის შიგნით საკმაოდ დაბეჩავებული იყო, რაშიც ცენტრალურ ხელისუფლებასაც თავისი წვლილი ჰქონდა შეტანილი. ეს ყოველივე კი ისტორიული პროცესების განვითარების ფონზე რეგიონის მასშტაბით არა მხოლოდ ექსტრემისტული ორგანიზაციის შექმნის ერთ-ერთი წინაპირობა გახდა, არამედ ძალადობრივი მიდრეკილებებიც გაამლიერა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ეკონომიკური შევიწროების ფონზე ბასკთათვის ძალადობის გამოყენება ისტორიის იმ ეტაპისთვის მნიშვნელოვან, რაციონალურ ნაბიჯად ითვლებოდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბასკეთში ტექნიკური და საინჟინრო მიმართულებით განათლების მიღება ძალზე გაპრობლემდა, რადგან ცენტრალური ხელისუფლება ხელს არ უწყობდა მსგავსი დარგების განვითარებას. ამ მხრივ, ბასკურ კერძო კომპანიებს, მათ შორის სამრეწველოებს უცხოეთიდან უწევდათ კადრების მოზიდვა 1900-იანი წლების დასაწყისში (Anduaga Egaña, 2008). მნიშვნელოვანია, რომ სოციალური ყოფა ძალზე დამძიმებული იყო 1910-იანი წლების ბასკეთში. გარდა იმისა, რომ რეგიონის ქალაქების უმეტესობაში, მათ შორის ბილბაოსა და რენტერიაში უსახლკაროთა სიმრავლე, დაბინძურებული ჰაერი და მრავალი დაავადების გავრცელება

შეინიშნებოდა, საქალაქო ტიპის დასახლებებში ძალზე გადაჭედილი იყო მოსახლეობით უბნები, რაც ქაოსს ქმნიდა მთელი რეგიონის მასშტაბით (Conversi, 1994). ეს მიანიშნებს ბასკების არასახარბიელო სოციალურ მდგომარეობაზე მე-20 საუკუნის მეორე დეკადაში, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს იმას, რომ ბასკების მოწყვლადობა ძალადობრივი მიდრეკილებების მიმართ საკმაოდ მაღალი იყო.

საინტერესოა, რომ 1930-იან წლებში ბისკაიასა და გიპუზკოას მასშტაბით "ბასკური ნაციონალისტური პარტიის" მხარდაჭერის ზრდა, რომელიც განპირობებული იყო სამრეწველო პოტენციალის გაძლიერების შედეგად სოფლად მცხოვრები ფერმერების მხრიდან სამუშაო ადგილების დაუფლების უნარით გამოწვეული ცენტრალური ავტორიტეტებისაგან ფინანსური ავტონომიით, გახდა დამაჩქარებელი ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ბასკური გავლენიანი ფინანსური წრეების წინააღმდეგ ბასკი ნაციონალისტების საარჩევნო და პოლიტიკური მეთოდებით ბრძოლისათვის (Medrano, 1994). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ბასკი ნაციონალისტების ფინანსურ-ეკონომიკური არეალი საკმაოდ სერიოზულად ილახებოდა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი ჯგუფების მხრიდან. ეს კი, რასაკვირველია, ზიანს აყენებდა მათ ეკონომიკურ მდგომარეობას და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთხელ აჩვენებდა რეგიონის მისამართით არსებულ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დისკრიმინაციულ სურათს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბასკეთში გაბატონებული გავლენიანი ჯგუფები, რომლებსაც ნაციონალისტები დაუპირისპირდნენ, პრიმო დე რივერას 1920-1930-იანი წლების რეჟიმის პოლიტიკას, მათ შორის ეკონომიკურ ნაწილშიც ემხრობოდნენ (Medrano, 1994), თვალსაჩინო გახდება ბასკეთში ნაციონალისტებს სერიოზული დაპირისპირება ჰქონდათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ეს კი კიდევ ერთხელ აჩვენებს ცენტრის მხრიდან პერიფერიის ეკონომიკური მდგომარეობის შებღალვისა და მისი

სოციალური სტატუსის სერიოზული დასუსტების ტენდენციის გაგრძელებას მე-20 საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მიუხედავად პრიმო დე რივერას რეჟიმთან ბასკური კერძო სექტორის ნორმალური ურთიერთობებისა, ამ მმართველობის დასრულების შემდგომ 1930-იანი წლების დასაწყისში ცენტრალური ხელისუფლების ინიციატივით რეგიონში საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური პროექტები შეჩერდა, რამაც რეგიონის სხვადასხვა გეოგრაფიულ ტერიტორიას, ყველაზე მძიმედ კი ბისკაიას შეუქმნა პრობლემები (Medrano, 1994). ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეგიონის მიმართ ეკონომიკური ინტერესი ან ზოგადი დამოკიდებულება მერყევი (ხშირ შემთხვევაში, უარყოფითი) იყო და მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ნეგატიური მიდგომით საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რეგიონს კრიზისული პერიოდი შეექმნა. ეს ნათელს ხდის მოსაზრებას, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით ბასკეთს ესპანელთათვის ნამდვილად არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რაც რეალურად აკნინებდა მათ სტატუსს სახელმწიფოს შიგნით და თავისუფლად იყო შესაძლებელი, ძალადობრივი ხასიათის დაპირისპირებაც კი გამოეწვია პერიფერიასა და ცენტრს შორის.

მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ როგორც სამომხმარებლო, ისე კაპიტალის საქონელსა და მომსახურებაზე მომუშავე საწარმოები კატალონიაში უფრო მეტად ფუნქციონირებდა, ვიდრე ბასკეთის რეგიონში. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ესპანეთის მსგავსი კატეგორიის საწარმოთა საკმაოდ დიდი რაოდენობა (დაახლოებით ⅓-ზე მეტი) მე-20 საუკუნის დასაწყისში სწორედ კატალონიის ტერიტორიაზე იყო თავმოყრილი. (Miranda & Ruiz-Moreno, 2022). საინტერესო საკითხია, რომ ფრანკოს პერიოდში, მე-20 საუკუნის 40-იანი წლებიდან რეგიონს სერიოზული ეკონომიკური წნეხი შეეხო ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. დენიელ კონვერსი წერს:

> ბასკური ეკონომიკა ძალზე სერიოზულად არამომგებიან მდგომარეობაში ჩააყენა ადრეულმა ფრანკოიზმმა… იმის გათვალისწინებით, რომ მადრიდი ბიუროკრატიულ სირთულეებს უქმნიდა რეგიონის ადგილობრივ ეკონომიკას, ზოგი ბიზნესმენი თვლიდა, რომ მადრიდი ცდილობდა ადგილობრივი ეკონომიკისათვის ძირის გამოთხრას. ამ თვალსაზრისით, ნაციონალიზმი ინტერპრეტირებული იყო, როგორც საშუალება რეგიონის ეკონომიკის ბედზე სიღრმისეული კონტროლის მოსაპოვებლად (Conversi, 1994, გვ. 132).

ცენტრალური რეჟიმის ეს წნეხი განსაკუთრებით ვლინდებოდა საბაზრო პროდუქტის ღირებულებისა და შრომითი ანაზღაურების მიმართ. 1930-იანი წლების შუა პერიოდებთან, კერძოდ 1936 წელთან შედარებით, ფასები რეალურად 6-ჯერ გაზრდილი (593-პროცენტიანი მაჩვენებელი) იყო 40-იან წლებში (Shatzer, 2021). ეს ფაქტი აჩვენებს, რომ გარდა ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ფონის სიმძიმისა, რეგიონში მე-20 საუკუნის მიმდინარეობისას სირთულეები იქმნებოდა დასაქმებისა და სოციალურ სერვისებთან წვდომის თვალსაზრისით, რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ბასკების დაქვეითებულ სოციალურ სტატუსზე. ამ მხრივ, იმასაც თუ გავუსვამთ ხაზს, რომ ინფლაციის დინამიკურად მზარდი დონის ფონზე ხელფასების ოდენობა ცხოვრების ძირითად მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა და შავ ბაზარზეც კი 1930-იანი წლების მეორე ნახევართან შედარებით 10-ჯერ იყო გაზრდილი ფასები (პროდუქტის ოფიციალური გზები მიმოცვლის ღირებულება ამ დროისათვის გაცილებით უფრო მაღალი იყო) (Shatzer, 2021), ნათელი გახდება ის გაუსაძლისი სოციალური ფონი, რომლის შექმნაშიც ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება საგრძნობლად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბასკთა რეგიონში. დასაქმებულთა მდგომარეობის სულ უფრო მეტად გაუარესების ფონზე ბასკებისათვის ზოგადად ცხოვრება ძალზე გაძვირდა და გაჭირდა, რადგან ისინი პირველადი საჭიროების პროდუქტის შეძენასაც კი რთულად თუ

ახერხებდნენ. როგორც ჩანს სწორედ ამის გამოძახილი იყო მე-20 საუკუნის 40-იან წლებში “PNV”-ის მხრიდან გადადგმული არაერთი ძალადობრივი ნაბიჯი ესპანელების მხრიდან, რამაც, როგორც ზემოთ აღვწერეთ შემდგომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ბასკების მიმართ სერიოზული ფსიქოლოგიური და ფიზიკური ანგარიშსწორება მოიტანა (Turner, 2015). ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ფონის გაუარესების პარალელურად თანდათან ფეხს იკიდებდა ძალადობრივი ხასიათის მიდრეკილებები ბასკურ ეთნოსში, რაც კონკრეტულ რადიკალურ, სისხლისმღვრელ ფაქტებში გამოიხატებოდა. აქვე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ კატალონიაში იმავე პერიოდის აღმავალი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, ბასკეთში სამუშაო ადგილები იკვეცებოდა, მრავალი ადამიანი სამსახურის გარეშე რჩებოდა და ზოგადი შემოსავლების მკვეთრი ვარდნა მიმდინარეობდა (Richmond, 1987), ცხადი გახდება, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით რეგიონს მძიმე მდომარეობა ექმნებოდა, რაც ბუნებრივია, ქვეყნის შიგნით მათ სოციალურ სტატუსს აქვეითებდა, რადგან ცენტრალური ხელსიფულების მხრიდან გულგრილი დამოკიდებულება იგრძნობოდა რეგიონის პრობლემების მიმართ.

განათლების თვალსაზრისით, სიტუაციამ თავდაპირველად თითქოს გაუმჯობესება დაიწყო სწორედ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. მეორე რესპუბლიკის ჩამოყალიბებით შეცვლილმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა ვითარებამ გამოკვეთა გზა საგანმანათლებლო შესაძლებლობების განსავითარებლად რეგიონში. ცენტრალური ხელისუფლების მარწუხების დროებით შესუსტებისა და ადგილობრივ დონეზე ეთნოსის ინიციატივების სივრცის განვითარების ფონზე ჩამოყალიბდა როგორც სკოლების მშენებლობის, ისე მასწავლებელთა გადამზადების, მათი ხელფასების ზრდის, თავისუფალი კონკურენციისა და სხვა ინოვაციური მიდგომების პრაქტიკაში დანერგვის გეგმები (López-Goñi, 2005). ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ გამოიკვეთა სინათლის კონტურები, რომელთა მეშვეობითაც შეიძლებოდა, ბასკებს საკუთარი

თვითმმართველი უფლებები გაეძლიერებინათ როგორც კონკრეტულად საგანმანათლებლო, ისე ზოგადად სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ, მე-20 საუკუნის წინა ორი ათწლეულის შედეგებს, დავინახავთ, რომ ბასკეთში პერიფერიულ დონეზე არსებული საგანმანათლებლო ინიციატივების დიდი უმრავლესობა უარყოფილი იყო ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რაც პირველ რიგში ვლინდებოდა არასაკმარისი რაოდენობის მასწავლებელთა ასევე არასაკმარისი რაოდენობისა და ინფრაქტრუქტურული პრობლემებით გაჯერებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში განაწილებით (სხვათა შორის, მათ საკმაოდ დაბალი ანაზღაურების პირობებში უწევდათ მუშაობა)(López-Goñi, 2005). ეს აჩვენებს, რომ 1930-იანი წლების დადგომამდე არასახარბიელო და არასტაბილური ფონი იყო რეგიონში შექმნილი საგანმანათლებლო თვალსაზრისით, რაშიც ლომის წილი მიუძღვოდათ ესპანელებს. შესაბამისად, ახალ რესპუბლიკაში ბასკებმა, როგორც ესპანური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ნაწილმა, პრაქტიკულად, შეაბიჯეს საკმაოდ რთული განათლების მდგომარეობით.

კიდევ უფრო ადრინდელ მოვლენებს თუ გადავხედავთ, მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან მოყოლებული ესპანური განათლების სისტემაში ორი წამყვანი დინება გამოიკვეთა: საჯარო სტრუქტურები (ესპანური) და კერძო სტრუქტურები (კათოლიკური ეკლესიის მითითებების საფუძველზე). საინტერესოა, რომ 1918 წელს “ბასკურ სწავლებათა საზოგადოების” პირველი კონგრესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა სწორედ განათლების საკითხებში ცენტრალური ხელისუფლების საკმაოდ უარყოფითი ჩარევები იყო: ბასკთა მოძრაობა იმჟამად ძალზე არ იყო მოხიბლული ესპანელთა სურვილით საკუთარი პრაქტიკული ნაბიჯები გადაედგათ რეგიონის საგანმანათლებლო სივრცის საკუთარი მიდგომებით რეფორმირებისათვის, რაც დიდწილად ანტიკათოლიკურ ხასიათს ატარებდა და ბასკთა რწმენა-წარმოდგენებს

ჩრდილქვეშ აყენებდა (ბასკების სასწავლო პროცესებში ძალზე დიდი გავლენა ჰქონდა უშუალოდ რომის პაპისაგან წამოსულ იდეოლოგიასა და ზოგადად, ცხოვრების კათოლიკურ სტილს)(López-Goñi, 2005). ეს ყოველივე ნათლად აჩვენებს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში მართლაც მძიმე ტვირთად ეწვათ ბასკებს ესპანელების უხეში ინტერვენცია მათ საგანმანათლებლო ცხოვრებაში, რასაც მთლიანობაში არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ რელიგიური ხასიათის დისკრიმინაციული ფონიც მოჰყვებოდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი ნაბიჯები ძალზე აზარალებდა ბასკთა სოციალურ სტატუსს ესპანურ საზოგადოებაში და საჭიროებდა სერიოზულ ცვლილებებს ადგილობრივ დონეზე ბასკთა უფლებამოსილებების გასაზრდელად განათლების პოლიტიკის ფორმირებისა და აღსრულების საკითხში. რეალურად, ჩანს, რომ საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის ესპანური სტილი კათოლიკურს ჯაბნიდა ესპანეთის საგანმანათლებლო სისტემაში, მათ შორის ბასკეთთან მიმართებითაც. ეს კი ბასკურ მსოფლმხედველობას, პრაქტიკულად, ძალზე სერიოზულ დამღას ასვამდა, რადგან აღნიშნულ ეთნოსში სერიოზულად იყო ჩადებული კათოლიკური ხასიათის ადათ-წესების პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობა როგორც საგანმანათლებლო, ისე ნებისმიერი სხვა საქმიანობის დაგეგმვა-ორგანიზების ამბავში. როგორც აღმოჩნდა, ეს წინააღმდეგობა 1930-იან წლებში შემოსულ ახალ პოლიტიკურ წესრიგშიც შენარჩუნდა ბასკებსა და ესპანელებს შორის (López-Goñi, 2005). ეს ყოველივე კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მიუხედავად მეორე რესპუბლიკის შექმნის მეშვოებით ჩამოყალიბებული ცვლილებების ატმოსფეროსა, განათლების სისტემის სტრუქტურულად დანერგვის საკითხში ეთნიკური უმცირესობისა და ცენტრალური ხელისუფლების ფილოსოფია კვლავ არ დაემთხვა ერთმანეთს. ეს კი, თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო მოვლენათა რადიკალური სცენარით განვითარების საფუძველი ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობებში.

გასათვალისწინებელია, რომ ამ პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წამოსულმა ამგვარმა წნეხმა ნაციონალისტურ მოძრაობაშიც ჰპოვა გამოვლინება. საკმაოდ სერიოზული ირლანდიური გავლენების ქვეშ მოქმედმა "პატრიოტ ქალთა ორგანიზაციამ" სერიოზულად დამუხტა სკოლის მოსწავლეებითა და მასწავლებლებით და ზოგადად ახალგაზრდებით დაკომპლექტებული საზოგადოებრივი ჯგუფები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ რადიკალიზაციისათვის (López-Goñi, 2005). პრაქტიკულად, აქ ჩნდება ერთი ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი: ზემოთ გაანალიზებული გარე გავლენების ფაქტორი (რომელთაგან ერთ-ერთი ირლანდიური ფაქტორიცაა), რომელმაც ბასკების ძალადობისაკენ წახალისება გამოიწვია, აქტუალური აღმოჩნდა ბასკების განათლების პრობლემის საკითხთან მიმართებითაც. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ბასკების რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და დაქვეითებული სოციალური სტატუსის ფენომენი გარკვეული თვალსაზრისით გარე ფაქტორების გავლენასთანაც იყო კავშირში და მთლიანობაში უზრუნველყოფდა რეგიონის წარმომადგენელთა მიდრეკილებას რადიკალური ზომებისაკენ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდამდეც და ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომაც ფრანკოს გუნდის წინააღმდეგ იყო მიმართული ეს საპროტესტო ტალღა (López-Goñi, 2005), ნათელი გახდება ამ მოძრაობის პოლიტიკური შინაარსი, რომელიც განათლებისა და კიდევ სხვა მიმართულებებით არსებულ შეზღუდვებს აპროტესტებდა 1930-იან წლებშიც და შემდგომაც. თუ გადავხედავთ შემდგომ განვითარებულ მოვლენებს, დავინახავთ, რომ არაერთ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დაკავშირებული ადამიანები ბასკეთში ნაციონალისტური მოძრაობის გაძლიერებას კვლავ ცდილობდნენ. ამ მხრივ, მაგალითად, გამოსაკვეთია სამი ქალი - მარია ვისკარეტი, ჯულია ფერნანდესი, ელბირა ზიპიტრია - რომლებიც პამპლონას სკოლასთან იყვნენ ასოცირებულნი. ისინი, პრაქტიკულად, იქცნენ სიმბოლოდ სასწავლო

სფეროში ცენტრალური ხელისუფლების ჩარევის შედეგად წარმოქმნილ პრობლემებთან რადიკალური გზებით გასამკლავებლად (López-Goñi, 2005). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ საკმაოდ ძლიერი საყრდენი ჰქონდა საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე ადამიანური რესურსის სახით ნაციონალისტურ მოძრაობას. ეს კი პირველ რიგში, გამოწვეული იყო იმით, რომ ესპანელები ძალზე უშლიდნენ ხელს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებასა და ინოვაციების დანერგვას საგანმანათლებლო სფეროში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფერნანდესი მასწავლებლობის პარალელურად "PNV"-ის ქალთა ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა, ხოლო ზიპიტრიამ ფრანკოს მმართველობის პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების საწინააღმდეგოდ არაერთი ნაბიჯი გადადგა (საიდუმლო სკოლის დაფუძნება სან სებასტიანში, ბასკურ ენაზე სწავლების ინიციატივის ღია მხარდაჭერა და სხვ.) (López-Goñi, 2005), კიდევ ერთხელ მოეფინება ნათელი იმ ფაქტს, რომ საგანმანათლებლო შესაძლებლობების საგრძნობმა შეკვეცამ როგორც ბასკთა სწავლა-სწავლების პროცესი შეზღუდა, ისე ეთნოსში ნაციონალისტური მანდილით შემოსილ ძალადობრივ განწყობებს მისცა სერიოზული გასაქანი. ამ მხრივ, სულაც არ იქნებოდა გასაკვირი, ბასკებს სისხლისმღვრელი ნაბიჯები გადაედგათ ესპანელთა წინააღმდეგ თავიანთი მიზნების მისაღწევად. გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად 1930-იანი წლების პირველ ნახევარში ბასკური ენის საგანმანათლებლო და ოფიციალურ-საქმიან ურთიერთობებში ინტეგრირებისა, სამოქალაქო ომმა ძალზე მძიმე გავლენა მოახდინა ამ ინტეგრირების პროცესზე და პრაქტიკულად, ისევ გააქრო საქმიანი სივრციდან. უფრო მეტიც, ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა, რაც კი ბასკური კულტურისა და განათლების თვითმყოფად განვითარებაზე მიანიშნებდა, ფრანკოს ხელისუფლების ძალზე სერიოზული წინააღმდეგობის მსხვერპლი ხდებოდა (López-Goñi, 2005). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება ყველანაირად

ცდილობდა ბასკების ავტონომია შეეზღუდა საგანმანათლებლო თვალსაზრისით და უშუალოდ ბასკური ენის შეზღუდვა კი ბასკებისათვის სერიოზულ პრობლემად აღიქმებოდა. ამ მხრივ, აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი ბასკი მასწავლებელი ფრანკოს მმართველობის დამყარების შემდგომ პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდა და თუნდაც ცენტრალური ხელისუფლებისათვის მიუღებელი პრესის გაცნობის გამოც კი შესაძლოა, სერიოზული დევნის ობიექტი გამხდარიყო (López-Goñi, 2005). ამ მხრივ, ნათელია, რომ ბასკებზე სერიოზული წნეხი მომდინარეობდა სასწავლო პროცესების დანერგვისა და გავრცელების თვალსაზრისით და ის მხოლოდ და მხოლოდ მცირეხნიანი თავისუფლება, რომელიც მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჰქონდათ ბასკებს ამ საკითხში, შეიძლება ითქვას, მალევე გაქრა და ჩანაცვლდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წინასთან შედარებით უფრო მძიმე რეპრესიული მდგომარეობით. რეალურად, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ზემოთ მოცემული ანალიზიდან ჩანს, ენის საკითხებთან დაკავშირებით კატალონიასაც ჰქონდა გარკვეული ტიპის საკითხები გასარკვევი ცენტრალურ ხელისუფლებასთან (Conversi & Jeram, 2017), განხილული ფაქტები აჩვენებს, რომ ბასკეთს საკუთარი ნაბიჯების რადიკალიზაცია მოუხდა, იმდენად მძიმე ვითარება შეუქმნა ცენტრმა, განსხვავებით კატალონიისგან, რომელსაც ბევრად ლოიალური ურთიერთდამოკიდებულება ჰქონდა ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1960-იანი წლების შემდგომაც კი ბასკეთის რეგიონში ადგილობრივ დონეზე კიდევ გაგრძელდა განათლების ადმინისტრირების პრობლემები და ცენტრალური ხელისუფლება კვლავ არ აძლევდა ეთნოსს საკმარისი ხარისხის თავისუფლებას ამ მიმართულებით (რამაც კიდევ უფრო გაამძაფრა რადიკალური ნაციონალისტური ტენდენციები რეგიონის საგანმანათლებლო წრეებში)(López-Goñi, 2005), კვლავ დადასტურდება ზემოთ გამოთქმული მოსაზრება ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გრძელვადიან პერსპექტივაში ბასკების მიმართ განხორციელებული წნეხის

შესახებ, რაც თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო ძალადობრივი განწყობების აღმავლობის წინაპირობა ბასკურ ეთნოსში. ამის ფონზე, მიუხედავად 1960-იან წლებში არსებული გარკვეული ფინანსური წარმატებებისა, ბასკეთი საბოლოოდ მაინც პრობლემებში აღმოჩნდა, რაზეც სერიოზული გავლენა ჰქონდა ცენტრალურ ხელისუფლებას. 1967-1987 წლების 20-წლიან პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშებული მაჩვენებელი 35 პროცენტით დაეცა (Shatzer, 2021). პრაქტიკულად, სოციალურ სერვისებთან ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ბასკების მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, უარესდებოდა და ამ რთულ ვითარებაში ესპანელების ხელიც ერია. ამ მხრივ, სულაც არ იქნებოდა, გასაკვირი, თუკი ბასკებისათვის რაციონალური არჩევანი ასეთ შემთხვევაში იარაღის ჟღარუნი და სისხლისმღვრელი კამპანია აღმოჩნდებოდა.

მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ბასკეთის რეგიონის მიმართ არსებული სკეპტიკური და გულგრილი დამოკიდებულების შედეგად 1960-70-იან წლებში, კონკრეტულად კი 1964 წლიდან 1975 წლის ჩათვლით მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელი იმდენად საგრძნობლად დაეცა, რომ იგი ეკონომიკური განვითარების პარამეტრებით ბასკეთთან ახლოს მყოფი ესპანეთის სხვა რეგიონების შედეგებს იმავე დროისათვის ორმაგად ჩამოუვარდებოდა, ხოლო შემდგომ უკვე "ETA"-ს ექსტრემისტული ღონისძიებების გააქტიურების ფონზე გასამმაგდა კიდეც (Abadie & Gardeazabal, 2001). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ ბასკების დაქვეითებული სოციალური სტატუსი ხანმოკლე პერიოდით აღმავალი მთლიანი შიდა პროდუქტის, როგორც მათი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მაჩვენებლის თანდათანობით კლების კატალიზატორად იქცა, რაც საბოლოო ჯამში კიდევ ერთხელ მიანიშნებს რეგიონის ეკონომიკური თვალსაზრისით უმნიშვნელო დატვირთვაზე ესპანეთის სახელმწიფოსათვის. თუკი შევხედავთ მთლიანი შიდა პროდუქტის

სამრეწველო ნაწილს, ეკონომიკური პოტენციალით ბასკეთის მსგავსი სხვა რეგიონების შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 1960-იანი წლების საწყისი პერიოდიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე 15%-ით შემცირდა, განსხვავებით ბასკეთისაგან, რომლის ვარდნის მაჩვენებელიც იმავე პერიოდში იყო 2%-ით მეტი, ანუ 17%-იანი მაჩვენებელი, კონკრეტულად 45-პროცენტიანი ნიშნულიდან 28-პროცენტიანზე დაქვეითებული შედეგი (Abadie & Gardeazabal, 2001). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ თავის დროზე ესპანელთა მხრიდან ბასკების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება თანდათანობით გადაითარგმნა რეგიონის უარყოფით ეკონომიკურ მაჩვენებლებში, რაც თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო იმ ძალადობრივი კამპანიის შექმნის წინაპირობა, რომელიც საბოლოო ჯამში ბასკეთში მართლაც შექმნეს "ETA"-მ და სხვა ჯგუფებმა. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 1970-1980-იან წლებში ბასკეთს ძალზე სერიოზული ეკონომიკური პრობლემები შეექმნა. როგორც ფოლადისა და რკინის, ისე გემთმშენებლობისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის სფეროებს განსაკუთრებულად დაეტყოთ კრიზისული ვითარება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს სფეროები ბასკური რეგიონის ეკონომიკის საყრდენი იყო (Zubiri, 2010), შეიძლება ითქვას, რომ ბასკეთის ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე მძიმე იყო იმ დროისათვის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტსაც, რომ ამ დროისათვის, კონკრეტულად 1977-1985 წლებში, ბასკეთში ზოგადი უმუშევრობის სტატისტიკა 19.1 პროცენტით გაიზარდა (3.9-პროცენტიანი ნიშნულიდან 23-პროცენტიან ნიშნულამდე აიწია) და 1977-1986 წლებში სამუშაო ადგილების რიცხვი ას ორმოცი ათასით შემცირდა რეგიონში, რაც სხვა რეგიონებთან შედარებით ბევრად დიდი ზარალი იყო (Zubiri, 2010), ჩანს, რომ ესპანეთის სივრცეში ბასკეთის რეგიონს სერიოზული ეკონომიკური პრობლემები შეექმნა, რაც, პირველ რიგში, დასაქმების საშუალებების ბასკებისათვის ხელმისაწვდომობის შემცირებასთან იყო დაკავშირებული. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ამ პერიოდშიც საკმაოდ სერიოზულად ქვეითდებოდა

ბასკების სოციალური სტატუსი, მით უმეტეს ქვეყნის რეგიონებთან შედარებით, რაც დიდად არ ადარდებდა ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას და თავისუფლად არის შესაძლებელი, ბასკების მხრიდან ძალადობისაკენ მიდრეკილებების გაჩენის წინაპირობაც გამხდარიყო. ამ ყოველივეს ფონზე, იმავე 1970-1980-იანი წლების პერიოდში სამუშაო ადგილების გაქრობის ყველაზე სწრაფი, დინამიკური ტემპი ბასკეთის ტერიტორიაზე (Zubiri, 2010) იმის დასტურია, რომ ეს რეგიონი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის ჭაობში ეფლობოდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში საკმაოდ სერიოზული პრობლემები შეექმნათ ბასკებს დასაქმების თვალსაზრისით. ეს პრობლემა განსაკუთრებულად გამოიკვეთა სამრეწველო სფეროში (Santamaria, 2005). ეს ფაქტი გვიქმნის წარმოდგენას იმასთან დაკავშირებით, რომ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით, დასაქმების ხელმისაწვდომობა რეგიონის წარმომადგენლებს, პრაქტიკულად, უმცირდებოდათ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულება კვლავაც გრძელდებოდა. თუ გადავხედავთ ბასკეთში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებს 1980-იანი წლების ბოლოს, კონკრეტულად, 1985 წლიდან 1991 წლის ჩათვლით ინდუსტრიული სამუშაო ადგილები გიპუზკოაში 95 300-დან 89 600-მდე შემცირდა, ბისკაიაში - 134 200-დან 119 400-მდე დაეცა, ხოლო ალავაში - მართალია მცირედით, თუმცა მაინც შეიკვეცა 38 500-დან 38 200-მდე. მთლიანობაში, რეგიონის მასშტაბით სამივე მონაცემის დაჯამებით, პრაქტიკულად, 20 900 სამსახურებრივი ადგილი დაიკარგა (Santamaria, 2005). ზუბირის გადმოცემით, თუკი 1970-იან წლებში დაქირავებული მუშახელის 45 პროცენტი სამრეწველო სექტორში იყო დასაქმებული, 1990-იანი წლებისათვის ეს ამ კატეგორიის მუშახელის რაოდენობა, არც მეტი, არც ნაკლები, 30-პროცენტიან ნიშნულამდე დაქვეითდა, თანაც ისე, რომ მომავალშიც თანდთან გაუარესებისაკენ წავიდა (Zubiri, 2010). ეს ყოველივე კიდევ ერთხელ უბრუნდება ზემოთ

გადმოცემულ ანალიზს იმის შესახებ, რომ ესპანეთში ბასკების სოციალური სტატუსი უმნიშვნელო იყო და მათთვის დასაქმების პრობლემა მე-20 საუკუნის დეკადის დაწყებამდე მწვავდებოდა. ამ მხრივ, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ცენტრის მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიმართ რეგიონის წარმომადგენლებში გამხდარიყო ძალადობრივი სურვილების აღძვრის მოტივატორი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სანტამარიას აზრით, მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ესპანეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ბასკების მიმართ ახდენდა გავლენას ბილბაოსა და ბასკეთის რეგიონის სხვა ქალაქების ეკონომიკურ მდგომარეობაზე (Santamaria, 2005), რაც რეალურად, შეიძლება ითქვას, გამოიხატებოდა ბასკების სტატუსის დაკნინების საფუძველზე მათი ეკონომიკური განვითარების მიმართ ინდეფერენტული, ან უფრო მეტიც უარყოფითი დამოკიდებულების გაძლიერებით. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ ბასკეთის მოსახლეობისა და ფარდობითი შემოსავლების რიცხვიც შეიკვეცა 1980-იანი წლების დასაწყისიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე. კერძოდ, 1981 წლიდან 1991 წლის ჩათვლით რეგიონის ფარდობითი შემოსავლის 7.5-იანი საპროცენტო ნიშნული 6.24-პროცენტიან ნიშნულამდე დაეცა და იმავე წლებში მოსახლეობის ფარდობითი მაჩვენებელი კი 5.66-პროცენტიანი წერტილიდან დაახლოებით 5.3-პროცენტიან ნიშნულამდე ჩავიდა (Zubiri, 2010). ეს რეალურად აჩვენებს, რომ რეგიონს ეკონომიკურად იმდენად რთული მდგომარეობა შეექმნა, რომ იქიდან მოსახლეობის გადინება დაიწყო და რეალურად, ბასკების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ზემოთ გადმოცემულ ანალიზს და იმის დასტურია, რომ ასეთ მდგომარეობაში სულაც არ იყო გამორიცხული, ისედაც ექსტრემისტულ ფაზაში შესული 1970-1980-იანი წლების პერიოდი კიდევ უფრო გამწვავებულიყო. ამ მხრივ, კიდევ ერთხელ ჩანს ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან

გულგრილი დამოკიდებულება ბასკეთის ეკონომიკური მდგომარეობის მიმართ, რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ დროისათვის საგრძნობლად შეერყა საფუძველი მისი მთავარი ასპექტების (რკინა, ფოლადი და სხვ.) კრიზისში აღმოჩენის საფუძველზე. შატცერის ანალიზით, 1981-1999 წლების 18-წლიან ციკლში უმუშევრობა რეგიონში 15-პროცენტიან ნიშნულს არ ჩასცდენია (Shatzer, 2021), რაც თავისუფლად შეიძლება შეფასდეს, როგორც დასაქმების, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კუთხით მნიშვნელოვანი ბენეფიტის თვალსაზრისით ბასკეთის მწვავედ პრობლემური მდგომარეობის გამომხატველი მდგოამრეობა. ამ მხრივ, 1970-იან წლებში, 1976 წლიდან მოყოლებული 1980-იანი წლების შუა პერიოდების, 1985-1986 წლების ჩათვლით, 16-დან 19 წლის ასაკის ჩათვლით ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე 10 პროცენტზე ნაკლებდონიანი წერტილიდან 70-პროცენტიან ნიშნულამდე (1982 წელს 72 პროცენტსაც კი მიაღწია), ხოლო 20-დან 24 წლის ასაკის ჩათვლით - ანალოგიური ნიშნულიდან 60-პროცენტიან მაჩვენებლამდე გაიზრდა (Shatzer, 2021). ეს კატასტროფული მაჩვენებელი, რეალურად ძალზე დამაზარალებელ ფაქტორად შეიძლება, ჩაითვალოს ბასკთა ეკონომიკური მდგომარეობისათვის.

შატცერის თქმით, ამ უპერსპექტივო მდგომარეობის ფონზე ახალგაზრდების მიდრეკილება ექსტრემისტული და კრიმინალური საქმიანობის მიმართ სულაც არ არის გასაკვირი, რაც ბასკეთში იმ პერიოდში განსაკუთრებულად გააქტიურებული "ETA"-სთვის ძალზე მომგებიანი მოცემულობის ტოლფასი იყო. ამ მოსაზრების გასამყარებლად თავისუფლად გამოდგება ადელაიასა და ჯორჯის 2020 წლის კვლევა 126 ქვეყნის მასშტაბით იმასთან დაკავშირებით, რომ ტერორისტული სულისკვეთებისა და აქტების ხარისხობრივ გაძლიერებასა და რაოდენობრივ მომრავლებაში დაუსაქმებელი ახალგაზრდები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ (Shatzer, 2021). ეს ყოველივე რეალურად უბრუნდება იმ არგუმენტს, რომ ცენტრალური ხელისუფლების

სკეპტიციზმის მეშვეობით წახალისებული მძიმე ეკონომიკური ვითარება ბასკეთში თავისუფლად მოსალოდნელი იყო, გამხდარიყო ძალადობრივი კამპანიის წინაპირობა და ამ თვალსაზრისით, წაეხალისებინა ბასკები, განსაკუთრებით მათი ახალგაზრდული ნაწილი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მწვავე დაპირისპირების ჭაობში ჩასაფლობად. როგორც ჩანს ეს ყოველივეც და მანამდე 1920-30-იანი წლებიდან ბასკეთში მიმდინარე პროცესებიც იქცა იმის მიზეზად, რომ "ETA"-ს რიგებს 1960-იან წლებშიც და შემდგომაც აქტიურად უერთდებოდნენ ახალგაზრდები და სწორედ ამიტომ იყო ახალგაზრდა რეკრუტების სეგმენტი ის ერთ-ერთი პირველი საყრდენი, რომლის მეშვეობითაც ტერორისტული ორგანიზაცია თავისი ექსტრემისტული აქტების განხორციელებას შეუდგა თავდაპირველად. უდავოა, რომ ამ ყოველივესთან არის კავშირში 1950-იანი წლების ბოლო წელიწადს "ETA"-ში გაწევრიანების სურვილის მქონე ადამიანთა რაოდენობის 70 კაციდან 300 პირამდე მოულოდნელად აწევა (Alonso, 2011). 1960-იანი წლებში "ETA"-ს წევრთა მიერ ფრანკოს თანამებრძოლთა მატარებელზე იერიში (Turner, 2015), რამაც, როგორც ზემოთ ავხსენით, განსაკუთრებით მძიმე შედეგები მოიტანა (გამიზნული მსხვერპლი, ინფრასტრუქტურული ზარალი, იძულებით გადაადგილებული ადამიანები), შეიძლება ითქვას, რომ რეალურად აჩვენებს მოცემულობას, რომ ამ ყველაფერში გარდა გარე ფაქტორების გავლენისა, ეკონომიკური უკუსვლისა და ბასკთა სოციალური სტატუსის დაქვეითების როლიც საგრძნობლად მნიშვნელოვანი იყო. ეს კი დინამიკაში ანახებს ძალადობრივი პროცესის გააქტიურებასა და სისხლიანი ფაქტების მომრავლებას ყოველ მომდევნო დეკადაში, რაც აჩვენებს ესპანელთა წვლილით ბასკთა ეკონომიკური უკუსვლის ფონზე ამ ეთნიკური უმცირესობის ისევ და ისევ ესპანელთა მიმართ ძალადობრივი მიდგომების გამკაცრებას.

თუ ადელაიასა და ჯორჯის ზემოხსენებულ კვლევაში არსებულ ერთ-ერთ მიგნებას მოვიშველიებთ იმის შესახებ, რომ კორუფციული

გარიგებებისა და სამართლებრივი სისტემის არარსებობის გარდა, სწორედ მთავრობის გულგრილი და არასათანადო დამოკიდებულება მაღალი ალბათობით შეიძლება, იქცეს დაუსაქმებელ ყმაწვილთა ექსტრემისტული საქმიანობით დაკავების ფაქტორად (Shatzer, 2021), კიდევ ერთხელ გამყარდება მოსაზრება იმის შესახებ, რომ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეგიონის ეკონომიკური პროცესებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, თავისუფლად შეიძლებოდა გამხდარიყო როგორც ეკონომიკური ვარდნის, ისე ძალადობრივი კამპანიის გაძლიერების წინაპირობა. ამ გადმოსახედიდან, ისე ჩანს, რომ სოციალურ სერვისებთან და დასაქმებასთან მიმართებით სერიოზული პრობლემების მქონე ბასკი მოსახლეობა, განსაკუთრებით მისი ახალგაზრდული ნაწილი არა თუ ეწინააღმდეგებოდა, არამედ ემხრობოდა კიდეც ესპანელთა წინააღმდეგ მახვილის ხელში აღებასა და რადიკალური ზომების მიღებას. ის ფაქტი, რომ კარუზო და შნაიდერი ტერორისტული აქტების 0.5-პროცენტიან ზრდას უკავშირებენ ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის 1-პროცენტიანი ნიშნულით აწევას (Shatzer, 2021), შეიძლება ითქვას, ამავე ლოგიკას აძლიერებს და კიდევ ერთხელ აჩვენებს იმას, რომ ექსტრემისტულ ჯგუფებს იმჟამინდელ ბასკეთში, პრაქტიკულად, სასათბურე პირობები შეექმნათ საკუთარი ავი ზრახვების სისრულეში სწორედ ყმაწვილკაცი ბასკების დახმარებითა და ზოგადად ბასკი ეთნოსის მხარდაჭერით მოსაყვანად. ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ტერორისტულმა ორგანიზაციამ პრემიერ-მინისტრ ბლანკოს სიცოცხლესთან გამოსალმება, ხოლო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 12 სრულიად უდანაშაულო თანამშრომლის მკვლელობა აიღო საკუთარ თავზე (Turner, 2015), ნათლად მოწმობს, რომ რეგიონში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება ხელს უწყობდა ძალადობრივი მუხტის გაძლიერებასა და ტერორისტული სულისკვეთების განვითარებას. ახალგაზრდების უმუშევრობის განსაკუთრებულად მზარდი პერიოდის, 1975-1985 წლების პირობებში, რეჟიმის დიქტატორული სტილიდან დემოკრატიულ

მმართველობად გარდაქმნის პროცესში, “ETA”-მ 998 ტერაქტი მოაწყო (Shatzer, 2021). ეს ფაქტი იმის დასტურია, რომ უმუშევრობამ, გაუარესებულმა სოციალურმა ფონმა და ზოგადად ბასკთა ესპანეთის სახელმწიფოში დაქვეითებულმა სოციალურმა სტატუსმა უბიძგა მათ სისხლიანი, ძალადობრივი ნაბიჯების გადადგმისაკენ ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებისას.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოხმობილ ფაქტს იმის შესახებ, რომ ბასკმა ექსტრემისტებმა ყველაზე მეტი ადამიანი სწორედ 1975 წლის შემდეგ პერიოდში გამოასალმეს სიცოცხლეს (Post, 2007), ნათლად იკვეთება ის გარემოება, რომ ბასკების ყველაზე მწვავე ძალადობრივი ნაბიჯები რეგიონის ერთ-ერთ უმძიმეს ეკონომიკურ პერიოდს ემთხვევა. ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მძიმე ეკონომიკურ ფონსა და ესპანელთა აღქმაში ბასკების დაქვეითებულ სოციალურ სტატუსს უდავოდ სერიოზული როლის შესრულება შეეძლო რეგიონში ძალადობრივი მუხტის არა მხოლოდ გაჩენის, არამედ გაღვივებისა და განმტკიცების თვალსაზრისითაც. საინტერესო ფაქტია ისიც, რომ უსამსახუროდ დარჩენილი ახალგაზრდები ქუჩის დემონსტრაციების დროს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ პოლიციას და გარემოს მოლოტოვის კოქტეილებისა და სხვა ფეთქებადსაშიში თუ სიცოცხლისათვის სხვა თვალსაზრისით სახიფათო ნივთირებების მეშვეობით დაზიანებასაც არ ერიდებოდნენ (Shatzer, 2021). ეს აჩვენებს, რომ ეკონომიკური პირობების დაქვეითებამ ახალგაზრდებში გააღვივა ისეთი ტიპის პროტესტი, რომელიც დამნაშავეობისა და ექსტრემიზმის წახალისებას უზრუნველყოფდა. ამ მხრივ, ნათელია, რომ რეგიონში მართლაც შეიქმნა ძალადობრივი ფონი, რომელშიც ლომის წილი ჰქონდა ცენტრალური ხელისუფლების ბასკების ეკონომიკის მიმართ გულგრილ დამოკიდებულებას შეტანილი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ 0.3 პროცენტით ჩამოქვეითდა რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტი 1975-1985 წლებში (Shatzer, 2021), კიდევ უფრო გაფართოვდება იმ მძიმე რეალობის სურათი, რომელშიც

ბასკების მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით აღმოჩნდნენ. ამ თვალსაზრისით, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ბასკებისათვის რაციონალური არჩევანი ტერორიზმის მხარდაჭერა აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია, რომ 1975-1981 წლებში დასაქმებული ახალგაზრდების პროცენტის 11-პროცენტიანმა კლებამ გამოიწვია მთლიანი შიდა პროდუქტის სერიოზული რყევები. როგორც მზარდი უმუშევრობის, ისე რეცესიის ფონზე გაუარესებული სოციალური მდგომარეობა რეგიონის მასშტაბით გახდა ძალადობის წამახალისებელი გარემოება, რადგან "ETA"-მ ხელში ახალგაზრდების რეკრუტირებისათვის სერიოზული იარაღი ჩაიგდო (Conversi, 1994). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ ცენტრალური ხელისუფლების სერიოზული გავლენით არსებულ მძიმე ეკონომიკურ ფონს რეგიონში კიდევ უფრო ამძიმებდა ახალგაზრდული ადამიანური რესურსის უმუშევრობა, რომელიც ექსტრემისტული აქტივობისათვის ამ ახალგაზრდებს მოწყვლად ჯგუფად აქცევდა გადაბირების თვალსაზრისით. ბუნებრივია, შესაძლოა, იარსებოს მოსაზრებამ, რომ მხოლოდ ეკონომიკური ფონის გაუარესება ძალადობას ვერ გამოიწვევდა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ-ერთმა პოლიტიკურმა ჯგუფმა, "ჰერი ბატასუნამ" თავისი საარჩევნო კამპანიისათვის კარგად გამოიყენა არასათანადო სამუშაო პირობებისა და უმუშევრობის საკითხები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გაუარესებული სოციალურ-ეკონომიკური ფონი თუ ძალადობის წარმოშობის ფაქტორად არა, ძალადობრივი ფონის წამახალისებელ გარემოებად ნამდვილად შეიძლება, მოიაზრებოდეს (Conversi, 1994). თუკი უფრო სიღრმისეულად მივუდგებით საკითხს, გრძელვადიან პერსპექტივაში, ანუ მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით პროცესების მთლიანი დინამიკის ანალიზით იკვეთება ის, რომ ბასკეთში ესპანელების გულგრილი დამოკიდებულების შედეგად ეკონომიკური ფონის გაუარესებისა და დაქვეითებული სოციალური სტატუსის კიდევ უფრო მეტად დაკნინების მეშვეობით სულ უფრო და უფრო იმატა ძალადობრივმა მიდრეკილებებმა და მთლიანობაში თანდათან

იმდენად გააქტიურდა, რომ არაერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და მრავალი ინფრასტრუქტურული თუ სხვა ტიპის ზარალი მიაყენა როგორც უშუალოდ ბასკთა რეგიონს, ისე ზოგადად ქვეყანას.

**5. 1. 2. კატალონიური უმცირესობის ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით**

კატალონიის ეკონომიკური განვითარება ასევე საკმაოდ საინტერესოდ მიმდინარე პროცესი იყო მრავალი წლის მანძილზე. კამპრუბის გადმოცემით, კატალონია, როგორც თავისი პოტენციალითა და ეკონომიკური მდგომარეობით გამორჩეული რეგიონი, ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა ესპანეთში ცენტრალურ დონეზე მიმდინარე როგორც შიდა-პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში (Camprubi, 2017). ამ მხრივ, გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია, რამდენად ურყევად ინარჩუნებდა ეს რეგიონი ამგვარ მდგომარეობას ქვეყანაში მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით და რა როლი ჰქონდა ამაში თავად ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას. საინტერესოა, რომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური გარდაქმნები რეგიონში ჯერ კიდევ 1700-იან წლებში დაიწყო. ამ გარდაქმნების მთავარი საფუძველი სოფლის მეურნეობის სექტორის აღორძინებასთან ერთად, პირველ რიგში, არც მეტი, არც ნაკლები, ესპანური სახელმწიფოს ტერიტორიასთან სრულფასოვანი გაერთიანება იყო (Medrano, 1994). ეს გარემოება მოწმობს, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნემდე ერთი საუკუნით ადრე ესპანურ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ სივრცეში შებიჯებამ დადებითი გავლენა იქონია კატალონიელების ეკონომიკურ განვითარებაზე. ისტორიული ცნობების საფუძველზე ცხადია, რომ კატალონიელები მთელი 1800-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული 1900-იანი წლების ჩათვლით სამრეწველო მონოპოლიას ფლობდნენ და ამ მხრივ, მათი სიძლიერე მთელ ესპანეთში ცნობილი იყო. სწორედ მათი წიაღიდან გამოიჩეკნენ სამოქალაქო მომსახურებებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის წამყვანი მიმწოდებლები როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის მასშტაბით. რეგიონი

იმდენად გაწონასორებული და კულტურულად მომწიფებული იყო, რომ ესპანეთის დედაქალაქში მცხოვრები ადამიანებიც კი მათგან იღებდნენ ცხოვრებისეულ მაგალითს (Dowling, 2017). ამ მხრივ, იგრძნობა, რომ კატალონიელთა ეთნიკური უმცირესობა თავადაპირველადაც და შემდგომაც საკმაოდ დაფასებულად გრძნობდა თავს ესპანეთში. ამის გასაანალიზებლად მივყვეთ ისტორიულ მოვლენებს.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ სწორედ მე-18 საუკუნეში ესპანური საზოგადოების ნაწილად ქცევის საფუძველზე კატალონიელები აქტიურ წარმოებაში ჩაერთნენ და არა მხოლოდ ესპანეთის, არამედ ლათინური ამერიკის ტერიტორიების მასშტაბითაც საკმაოდ სერიოზულ ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებში მონაწილეობდნენ (Medrano, 1994), კიდევ ერთხელ ნათლად ჩანს, რომ კატალონიელებს ცენტრალური ხელისუფლებისაგან მაქსიმალური ხელშეწყობით ჰქონდათ ეფექტიან ეკონომიკურ პროცესებში ჩაბმის შესაძლებლობა. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვან რეგიონად ცნობდა ესპანეთი კატალონიას და ამ თვალსაზრისით კატალონიელებს მაღალი სოციალური სტატუსი უნდა ჰქონოდათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარდა ბუნებრივი რესურსებისა, ესპანელთა მხარდაჭერით კატალონიის მასშტაბით საკმაოდ ინტენსიურად მიმდინარე სამრეწველო განვითარებისა და კაპიტალის ბრუნვის ძლიერმა ტემპმა მოსახლეობის ზრდას შეუწყო ხელი და ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების ხარისხიანი მიწოდების აუცილებლობას გაუსვა ხაზი (Barceló-Prats & Bekele, 2021). ეს იმაზე მიუთითებს, რომ რეგიონის პოტენციალი რეალურად ვითარდებოდა და პრაქტიკაში ბევრი სასარგებლო რამ ინერგებოდა ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით, რამაც, როგორც ჩანს, კატალონიელთა სოციალური სტატუსის განვითარებასაც დაატყო კვალი.

საინტერესოა, რომ 1830-იან წლებში, კარლისტური მოცემულობის გაქარწყლების შემდგომ, კატალონიის რეგიონში განსაკუთრებით განვითარდა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც გამოიხატებოდა

როგორც საეკლესიო სიმდიდრის განკარგვის, ისე შრომითი გაერთიანებებისა და ზოგადად სავაჭრო საქმიანობის მარწუხებისაგან გათავისუფლებით (Conversi, 1994). რეალურად, ჩანს, რომ მე-19 საუკუნეში კატალონიაში უკვე იგრძნობოდა ეკონომიკური მდგომარეობის თვალსაზრისით გამოჯანსაღება. ეს თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს კატალონიის სოციალური სტატუსის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ბენეფიტად. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდში ჯანმრთელობის სექტორის პრივატიზაციის საკითხი საკმაოდ სერიოზულად იდგა კატალონიის რეგიონის ადგილობრივი ხელისუფლების პოლიტიკურ დღის წესრიგში და გრძელვადიან პერსპექტივაში სერიოზული პრაქტიკული ნაბიჯებიც მოიტანა წლების შემდეგ (დიაგნოსტიკური დაწესებულებები, ქირურგიული სამკურნალო ადგილები და სხვ.)(Barceló-Prats & Bekele, 2021), თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ კატალონიაში სერიოზული მზადყოფნა არსებობდა ეთნოსის მხრიდან საკუთარი სოციალური სისტემის, მათ შორის, პირველ რიგში, ჯანდაცვის სექტორის განვითარება-გაუმჯობესების მიმართულებით. ამ მხრივ, როგორც ვახსენეთ არსებობდა მზადყოფნა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეგიონისათვის ხელშეწყობისათვის. ამ თვალსაზრისით, იმავე მე-19 საუკუნიდან მოყოლებული კატალონიელები მყარ ნაბიჯებს დგამდნენ რეგიონში არსებული ყველა ცენტრალური ადგილის შესაბამისი სამედიცინო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვისათვის. იმის ფონზე, რომ მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომობა მთავარ პრიორიტეტად აღიქმებოდა, ესპანელთა ხელშეწყობით კატალონიაში როგორც საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგდა, ისე პრაქტიკული თვალსაზრისითაც განვითარდა ჯანდაცვის მიმართულება: უბნის საავადმყოფოები, ლაბორატორიული დაწესებულებები, საქველმოქმედო ფონდებიდან დაფინანსებული სამკურნალო ცენტრები… - ეს არასრული ჩამონათვალია იმ პრაქტიკაში რეალიზებული პროექტებისა, რომლებიც იმჟამად რეგიონში

აქტიურად ინერგებოდა (Barceló-Prats & Bekele, 2021). ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონს სოციალური სერვისების განვითარებისა და ხელმისაწვდომობის მხრივ სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა სახელმწიფოსაგან, რაც ბუნებრივია, შესაძლებელია, გამხდარიყო ძალადობის არა მხოლოდ ჩაცხრომის, არამედ საბოლოოდ გაქარწყლების ფუნდამენტური მიზეზიც კი.

როგორც კვლევიდან იკვეთება, ეს ფაქტი და მსგავსი შემთხვევები იყო იმის წინაპირობა, რომ კატალონიას ძალადობრივ გარე აქტორებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და მცირე რაოდენობის არაძალადობრივ აქტორებთან ურთიერთობით შემოიფარგლებოდა, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება ზემოხსენებული „ფელიბრიჯი“ (Conversi, 1993). პრაქტიკულად, მე-19 საუკუნეში კატალონიელები არაძალადობრივი მეთოდებისაკენ იყვნენ მიდრეკილნი და მშვიდობიან, კომპრომისულ გზებს ეძებდნენ თავიანთ ცენტრალურ ხელისუფლებასთან სასაუბროდ, როგორც ესპანურ საზოგადოებაში მაღალი სოციალური სტატუსით გამორჩეული ეთნოსი. ამ ყოველივეს ფონზე, რეგიონში ციტრუსის კულტურის განვითარებითა და ასევე ზეითუნის ზეთისა და ღვინის წარმოებით ბურჟუაზიული კლასის განვითარებისათვის შეიქმნა ნოყიერი ნიადაგი, ხოლო შემდგომ კი საფეიქრო საქმის განვითარების საფუძველზე ნელ-ნელა დაიწყო ინდუსტრიალიზაციის პროცესი (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). ეს აჩვენებს, რომ საწყის ეტაპზე საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო ეკონომიკური პროცესები კატალონიაში და ერთი შეხედვით, მიუთითებს იმაზე, რომ რეგიონის მოსახლეობის სოციალური სტატუსი თანდათან უპირატესი მდგომარეობისაკენ უნდა წასულიყო. სხვათა შორის, ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში არსებულმა მოწესრიგებულმა სიტუაციამ, უკვე მე-18 საუკუნის ბოლო პერიოდში გაყიდვებისა და წარმოების შესაძლებლობების აღმავლობის ფონზე კატალონიაში (ისევე როგორც ესპანეთის სხვა ტერიტორიებზეც) გლეხები ღვინის საქმიანობით დააინტერესა და გრძელვადიან პერსპექტივაში გლეხობის ჯანსაღი ფინანსური

მდგომარეობაც უზრუნველყო (Medrano, 1994). ამ მხრივ, ჩანს, რომ კატალონიელ მშრომელებს საკმაოდ სერიოზული დაფასება ჰქონდათ ესპანეთში და ეძლეოდათ წინსვლისა და ახალი საქმის წამოწყების საშუალება. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 1700-იანი წლებში ესპანეთში მიმდინარე განახლების პოლიტიკის შედეგად კატალონიას სერიოზული პრივილეგიები მიეცა ეკონომიკური თვალსაზრისით და ამ პრივილეგიების სანაცვლოდ თავად კატალონიელების საკმაოდ დადებით განწყობას ესპანელების მიმართ (რაც, მაგალითად, ნაპოლეონის შემოსევების დროს ესპანური სახელმწიფოს სასარგებლოდ ფრანგული გავლენების წინააღმდეგ როგორც ფიზიკურ, ისე მორალურ ბრძოლაში გამოიხატა)(Payne, 1971), იკვეთება, რომ კატალონიელების სტატუსი და მათი ეკონომიკური მდგომარეობა ესპანელთათვის ძალზე საყურადღებო მოვლენა იყო. ამ ყოველივეს ფონზე კი ზემოხსენებული საფეიქრო წარმოება, რომელიც ესპანეთის ეკონომიკისათვის ძალზე მნიშვნელოვანი პროცესი იყო, მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან 60-იანი წლების ჩათვლით სერიოზულ ეკონომიკურ ძვრებს ქმნიდა რეგიონში. თავის მხრივ, რეგიონში არსებული წარმოების პოტენციალი კი იმდენად სასათბურე პირობებს უქმნიდა ამ ბიზნესს, რომ სწორედ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რეგიონში არსებულ საფეიქრო ნაწარმს 80%-იანი წილი ჰქონდა ესპანეთის ეკონომიკაში (Medrano, 1994), ხოლო 1900-იან წლებში კი ეს რიცხვი გაიზარდა 82%-მდე (Domenech, 2008). პრაქტიკულად, მრავალი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ესპანელთა ხელშეწყობით არსებული წარმატებული ეკონომიკური მდგომარეობა კატალონიელთა ძლიერ ეკონომიკურ მდგომარეობას, აღმავალ სოციალურ სტატუსსა და ესპანური სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ დატვირთვას გადმოსცემდა მე-19 საუკუნეში. თუ იმასაც გავუსვამთ ხაზს, რომ ესპანეთის ტერიტორიაზე ბამბის პირველი საწარმო გაიხსნა სწორედ კატალონიაში, კერძოდ, ბარსელონაში, რაც რეალურად სამრეწველო წარმოების საწყისი ეტაპი იყო სრულიად ესპანეთში და როგორც უკვე აღვნიშნეთ, არა მხოლოდ

რეგიონული, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც საკმაოდ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია (Domenech, 2008), კიდევ ერთხელ ნათელი ხდება კატალონიის სტაბილური ეკონომიკური განვითარების მიმართ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების ინტერესი.

გასათვალისწინებელი ფაქტია, რომ საფეიქრო წარმოება, რომელიც მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ფაქტობრივად, ესპანეთის სამრეწველო პოტენციალის ძრავა იყო, ყველაზე მეტად კატალონიის რეგიონში იყო წარმოდგენილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისა და ზოგადად ესპანური საზოგადოების ხელშეწყობით სწორედ კატალონიის ტერიტორიაზე გაიხსნა საფეიქრო საქმიანობის უმეტესი საწარმოები, რამაც იმ დროისათვის 80 000 ადამიანის დასაქმებაში შეიტანა წვლილი და ამავე დროს, კატალონიას მე-6 ადგილი მიანიჭა ხანგრძლივი ვადით ევროპის კონტინენტზე ამ მიმართულების წარმოებაში (თანაც იმის ფონზე, რომ ესპანეთი თავისი ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლებითაც და საფეიქრო წარმოებითაც იმჟამად ძალზე ჩამოუვარდებოდა ევროპის არაერთ სხვა სახელმწიფოს)(Smith, 1991). ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება სწორედ მე-19 საუკუნეშივე საკმაოდ სერიოზულად უწყობდა ხელს კატალონიის რეგიონს განვითარებაში და სწორედ კატალონიელების ტერიტორია ესახებოდა წარმოების განვითარებისა და თავისი ეკონომიკური პოტენციალის რეალიზაციის სივრცედ. გარდა ამისა, თუ კარგად დავაკვირდებით გარემოებებს, აღმოვაჩენთ, რომ ესპანეთის ხელისუფლება პირდაპირ თუ ირიბად იმჟამად რეგიონში ხელს უწყობდა ადამიანების დასაქმებას, რაც როგორც კატალონიის, ისე სრულიად ესპანეთის მასშტაბით სერიოზული საფუძვლების შექმნის შესაძლებლობა იყო სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელების სოციალური სტატუსი ძალზე დაფასებული იყო მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზევე. საინტერესოა, რომ ყოველი წლის მანძილზე არანაკლებ 7%-ისა იზრდებოდა სამრეწველო წარმოება მე-19 საუკუნის 30-

იან წლებში, 40-იან წლებში - 5.4%-ით, ხოლო მის მომდევნო დეკადაში კი - 5.7%-ით (Ramon-Muñoz & Ramon-Muñoz, 2023). ეს მიანიშნებს იმაზე, რომ წარმოების განვითარების საფუძველზე ეკონომიკური ზრდა რეგიონში სახეზე იყო, მიუხედავად იმისა, რომ 30-იანი წლების დეკადასთან შედარებით მომდევნო ორ დეკადაში დაახლოებით 1.5-ით ნაკლები ნიშნულით მიმდინარეობდა ყოველწლიური სამრეწველო წარმოების აღმავლობა. ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს კატალონიელების სოციალური სტატუსის მნიშნველოვან დატვირთვაზე ესპანური სახელიმწიფოსა და საზოგადოებისათვის, რაც მათ რაციონალურ არჩევნად არა ძალადობას, არამედ კომპრომისულ პოლიტიკას მოასწავებდა. მნიშვნელოვანია, რომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით კატალონიაში საკმაოდ სერიოზული ბიზნეს ძვრები მიმდინარეობდა, რაც სოფლად მცხოვრები მოსახლეობის აღმავლობის ფონზე კატალონიელი ფერმერების მხრიდან ვაჭრობის სექტორში კაპიტალის დაბანდებით გამოიხატებოდა. ამან ნელ-ნელა საზოგადოებრივი ცხოვრების საქალაქო ტიპი ჩამოაყალიბა და როგორც სულიერი ფასეულობების, ისე ეკონომიკური პოტენციალის განვითარების ახალი ეტაპი შემოიტანა კატალონიურ ეთნოსში (Medrano, 1994). ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ესპანურ სახელმწიფოში კატალონიური საზოგადოება თავს კარგად გრძნობდა და მათი ეკონომიკური განვითარების დონეს საკმაოდ მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა ცენტრალური ხელისუფლება.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ესპანეთის პროტექციონისტური პოლიტიკის შედეგად კატალონიელმა კაპიტალისტებმა საკმაოდ სერიოზულ ეკონომიკურ წინსვლას მიაღწის (Medrano, 1994) და ესპანეთის ელიტარულ ეკონომიკურ ჯგუფებშიც სერიოზულად დაიმკვიდრეს თავი (Payne, 1971), რაც, შეიძლება ითქვას, იმავე ლოგიკას უბრუნდება და მიუთითებს სერიოზულად ლოიალურ ურთიერთობებზე ცენტრსა და პერიფერიას შორის. გასათვალისწინებელია, რომ 1890-იანი წლების

დასაწყისში ამოქმედებული კატალონიისათვის სასარგებლო სატარიფო პოლიტიკა და კუბასთან და ლათინური ამერიკის სხვა სახელმწიფოებთან სავაჭრო მიდგომების განვითარება საკმაოდ სერიოზული შედეგების მომტანი გახდა კატალონიელებისთვის (Payne, 1971). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 1800-იან წლებში, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, ტაძრები, რომლებიც მაშინდელი საზოგადოებისათვის სოციალური სერვისებისა და საშუალო განათლების მთავარი მიმწოდებლდები იყვნენ, ყველაზე მასშტაბურად, არც მეტი, არც ნაკლები, კატალონიის ინდუსტრიალიზაციის გზით მიმავალი და დიდი სამრეწველო პოტენციალის მქონე რეგიონის საკვანძო ქალაქებში მოღვაწეობდნენ (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). ეს, თავისუფლად შეიძლება ითქვას, იმაზე მიანიშნებს, რომ მე-19 საუკუნეში კატალონიის რეგიონი სოციალური თვალსაზრისით დაწინაურებული იყო და მისი ეთნოსის სოციალური სტატუსი მაღალი იყო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ იმჟამად ეკლესიის მრევლი ესპანური საზოგადოების მთავარი ქველმოქმედი ნაწილი იყო (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023), კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი კატალონიელების პატივსაცემ მდგომარეობას ესპანეთის სახელმწიფოს შიგნით. მნიშვნელოვანია, რომ ფრანსისკო ფრანკო კაუდილიოს გამარჯვებას ბარსელონას ეკონომიკური და ფინანსური ელიტა საკმაოდ დიდი აღტაცებით შეეგება (Greer, Béland, Lecour & Dubin, 2023), რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიუხედავად რეჟიმის ფორმისა და შინაარსისა, კატალონიური უმცირესობის ეკონომიკური ბირთვი მუდმივად ახერხებდა კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან და თავის მხრივ, ცენტრიც ლოიალურად იყო განწყობილი პერიფერიის მიმართ. ეს, რასაკვირველია, შესაძლოა ყოფილიყო სტაბილური ეკონომიკური სიტუაციის შენარჩუნების ხელშემწყობი ფაქტორი რეგიონში, რაც თავის მხრივ, შესაძლოა, დადებითად ასახულიყო რეგიონის მოსახლეობის სოციალურ სტატუსსა და ეთნიკური შუღლის ჩაცხრობაზე.

აღსანიშნავია, რომ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში კატალონიურ ნაციონალიზმს ორი ძირითადი ფრთა ჰქონდა: ბურჟუაზიულ ფრთას მეწარმეთა და ინტელიგენტური წრეებით დაკომპლექტებული "ლიგა რეჯიონალისტა" აყალიბებდა, ხოლო პროგრესულ ფრთას - ექსკლუზიურად ინტელიგენტური წრეების წარმომადგენლებისაგან შემდგარი „რესპუბლიკელი მემარცხენეები", იგივე „რესპუბლიკელი მემარცხენეები". მათი მთავარი მოტივაცია ეფუძნებოდა კატალონიის როგორც ეთნო-ლინგვისტური, ისე ისტორიულ-კულტურული ორიგინალობის დემონსტრირებას სრულიად ესპანურ საზოგადოებაში (Medrano, 1994). ერთი შეხედვით, შეიძლება ითქვას, სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთ გამორჩეულ ნაციონალისტურ ჯგუფებს, რომელთაც ძლიერი ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდათ, სრულებით არ სდომოდათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომპრომისული ურთიერთობების ჩამოყალიბება. მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბასკი ნაციონალისტებისაგან განსხვავებით, კატალონიის ნაციონალიზმის ორივე ფრთის წარმომადგენელთა რიტორიკა რასობრივ დისკრიმინაციას არ შეიცავდა, მზად იყო ინოვაციური ცვლილებების გასატარებლად და სეპარატისტულ მიდრეკილებებს თითქმის არ ქადაგებდა (Medrano, 1994), სრულიად არ უნდა იყოს გასაკვირი, თუკი კატალონიელებს ცენტრალურ ხელისუფლებასთან დიალოგის რესურსი აღმოაჩნდებოდათ და ისინი უფრო მეტად მშვიდი კონსტრუქციული ურთიერთობებისაკენ იქნებოდნენ გადახრილნი. მიუხედავად ესპანეთის მხრიდან კოლონიების დაკარგვის შემდგომ გაუარესებული ეკონომიკური ფონისა, 1800-იან წლებში კულტურული, სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით გამოჯანსაღებული კატალონიის რეგიონი ცენტრალურ ხელისუფლებასთან არა შუღლის გაღვივებას, არამედ საერთო ენის გამოძებნას ცდილობდა მრავალ თემაზე, მათ შორის ეკონომიკურ საკითხებშიც. ნაციონალისტთა ინტელიგენტურ ნაწილი ძირითადად ლეგალური და ლინგვისტური ავტონომიის

მოპოვებაზე მუშაობდა, ხოლო კაპიტალისტებით დაკომპლექტებულ ნაწილს კი - ეკონომიკური რესურსების გაძლიერებაზე (Medrano, 1994). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ მიუხედავად ეთნიკური ხასიათის განსხვავებისა, კატალონიელები ესპანელებთან საერთო ენის გამოძებნასა და მათთვის საკუთარი მოთხოვნების ცივილური ფორმებით წაყენებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. მათში, პრაქტიკულად, დაქვეითებული იყო ძალადობრივი და სისხლისღვრისაკენ მიდრეკილი განწყობები.

საინტერესო საკითხია, რომ მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ესპანეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში, არც მეტი, არც ნაკლები, 32 ადგილობრივი რწმუნებული (ჯამში 49 რწმუნებულიდან) სწორედ კატალონიიდან იყო წარმოშობით. ეს ყოველივე იმის ფონზე ხდებოდა, რომ სწორედ იმ პერიოდში კატალონიის გავლენიანი ფინანსურ-ეკონომიკური ჯგუფები ესპანეთის პოლიტიკურ სივრცეში სერიოზული გავლენებით მოსარგებლე როგორც კონსერვატიულ, ისე ლიბერალურ პოლიტიკურ გაერთიანებებთან იყვნენ აფილირებულნი (ამ პოლიტიკური გაერთიანებებიდან ხან ერთი მოდიოდა ქვეყნის სათავეში, ხან - მეორე მე-19 საუკუნეში)(Payne, 1971). ეს ფაქტები იმის ნათელი დადასტურებაა, რომ ესპანელების ხელშეწყობით კატალონიელების ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა და ამ გაუმჯობესების პარალელურად მათ ესპანეთის ელიტასთან ჰქონდათ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობები. ამ მხრივ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმავე მე-19 საუკუნის 70-იან წლებში "ოქროს ციებ-ცხელებად" შეფასებული არნახული ეკონომიკური ბუმი კატალონიაში სწორედ ამ გავლენიან პარტიებთან რეგიონის ფინანსურად ძლიერი ჯგუფების დაახლოების ფონზე მიმდინარეობდა (Payne, 1971), იკვეთება სერიოზული სურათი იმასთან დაკავშირებით, რომ ესპანელების მხრიდან კატალონიელები ძალზე მაღალი სოციალური სტატუსით სარგებლობდნენ და ამასთან, მათი ეკონომიკური დატვირთვა ცენტრალური ხელისუფლებისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, სულაც არ არის გასაკვირი, კატალონიური

ეთნიკური უმცირესობის რაციონალური არჩევანი არა ძალადობა, არამედ მშვიდი, კომპრომისული ხასიათის დამოკიდებულება ყოფილიყო ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებასთან. აქვე საინტერესოა ისიც, რომ 1877 წლიდან 1920 წლამდე ბარსელონაში სამრეწველო სფეროში დაქირავებული პერსონალის რიცხვი 37.1-დან 54 პროცენტამდე გაიზარდა იმის ფონზე, რომ ესპანეთის დედაქალაქში ეს ზრდა იმავე წლებში მხოლოდ 18.4 პროცენტიდან 42.5 პროცენტამდე იყო (Moreno, Arriba & Serrano, 1998). ეს მიანიშნებს, რომ კატალონია არა მხოლოდ სხვა რეგიონებთან არამედ, მადრიდთან შედარებითაც გარკვეული ეკონომიკური უპირატესობებით გამოირჩეოდა. ეს კი, ბუნებრივია, შეუძლებელი იქნებოდა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობის გარეშე. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იმავე წლების პერიოდში ბარსელონაში მნიშვნელოვნად მცირე იყო საშუალო ფენის არაეფექტიანი ნაწილის კლებადი მაჩვენებელი (5.9-პროცენტიანი ნიშნულიდან 5-პროცენტიან ნიშნულამდე) ესპანეთის დედაქალაქის მონაცემთან შედარებით (23.6 პროცენტიდან 15.3 პროცენტამდე)(Moreno, Arriba & Serrano, 1998), კიდევ ერთხელ ნათელი გახდება კატალონიის სოციალურ-ეკონომიკური სიჯანსაღე.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ “რენესანსის” ეპოქის აღმავლობის პროცესში საგანმანათლებლო ხასიათის შესაძლებლობები საკმაოდ განვითარდა კატალონიის რეგიონში. ამასთანავე, კასტილიური ენის რეგიონში შესვლა დროთა განმავლობაში კატალონიელთათვის დისკომფორტს აღარ ქმნიდა და მათ მშობლიური კატალონიურის თანაარსებობა კასტილიურთან ჩვეულებრივ მოახერხეს (Payne, 1971). პრაქტიკულად, გამოდის, რომ საგანმანათლებლო, კულტურული და ლინგვისტური თვალსაზრისით რეგიონს ბევრ ბერკეტზე მიუწვდებოდა ხელი და რეალურად, თავისუფლად გრძნობდა თავს ესპანეთის საზღვრებში. საინტერესო ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში კატალონია ესპანეთისათვის საკმაოდ სერიოზულ ეკონომიკურ რეგიონად იქცა, რაშიც ესპანეთსაც ჰქონდა საკუთარი წვლილი. მე-15 საუკუნეში

ესპანური მოსახლეობის 4%-იანი მაჩვენებლიდან თანდათან იმდენად გაიზარდა კატალონიელთა რიცხვი, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის კატალონიის ცენტრის, ბარსელონას მოსახლეობა 530 000-ზე მეტ ადამიანს მოიცავდა, რაც, ფაქტობრივად, ესპანეთის დედაქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობას უტოლდებოდა (Payne, 1971). ამას უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეეტანა რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაში და რეალურად, ძალზე მნიშვნელოვანი გავლენა უნდა ჰქონოდა ზოგადად ესპანეთის სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის აღმავლობისათვის საუკუნის გარიჟრაჟზე. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდისათვის როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ბაზარზე კატალონიას ესპანური მრეწველობისათვის უმნიშვნელოვანესი დატვირთვა ჰქონდა (Payne, 1971), კიდევ ერთხელ დადასტურდება კატალონიის ეკონომიკის სერიოზული მნიშვნელობა ესპანეთის სახელმწიფოსათვის. 1900-1920-იან წლებში პოლიტიკურ ლოკომოტივად ქცეული და შემდგომ წლებშიც საკმაოდ სერიოზული ავტორიტეტით მოსარგებლე "ლიგა რეჯიონალისტა" კატალონიის პროვინციებისა და მუნიციპალიტეტების მასშტაბით საკოორდინაციო ორგანოს, "მანკომუნიტატის" შექმნის ინიციატორი გახდა. აღნიშნულმა ორგანიზაციამ როგორც ეკონომიკური პოტენციალის ზრდის, ისე საგანმანათლებლო ნაბიჯების თვალსაზრისით სერიოზული რეფორმები გაატარა: ეკონომიკური რესურსების მომრავლება-მომძლავრებისათვის საჯარო ადმინისტრირების მოქნილი სტრუქტურის შექმნა, გადამზადების პროგრამების შექმნა დასაქმებულთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ეთნო-ლინგვისტური ასპექტების პოპულარიზაციისათვის სპეციალური კულტურული პროექტებისა და ღონისძიებების დანერგვა და სხვ. (Medrano, 1994). პრაქტიკულად, ჩანს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან კომპრომისული ურთიერთობების გამოძებნისაკენ მე-19 საუკუნიდან ორიენტირებული კატალონიელი ნაციონალისტები იმავე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მწვანე შუქის ანთებით ახორციელებდნენ ისეთ რეფორმებს, რომლებიც მათთვის სასარგებლო იყო

სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ამას კი მივყავართ იქამდე, რომ ბასკებისაგან განსხვავებით, კატალონიელების მიმართ ესპანელთა დამოკიდებულება უმეტესად ლოიალური იყო, რაც მათი სოციალური სტატუსის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფდა და საბოლოო ჯამში მათში მე-19 საუკუნის განმავლობაში თავდაპირველადვე ჩამცხრალი ძალადობრივი ემოციების ნელ-ნელა გაქრობის წინაპირობაც გახდა.

რეალურად, ის გარემოება, რომ კატალონიელებს ესპანელებისაგან "კარტ ბლანში" ჰქონდათ მიცემული, შეექმნათ დასაქმების, საგანმანათლებლო და სოციალური ხასიათის პროექტები, რომლებითაც რეგიონის გაჯანსაღებას შეუწყობდნენ ხელს, მოწმობს იმას, რომ ეს უმცირესობა საკმაოდ დაფასებული იყო აღნიშნულ რეგიონში, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამდა მის მნიშვნელოვან ეკონომიკურ დატვირთვას ესპანეთისათვის და ამცირებდა რადიკალიზაციის შანსებს თავად რეგიონის მოსახლეობაში. საინტერესოა, რომ პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში კატალონიელები საკმაოდ ძლიერ ეკონომიკურ მდგომარეობას ფლობდნენ. კატალონიას იმ პერიოდში, პრაქტიკულად, ესპანეთის ძრავის ფუნქციაც კი ჰქონდა, რადგანაც ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებით მოწინავე რეგიონი იყო მთელ ესპანეთში (Ramon-Muñoz & Ramon-Muñoz, 2023). ეს აჩვენებს, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში რეალურად საკმაოდ მყარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ჰქონდა ჯერ კიდევ მანამდე, სანამ მსოფლიო ომში ჩაიძირებოდა. ეს რეალურად მის მაღალ სოციალურ სტატუსზეც აკეთებს აქცენტს ესპანეთის შიგნით. მნიშვნელოვანია, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდშიც კი, როდესაც მსოფლიო სერიოზულ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისში ჩაიძირა, კატალონიამ შეინარჩუნა და გააძლიერა თავისი ეკონომიკური მდგომარეობა. როგორც ვაჭრობის, ისე სამრეწველო სექტორები საკმაოდ სერიოზულ ნაყოფიერებას აღწევდნენ და მოგებას წერდნენ, ხოლო დასაქმებულ ადამიანებს პრობლემები ნაკლებად ექმნებოდათ (Payne, 1971). ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ის ძლიერი

ეკონომიკური ფუნდამენტი, რომელიც ესპანეთის ხელისუფლების მხარდაჭერით ჩაიდო რეგიონში, რეალურად, სერიოზული ძალა აღმოჩნდა მსოფლიო ომით გამოწვეულ სერიოზულ კრიზისთან გასამკლავებლად. ეს კი, პრაქტიკულად, მიანიშნებს, რომ კატალონიელების სოციალური სტატუსი კვლავ შენარჩუნდა და უფრო მეტ ეკონომიკურ სიძლიერესაც მიაღწია ისევ და ისევ ესპანელთათვის მათი ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიო ომის პირობებშიც კი რთულად წარმოსადგენია, ძალადობრივი ხასიათის მოძრაობა დაწყებულიყო ისეთ რეგიონში, რომელსაც ასეთი დატვირთვა ჰქონდა საკუთარი სახელმწიფოსათვის. სხვათა შორის, მნიშვნელოვანია, რომ 1900 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, კატალონია ზოგადი განათლების დონით ესპანეთის სახელმწიფოში არსებულ სხვა ტერიტორიებთან შედარებით მოწინავე იყო. მართალია, შედეგი საშუალო მაჩვენებელთან შედარებით მცირედით იყო უპირატესი (Payne, 1971), თუმცა ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის საწყის პერიოდში კატალონიელების განათლების დონე ცუდად ნამდვილად არ გამოიყურებოდა, რაც მათ საზოგადოებრივ სიძლიერეზე მიუთითებს. ეს ყოველივე უფრო საინტერესოს ხდის კატალონიის ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლას მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით ესპანეთში.

ამ თვალსაზრისით, საჭიროა კვლავ მივყვეთ ისტორიულ მოვლენებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში ბევრი საინტერესო და იმ დროისათვის ინოვაციური იდეა გაჩნდა საშუალო განათლების მიმართულებით. საინტერესოა, რომ "მანკომუნიტატის" მმართველობის პირობებში მისმა პრეზიდენტმა, პრატ დე ლა რიბამ არაერთი ინოვაციური მეთოდი შეიმუშავა საშუალო და პროფესიული განათლების, საბიბლიოთეკო და სამუზეუმო მიმართულებების, კულტურული დაწესებულებების გათანმედროევების მიმართულებით. სწორედ მისი ინიციატივით შემუშავდა გაცვლითი პროგრამები, კვლევებზე დაფუძნებული სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და კულტურის ისეთი

ძეგლების განვითარების პროექტები, რომლებიც კატალონიური ეთნოსის გაძლიერებისათვის იყო მნიშვნელოვანი (Ehrlich, 1995). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ განათლების ნაწილში ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან წინააღმდეგობა არ არსებობდა, რადგან კატალონიის ადგილობრივი ხელისუფლება ახერხებდა, თავისი იდეების შესაბამისად დაენერგა პრაქტიკაში. ეს აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო ნაწილში კატალონიელების სოციალური სტატუსი საკმაოდ დაფასებული იყო ესპანეთში, რაც, თავის მხრივ, არაძალადობრივი ფორმით ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების გაგრძელების ალბათობას ამაღლებდა. საინტერესოა, რომ რეგიონში მომდევნო პერიოდებშიც მიმდინარეობდა არაერთი ინოვაციური მოდელის დანერგვა, რომელიც ორივე არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში 1920-30-იან და 1930-70-იან წლებშიც კი მიმდინარეობდა, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობებისა. რეალურად, 1920-იან წლებში ჩამოყალიბებული ბევრი პედაგოგიური მეთოდი იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მე-20 საუკუნის 60-იან წლებში არაერთმა სკოლამ მიაღწია წარმატებულ შედეგებს, ხოლო 70-იან წლებში კი მზარდი დინამიკა შეიძინა თავისუფალი, დემოკრატიული ხასიათის ცენტრალური ხელისუფლების პირობებში (Vallory, 2019). ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში საგანმანათლებლო შესაძლებლობები არა მხოლოდ ხელმისაწვდომი იყო რეგიონისათვის, არამედ თავად კატალოენიელები საკმაოდ სერიოზულ ინოვაციებს ნერგავდნენ საგანმანათლებლო სფეროში. ამ ინოვაციებს კი პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობას ესპანელები აძლევდნენ, რაც იკვეთება იქიდან, რომ მიუხედავად გარკვეული წინაღობებისა, ძირითადად მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის ბოლო პერიოდების ჩათვლით ცენტრალური ხელისუფლება ლოიალურად იყო განწყობილი კატალონიის საგანმანათლებლო რესურსებთან წვდომის საკითხისადმი, ისევ და ისევ, მიუხედავად რეჟიმის ფორმისა.

საინტერესოა, რომ ზემოხსენებული პროტექციონისტური პოლიტიკის საფუძველზე მე-20 საუკუნეშიც გაგრძელდა ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კატალონიის ეკონომიკაზე პოზიტიური ზემოქმედება. კერძოდ, ბრიტანული საფეიქრო ნაწარმის იმპორტზე პროტექციონისტური მიდგომების გავრცელებისა და ესპანელთათვის კატალონიაში ნაწარმოები პროდუქტისკენ მისწრაფების გაჩენის საფუძველზე ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ წაახალისა კატალონიის რეგიონის ბაზარი (Camprubi, 2017). ეს რეალურად იმაზე მიუთითებს, რომ ესპანელები მაქსიმალურად ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ კატალონიელთა ეკონომიკური წინსვლისათვის. ეს, თავის მხრივ, ხაზს უსვამს იმ გარემოება, რომ კატალონიელების ეკონომიკურად გასაძლიერებლად კონკრეტული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა ესპანელთა მხრიდან (მათ შორის, იმპორტის შეზღუდვა და მოსახლეობისათვის გადასახადების მომატება) იმას უქმნიდა მყარ საფუძვლებს, რომ კატალონიელებს მათთან მშვიდობიანად თანაარსებობა მოენდომებინათ. როგორც ჩანს, სწორედ ეს იყო იმის საფუძველი, თუ რატომ ვერ მოიკიდა ფეხი 1910-იანი წლებიდან 1930-იან წლებამდე ირლანდიელთა ძალადობრივი ხასიათის გავლენებმა კატალონიის რეგიონში (Conversi, 1993). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფაქტია, ესპანეთის შიგნით კატალონიას არ ჰქონდა დისკომფორტი ესპანურ საზოგადოებასთან თანაარსებობისათვის, რაც ესპანელთა მათ მიმართ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით სიმპათიის დამსახურება იყო. ეს კი მთლიანობაში აქრობდა როგორც გარე, ისე შიდა რადიკალური ჯგუფებისა თუ მიდგომების მიმართ კატალონიელთა სიმპათიებს და გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული ეთნოსის ესპანელებთან კომრპომისული ურთიერთობების წამახალისებელი ფაქტორი იყო.

კატალონიის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური ფონის შესწავლისას მნიშვნელობას იძენს სოციალურ სერვისებთან რეგიონის წვდომის საკითხიც. აღსანიშნავია, რომ კატალონიური ეთნოსი, პრაქტიკულად,

პირველი ეთნიკური უმცირესობა იყო ესპანეთში, რომელსაც ცენტრალურმა ხელისუფლებამ მისცა "კარტ ბლანში", ანუ მაქსიმალური დელეგირება ჯანდაცვის საკითხებთან მიმართებით. ამ დელეგირებამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი მთავრობის მხრიდან სპეციალური სქემის შექმნა, როგორც პირველადი დახმარების საკითხების, ისე საავადმყოფოების სტრუქტურული რეფორმისა და ზოგადად, რეგიონში არსებული ჯანდაცვის სისტემის რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის შემუშავება (Barceló-Prats& Bekele, 2021). ეს ფაქტები მიუთითებს, რომ სოციალური პოლიტიკის მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იყო სრული მზადყოფნა და კეთილი ნება, რეგიონს გადაებარებინა მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების საკმაოდ სერიოზული ბერკეტები. ეს, თავის მხრივ, იმაზე მიანიშნებს, რომ განსხვავებით ბასკებისაგან, კატალონიელები საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსით სარგებლობდნენ ესპანეთში და როგორც ზოგადად ეკონომიკური პოლიტიკის, ისე კერძოდ ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების ნაწილში მათ სერიოზული მხარდაჭერა და თავისუფლება ჰქონდათ ესპანელთა მხრიდან. მნიშვნელოვანია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე დაანგარიშების მიხედვით კატალონია არა მხოლოდ ევროპის სამხრეთ ნაწილში არსებულ ტერიტორიათაგან ერთ-ერთი წამყვანი ეკონომიკური ზონა იყო, არამედ ესპანეთის მასშტაბით ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სამრეწველო რეგიონად ითვლებოდა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ რეგიონის ადამიანური რესურსის მოწინავე ნაწილის 30%-მდე რიცხვი სწორედ სამრეწველო სექტორში იყო დასაქმებული მე-19 საუკუნის ბოლო და მე-20 საუკუნის საწყის პერიოდებში (Ramon-Muñoz & Ramon-Muñoz, 2023). ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ საუკუნეთა შორის გარდამავალ პერიოდებში კატალონია ეკონომიკურად საკმაოდ მყარად იდგა ფეხზე და არა მხოლოდ ესპანეთის, არამედ კონტინენტის მასშტაბითაც სერიოზული უპირატესობები ჰქონდა. მით უმეტეს თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში სიკვდილიანობის მკვეთრი ვარდნის,

სამრეწველო პოტენციალის გაძლიერებისა და მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ სულ მოსახლეზე არსებული მოცულობის გაუმჯობესების ფონზე საქალაქო ტიპის დასახლებებში მოსახლეობის ზრდა მიმდინარეობდა (რიცხი 35-დან 45%-მდე იყო) და თავად რეგიონი ამ თვალსაზრისით ესპანეთის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით უკეთეს შედეგებს ავლენდა (Ramon-Muñoz & Ramon-Muñoz, 2023), შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნეში კატალონიამ ესპანეთის შიგნით საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსით შეაბიჯა საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ ესპანელთა მხრიდან კატალონიის მიმართ საკმაოდ ლოიალური დამოკიდებულება იყო.

საინტერესო ფაქტია, რომ 1908 წელს ესპანურ კოოპერატივთა 40 პროცენტზე მეტი, არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ კატალონიის ტერიტორიაზე იყო განთავსებული. აღსანიშნავია, რომ 1915 წლისათვის, როდესაც კატალონიაში სამომხმარებლო კოოპერატივების რეიტინგი 10%-ს აღწევდა (რითაც რეგიონის ზოგადი მდგომარეობა, პრაქტიკულად, შვეიცარიის, ფინეთის, გერმანიის, იტალიისა და სხვა ქვეყნების მაშინდელ საერთო რაოდენობას უტოლდებოდა), მთელ ესპანეთში ეს რეიტინგი მხოლოდ 1%-ს უტოლდებოდა (Medina-Albaladejo, Higón, Díez-Minguela, Lana-Berasain, 2021). ეს მოცემულობა იმის დასტურია, რომ კატალონიელთა ეკონომიკური მდგომარეობა დროთა განმავლობაში თანდათან ვითარდებოდა, რაც ესპანეთის ინტერესებში შედიოდა. შეიძლება ითქვას, რომ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება და ზოგადად, ესპანური საზოგადოება მნიშვნელოვან წვლილს დებდა კატალონიელთა სოციალური სტატუსის ამაღლებაში ქვეყნის მასშტაბით, რაც თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო რეგიონის მხრიდან ესპანელებთან კომპრომისული ურთიერთობების ჩამოყალიბების წინაპირობა. ამ მხრივ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ 1930-იანი წლების დასაწყისში არასასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა დაახლოებით 34% სწორედ

კატალონიის ტერიტორიაზე, მათ შორის ყველაზე მეტად ქალაქ ბარსელონაში იყო თავმოყრილი, რაც რეგიონს წამყვან ეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა ესპანეთში (Medina-Albaladejo, Higón, Díez-Minguela, Lana-Berasain, 2021). ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ აღმავალი ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე კატალონიელთა სოციალური სტატუსი ქვეყნის მასშტაბით საკმაოდ ძლიერდებოდა. რაციონალური გადმოსახედიდან, ეს საკმაოდ ამაღლებდა ალბათობას, რომ კატალონიელებს იარაღის ენით ლაპარაკზე უარი ეთქვათ. ამ ყოველივეს ფონზე, მიუხედავად იმისა, რომ "ლიგა რეჯიონალისტამ" და მასთან ასოცირებულმა რეგიონის ბურჟუაზიულმა წრეებმა თავისი მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე ცენტრალური ხელისუფლების ნაბიჯები არაერთგზის გააკრიტიკეს როგორც მარცვლეულის იმპორტთან, ისე სამრეწველო საქონელზე დაწესებულ საგადასახადო პოლიტიკასთან დაკავშირებით, ისინი ცენტრალურ ხელისუფლებასთან მოწესრიგებულ ურთიერთობებს ინარჩუნებდნენ თვით პრიმო დე რივერას არადემოკრატიული რეჟიმის პირობებშიც (Medrano, 1994). როგორც ჩანს, სწორედ ეს გახდა მე-20 საუკუნის 30-იან წლებში „ლიგა რეჯიონალისტას" შემდგომ რეგიონის სათავეში მოსული კოალიციური პოლიტიკური ძალის მხრიდან წამოწყებული რადიკალური ელფერით შემკული სეპარატისტული მიდგომების მალევე კვლავ კომპრომისული ვითარებით ჩანაცვლების წინაპირობა (Medrano, 1994). ამ თვალსაზრისით, იკვეთება საინტერესო განსხვავება ბასკებსა და კატალონიელებს შორის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობების თვალსაზრისით: ბასკები იმდენად დაჩაგრულად გრძნობდნენ თავს ესპანელების მხრიდან მათ მიმართ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის საკითხზე, რომ მათი სოციალური სტატუსი ძალზე დაქვეითებული იყო და ამავე დროს, ძალადობა მათ ერთადერთ იარაღად მიაჩნდათ საკუთარ ხელისუფლებასთან თავიანთი მოთხოვნების წაყენებისათვის. კატალონიელების შემთხვევაში სიტუაცია საპირისპიროდ გამოიყურებოდა, რადგან ცენტრის მიმართ პერიფერიის

მხრიდან კრიტიკული დამოკიდებულება კონკრეტულ საკითხებზე სულაც არ ნიშნავდა კომპრომისული, მშვიდი ვითარებიდან გადახვევის მოტივაციას და თავის მხრივ, ცენტრის კეთილგანწყობა რეგიონის მიმართ აძლიერებდა კატალონიელების სურვილს ესპანეთის შიგნით ეკეთებინათ თავიანთი საქმე ცენტრალურ ხელისუფლებასთან ყოველგვარი დაძაბული ურთიერთობების გარეშე.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში (განსაკუთრებით 1917 წლიდან) კატალონიის ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დაწყებული საავადმყოფოების რეგიონალიზაციის ინიციატივა, პრაქტიკულად, იქცა საწყის წერტილად მთელი ესპანეთის მასშტაბით საავადმყოფოების რეფორმების ჩასატარებლად. ამ ინიციატივამ უბიძგა კატალონიელ მედიკოსებს საავადმყოფოში სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, რადგანაც სწორედ ამ რეგიონალიზაციის პროექტის შედეგად გამოიკვეთა საავადმყოფოს ნორმალურად ფუნქციონირების მნიშვნელოვანი წვლილი მოსახლეობის ჯანდაცვის უზრუნველყოფაში (Barceló-Prats& Bekele, 2021). შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალური ხელსიუფლება, ფაქტობრივად, კატალონიის პერიფერიული მმართველობისაგან ბევრ ინიციატივას სწავლობდა როგორც სამედიცინო, ისე სხვა სოციალური სერვისების საკუთარი მოსახლეობისათვის მისაწოდებლად. აქედან გამომდინარე, მე-20 საუკუნის დასაწყისში პრაქტიკულად ცენტრალური ხელისუფლება თავად იყო დაინტერესებული იმით, რომ კატალონიელებს ჯანდაცვისა და სხვა სოციალური მომსახურებების ხელმისაწვდომობა ჰქონოდათ, რაც, რასაკვირველია, მათ პრესტიჟს ქვეყნის მასშტაბით აძლიერებდა. პროგრესული ნაციონალიზმის რეგიონში წინა პლანზე წამოწევის შედეგად, როგორც ზემოთ განვიხილეთ, რეგიონის მასშტაბით „ლიგა რეჯიონალისტას“ რეიტინგი დაეცა, ხოლო „რესპუბლიკელი მემარცხენეები“ “CNT”-სთან და „უნიო დე რიბასარესთან“ შექმნილი

ერთიანი პოლიტიკური გუნდით გაძლიერდა. ამ პერიოდში წარმოშობილი სეპარატისტული მიდრეკილებები კი ავტონომიასთან მიმართებით ესპანელების შემოტანილმა წინადადებამ ჩააცხრო (Medrano, 1994). ზემოთ გადმოცემული ანალიზის საფუძველზე, ჩანს, რომ გარე ფაქტორების ჩარევის არარსებობამ მთლიანობაში მართლაც დადებითი გავლენა იქონია ცენტრსა და პერიფერიას შორის არსებული კომპრომისული ურთიერთდამოკიდებულების შენარჩუნებაზე.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ესპანელი რესპუბლიკელი კოლეგების მიერ შეთავაზებული წინადადების საფუძველზე კატალონიაში განაახლა ფუნქციონირება ადრე არსებულმა "გენერალიტეტის" მმართველობამ, რასაც შემდგომ ავტონომიის შესახებ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულება მოჰყვა 1930-იანი წლების დასაწყისში (Medrano, 1994), ჩანს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასა და კატალონიელებს შორის დიალოგის შესაძლებლობა საკმაოდ თვალსაჩინო იყო ყოველთვის. სხვათა შორის, 1930-იან წლებში, ესპანეთში სამოქალაქო დაპირისპირების დაწყებამდე, მიუხედავად გარკვეული კრიტიკული განწყობებისა, მთლიანობაში დაწინაურებული ეკონომიკური კლასი კატალონიას ესპანური სახელმწიფოს ნაწილად განიხილავდა გაზრდილი თვითმმართველი უფლებებით, ინტელიგენტურ და საქმიან წრეებში კი ესპანეთის კონფედერაციული წყობის პირობები განხილებოდა (Medrano, 1994). საბოლოოდ, ერთიანი სურათის შეფასების თვალსაზრისით, შესაძლებელია იმის თქმა, რომ მიუხედავად გარკვეული სეპარატისტული განწყობების ამოტივტივებისა, კატალონიის საზოგადოება, მათ შორის მისი ეკონომიკური წრეები, უფრო მეტად მაინც ესპანეთის საზღვრებს შიგნით თავიანთი რეგიონის ძლიერი ავტონომიის მომხრენი იყვნენ, იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური ხასიათის ლიბერალურ მიდგომებს ხედავდნენ. მნიშვნელოვანი საკითხია, რომ 1930-იანი წლების კატალონიის საშუალო განათლების სისტემის მოდელი საკმაოდ თვალსაჩინო და

საყურადღებო გახდა როგორც ესპანეთში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1940-იან წლებში, როცა ფრანკომ უმცირესობების, განსაკუთრებით კი კატალონიის მიმართ თავისი პოლიტიკა შეარბილა, კატალონიურ ენაზე რეგიონში დაიწყო ისტორიის, გრამატიკისა და ლიტერატურის საგნების სწავლება "კატალონიური საუნივერსიტეტო სწავლებების" პროგრამის ფარგლებში (Conversi, 1994), ფაქტია, რომ კატალონია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უმცირესობა იყო, რომელთან მიმართებითაც ესპანელები საგანმანათლებლო თვალსაზრისით გარკვეულ დათმობებზე წავიდნენ. ეს მიანიშნებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, მათ შორის განათლების მიმართულებით კატალონიელების დაფასება ქვეყანაში არადემოკრატიული რეჟიმის პირობებშიც შენარჩუნდა, რაც მიანიშნებს ეთნიკური უმცირესობის მხრიდან არაძალადობრივი მიდგომების გამოყენების მაღალ ალბათობაზე. აქვე ხაზს თუ გავუსვამთ იმასაც, რომ 1944 წლიდან "კატალონიური სწავლებების ინსტიტუტმა" საკუთარი მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურა და ლიტერატურული კონკურსებიც ახალი ენერგიით დაიმუხტა რეგიონის მოსახლეობაში იმდენად, რომ მათ ორგანიზებაში არა მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლება, არამედ ბიზნეს სექტორიც აქტიურად ჩაერთო (Conversi, 1994), ცხადი გახდება, რომ კატალონიელებს უდავოდ ნორმალური მდგომარეობა ჰქონდათ ესპანური სახელმწიფოს შიგნით. როგორც ჩანს, წლების განმავლობაში არსებული პოზიტიური ურთიერთობების ტენდენცია ცენტრსა და პერიფერიას შორის ფრანკოს რეჟიმის პირობებშიც შენარჩუნდა და ეს ხელისუფლებაც ემხრობოდა კატალონიელების, როგორც ესპანური საზოგადოების ნაწილად დარჩენის და არა სეპარატიზმის მოსურნე ეთნიკური ჯგუფის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას.

1946 წელს გამომცემლობა "სელექტას" დაარსებისა და იქ კატალონიურ ენაზე წიგნების გამოცემის მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით (1946 წელი - 12 წიგნი, 1948 წელი - 60 წიგნი, 1954 წელი

- 96 წიგნი, ხოლო 1960 წელი - 200-ზე მეტი წიგნი) (Conversi, 1994) იქმნება შთაბეჭდილება, რომ საგანმანათლებლო თვალსაზრისით უდავოდ სერიოზული ხელშეწყობა ჰქონდათ კატალონიელებს ესპანელთა მხრიდან. ამ ყოველივეს 1953 წელს "რომანტიკის ლინგვისტიკის მეშვიდე საერთაშორისო კონფერენციაზე" კატალონიურ ენაზე საჯაროდ წარმოდგენილი საკონფერენციო ნაშრომების მაგალითსაც თუ დავურთავთ (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი იმავე ლოგიკას, რომ ესპანელები რეალურად ცდილობდნენ, კატალონიელთათვის მყარი საფუძვლები შეექმნათ საგანმანათლებლო თვალსაზრისით ესპანურ სახელმწიფოში განვითარებისათვის. ეს რეალურად იმას ადასტურებს, რომ კატალონიელთა ნორმალური სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით განვითარების ტენდენცია გრძელდებოდა ესპანურ სახელმწიფოში. რაციონალური არჩევნის თეორიის ლოგიკას კი ამ შემთხვევაში მივყავართ იქამდე, რომ არაძალადობრივი, მშვიდობიანი ხასიათის მიდგომები კატალონიელთათვის უნდა ყოფილიყო ესპანელებთან ურთიერთობის მთავარი მექანიზმი და მათ იარაღის ენით საუბარი ნაკლებად აწყობდათ. საინტერესო ფაქტია, რომ 1930-იანი წლების ბოლოსთვის კატალონიის ჯანდაცვის სისტემა ქვეყნის მასშტაბით მოწინავე ხასიათს ატარებდა. მისი სტრუქტურა საკმაოდ დახვეწილი იყო და როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორში არსებული ჯანდაცვის ორგანიზაციები და აგენტები აქტიურ დახმარებას უწევდნენ რეგიონის მოსახლეობას (Barceló-Prats & Bekele, 2021). ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს ესპანეთში კატალონიელების როგორც ჯანსაღ ეკონომიკურ, ისე განვითარებულ სოციალურ ფონზე. საინტერესოა ისიც, რომ ამავე პერიოდში, კერძოდ, 1931 წელს სასოფლო-სამეურნეო სფეროში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდით კატალონიური საფეიქრო ნაწარმის წარმოება და გაყიდვები შენარჩუნდა და ეტაპობრივად გაიზარდა (Richmond, 1987). ეს ყოველივე აჩვენებს იმას, რომ კატალონიელების ზოგადი ეკონომიკური მდგომარეობა და სამეწარმეო საქმიანობა ძალზე ხელშეწყობილი იყო ცენტრალური ხელისუფლების მხრდიან, რაც

მთლიანობაში ქმნიდა კომფორტულ ატმოსფეროს ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ 1940-იანი წლების დასაწყისში ესპანეთში ამოქმედებული ჯანმრთელობის სავალდებულო სადაზღვევო პაკეტის დანერგვასა და მენეჯმენტს სერიოზული პრობლემები შეექმნა ქვეყნის მასშტაბით და ამის დამსახურებით როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური თვალსაზრისით სერიოზული შერჩევითი, მიკერძოებული გარემო ჩამოყალიბდა მთელ ესპანეთში (რისი ძალიან კარგი მაგალითიც არის ის გარემოება, რომ 1960-იანი წლების დასაწყისში ამ პაკეტით ესპანელთა ნახევარზე ნაკლები სარგებლობდა)(Barceló-Prats & Bekele, 2021), შესაძლოა, გაჩნდეს მოსაზრება, რომ კატალონიელებსაც გარკვეული დისკომფორტი უნდა შექმნოდათ. თუ იმით ვიმსჯელებთ, რომ 1955 წელს "ფრანსისკო ფრანკოს სანიტარიული რეზიდენცია" (ჯანდაცვის სავალდებულო პაკეტით გახსნილი პირველი დაწესებულება) გაიხსნა რეგიონში და აღნიშნული პაკეტის მომხმარებელთაგან იმავე წლის ბოლოსთვის ესპანეთის სრული მოსახლეობის 10-პროცენტიანი წილი ბარსელონაზე მოდიოდა (ეს რიცხვი შემდგომ თანდათან გაიზარდა იმდენად, რომ ქალაქის მოსახლეთა მინიმუმ 50%-ზე მეტი ახერხებდა სამედიცინო მომსახურების მიღებას) (Barceló-Prats & Bekele, 2021), შესამჩნევი გახდება კატალონიური რეგიონის მასშტაბით სოციალური მდგომარეობის როგორც ადმინისტრირების, ისე აღსრულების სიძლიერე ესპანეთის სხვა რეგიონებთან შედარებით. ეს კი, თავის მხრივ, მთლიანობაში ქმნის სურათს, რომ კატალონიელებს სერიოზული სტატუსი ჰქონდათ ესპანეთში ფრანკოს პერიოდშიც კი, როდესაც ქვეყანას, ერთი შეხედვით, დიქტატორული რეჟიმი არ აძლევდა მოსვენებას. ამ მხრივ, ფრანკოს მმართველობის პერიოდში მშრომელთა გაერთიანებების გაძლიერებამ კატალონიის რეგიონში ეკონომიკური ხასიათის ჯანსაღი, რაფინირებული ასპექტები შეიტანა რეგიონში მცხოვრები ეთნოსის ნაციონალისტურ მიდრეკილებებში, რომელიც არა სეპარატიზმსა და

ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებას, არამედ ესპანურ საზოგადოებასთან თანაცხოვრებას ემყარებოდა (Greer, Béland, Lecours & Dubin, 2023). ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ რეალურად კატალონიის რეგიონში ეკონომიკური ხასიათის პროტესტი ან უბრალოდ, განწყობების ჩვენება სულაც არ იყო მიმართული ესპანელთა წინააღმდეგ და არ ისახავდა მიზნად ძალადობას. პირიქით, როგორც იკვეთება, ისტორიული პროცესების დინამიკა ცენტრსა და პერიფერიას შორის კომპრომისული ვითარების გამოძებნისაკენ იყო მიდრეკილი. მიუხედავად ფრანკოს რეჟიმის რეპრესიული ხასიათისა, იმჟამად ცენტრალურმა ხელისუფლებამ ძალზე შეუწყო ხელი რეგიონის ეკონომიკურ აღმასვლას. სხვათა შორის, კატალონიის ეკონომიკური განვითარება ბევრად უფრო მაღალი დონის იყო იმჟამად, ვიდრე ესპანეთის სხვა დანარჩენი ტერიტორიების. მაგალითად, იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, როცა საკმაოდ რთული ვითარება იყო ესპანეთში, ცენტრიდან კატალონიის მთავარი ქალაქი, ბარსელონა გაცილებით მეტი ცემენტით მარაგდებოდა, ვიდრე ესპანეთის დედაქლაქი ან ნებისმიერი სხვა ქალაქი (Camprubi, 2017), ნათელი გახდება, რომ ფრანკოს ხელისუფლების პირობებში კატალონია გაცილებით კარგად გრძნობდა თავს, ვიდრე ნებისმიერი სხვა რეგიონი. ეს, ფაქტობრივად, მიუთითებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებდა რეგიონში ეკონომიკური პროცესების გაძლიერებისათვის.

მნიშვნელოვანია ასევე ჰიდროენერგიებთან დაკავშრებული პროექტებიც. სწორედ ფრანკოს რეჟიმის პირობებში "ინდუსტრიის ეროვნულმა ინსტიტუტმა" შეიმუშავა ენერგიის ჭარბად წარმოება-მოხმარების გეგმა. ამ გეგმას, გარდა ეროვნული ელექტროენერგიის განვითარებისა, საფუძვლად ედო კატალონიაში მძიმე მრეწველობის დარგის განვითარების ხელშეწყობა (Camprubi, 2017). ეს ფაქტები ადასტურებს, რომ ესპანელთა კეთილგანწყობის დამსახურებით კატალონიელებს საკმაოდ მაღალი სოციალური სტატუსი ჰქონდათ

ესპანეთში, რასაც დიდწილად სწორედ მათ ეკონომიკაზე ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების დადებითი გავლენა უწყობდა ხელს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ესპანეთის ცენტრალური მთავრობის დავალებით მდინარე ნოგუერა რიბერგორცანას ტერიტორიაზე (ეს მდინარე პირენეის მთების იმ ნაწილშია, რომელიც კატალონიას კვეთს) 12 ენერგოსადგური განათავსეს 1946-1961 წლებში (Camprubí, 2012), კიდევ ერთხელ ცხადი გახდება ესპანელთა ლოიალური დამოკიდებულება კატალონიელების მიმართ, მათ შორის მათი ეკონომიკური განვითარების საკითხშიც. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ 1920-40-იან წლებში აღნიშნულ მდინარეში არაერთი კერძო ელექტროსაწარმო მუშაობდა, რომელთა შრომის შედეგადაც საკმაოდ სერიოზული ენერგეტიკული და ეკონომიკური პოტენციალი ექმნებოდა კატალონიის მთავარ ქალაქ ბარსელონას (Camprubí, 2012). ეს იმაზე მიუთითებს, რომ რეალურად ფრანკოს მმართველობამდეც და მმართველობის პროცესშიც კერძო სექტორის წახალისება კატალონიის, როგორც რეგიონის, ფინანსურ და სოციალურ შესაძლებლობებს აძლიერებდა, რაც კატალონიელთა სოციალურ სტატუსს ბუნებრივად ამაღლებდა ესპანეთში. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ 1950 წელს კატალონიის მასშტაბით დაქირავებული მუშახელის მაჩვენებელმა 100-იან ნიშნულს მიაღწია, რომლის რიცხვიც 40 ერთეულით იყო გაზრდილი 1970 წლისთვის. ამ მხრივ, თუ შევხედავთ ესპანეთის სრულ მასშტაბს, შეიძლება ითქვას, რომ 106 ნიშნულზე გაზრდილი დაქირავებული მუშახელის ფონზე (Giner, 1984) კატალონიელების რიცხვი საკმაოდ სერიოზული უპირატესობით სარგებლობს, რაც მიუთითებს იმ პერიოდის რეგიონის ეკონომიკურ სიძლიერეზე. აქვე იმაზეც უნდა გაკეთდეს, რომ 1955 წლიდან 1965 წლის ჩათვლით ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი კატალონიის რეგიონში დაახლოებით 1.4-ჯერ გაიზარდა და ეს მაჩვენებელი დაახლოებით სინქრონში მიყვებოდა სხვა ესპანური რეგიონების ერთობლივ მონაცემს ესპანეთის მასშტაბით (Abadie & Gardeazabal, 2001). ეს

მიანიშნებს იმაზე, რომ კატალონიის ეკონომიკური მდგომარეობა თანდათან უფრო ძლიერდებოდა და შესაბამისად, კატალონიელთა სოციალური სტატუსიც ბევრად უფრო ამაღლდებოდა რეგიონში. თუ ყურადღებას გავამახვილებთ იმ გარემოებაზეც, რომ ფრანკოს გუნდი ესპანეთის სხვა ტერიტორიებიდან როგორც ადამიანური, ისე მატერიალური და სხვა ტიპის რესურსებით ეხმარებოდნენ კატალონიას, ე. ი. სხვა რეგიონებს აკლებდა განვითარების პერსპექტივებს კატალონიის სასარგებლოდ (აქვე მოიაზრება რეგიონში ესპანეთის სხვა ტერიტორიებიდან ემიგრირებული მუშახელიც, რომლის მომსახურებაც ძვირი ნამდვილად არ იყო)(Camprubi, 2017), მთლიანობაში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფრანკოს მმართველობის მიმდინარეობისას უდავოდ კარგი ეკონომიკური მდგომარეობა სუფევდა რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობით, რაც ამცირებდა ცენტრსა და პერიფერიას შორის სისხლიანი დაპირისპირების შანსებს და პირიქით, ზრდიდა კომპრომისული დიალოგის ალბათობას.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კატალონიის საგანმანათლებლო შესაძლებლობები, განსაკუთრებით კი საშუალო განათლების მიმართულება გაძლიერდა 1950-იანი წლებიდან. აქვე თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ რეგიონში ამ პერიოდში ესპანელების მხრიდან საკმაოდ წახალისებული იყო მეწარმეობისა და ინოვაციების მიდგომები და ბევრი ინიციატივა ამ კუთხით პრაქტიკაშიც ინერგებოდა (Giner, 1984), კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი კატალონიელების მაღალ სოციალურ სტატუსს ესპანეთის მასშტაბით. ეროვნული სულისკვეთების გაძლიერების მოტივით ცენტრალურმა ხელისუფლებამ რეგიონში დაიწყო ისეთი საგანმანათლებლო ძვრები, რომლებიც მართალია გარკვეული თვალსაზრისით ესპანეთის მატიანეში ფაქტებით მანიპულირებას ეფუძნებოდა, თუმცა ესპანური საზოგადოების შემომტკიცებას ისახავდა მიზნად (Santisteban, 2013). ეს ყოველივე საკმაოდ სერიოზულ აქცენტს სვამს იმაზე, რომ საკუთარი ეროვნული სიძლიერისათვის ფრანკოს ხელისუფლება კატალონიის რეგიონს უწყობდა ხელს საგანმანათლებლო

შესაძლებლობების განვითარებაში. გამოდის, რომ კატალონია ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების გადმოსახედიდან, იყო ის რეგიონი, რომლიდანაც შეიძლებოდა საზოგადოებრივი ინტეგრირების თვალსაზრისით მნიშვნელობანი ინიციატივების დაწყება, რაც კატალონიელთა სოციალურ სტატუსს მნიშვნელოვან თამასას ანიჭებდა იმდროინდელ ესპანურ საზოგადოებაში. ამ მხრივ, მომდევნო დეკადაში დაწყებული სერიოზული ეკონომიკური ძვრები იქცა პოლიტიკურ პროცესებში მაღალი დონის პროფესიონალების ჩართვისათვის, რომელთაც შემდგომ სერიოზულ საკანონმდებლო ცვლილებებს ჩაუყარეს საფუძველი. ამის შედეგად კატალონიის ისტორიული და გეოგრაფიული მდგომარეობის სწავლება გაძლიერდა რეგიონის ადგილობრივ სკოლებში, რეგიონის მასშტაბით გაძლიერებულმა ე. წ. "აქტიური სკოლის" საზოგადოებრივმა მოძრაობამ სერიოზულ ინოვაციურ სასწავლო იდეებსა და პროექტებს შეუქმნა ნიადაგი და თავის მხრივ, კატალონიური, როგორც რეგიონის ენა, საკმაოდ მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა საგანმანათლებლო და სამეცნიერო თვალსაზრისით (Santisteban, 2013). ეს ყოველივე მოწმობს იმას, რომ მიუხედავად გარკვეული ბარიერების არსებობისა, გრძელვადიანი რაკურსით მე-19 საუკუნიდან მოყოლებული 1950-60-იან წლებამდე საკმაოდ სერიოზული დატვირთვა ჰქონდა განათლების ფაქტორს კატალონიური ეთნოსის განვითარებაში, რომლის ხელმისაწვდომობასაც რეგიონში მნიშვნელოვანწილად სწორედ ცენტრალური ხელისუფლება უზრუნველყოფდა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ესპანეთის ზოგადი მდგომარეობით, მაგალითად, 1965 წლის მონაცემებით 1000 კაცზე 4.44 საავადმყოფოს საწოლი იყო განკუთვნილი, ხოლო იმავე 1965 წელს 1000 კაცზე გაანგარიშებით უშუალოდ კატალონიაში 5.27 საწოლი მოდიოდა. თანაც გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით ესპანეთში არსებული ეს რიცხვი საგრძნობლად მცირე იყო (Barceló-Prats & Bekele, 2021). აქედან გამომდინარეობს ის რეალობა, რომ 1960-იან წლებში კატალონია მაშინაც კი, როცა ესპანეთში არც თუ ისე

სახარბიელო მდგომარეობა იყო, ახერხებდა უკეთესი სამედიცინო და სოციალური სერვისების მიწოდებას. ეს ყოველივე იყო შედეგი ცენტრალური ხელსიუფლების მხრიდან რეგიონში ჩადებული მრავალწლიანი შრომისა, რომელმაც ესპანეთისათვის რთულ მდგომარეობაში კატალონიის რეგიონს ძლიერი ფონი შეუქმნა. ამ მხრივ, რაციონალურად ნამდვილად სწორი ნაბიჯი იქნებოდა კატალონიელთა მხრიდან რბილი ფორმის პროტესტი და დიალოგზე თანხმობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

ხაზი აუცილებლად უნდა გაესვას იმას, რომ 1965-1975 წლების 10-წლიან პერიოდში კატალონიაში მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 1.4-ჯერ გაიზარდა (Abadie & Gardeazabal, 2001). ეს ყოველივე კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ესპანეთში კატალონიელთა დადებით მდგომარეობას და მიანიშნებს მათ ეკონომიკურ აღმავლობაზე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება საკმაოდ სერიოზულად უწყობდა ხელს კატალონიის საგანმანათლებლო შესაძლებლობის გაძლიერებას შემდგომ წლებშიც. ამის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია "ფოტოხელოვნების შემსწავლელი ცენტრი", რომლის თავდაპირველი ფილიალი 1970-იან წლებში ესპანეთის დედაქალაქში გაიხსნა, ხოლო მომდევნო ფილიალი კი - მალევე ქალაქ ბარსელონაში. სხვათა შორის, ბასკეთის ტერიტორიაზე გახსნილი ფილიალი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა და მისი შედეგები იმდენად კარგი იყო, რომ მან საბაკალავრო აკადემიური საფეხურის განათლების შეთავაზებაც კი შეძლო შემდგომში ბასკებისათვის "ბარსელონას აბათ ოლიბას უნივერსიტეტთან" თანამშრომლობით (Gómez-Isla & Zelich, 2020). ეს ფაქტი ნათლად აჩვენებს, რომ 1970-იან წლებში, როდესაც ბასკეთის რეგიონში სერიოზული ეკონომიკური კრიზისი იყო, კატალონიას არა მხოლოდ სოციალურ სერვისებთან, არამედ განათლების საშუალებებთანაც ჰქონდა წვდომა ესპანელთა სერიოზული ხელშეწყობით. ამ მხრივ, ჩანს, რომ ესპანეთს წვლილი შეჰქონდა როგორც კატალონიელების

რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, ისე მისი საგანმანათლებლო შესაძლებელობების განვითარებაში. ეს ყოველივე კი მიუთითებს ესპანეთში კატალონიელთა სოციალური სტატუსის საკმაოდ ამაღლებულ ხასიათზე. ამ მხრივ, არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ რადიკალური, ძალადობრივი მიდრეკილებებით გამორჩეული "კატალონიის განმათავისუფლებელი ფრონტი" ("FAC") მე-20 საუკუნის 70-იან წლებში მხოლოდ მცირეხნიანი პოპულარობით სარგებლობდა და 100-მდე პროვოკაციული ღონისძიების მიუხედავად, 1 კაცის მეტი მსხვერპლი მის გამოჩენას არ მოჰყოლია (De la Calle, 2015). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ არც ინფრასტრუქტურული ზარალის თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მე-20 საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანი წლების დასაწყისში მრავალ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ბარსელონაში "ფოტოგრაფიის საერთაშორისო ცენტრიც" შეიქმნა ნიუ-იორკში არსებული ანალოგიური ცენტრის გავლენით და შემდგომში მთელ ესპანეთში ფოტოხელოვნების შესახებ ერთ-ერთ წამყვან ინსტიტუტად იქცა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანი ღონისძიებების მოწყობით (Gómez-Isla & Zelich, 2020), უდავოა, რომ ესპანელთა მხრიდან მწვანე შუქი ჰქონდა ანთებული თითქმის ყველა იმ საგანმანათლებლო ინიციატივას, რომლის განხორციელებასაც მოისურვებდნენ კატალონიელები. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1983 წლის საკანონმდებლო ცვლილებით კატალონიური ენის გამოყენება კასტილიურის მსგავსად საგანმანათლებლო თვალსაზრისით კანონიერი გახდა (Clots-Figueras & Masella, 2013), ჩანს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ესპანელებმა კატალონიელთა განათლების შესაძლებლობების განვითარებას ხელი შეუწყვეს. ამ მხრივ, ნათელია ისიც, რომ ამა თუ იმ ქარტეხილის მიმართ კატალონიელთა შემწყნარებლური დამოკიდებულება მთლიანობაში წარმატების მომტანი აღმოჩნდა რეგიონისათვის ესპანურ სახელმწიფოში.

მნიშვნელოვანია, რომ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში კატალონიელებს სერიოზული წარმატება მოუტანა ცენტრალური

ხელისუფლების ინიციატივით რეგიონზე არსებულმა ზემოხსენებულმა ფუნქციათა დელეგირებამ, რომელიც ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების სექტორს შეეხო. ესპანელების სერიოზული ხელშეწყობით გადამზადებულმა მედპერსონალმა და ჯანდაცვის სისტემის მენეჯერებმა რეგიონს ძლიერი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის სისტემა შეუქმნეს, რითაც სოციალური ყოფა გამოაჯანსაღეს (Barceló-Prats & Bekele, 2021). ეს მოწმობს იმას, რომ ზოგადი ეკონომიკური ფონის გაძლიერებისა და საგანმანათლებლო შესაძლებლობების განვითარების ფონზე ცენტრალური ხელისუფლება არანაკლებ მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევდა კატალონიის რეგიონში ჯანდაცვის რეფორმების განხორციელებას თვითონ კატალონიელების მოსაზრებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჯანდაცვის სექტორში ბიზნეს აქტორების გაძლიერების საფუძველზე კერძო საავადმყოფოების პროექტი და ჯანმრთელობის მიმართულებაში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის პრაქტიკა ესპანეთში სწორედ კატალონიიდან დაიწყო, რაც შემდგომ უცხო ქვეყნებშიც გადავიდა (Barceló-Prats & Bekele, 2021), ცხადი გახდება, რომ სწორედ კატალონიაში არსებული ჯანდაცვის სისტემა მის როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ მდგრადობას უზრუნველყოფდა და ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა ცენტრალური ხელისუფლების გვერდში დგომის გარეშე. ეს ფაქტი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კატალონიელთა მაღალ სოციალურ სტატუსს ესპანურ საზოგადოებაში. გარდა ყოველივე ამისა, ანალიზის საფუძველზე ცხადი ხდება, რომ მე-20 საუკუნის საწყის პერიოდში ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების უფლებამოსილებების დიდი ნაწილის რეგიონზე დელეგირებამ გრძელვადიან პერსპექტივაში სერიოზული მასშტაბისა და ხასიათის პოზიტიური მუხტი შესძინა რეგიონს. ამასთან, ფაქტებიდან ჩანს, რომ ესპანელები როგორც ფინანსური, ისე ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსით ეხმარებოდნენ კატალონიელებს თავიანთი სოციალური სტატუსის უფრო მეტად ამაღლებაში ესპანური საზოგადოების

შიგნით. საინტერესო საკითხია, რომ მე-20 საუკუნის 80-იან წლებში კატალონია ესპანეთის მასშტაბით არსებულ ეკონომიკურ ფონთან შედარებით 30 პროცენტით უკეთეს მდგომარეობას ფლობდა, ხოლო იმაზე 2-ჯერ მეტი ეკონომიკური დოვლათი ჰქონდა, ვიდრე სხვა რეგიონებს, რომლებიც ყველაზე დაბალგანვითარებულ რეგიონებად ითვლებოდნენ. თვით ბასკეთისა და მადრიდის ეკონომიკურ პოტენციალზე უკეთესი შედეგები ჰქონდა კატალონიას, როგორც რეგიონს (Giner, 1984). ეს ყოველივე ადასტურებს იმას, რომ კატალონიელთა მდგომარეობა ესპანეთის შიგნით საკმაოდ წარმატებულად გაგრძელდა 1980-იანი წლების ჩათვლით, რამაც მათი სოციალური სტატუსი კიდევ უფრო განავითარა და ამასთანავე, შექმნა საფუძველი კატალონიური ეთნოსის ესპანურ საზოგადოებაში ღირსეული არსებობის გაგრძელებისათვის. ეს, როგორც ჩანს, აღმოჩნდა იმის სერიოზული წინაპირობა, თუ რატომ ვერ მოიკიდა მე-20 საუკუნის 70-იან და 80-იან წლებში ძალადობრივ ორგანიზაციათა კოალაციამ "ტიერა ლიურმა" (De la Calle, 2015). ამ მხრივ, თუ გავითვალისწინებთ რიცხობრივ მონაცემებსაც, იმის ფონზე, რომ რეგიონში ესპანური ერის მხოლოდ 16 პროცენტი იყო თავმოყრილი, მშპ-ს 20-პროცენტიანი ოდენობა, სამრეწველო წარმოების 26-პროცენტიანი წილი და საბანკო დეპოზიტების 20-პროცენტიანი მოცულობა (Giner, 1984) ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ კატალონიას ძალზე ძლიერი მდგომარეობა შეუქმნა ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კეთილგანწყობილმა დამოკიდებულებამ. ეს კი მთლიანობაში უნდა ყოფილიყო ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების ნორმალურ რეჟიმში დინამიკურად გაგრძელების საფუძველი. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ იმავე პერიოდში ესპანეთის სრული სამრეწველო კაპიტალის 30-პროცენტიანი წილის ინვესტირება სწორედ კატალონიაში განხორციელდა და ასევე ესპანეთში არსებული 1562 საწარმოდან 440 სწორედ კატალონიაში იყო განთავსებული (Giner, 1984), რეალურად კიდევ ერთხელ დასტურდება ზემოთ გამოთქმული მოსაზრება.

სხვათა შორის, მნიშვნელოვანია, რომ იმ პერიოდისათვის რეგიონში ბევრი სტუდენტი იყო დაინტერესებული უმაღლესი განათლების მიღებით (Giner, 1984), რაც უმყარებს საფუძვლებს განათლების ხელმისაწვდომობის საკითხს კატალონიელთათვის. მნიშვნელოვანია, რომ 1975-1985 წლებში ადრინდელთან შედარებით დაახლოებით 1.07-ჯერ გაიზარდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს რიცხვი, 1985-1990 წლებში - დაახლოებით 1.3-ჯერ. აღსანიშნავია ისიც, რომ მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დეკადაში (კონკრეტულად, საწყისი წლიდან 1997 წლის ჩათვლით) დანარჩენ რეგიონებთან შედარებით კატალონიას 4-პროცენტიანი უპირატესობა ჰქონდა იმავე ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებით (Abadie & Gardeazabal, 2001). ეს და ზემოთ მოხმობილი სხვა ფაქტები იმას აჩვენებს, რომ კატალონიას მე-19 საუკუნიდან მოყოლებული სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრებით ძირითადად პროგრესული მდგომარეობა ჰქონდა, რაშიც მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ლოიალური დამოკიდებულება და რეგიონის განვითარების სურვილი. სწორედ ამით შეიძლებოდა, ყოფილიყო განპირობებული ის, რომ რეგიონმა საბოლოო ჯამში არაძალადობრივი განვითარების გზა აირჩია და კომპრომისულ, დიალოგის ფორმით ურთოერთობებს თანხმდებოდა ესპანელებთან. შაფირის კვლევით, კატალონიაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესების უმეტესი ნაწილის მფლობელობა კატალონიელებზე მოდის, ხოლო დიდ ბიზნესებში კი, როგორც უმაღლესი, ისე საშუალო რგოლის მენეჯერულ პოზიციებზე ძირითადად კატალონიელები არიან დასაქმებულნი. სხვათა შორის, ისეთი საერთაშორისო ხასიათის აქტორებშიც კი, როგორებიც მულტინაციონალური კორპორაციებია, კატალონიის ტერიტორიაზე სწორედ კატალონიელები არიან უმეტესწილად დასაქმებულნი როგორც მართვის, ისე სპეციალისტის პოზიციებზე. ეს იმ შემთხვევაშიც კი ხდება, თუკი კორპორაციებს უცხოელები ფლობენ (Shafir, 1992). ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ ესპანეთის ცენტრალურ ხელისუფლებას მწვანე

შუქი ჰქონდა ანთებული კატალონიელთათვის არა მხოლოდ დასაქმებისათვის, არამედ ეკონომიკური დოვლათის საკუთარი ნიჭით შექმნისა და კარიერული განვითარებისათვის. ეს კი როგორც მატერიალური, ისე სულიერი და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით თავისუფლად შეიძლებოდა, ყოფილიყო მოტივატორი, რომ მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით (და როგორც კვლევიდან იკვეთება შემდგომ პერიოდშიც) ეს მოცემულობა ყოფილიყო წამახალისებელი კატალონიელთა მხრიდან ძალადობაზე უარის თქმისა და პრინციპული, თუმცა არაძალადობრივი მეთოდებით საკუთარი მოსაზრებების გადმოსაცემად ან თუნდაც პროტესტის გამოსახატად ესპანელთა მიმართ. ცენტრსა და პერიფერიას შორის ამგვარი ხასიათის ურთიერთდამოკიდებულება თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო ორმხრივად სასარგებლო ხასიათის ურთიერთობების საფუძველი.

**5. 2. ბასკური და კატალონიური უმცირესობების ანალიზი პოლიტიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით**

ბასკეთისა და კატალონიის ქეისების განხილვა მნიშვნელოვანია პოლიტიკური ქვეინდიკატორების კონტექსტშიც სოციალური სტატუსის ინდიკატორის საერთო სურათის შესაქმნელად. ამ მხრივ, ყურადღება ექცევა ორივე ეთნოსის საარჩევნო პროცესებში თანამონაწილეობას, ესპანეთის ცენტრალურ პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობასა და ადგილობრივ დონეზე ესპანური სახელმწიფოსათვის გადაწყვეტილებების მნიშვნელობის ხარისხს (Miconi, Calcagni, Mekki-Berrada & Rousseau, 2020). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საინტერესოა ორივე ეთნოსის ელექტორალური და პოლიტიკური აქტიურობა და მნიშვნელობა ესპანურ საზოგადოებაში, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია, პირველ რიგში, მათი პოლიტიკური წონის და შემდგომ ზოგადი სოციალური სტატუსის გამოკვლევისათვის.

**5. 2. 1. ბასკური უმცირესობის ანალიზი პოლიტიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით**

ამ მხრივ, საინტერესოა ბასკეთში მიმდინარე პროცესები. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოცემული ანალიზიდან გამოჩნდა, რომ საბინო არანას ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ბასკეთის პოლიტიკაში. სწორედ მისი დამსახურებით ინდივიდუალიზმი რეგიონის პოლიტიკის მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი გახდა, რადგან როგორც პოლიტიკური კურსი, ისე ჰიმნი და კიდევ ბევრი სხვა სიმბოლო თუ პრაქტიკული დანიშნულების მოვლენა დიდწილად სწორედ არანას სახელთანაა დაკავშირებული (Conversi, 1994). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პერსონალურად არანას ნაციონალისტური წვლილი სერიოზულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ბასკეთის პოლიტიკური ამინდის შექმნისათვის. აქედან გამომდინარე, გასაანალიზებლად მნიშვნელოვანია, როგორ მიმდინარეობდა ბასკეთის პოლიტიკური მოვლენები და რა დატვირთვა ჰქონდა ამ ყოველივეს როგორც რეგიონის, ისე ზოგადად სახელმწიფოს მდგომაორეობისათვის მე-19 საუკუნესა და 1900-1980-იან წლებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან ბასკთა მიმართ ისტორიის ამ ეტაპებზე გამოვლენილი უარყოფითი მიდგომის დამსახურებით ეთნოსში ძალადობრივი, სისხლისმღვრელი განწყობები არა მხოლოდ გაღვივდა, არამედ ამოხეთქა კიდეც (Conversi, 1994), მნიშვნელოვანია ეტაპობრივად მივყვეთ რეგიონის პოლიტიკური მოვლენების ანალიზს და ამის საფუძველზე გადმოვცეთ ბასკთა პოლიტიკური სტატუსი, როგორც მათი სოციალური სტატუსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი.

ერთ-ერთი ისტორიული გარემოება, რომელიც თავდაპირველად იქცევს ყურადღებას, ეხება ესპანელთა მიერ 1876 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას დრამატული შიდა-დაპირისპირებების დასრულების შემდგომ ბასკთა ადგილობრივი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ბერკეტების გაუქმების შესახებ (Conversi, 1994). ეს მიანიშნებს ესპანელთა უარყოფით დამოკიდებულებაზე ბასკური ეთნიკური უმცირესობისათვის ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების საკითხში

თავისუფლების მინიჭების შესახებ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ამ ნაბიჯმა ძლიერი პროტესტის გრძნობა გააჩინა ეთნოსში, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც იყო ბისკაიაში ფიდელ საგარმინაგასა და მისი მომხრეების მიერ ესპანელთა საგადასახადო პოლიტიკისა და ზოგადად გადასახადების გადახდის წინააღმდეგ (Conversi, 1994), ნათელი გახდება, რომ ადგილობრივ დონეზე ესპანელების მცდელობა ბასკთათვის შეეზღუდათ უფლებამოსილებები გამოწვეული იყო მათი გულგრილი დამოკიდებულებით ეთნოსის პოლიტიკური განვითარების საკითხის მიმართ. ეს კი, თავის მხრივ, იმის დასტურია, რომ მე-19 საუკუნეში ცენტრალური ხელისუფლების გადმოსახედიდან, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით არაფერს ნიშნავდა ბასკთა მიერ ადგილობრივ დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები და შესაბამისად, მათთვის საკანონმდებლო თუ ადმინისტრაციული რესურსების, იგივე ფუეროების შეზღუდვა ესპანელთათვის ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საგარმინაგასა და მსგავსი ადამიანების ფაქტორი კი იმაზე მიანიშნებს, რომ ესპანელთა ძალისხმევით ბასკთა დაქვეითებული პოლიტიკური წონა ესპანეთში, არც მეტი, არც ნაკლები, ეთნიკურ უმცირესობაში პროტესტის რადიკალიზაციასა და ძალადობრივ ფორმად გარდაქმნას რეალურს ხდიდა. ეს უმცირესობის თვალთახედვით რაციონალურ არჩევნად აღიქმებოდა. ამ მხრივ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საგრამინაგასა და მისი თანამოაზრეების ამ პროტესტის შემდგომ ბისკაიის პროვინციის ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო, იგივე დეპუტაციონი სწორედ ესპანელთა ჩარევით დაიშალა და შედეგად ესპანელებმა ცენტრალური ხელისუფლებისადმი ლოიალური შემადგენლობით ააწყვეს დეპუტაციონი (Conversi, 1994), დავინახავთ, რომ დინამიკაში ესპანელები ბასკური ეთნოსის განწყობებს ძალადობისაკენ აღვივებდნენ. ასეთი მიდგომებით ერთი პროვინციის დონეზე აღმოცენებული ამგვარი, ერთი შეხედვით,

ჩვეულებრივი, არაძალადობრივი პროტესტი თავისუფლად შეიძლებოდა, გადაზრდილიყო სისხლიან დაპირისპირებაში.

საინტერესო გარემოებაა, რომ დიპუტაციონის მართვის სადავეები ხელში ჩაუვარდათ პოლიტიკური ინტერესების მქონე ოლიგარქებს, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების პირდაპირ დირექტივებს ასრულებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ 1878 წელს ცენტრსა და პერიფერიას შორის შედგა შეთანხმება ბასკთათვის ადგილობრივ დონეზე გარკვეული საგადასახადო თავისუფლებების მინიჭების საკითხზე, თამაშის ამ ახალმა წესებმა მხოლოდ გამდიდრებულ ფენას შეუქმნა სასათბურე პირობები (Conversi, 1994). ეს მიანიშნებს, რომ ესპანელები ცდილობდნენ, რეგიონში წინა პლანზე წამოეწიათ მდიდართა ინტერესები, რომლებიც მათი დავალებების უბადლო შემსრულებლები იქნებოდნენ და საერთოდ არ ცდილობდნენ, ბასკეთის ადგილობრივი პოლიტიკური პროცესის გაჯანსაღებას. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ამ ერთი შეხედვით საგადასახადო თვალსაზრისით გაუმჯობესებული მდგომარეობის უკან სინამდვილეში ადგილობრივი ვაჭრების, საქმიანი წრეებისა და მუშათა და გლეხთა კლასის დაჩაგვრის სქემები იქმნებოდა (რადგან მათ საკმაოდ მძიმედ დააწვა ახალი საგადასახადო რეგულაციები)(Conversi, 1994), კიდევ ერთხელ გამოიკვეთება, რომ ესპანელები ბასკეთის რეგიონში დებდნენ ბომბს, რომელიც დროთა განმავლობაში აფეთქდებოდა და მძიმე პრობლემებს წარმოშობდა ცენტრალურ ხელისუფლებასა და ეთნიკურ უმცირესობას შორის ურთიერთობებში. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ესპანელები პოლიტიკური თვალსაზრისით არაჯანსაღ გარემოს ქმნიდნენ ბასკთა რეგიონში, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში თავისუფლად შეიძლებოდა გამხდარიყო ძალადობრივი ვულკანის ამოფრქვევის წინაპირობა რეგიონის წარმომადგენლებში. სწორედ ცენტრალური ხელისუფლების მანკიერი ჩარევის შედეგად ბასკთა დასუსტებული საშუალო კლასისა და დელეგირებული უფლებამოსილებების შეკვეცის ფონზე საკმაოდ მაღალი იყო მოვლენათა დრამატულად განვითარების

ალბათობა. ამ მხრივ, დანიელ კონვერსი წერს: “ფუეროების” გაუქმებამ… შექმნა წყალგამყოფი ბასკებსა და მადრიდს შორის. ეს იყო მთავარი, თუმცა არა ერთადერთი პირობა გრძელვადიან პერსპექტივაში ბასკური ნაციონალიზმის განვითარებისათვის” (Conversi, 1994, გვ. 80). აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, ესპანელთა თვალთახედვით, ბასკეთის მნიშვნელობა დიდი არ იყო რეგიონში, რის გამოც მათმა ნაბიჯებმა ეთნიკური ნაციონალიზმის ტალღა ჯერ დაძრა, ხოლო შემდგომ კი გააძლიერა რეგიონის წარმომადგენლებში.

მნიშვნელოვანია ის, რომ მე-19 საუკუნესა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ეთნიკური ნაციონალიზმისა და პროცესების რადიკალიზაციის მთავარი საყრდენის, “PNV”-ის ამავე საუკუნეთა მიჯნაზე მიღწეული ელექტორალური წარმატება გახდა ძალზე სერიოზული კონტრიბუტორი პროცესების შემდგომი განვითარების საკითხში. კერძოდ, ის ფაქტი, რომ არანა 1898 წელს ბისკაიის ადგილობრივი არჩევნების საფუძველზე პროვინციის საკანონმდებლო ორგანოში აირჩიეს, ხოლო 1899 წელს კი ბილბაოსა და ბასკეთის რეგიონის სხვა ქალაქების მასშტაბით ადგილობრივ წარმომადგენლობით ორგანოებში “PNV”-იმ ჯამში 8 ადგილის მოგება შეძლო (Conversi, 1994), იმაზე მიანიშნებს, რომ ნელ-ნელა სამართლებრივი გზითაც იწყებდენენ ეთნიკური ნაციონალისტები ძალების გამყარებას თავიანთი გეგმების აღსრულებისათვის. აქვე იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ პერიოდის წინასაარჩევნო თუ სხვა სახის პოლიტიკური აქტივობების ორგანიზებასა და განხორციელებაში ბასკ ნაციონალისტებს ერთადერთი მსხვილი მეწარმე, რამონ დე ლა სოტა ეხმარებოდა (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ დადასტურდება ის ფაქტი, რომ როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ესპანელთა მიმართ ლოიალურად განწყობილი მდიდარი ფენის წარმომადგენელთა მხრიდან კვლავაც იზღუდებოდნენ ბასკი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები როგორც ფინანსური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ამის შედეგად კი, შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ცენტრალური

ხელისუფლების ამგვარი დამოკიდებულება რეგიონის მიმართ ძალადობრივი პროცესების მომტანი იყო. ამის თქმის საფუძველს იძლევა გარემოება, რომ პრაგმატულ, რაციონალურ სვლებს არანა და მისი მომხრეები კვლავ რადიკალიზაციას ამჯობინებდნენ, რადგან ამით უფრო მეტი მომხრის მობილიზებას ახერხებდნენ, ვიდრე ცივი გონების მიდგომით (Conversi, 1994). ეს ადასტურებს, რომ ერთი შეხედვით თავდაპირველი თითქოს არაძალადობრივი პროტესტი ნელ-ნელა წავიდა ძალადობრივი გზით. იმის ფონზე, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან შეზღუდვებისაკენ მიდრეკილი პოლიტიკის წყალობით “PNV”-იმ ბისკაიის საარჩევნო პროცსებში სერიოზული წარუმატებლობა განიცადა 1901 წელს და მომდევნო წელს მათი ლიდერი აშშ-ის პრეზიდენტის მიმართ კუბისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხზე მიწერილი წერილის გამო დააპატიმრეს (Conversi, 1994), ფაქტია, რომ ბასკი ნაციონალისტები, რომელთაც ხალხის თვალში რეიტინგი პერიოდულად უმაღლდებოდათ, ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ ცენტრალური ხელისუფლების დამსახურებით. ეს კი, ბუნებრივია, მათ პოლიტიკურ მდგომარეობას ამძიმებდა, რაც მთლიანობაში მათ სოციალურ სტატუსს საფრთხეს უქმნიდა.

აღსანიშნავია, რომ არანა, რომლის გავლენებიც საკმაოდ ფართო იყო და რომელიც, როგორც უკვე აღინიშნა, ბასკური ეთნოსის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მისი და მისი თანამოაზრეების მიმართ დაწესებული შეზღუდვების წყალობით სათანადო საარჩევნო-პოლიტიკურ აქტივობას ვერ ახერხებდა და ვერც წარმატებას აღწევდა (Conversi, 1994). მთლიანობაში რომ შევხედოთ, ეს ყოველივე საკმაოდ პარადოქსულ სიტუაციას ქმნიდა: იმის გათვალისწინებით, რომ ერთი მხრივ, ბასკური საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი მე-19 საუკუნის 90-იან წლებში არანას პოლიტიკურ ორგანიზაციაში წევრიანდებოდა ან აქტიურად უჭერდა მხარს და მეორე მხრივ, მე-19 და მე-20 საუკუნეთა

მიჯნაზე ეს პოლიტიკური ორგანიზაცია საარჩევნო თვალსაზრისით სერიოზულ შედეგებს ვერ აღწევდა (Conversi, 1994), შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული წნეხი ბასკთათვის მნიშვნელოვან ამ პოლიტიკურ გაერთიანებას საარსებო სახსრებს უხშობდა. ეს კი, რასაკვირველია, რეგიონის პოლიტიკურ სიჯანსაღეს აზარალებდა და შესაბამისად, ბასკების პოლიტიკურ მნიშვნელობას აქვეითებდა, რისი ლოგიკური თანამდევი პროცესიც, არც მეტი, არც ნაკლები, სერიოზული ძალადობრივი კამპანია შესაძლოა, გამხდარიყო. ამავე პროცესის წამახალისებელი, ბუნებრივია, არანას დაპატიმრებაც შეიძლებოდა, გამხდარიყო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ არანას მიერ 1890-იანი წლების ბოლოს საპყრობილეში შექმნილი ჰიმნი 1980-იან წლებში ავტონომიური ბასკეთის ერთ-ერთ ოფიციალურ ატრიბუტად იქცა და ასევე მის მიერ გაკეთებული დროშა 1930-იან წლებში რეგიონის კიდევ ერთ ფორმალურ სიმბოლოდ ჩამოყალიბდა (Conversi, 1994), ნამდვილად ცხადი გახდება, რომ ცენტრალური ხელისუფლება ებრძოდა ფიგურას, რომლის უკანაც ბასკური ეთნოსის წარმომადგენელთა უმრავლესობა იდგა. მოვლენებს ცოტა უფრო ადრინდელი გადმოსახედიდან თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ 1895 წელს, ანუ ჯერ კიდევ მანამდე სანამ სხვადასხვა პროვინციის ადგილობრივ არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას არანას პოლიტიკური გაერთიანება, ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გააუქმა აღნიშნული პოლიტიკური გუნდის პოლიტიკური ბიურო. ამას მოჰყვა არანას მიერ შექმნილი პერიოდული გამოცემის, “ბიზკაიტარას” დახურვაც, რის შემდგომაც, როგორც ზემოთ განვიხილეთ, არანა ციხეში გამოამწყვდიეს (Conversi, 1994). ეს ყოველივე კვლავ იმავე ლოგიკას მიჰყვება. ფაქტია, რომ ესპანელები ძალებს არ იშურებდნენ, ბასკეთის პოლიტიკურ პროცესში დიდი დოზით ჩარევისა და თავისთვის სასარგებლო ნაბიჯების გადადგმისათვის. ეს ნაბიჯები კი, შესაძლოა, სულაც არ ყოფილიყო ბასკთა ინტერესების შესაბამისი, რაც ისევ და ისევ ქმნიდა იმის სერიოზულ

საფძველს, რომ პროცესები დრამატული სცენარით წარმართულიყო. გარემოებებიდან იკვეთება, რომ ესპანელები ბასკთა პოლიტიკურ მნიშვნელობას სულ უფრო და უფრო აქვეითებდნენ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, რაც, ბუნებრივია, მათ სოციალურ სტატუსზე ნეგატიურად აისახებოდა.

"როდესაც ის ციხიდან გამოვიდა, ბიუროს ოფისი დახურული იყო, პარტია უფულოდ იყო დარჩენილი და მისი მხარდამჭერების რიცხვი რამდენიმე ასეულ ადამიანზე მეტს არ უტოლდებოდა," - დენიელ კონვერსი რობერტ კლარკის ამ სიტყვებით გადმოსცემს საბინო არანას იმჟამინდელ მდგომარეობას (Conversi, 1994, გვ. 100). ეს ფრაზა კიდევ ერთხელ აჩვენებს არანას მაშინდელ დაბეჩავებულ მდგომარეობას, რომელზეც ანალიზში არაერთხელ გაკეთდა აქცენტი. ამ ყოველივეს შემდგომ, 1903 წელს, როდესაც არანა გარდაიცვალა, ბისკაიის პროვინციულ არჩევნებში მისი პარტიის სიით ორი ადამიანი შევიდა. პარადოქსია, თუმცა რეალობა აღმოჩნდა, რომ ბასკი ნაციონალისტების აღმავლობა რეგიონში დაიწყო ბასკური ნაციონალისტური პროცესების მთავარი იდეოლოგის გარდაცვალების შემდგომ. მათი რეიტინგი თანდათან ისე გაიზარდა, რომ ისინი ბასკეთის მასშტაბით მხოლოდ კონსერვატიულ პარტიას ჩამოუვარდებოდნენ (Conversi, 1994). ეს, პრაქტიკულად, აჩვენებს, რომ საბინო არანამ, რომელიც ბასკური ეთნოსის სამოქალაქო და პოლიტიკური ცნობიერების ერთ-ერთ მთავარ სულისჩამდგმელად ითვლებოდა, მემკვიდრეობით დატოვა ბასკურ პოლიტიკურ ასპარეზზე ეთნიკური ნაციონალიზმით აღვსილი პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ახერხებდა ადგილობრივ საზოგადოებაში დაკარგული რეიტინგი ეტაპობრივად აღედგინა. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მიუთითებს, რომ ბასკური ეთნოსის სიმპათიები ცენტრალური ხელისუფლების მიერ ჩაგრული "ბასკური ნაციონალისტური პარტიის" მხარეს გადაიხარა. ამ მხრივ, ნათელია, რომ ბასკთა თვალში ესპანელები სწორედაც რომ მათი პოლიტიკური წონის დაკნინებისაკენ მიდრეკილ ძალად აღიქმებოდნენ და ისინი სოლიდარულნი იყვნენ იმ

ძალის მიმართ, რომელიც მზად იყო როგორც ხმის ამაღლებით, ისე იარაღის ენით ესაუბრა ცენტრალურ ხელისუფლებასთან. საინტერესოა, რომ 1907 წელს ჩაიშალა ბასკთათვის ავტონომიის მინიჭების პროექტი და რეალურად, 1914 წელს უკვე რეორგანიზებულმა "CNV"-იმ, ერთი შეხედვით, არჩევნებში მოიპოვა წარმატება, თუმცა მას სუსტი შედეგები ჰქონდა გიპუზკოასა და ნავარის მასშტაბით და მხოლოდ ბისკაიის მასშტაბით მოიპოვა უმრავლესობა საკანონმდებლო ორგანოში. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წინააღმდეგობები არ ცხრებოდა რეგიონის პოლიტიკური სისტემის, განსაკუთრებით კი სწორედ ნაციონალისტების პოლიტიკური ძალის მიმართ (Conversi, 1994). ეს მოცემულობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ესპანელები ძალზე არაჯანსაღ სიტუაციას აყალიბებდნენ რეგიონში. ამჯერად უკვე ისიც გამოიკვეთა, რომ ბასკების ავტონომიის საკითხის მიმართ ესპანელებმა ნეგატიური განწყობა გამოხატეს და უფრო მეტიც, პრაქტიკული პოლიტიკის თვალსაზრისითაც ჩააგდეს მათთვის ავტონომიური უფლებების მინიჭების საკითხი. ეს სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა იმისა, რომ დაეჩაგრათ ბასკები და მათში დაეთესათ შუღლის შეგრძნება ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ისევ და ისევ ძალადობის გამომწვევი იქნებოდა.

იმჟამინდელი გამდიდრებული ადგილობრივი ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტების წარმომადგენლების ცენტრალური ხელისუფლების სატელიტებად ქცევით ესპანელები ჯანსაღი პარტიული და საარჩევნო პროცესების შეფერხებას ცდილობდნენ ბასკეთში. ამ მხრივ, "CNV"-იმ კორტესებში, ანუ ესპანეთის ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოში 1919 წელს მხოლოდ სამი დეპუტატის გაყვანა შეძლო, ხოლო 1920 წელს მხოლოდ ერთი კანონმდებელი შეინარჩუნა (Conversi, 1994). აქ მნიშვნელოვანია ერთი დეტალი: პრაქტიკულად, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ბასკური ნაციონალისტური პოლიტიკური ჯგუფის შეზღუდვით აღნიშნულმა პოლიტიკურმა ჯგუფმა ცენტრალურ

პოლიტიკურ პროცესებში მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს სერიოზული სისუსტეები იწვნია. ეს იმაზე მიუთითებს, რომ არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ ცენტრალურ დონეზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებშიც ესპანელთათვის ბასკები უმნიშვნელო ეთნოსს წარმოადგენდნენ და ესპანელთა თვალთახედვით, აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის ადგილი ესპანეთის ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებში საერთოდ არ იყო. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ესპანელები განხეთქილების ვაშლად გადაიქცნენ ბასკურ ნაციონალისტურ პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომლიდანაც ზოგიერთმა წევრმა წასვლაც კი გადაწყვიტა. რადიკალების მხრიდან კი კვლავ "PNV" ჩამოყალიბდა და თანდათან ისევ მთელი ბასკური საზოგადოების გულის მოგება დაიწყო (Conversi, 1994). პრაქტიკულად, ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წამოსული მავნე გავლენების საფუძველზე პარტიას არა მხოლოდ კორტესებსა თუ სხვადასხვა პერიფერიულ დონეზე არსებულ წარმომადგენლობით ორგანოებში შეექმნა პრობლემები, არამედ შიდა-პარტიული განხეთქილებების მსხვერპლიც გახდა და ამის გამო განახლება დასჭირდა. იკვეთება როგორც საარჩევნო, ისე ცენტრალური და ადგილობრივი პოლიტიკის მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ეთნოსზე განხორციელებული წნეხი და ამ ყოველივეს თან ერთვის რეგიონის ავტონომიის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება, რაც მთლიანობაში ბასკთა პოლიტიკური მნიშვნელობის ძალზე დამაკნინებელია და პროცესების რადიკალიზაციისაკენ არის მიმართული. მიუხედავად ამისა, ფაქტები აჩვენებს, რომ ბასკმა ნაციონალისტებმა კვლავ შეძლეს ძალების აღდგენა და სწორედ ამ განახლებული ენერგიით წინსვლა.

საინტერესოა, რომ 1921 წელს, როდესაც ესპანურმა პოლიციამ მუშების მშვიდობიანი საპროტესტო აქცია არა მხოლოდ დაარბია, არამედ მისი ზოგიერთი მონაწილე მოკლა კიდეც და ესპანურმა საზოგადოებამ მედიასაშუალებებით პოლიციას ეს ნაბიჯი მოუწონა, ბასკმა

ნაციონალისტმა ელი გალასტეგიმ პერიოდულ გამოცემა “აბერიში” მათ შესახებ შემდეგი სიტყვები დაწერა:

> იქ დაეცნენ იდეალისტი ადამიანები; ადამიანები, რომლებიც მუდმივად იბრძოდნენ და ტკივილს განიცდიდნენ… ტყვიები, რომლებიც მათ მკერდში მოხვდათ, ჩვენს საკუთარ გულებში სამუდამოდ ჩარჩება. ჩვენ ამ ტრაგედიას აღვიქვამთ, როგორც ჩვენს საკუთარს, იმიტომ, რომ ჩვენც მათ მსგასვად ვართ ახალგაზრდები, იდეალისტები; ჩვენც ვიტანჯებით და მორიდებულ მდგომარეობაში ვართ (Conversi, 1994, გვ. 103).

ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ არანას მეინსტრიმული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიდგომები, რომლებიც არ ემთხვეოდა ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისა და ზოგადად ძირითადი ესპანური საზოგადოების ინტერესებს, მნიშვნელოვნად მიიჩნევდა პროტესტის გამოხატვას. ამავე დროს, აქ აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზეც, რომ ბასკეთის ძირითადი პოლიტიკური სულისკვეთების მატარებელი ეს ჯგუფი, ანუ “ბასკური ნაციონალისტური პარტი” დაბალი ფენის ინტერესების დასაცავად იმაღლებდა ხმას. ამან კი, როგორც ისტორიამ აჩვენა, გრძელვადიან პერსპექტივაში მათი გაბატონებულ მდიდარ ფენასთან სერიოზული დაპირისპირება და პარტიის შიგნით მარქსისტული იდეოლოგიური ხაზის დანერგვაც კი მოიტანა (Conversi, 1994). საინტერესოა, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ბასკური პოლიტიკური პროცესის წინააღმდეგ მიმართული მანკიერი ქმედებები გაგრძელდა პრიმო დე რივერას არადემოკრატიული რეჟიმის პირობებშიც. მიუხედავად იმისა, რომ პარტიათა შორის დიალოგი და გარკვეული გაერთიანებებიც კი ყალიბდებოდა, როგორიც იყო, მაგალითად, “PNV”-ს ურთიერთობა კონსერვატიულ პარტიასთან, თეოკრატიული მსოფლმხედველობის ჯგუფებთან და მეწარმეთა მიერ შექმნილ კონკრეტულ პარტიებთან, რივერას ხელისუფლება ცდილობდა, სიჯანსაღე მოესპო რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამის ერთ-ერთი გამოვლინება

“აბერისა” და სხვა მსგავსი გამოცემების წინააღმდეგ განხორციელებული წნეხი იყო, რომლითაც ბასკებს, პრაქტიკულად, რესურსები ერთმეოდათ განვითარებისთვის (Conversi, 1994). ეს იმაზე მიანიშნებს, რომ მიუხედავად დროის გასვლისა და რეჟიმის ცვლილებისა, ესპანელების ბასკთა მიმართ დამოკიდებულება მაინც არ იცვლებოდა. ბასკების ადგილობრივი პოლიტიკური ცხოვრება კვლავ სერიოზულ პრობლემებს განიცდიდა ცენტრალური ხელისუფლების დამსახურებით, რაც მათ პოლიტიკურ წონას კიდევ უფრო მეტად აქვეითებდა და მათ მიერ ადგილობრივ დონეზე ამა თუ იმ ფორმით მიღებულ გადაწყვეტილებათა ხარისხს ასევე აგდებდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ძალადობრივი გზა, რომელსაც უკვე ამდენი ხანია ბასკები მეტნაკლებად მიჰყვებოდნენ, მათთვის პრაქტიკულად ერთადერთი გასაღები იყო თავიანთი პრობლემების შესახებ ხმის ასამაღლებლად.

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ირლანდიელთა შთაგონებით ესპანური პოლიციისაგან ფარულად მოქმედების მიზნით ბასკების მთის წვერზე განიხილავდნენ თავიანთ პოლიტიკურ პროცესებს (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ დადასტურდება გარემოება, რომ ძალზე შეზღუდული და პრობლემური პოლიტიკური გარემო იყო ჩამოყალიბებული რეგიონში, რაც ეთნიკურ უმცირესობას აიძულებდა, ექსტრემალური ნაბიჯებიც კი გადაედგათ გარკვეული გადაწყვეტილებების მისაღებად. ეს გადაწყვეტილებები კი, ისევ და ისევ, შეიძლება ითქვას, მათი რეგიონის მასშტაბს არ სცილდებოდა და სახელმწიფოებრივი დატვირთვა არ ჰქონდა. კონვერსის თქმით, რადიკალიზმის შეგრძნება ეთნიკურ უმცირესობაში თანდათან იმატებს, თუ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მის მიმართ წნეხი ძლიერდება. რეალურად, პრიმო დე რივერას არადემოკრატიულმა რეჟიმმა ბასკეთს იმდენად შეუზღუდა ადგილობრივ დონეზე საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების სივრცე, რომ ნაციონალისტების ორ ბანაკად გაყოფილმა სეგმენტმა არა მხოლოდ გაერთიანებისა და საერთო ენის რესურსი გამონახა, არამედ უფრო მეტი

მომხრე შეიძინა. ამ მხრივ, “ბასკური ნაციონალისტური პარტიის” ქვეშ გაერთიანებული ნაციონალისტები 1930-იანი წლების დასაწყისში “კარლისტებთან” მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ერთიანი პლატფორმით წარდგნენ 1931 წლის ივნისის კორტესების არჩევნებზე, სადაც პროვინციებისათვის გამოყოფილი 24 ქვოტიდან ნახევარზე მეტი, კერძოდ, 15 მანდატი მოიპოვეს (Conversi, 1994). ამ ფაქტებიდან ჩანს ის რეალობა, რომ რეჟიმის მხრიდან განხორციელებულმა წნეხმა პროტესტის მუხტი გააძლიერა ნაციონალისტებში იმდენად, რომ მათ კვლავ ერთმანეთის მხარდამხარ დგომა გადაწყვიტეს და “კარლისტებთან” მოლაპარაკების საფუძველზე საარჩევნო თვალსაზრისით გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. მიუხედავად ამისა, რეჟიმის ცვლილების შემდგომაც ახალმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ კვლავ განაგრძო ბასკების შეზღუდვა, რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოვლინებაც იყო პოლიტიკურ საქმიანობაში ჩართული რელიგიური მსოფლმხედველობის მქონე ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები იყო, რამაც სერიოზული უთანხმოება წარმოშვა “PNV”-სა და “კარლისტებს” შორის და ამ ორი პოლიტიკური გაერთიანების გახლეჩა გამოიწვია (Conversi, 1994). მსჯელობა კვლავაც უბრუნდება იმ მოცემულობას, რომ ესპანელებს ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდათ ბასკთა პოლიტიკური პროცესების მიმართ და ყველანაირად ცდილობდნენ არაჯანსაღი პროცესების განვითარებას მათ ადგილობრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ეთნიკური ნაციონალისტების დასაკნინებლად.

ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული საარჩევნო წარმატებების მიუხედავად (მაგალითად, 1933 წლის არჩევნებზე 24-დან 12 მანდატის მოპოვება კორტესების არჩევნებზე, რაც კვლავ მარტოდ დარჩენილი “PNV”-ისთვის ყველაზე მაღალი შედეგი აღმოჩნდა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე), გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც იგრძნობოდა ბასკთა რეგიონში რადიკალიზაციისაკენ მიდრეკილებები. ამას კი საფუძველს კიდევ უფრო უმყარებდა მისი

ელექტორალური რეგრესი საკანონმდებლო ორგანოს მომდევნო 1936 წლის არჩევნებზე: პარტიის მანდატები 7-მდე შემცირდა, მაშინ, როცა წინა შედეგით 12-ს უდრიდა (Conversi, 1994). ეს ყოველივე მთლიანობაში აჩვენებს, რომ ისტორიულ დინამიკაში 1930-იანი წლების მეორე ნახევარში ნაციონალისტების პარტიის ფუნციონირებისათვის უარყოფითი შედეგი გამოიღო ცენტრალური ხელისუფლების მჩაგვრელმა, სკეპტიკურმა და ბუნდოვანებისა და ორაზროვნების შემომტანმა მიდგომებმა. შეიძლება ითქვას, რომ ხელისუფლების ამგვარი მიდგომები ზოგადად ბასკეთის რეგიონის პოლიტიკური მომწიფების საკითხზე ახდენდა მავნე გავლენას, რადგან რეგიონში პოლიტიკურ პარტიებს დიალოგის რესურსს ართმევდა და ასევე ცენტრალურ პოლიტიკურ პროცესებში მათი ჩართულობის საკითხის დაქვეითებას ცდილობდა. ეს კი მთლიანობაში კოცონს უფრო აღვივებდა და ძალადობრივი ხასიათის განწყობას უფრო აძლიერებდა რეგიონში. საინტერესოა, რომ თავისი რელიგიური მსოფლმხედველობის დამსახურებით "PNV"-ის წარმომადგენლებს საკმაოდ სერიოზული ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ რომის პაპის გარემოცვასთან, რამაც ბევრი ესპანელი პოლიტიკოსის მხრიდან გამოიწვია უარყოფითი რეაქცია. მათ შორის იყოსოციალისტი ინდალეციო პრიეტოც (Conversi, 1994). ეს აჩვენებს, რომ ნებისმიერი მიდგომა, რომელიც ბასკ პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით კი "ბასკური ნაციონალისტური პარტიის" ლიდერებს გაუჩნდებოდათ, ესპანელი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური პარტიების ცუდი რეაქციის გამომწვევი მიზეზი ხდებოდა, რაც ისევ და ისევ მიუთითებს, რომ ბასკთა პოლიტიკური წონა სახელმწიფოს მასშტაბით ტენდენციას არ იცვლიდა და კვლავ იკლებდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფრანკოს გუნდმა ბასკების ამგვარი რელიგიური მიდგომების წყალობით 16 სასულიერო პირი გამოსალმა სიცოცხლეს მე-20 საუკუნის 30-იან წლებში (Conversi, 1994), უდავოა, რომ ბასკეთში ადგილობრივ პოლიტიკურ ველზე მოღვაწე პარტიების მიმართ ესპანელები მაქსიმალურად ცდილობდნენ უარყოფითი, მძიმე ნაბიჯების გადადგმას , რაც ბასკთა პოლიტიკურ

სისტემას ვნებდა და ძალადობის ალბათობას ამაღლებდა. თუ ცოტა უფრო მოგვიანებით მოვლენებს გადავხედავთ, იმავე საუკუნის 60-იან წლებში "ETA"-საც კი შეუერთდა არაერთი ბასკი სასულიერო პირი, რომლის მოტივაციაც სწორედ ფრანკოს ხელისუფლების მხრიდან ეთნოსზე არსებული წნეხი იყო, რომელიც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა სხვადასხვა საბაბით (Conversi, 1994). ეს აჩვენებს, რომ ბასკეთში ესპანელთა მხრიდან გრძელვადიან პერსპექტივაში როგორც ზოგადად პოლიტიკური პროცესის ჩახშობის მცდელობა, ისე პარტიების, პოლიტიკური ლიდერებისა და სამოქალაქო თუ სასულიერო პირების მსოფლმხედველობისა თუ აქტივობების მიმართ წინააღმდეგობის განმტკიცება უზრუნველყოფდა არა მხოლოდ ძალადობრივი ჯგუფების გაჩენას, არამედ მათ მიმართ ადგილობრივი საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის სოლიდარობას.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ რელიგიური ფიგურების მხრიდან ძალადობის კამპანიაში მონაწილეობას საფუძვლად სერიოზული მიზეზი სჭირდება. ეს სერიოზული მიზეზი კი, არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ ცენტრიდან პერიფერიაში მომდინარე მზარდი უარყოფითი ფონი იყო, რომელიც ზემოთ მოცემული ანალიზის თანახმად, უკვე მერამდენე წელიწადს და მერამდენე განსხვავებული ხელისუფლების პირობებში იკვეთებოდა. ამ მხრივ, ხაზი უნდა გაესვას, რომ 1930-1936 წლების პერიოდში ავტონომიის ბასკთათვის მინიჭების სამი პროექტი ჩავარდა, თანაც ჯერ კიდევ სამოქალაქო დაპირისპირებამდე (Conversi, 1994). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ადგილობრივ დონეზე ბასკთა მხრიდან მიღებულ გადაწყვეტილებებს ესპანელები სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაბიჯებად არ განიხილავდნენ. ამას თუ დავამატებთ იმ ფაქტს, რომ 1936 წელს ბევრი ქარტეხილის გავლის შემდგომ ბასკთა მხრიდან ძლივს მიღებული ავტონომიური სტატუსი ერთი წელიც არ გაგრძელდა და მხოლოდ 9-თვიანი პერიოდით შემოიფარგლა (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი იმას, რომ ბასკთა ადგილობრივი

პოლიტიკური მდგომარეობის შეფერხება და ესპანეთის მასშტაბით მათი პოლიტიკური სტატუსის მნიშვნელოვნად დაქვეითება უდავოდ შედიოდა ესპანელთა ინტერესებში. ეს, თავის მხრივ, ბასკების სოციალურ სტატუსზე უარყოფითად აისახებოდა და კიდევ უფრო ახალისებდა ეთნოსს ძალადობისაკენ. აქვე თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1937 წელს ბასკეთის ავტონომიური სტატუსის გაუქმების შემდგომ ადგილობრივ პოლიტიკურ ორგანიზაციებზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეპრესიული პოლიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა (Conversi, 1994), ნათელი გახდება, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით რეგიონს განვითარების პერსპექტივები თითქმის მთლიანად ჰქონდა წართმეული და რაციონალური არჩევანის თეორიიდან გამომდინარე, შესაძლოა, იარაღის ენით საუბრის გარდა სხვა ალტერნატივა ვეღარც დაენახა ესპანელებთან ურთიერთობისათვის. ამ ყოველივეს ფონზე, იმავე 1937 წელს ფრანკოს მომხრეთა დასახმარებლად ნაცისტური გერმანიის კონდორის ლეგიონიდან გაგზავნილი თვითმფრინავების მიერ დაიბომბა ბასკეთის ქალაქი გერნიკა, რომელშიც ბაზრის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება იმართებოდა. ამან ასეულობით უდანაშაულო ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს (Conversi, 1994). პრაქტიკულად, შეიძლება ითქვას, რომ ეს ფაქტი ავსებს იმ მოცემულობას, რომელზეც ზემოთ არაერთგზის გაკეთდა აქცენტი: რეალურად, გარდა იმისა, რომ აქ გარკვეულწილად კიდევ ერთხელ ჩანს მავნე გარე გავლენების შედეგად ბასკეთში ძალადობის წახალისების ფაქტორი, ისიც იკვეთება, რომ ესპანელების ხელი სხვადასხვა ფორმებით მუდმივად ერია იმ პერიოდში ბასკეთში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისა და წესრიგის არა მხოლოდ შეფერხების, არამედ სერიოზული საფრთხის ქვეშ დაყენების საქმეში.

მნიშვნელოვანია, რომ 1939-45 წლებში, როდესაც მეორე მსოფლიო ომი მიმდინარეობდა, ბასკები ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არნახულ წნეხს განიცდიდნენ. საინტერესო ფაქტია, რომ ბასკური ეთნოსის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა ადგილობრივი მუსიკა, ცეკვა თუ

სხვა კულტურული ფაქტორები, ესპანელთა მხრიდან სერიოზული მჩაგვრელობის ქვეშ ექცეოდნენ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ეთნიკური წმენდისკენაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო მიმართული (Conversi, 1994). რეალურად, 1940-იან წლებშიც გაგრძელდა ბასკთა პოლიტიკური წონის დაქვეითება, რაშიც კვლავ ესპანელები იყვნენ, პირველ რიგში, ჩართულნი და რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა ეთნოსში ძალადობრივი მუხტის გაძლიერება. ეს ყოველივე ძალიან კარგად ჩანს ბასკეთის მომავალი ადგილობრივი დევნილი მთავრობის ხელმძღვანელის, ხოსე ანტონიო აგირეს გაერის საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურულ ორგანიზაციაში (იუნესკოში) გაგზავნილ წერილში, რომელიც მან 1952 წელს დაწერა:

> ბასკური უნივერსიტეტის დახურვა… შეიარაღებული ძალების მიერ სოციალური და კულტურული ასოციაციების ბიბლიოთეკების ოკუპაცია… ბასკურ ენაზე გამოცემული წიგნების მასობრივი დაწვა… სკოლებიდან, რადიოსადგურებიდან, სახალხო შეკრებებიდან და გამოცემებიდან ბასკური ენის სრულად გაქრობა. ბასკური კულტურული საზოგადოებების წნეხის ქვეშ მოქცევა… და ბასკურ ენაზე არსებული ჟურნალების, პერიოდული გამოცემებისა და მიმოხილვების გაქრობა. ბასკური ენის გამოყენების აკრძალვა… მასობრივი დღესასწაულებისა და სხვა რელიგიური ცერემონიების პერიოდში. არსებობს ბრძანება, რომელიც სამოქალაქო რეგისტრსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებში ქმნის ყველა ბასკური სახელის ესპანურ ენაზე თარგმნის ვალდებულებას…, ასევე ოფიციალური დირექტივა საფლავის ქვებიდან და დასაფლავების ნიშნებიდან ბასკური წარწერების წასაშლელად… (Conversi, 1994, გვ. 111).

ეს რეალურად იმის დასტურია, რომ სერიოზული წნეხი მიმდინარეობდა ბასკურ ეთნოსზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამოქალაქო დაპირისპირებიდან მალევე 100 000-ს და 150 000-ს კაცს შორის მერყეობდა იმ ადამიანთა რიცხვი (მათ შორის 20

000 ადამიანი მცირეწლოვანი იყო), რომლებიც ფრანკოს რეჟიმის დამსახურებით იძულებულნი იყვნენ, ქვეყანა დაეტოვებინათ. პრაქტიკულად, მრავალი ბასკი არა მხოლოდ ლათინურ ამერიკაში, არამედ საფრანგეთსა და ევროპის სხვა სახელმწიფოებში გადაიხვეწა ესპანეთის სახელმწიფოში მათ მიმართ არსებული უმძიმესი პირობების გამო (Conversi, 1994). მთლიანობაში ეს ფაქტები აჩვენებს, რომ 1930-იან და 1940-იან წლებში ბასკთა არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ამავე დროს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც ძალზე მყიფე და პრობლემური იყო. ეს ყოველივე ესპანელების მხრიდან არა მხოლოდ ნეგატიური, არამედ ამ ეტაპისთვის უკვე დესპოტური პოლიტიკის დამსახურებითაც ხდებოდა. შესაბასმისად, შეიძლება ითქვას, რომ არა მხოლოდ გარე ფაქტორების, არამედ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ცუდი დამოკიდებულების დიდი წვლილი იყო ბასკების ძალადობისაკენ წაქეზებაში, რაც, თავის მხრივ, არსებულ პრობლემურ ფონს კიდევ უფრო აძლიერებდა ცენტრსა და პერიფერიას შორის. უდავოა, რომ ამ პერიოდისათვის გამოსავლის ძიებისას ბასკები ერთ-ერთ პირველ (თუ არა ერთადერთ) ასპექტად სწორედ ექსტრემისტული ხასიათის გაერთიანებებსა თუ მეთოდებს მოიაზრებდნენ.

ის ფაქტი, რომ ბევრი ეთნიკურად ბასკი ადამიანი ციხეშიც გამოამწყვდია ფრანკოს რეჟიმმა (Conversi, 1994), მიუთითებს იმაზე, რომ იმდენად უნდოდათ ესპანელებს ბასკთა პოლიტიკური აქტიურობის ხარისხის დაქვეითება, რომ რეპრესიულ მეთოდებს უფრო აძლიერებდნენ. ეს ყოველივე კი სერიოზული ბაზისი იყო ძალადობრივი კამპანიის აღმოცენებისათვის. საინტერესოა, რომ ბასკთა დევნილობაში მყოფმა ადგილობრივმა მთავრობამ ესპანეთის ფარგლებს გარეთ გააქტიურა მოქმედება, რათა ფრანკოს მმართველობის სიმძიმეები გამოეტანა სააშკარაოზე, რისი ერთ-ერთი გამოვლინებაც იყო 1940-იან წლებში "ბასკების საკონსულტაციო საბჭოს" შექმნა, რომელშიც როგორც პოლიტიკური ორგანიზაციები, ისე პროფესიული გაერთიანებები ინტეგრირდნენ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ როგორც შიდა, ისე

გარე გავლენების გასაძლიერებლად და მასშტაბური წინააღმდეგობის მოძრაობის ჩამოსაყალიბებლად (Conversi, 1994). ნათლად ჩანს, რომ ცენტრალური ხელისუფლების მიერ არაჯანსაღი, მანკიერი გარემოს შექმნამ ბასკეთის პოლიტიკურ სისტემაში სხვადასხვა სამოქალაქო თუ პოლიტიკურ გაერთიანებებს იმდენად შეუზღუდა აქტივობის არეალი, რომ ბასკებს, ერთი მხრივ, საზღვარგარეთიდან უწევდათ საკუთარი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლა და მეორე მხრივ, რადიკალური წინააღმდეგობრივი ზომების დაგეგმვა უხდებოდათ ესპანელთა მიმართ. ეს მთლიანობაში ქმნიდა ძალადობრივ სურათს, რომელიც კონფლიქტურ ვითარებას უფრო ამძაფრებდა ცენტრსა და პერიფერიას შორის. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბისკაიის პროვინციიდან 75%-იანი გამოხმაურება ჰქონდა აღნიშნულ მოძრაობას, რამაც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეგიონზე წნეხი კიდევ უფრო გაამკაცრა (Conversi, 1994), პრაქტიკულად, კიდევ ერთხე; გაესმება ხაზი მძიმე პოლიტიკურ ვითარებას ბასკეთში. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ძირითადად დაბალგანვითარებული კლასის წარმომადგენლებში აღვივებდა პროტესტის რადიკალურ შეგრძნებებს აღნიშნული მოძრაობა, მოძრაობა თანდათან მსხვილ მასშტაბებზე ახერხებდა გასვლას და რაც მთავარია, ახალგაზრდების ყურადღებაც მიიქცია (Conversi, 1994), რაც რეალურად მიუთითებს ბასკებში ძალადობის რადიკალიზაციის ინტენსივობის ზრდასა და თავდაპირველად, ერთი შეხედვით, არაძალადობრივი პროტესტით დაწყებული ვითარების ძალადობრივ კონფლიქტში გადაზრდის საკითხს.

ის ფაქტი, რომ იმავე მე-20 საუკუნის 40-იან წლებში შექმნილი “ბასკური სტუდენტური საზოგადოება” პოლიტიკურად აქტიური ჯგუფი გახდა და საფრანგეთის ტერიტორიაზე არსებულ ბასკურ პროვინციებში პოლიტიკური შინაარსის შეხვედრებს აქტიურად მართავდა. მათმა აქტივობამ ესპანეთის ტერიტორიაზეც გადაინაცვალა, როდესაც მათ სააგიტაციო მასალის გავრცელება და მომხრეების მოზიდვა დაიწყეს 1947

წლიდან. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1950-იანი წლების დასაწყისში ესპანურმა პოლიციამ სერიოზული რეპრესიები განახორციელა აღნიშნული ორგანიზაციის მიმართ, რამაც მათი ზოგიერთი წევრის ისევ და ისევ საზღვარგარეთ გადახვეწა გამოიწვია (Conversi, 1994), ფაქტია, რომ კვლავ იგივე მოცემულობა იხატება: ესპანეთიდან გაძევებული ბასკები, ადგილობრივ დონეზე შეზღუდული პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტივობა, ესპანური ცენტრალური ხელისუფლების, ძალოვანი სტრუქტურებისა და ზოგადად საზოგადოების ვერბალური და პრაქტიკული უარყოფითი დამოკიდებულება ბასკთა მიმართ, ძალადობრივი სცენარის წაქეზება… ეს ყოველივე რეალურად კიდევ უფრო ახალისებდა არასტაბილურ პოლიტიკურ ფონს გარემოში და მძიმე დაპირისპირებას მოასწავებდა ცენტრსა და პერიფერიას შორის. ბასკებს იმდენად გაუსაძლისი პირობები შეექმნათ ესპანელთა დამსახურებით, რომ ბევრმა მათგანმა მხოლოდ იატაკქვეშა ხასიათის ღონისძიებების განხორციელებაზე განაცხადა თანხმობა და უარყო ღია საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობების წარმართვის ინიციატივები (Conversi, 1994). ეს რეალობა ხაზს უსვამს იმას, რომ ბასკებს არ ეძლეოდათ თავისუფლად პოლიტიკური პროცესის წარმართვის შესაძლებლობა და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დამკვიდრებული ტენდენციის რეგიონში ქაოტური პოლიტიკური ვითარების შესახებ კვლავ ძალაში რჩებოდა. ამ ყოველივეს ფონზე კი დენიელ კონვერსი წერს: “მადრიდის მხრიდან თავს მოხვეული რეპრესიები იმდენად ინტენსიური იყო, რომ საიდუმლო ხასიათის გაერთიანებები თავიანთ ნანგრევებში ჩაიძირა” (Conversi, 1994, გვ. 112). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბასკების მხრიდან იატაკქვეშა საქმიანობასაც კი აღარ ჰქონდა გასაქანი, რომ აღარაფერი ვთქვათ გამჭვირვალე პოლიტიკურ პროცესთან მიმართებით არსებულ პრობლემებზე. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ეთნოსის პოლიტიკური წონის გაქარწყლების მცდელობა, რაც მძიმე შედეგების მომასწავებელი იყო.

კონვერსის გადმოცემით, ბასკები იმ ეთნოსთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ, რომლებიც განსაკუთრებულად დაზარალდნენ მეორე მსოფლიო ომის პერიოდშიც და შემდგომ ისტორიულ პროცესებშიც ესპანეთში არსებული მძიმე დიქტატურის დამსახურებით. ეს ყოველივე კი, რაციონალური არჩევანის თეორიის თვალსაზრისით, სრულიად ლოგიკურად შეიძლებოდა გადაზრდილიყო ექსტრემისტული დაჯგუფებისათვის სასათბურე პირობების შექმნის წინაპირობად, რაც, როგორც ზემოთ გადმოცემული ფაქტებიდან უკვე მრავალჯერ გამოიკვეთა, სწორედ 1950-იანი წლების დეკადას უკავშირდება. ამ ყოველივეს ფონზე, ამ დეკადის დასაწყისში ბასკთა პოლიტიკური აქტიურობა თითქოს შენელდა, მაგრამ იმის ფონზე, რომ 1956 წელს "ბასკთა მსოფლიო კონგრესზე" პარიზში 363 სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ბასკის ესპანეთიდან ვიზიტი დააფინანსეს ესპანეთიდან გადახვეწილმა ბასკმა მეწარმეებმა (Conversi, 1994), შეიძლება ითქვას, რომ ბასკებს აქტიურობა არ შუეწყვეტიათ. ისტორიული ფაქტებიდან ჩანს, რომ ბასკი მოაზროვნეებისა და პოლიტიკური ლიდერების შეკრებათა ისტორიაში ეს შეხვედრა გამოირჩეოდა მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ხასიათით. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ესპანეთის ფარგლებს გარეთ ხდებოდა, რადგან ესპანეთის შიგნით ბასკები ესპანელთა დიდი დამსახურებით ლამის ქმედუუნარო მდგომარეობამდე იყვნენ მისულნი (Conversi, 1994). ეს ფაქტები აჩვენებს, რომ ბასკთა შორის წარმოშობილ ნიჰილიზმსა და სკეპტიციზმს ვერ ანეიტრალებდა საზღვარგარეთ მათი შეკრებები, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეხვედრა თავისი ხასიათით დიდ მასშტაბებს მოიცავდა. ეს პრობლემა რეალურად გამოწვეული იყო იმით, რომ მათი პოლიტიკური მნიშვნელობა და ადგილობრივი ავტონომიის საკითხი ძალზე ზედაპირულ, უმნიშვნელო და უფრო მეტიც, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით უსარგებლო იყო ესპანელთა გადმოსახედიდან. ეს ყოველივე კი ლოგიკურად ისევ და ისევ ძალადობრივ კონტექსტს ახალისებდა. ეს მდგომარეობა კი, რასაკვირველია, პირველ რიგში,

ახალგაზრდებს უქმნიდა დისკომფორტს. უნივერსიტეტის სტუდენტმა ახალგაზრდებმა, რომელთაც ბილბაოში დაიწყეს შეკრება, პოლიტიკურად აქტიური ხასიათი მიიღეს. ამან შედეგად როგორც ზემოხსენებული "Ekin"-ის, ისე "EGI"-ის ("PNV"-ის ახალგაზრდული ორგანიზაცია) გააქტიურება მოიტანა (Conversi, 1994). როგორც ზემოთ მოცემული ანალიზიდან გამოჩნდა, "Ekin"-ზე ძალადობრივი გარე ძალების მხრიდან გავლენები იგრძნობოდა და რეალურად, ძალადობისაკენ მისი მიდრეკილებები შემდგომ გაძლიერდა. იმის გათვალისწინებით, რომ "EGI"-ის წევრთა რიგები ძირითადად ექსტრემისტული ტიპის მებრძოლებით იყო დაკომპლექტებული (Conversi, 1994), შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ძალზე დაქვეითებული სტატუსი კატალიზატორი გახდა იმ ძალადობრივი პროცესების, რომელთა წინა ხაზზეც ახალგაზრდები გამოვიდნენ. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურად არასტაბილურ გარემოში ახალგაზრდებიც, შესაძლებელი იყო, ძალადობრივ პროცესში ჩართულიყვნენ. "იმის გათვალისწინებით, რომ პოლიტიკურმა წნეხმა სერიოზული ბარიერები შექმნა კულტურული თვითგამოხატვისათვის, "კულტურულად აღვსილებს" ახალი სტრატეგიების მოფიქრება უწევდათ სტრატეგიის შეცვლა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის და არსებული წესრიგის შეცვლისათვის ფარული ომის წარმოებისათვის", - წერს დენიელ კონვერსი ბასკების 1950-იანი წლების ბოლო პერიოდის მდგომარეობის შესახებ (Conversi, 1994, გვ. 116). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ბასკებს უკვე სერიოზული დისკომფორტი ექმნებოდათ ესპანეთის სახელმწიფოს შიგნით თავისუფალი პოლიტიკური აქტივობისათვის და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

რეალურად, თვითმმართველი უფლებების ბუნდოვანი, გაურკვეველი პერსპექტივები და პრობლემური ხასიათის ზოგადი პოლიტიკური მდგომარეობა რეგიონში, როგორც ზემოთ გამოიკვეთა, განსაკუთრებით არ მოსწონდათ ახალგაზრდებს და მათში იწვევდა

სერიოზულ ანტიპათიასა და პროტესტს ესპანელების მიმართ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ბასკი ახალგაზრდები მზად იყვნენ, "გაეწიათ სერიოზული პირადი რისკი და მოეხდინათ აქტიური წინააღმდეგობის ორგანიზება რეჟიმის წინააღმდეგ" (Conversi, 1994, გვ. 116), რაც სხვა არაფერია, თუ არა ახალგაზრდების ჩათრევა ძალადობრივ მორევში. ფაქტობრივად, ბასკი ახალგაზრდები, რომლებიც ესპანელების მიმართ ნეგატიურად იყვნენ განწყობილნი რეგიონის პოლიტიკური პროცესების ჩახშობისა და მათი კულტურული ფასეულობების გაუფასურების მცდლობის გამო (Conversi, 1994), მიისწრაფოდნენ ესპანელთა წინააღმდეგ ძალადობრივი ნაბიჯების სწრაფად, დინამიკურად გადადგმისაკენ და ამით საკუთარი ეთნოსის დაქვეითებული პოლიტიკური სტატუსის მცირედით მაინც ამაღლება სურდათ. ამან კი წამოწია ზემოხსენებული ტქსილარდეგი, როგორც ამ საპროტესტო ტალღის ლიდერი, რომელიც იმჟამად მხოლოდ 23 წლის იყო და რომელიც მიიჩნევდა, რომ ესპანელების ამგვარი დამოკიდებულება ბასკების მიმართ შეიძლებოდა, ყოფილიყო გამომწვევი მიზეზი ბასკური ეთნოსის აღგვის პირისაგან მიწისა (Conversi, 1994). ეს იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდების გონება გადართული იყო ყველანაირი გზის მოძიებაზე, რაც კი შეიძლებოდა სასარგებლო ყოფილიყო თავიანთი ბასკური თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. რეალურად, ახალგაზრდებს პირველივე შეკრებების ორგანიზებისას იარაღის ენით საუბარი მიაჩნდათ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გზად აღნიშნული მიზნის მისაღწევად. იმის გათვალისწინებით, რომ ფრანგულ "ეგზისტენციალიზმსა" და მოგვიანებით ჟან პოლ სარტრს საკმაოდ სერიოზული გავლენა ჰქონდათ "Ekin"-სა და სხვა ახალგაზრდულ გაერთიანებებზე ბასკეთში (რაც კვლავ უბრუნდება გარე ფაქტორების გავლენით ბასკეთში ესპანელების წინააღმდეგ ძალადობის წახალისების არგუმენტს)(Conversi, 1994), პროცესების რადიკალიზაცია სულაც არ უნდა ყოფილიყო გასაკვირი ბასკურ რეგიონში. იმის გათვალისწინებით, რომ სარტრი მოგვიანებით "ETA"-ს მიმართაც ავლენდა ლოიალურ

დამოკიდებულებას, რადგან მისი ნაბიჯები ბასკების ესპანელთა მჩაგვრელობისაგან გათავისუფლებისათვის დაუღალავ შრომად მიაჩნდა (Conversi, 1994), ფაქტია, რომ ძალადობრივი მუხტი სერიოზულად შემოდიოდა ახალგაზრდულ გაერთიანებებში და როგორც გარე წახალისებით, ისე ესპანელების მხრიდან ბასკთა გაუგებარ პოლიტიკურ ჭაობში ჩათრევის მცდელობით სერიოზულ მნიშვნელობას იძენდა.

ამ ყოველივემ, შეიძლება ითქვას, რომ შედეგი გამოიღო და ბასკურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა მნიშვნელოვანი მოთამაშე "ETA"-ს სახით 1950-იანი წლების ბოლოს (Conversi, 1994). მოვლენათა გასაანალიზებლად მთლიან სურათს რომ შევხედოთ, შეიძლება ითქვას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ბასკებზე ესპანელთა მხრიდან განხორციელებულმა მუდმივმა რეპრესიულმა პოლიტიკამ შედეგად მოიტანა ბასკების შერყეული პოლიტიკური სისტემა, გაუგებარი ავტონომიური პერსპექტივები და საარჩევნო-პოლიტიკური თვალსაზრისით გაუარესებული სიტუაცია. ეს ყოველივე კი, თავის მხრივ, არა მხოლოდ წინაპირობა, არამედ უფრო მეტიც, კატალიზატორი აღმოჩნდა ჯერ ახალგაზრდული სულისკვეთებით გამოწვეული მასშტაბური საპროტესტო ტალღის და შემდგომ უკვე ბასკურ პოლიტიკურ ავანსცენაზე ექსტრემისტული დაჯგუფების გამოჩენის, რაც რასაკვირველია, ძალადობრივი ფონის კიდევ უფრო მეტად დამძიმების მანიშნებელი იყო. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია იმის აღნიშვნა, რომ ესპანელების მხრიდან ბასკების პოლიტიკური წონის დაქვეითება, რაც მათ სოციალურ სტატუსზე ერთიანობაში აისახებოდა უარყოფითად, აღნიშნულ ეთნიკურ უმცირესობას ძირითად რაციონალურ არჩევნად სწორედ იარაღის ენით საუბარს სთავაზობდა. ამ მხრივ, "ETA", რომელიც თავდაპირველად "Ekin"-ისა და "EGI"-ის ახალგაზრდების ერთობლივი პროექტი იყო, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ საპროტესტო ტალღაზე ჩამოყალიბდა. აღნიშნულმა ორგანიზაციამ, პრაქტიკულად, დაარსების დღიდანვე ესპანურ სახელმწიფოს გამოუცხადა ბრძოლა, რადგან ანტიესპანური მოტივებით

დაიწყო საბინო არანას შეხედულებების რეინკარნაცია, მათ შორის სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და სხვა იდეების სახით (Conversi, 1994). პრაქტიკულად, აღნიშნული ორგანიზაციის არსი დაფუძნებული იყო ბასკური ეთნოსის შიგნით ამდენი წლის განმავლობაში დაგროვილ მძიმე მდგომარეობაზე, რომლის გამოც პრობლემები წარმოიშვა ბასკურ პოლიტიკურ ველზე. ამ მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ არანას შეხედულებათაგან განსხვავებით, აღნიშნული ექსტრემისტული ორგანიზაციის მიდგომების მთავარი საყრდენი არც რელიგიური მოტივები და არც რასობრივი საკითხები არ ყოფილა და იგი უფრო მეტად ენობრივი თემებით შემოიფარგლებოდა, მიდგომების რადიკალიზაცია არც ამ ორგანიზაციას აკლდა და შეიძლება ითქვას, რომ უფრო მეტად რადიკალური მეთოდების გამოყენების მომხრეც იყო, ვიდრე მანამდე მოღვაწე თვალსაჩინო ორგანიზაციები და ლიდერები. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამოძახილი იყო ის ფაქტი, რომ დაარსებიდან მალევე 1961 წელს სახელმწიფოს სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოში "ETA"-მ რამდენიმე აფეთქება მოაწყო (Conversi, 1994). ეს გარემოებები მთლიანობაში ისევ იმ ლოგიკას უბრუნდება, რომ ბასკებში გამოკვეთილი ნეგატიური ფსიქოლოგიური განწყობა ესპანელთა მიმართ უკვე კონკრეტულ ექსტრემისტულ ქმედებებში გადადიოდა.

სისხლისმღვრელი, მანკიერი ნაბიჯების გადასადგმელად ბასკურ ეთნოსს წინ პრაქტიკულად ვეღარაფერი ეღობებოდა. ამ ყოველივეს ნათლად აჩვენებს ტქსილარდეგის წაქეზებით "ETA"-ს მხრიდან ფრანკოს მომხრეებზე განხორციელებული ტერაქტის შემდგომ ორგანიზაციის მომხრეთაგან 110 ადამიანის დაკავება (მათ შორის გარკვეული ნაწილის ციხეებში წამება), ხოლო დაახლოებით 100-ის - საზღვარგარეთ გაძევება. ამის მიუხედავად ორგანიზაციაში გაწევრიანების მსურველთა დინამიკამ ზრდა დაიწყო (Conversi, 1994). როგორც ზემოთ მოცემული ანალიზიდან გამოჩნდა, აღნიშნულმა ფაქტმა ძალადობრივი კონფლიქტისათვის მახასიათებელი არაერთი ნიშან-თვისება შეიძინა (გამიზნული მსხვერპლი,

ინფრასტრუქტურული ზარალი, მუდმივი განსახლების ადგილიდან გაძევებული ადამიანები და სხვ.). ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ძალადობრივი მუხტის გაძლიერების ფონზე ბასკთა ეთნოსის მხრიდან ლეგიტიმაცია შეიძინა სწორედ ექსტრემისტული მიდრეკილებების დაჯგუფებამ, რადგან პოლიტიკური სისტემა ცენტრალური ხელისუფლების წახალისებით ნორმალური, კონკურენტუნარიანი ჩარჩოთი ვერ იმართებოდა. ამ მხრივ, ნათელია, რომ ბასკთა შორის ძალადობაზე ფიქრი აღძრა მათმა დაქვეითებულმა პოლიტიკურმა სტატუსმა ესპანეთში, რაც გამოიხატებოდა არაჯანსაღ პოლიტიკურ პროცესში, წართმეულ ავტონომიურ უფლებებსა და საარჩევნო მიმართულებით მრავალ წინააღმდეგობრივ პროცესში. მთელი ამ კამპანიის სათავე კი, როგორც ანალიზიდან დგინდება, სწორედ ესპანელები იყვნენ. ამ ყოველივეს ფონზე, ბასკები კვლავ უცხოეთიდან პროცესების მართვის რეალობის წინაშე იდგნენ, რადგან მათ მოუწიათ "ETA"-ს პირველი შეკრების გამართვა კვლავ საზღვარგარეთ 1962 წელს (Conversi, 1994). ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ დააზარალა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ველი ესპანეთის ხელისუფლებამ აღნიშნულ რეგიონში. ამ მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნულ შეკრებაზე "ETA"-ს მიენიჭა ბასკების განმათავისუფლებელი ორგანიზაციის სტატუსი, რომელიც რევოლუციური ცვლილებების განსახორციელებლად იყო ჩამოყალიბებული (Conversi, 1994), თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ლეგიტიმაციის საკითხი, რომელზეც ზემოთაც გაკეთდა აქცენტი, უდავოდ თვალსაჩინო იყო ბასკთა რეგიონში: ეთნოსმა სერიოზული პრივილეგია მიანიჭა ორგანიზაციას ბასკების სახელით ემოქმედა, რაც ისევ და ისევ ზემოთ მოცემულ მსჯელობას უბრუნდება ბასკთა დაქვეითებული პოლიტიკური წონის პირობებში რეგიონში წახალისებული ძალადობის შესახებ.

საინტერესოა, რომ მიუხედავად, ერთი შეხედვით, "ETA"-ს მსოფლმხედველობაში ეკლესიისა და ზოგადად რელიგიის როლის

ნაკლებობისა, სასულიერო პირები და სემინარიის კურსდამთავრებულები ძალზე აქტიურად ჩართვნენ ორგანიზაციის პოპულარიზაციის საკითხში (Conversi, 1994). ეს არის მორიგი ფაქტი იმისა დასადასტურებლად, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან დამახინჯებული და შეზღუდული ადგილობრივი პოლიტიკური ველის პირობებში წარმოშობილ ექსტრემისტულ დაჯგუფებას, რომელსაც იმ დროისათვის, პრაქტიკულად, ერთადერთი ალტერნატივის სახე ჰქონდა ბასკთა მოთხოვნებისა და პროტესტის გადმოსაცემად, სულიერი მოღვაწეებიც კი მხარს უჭერდნენ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1960 წელს 339-მა სასულიერო პირმა ბილბაოს, გასტეისისა და დონოსტიის მასშტაბით ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლითაც გამოხატეს პროტესტი ბასკეთის მიმართ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არსებული მჩაგვრელობის წინააღმდეგ. "რეაქციული და ანტი-ჰუმანური პოლიტიკა გენოციდის მოტივებით," -ასე იყო დახასიათებული ესპანელთა პოლიტიკა ბასკების მიმართ აღნიშნულ დოკუმენტში (Conversi, 1994). ეს რეალურად კიდევ ერთი ფაქტია იმის დასადასტურებლად, რომ ბასკებს ძალზე მძიმე მდგომარეობა ჰქონდათ, რის გამოც სასულიერო პირებიც კი დადებით მოვლენად აღიქვამდნენ ექსტრემისტული მეთოდების გამოყენებას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სასულიერო პირები წუხილს გამოთქვამდნენ ბასკეთში არსებული სიტუაციის შესახებ, უშუალოდ ესპანური ეკლესია, სახელმწიფოსა და ცენტრალური ხელისუფლების მსგავსად, დიდ ყურადღებას არ უთმობდა მათ ამ წუხილს. სწორედ ესეც აღმოჩნდა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რატომ განიმსჭვალა მრავალი სასულიერო პირი ბასკთა რეგიონში "ETA"-ს მიმართ სიმპათიით (Conversi, 1994). ფაქტობრივად, არა მხოლოდ ესპანელებმა, არამედ ესპანეთში არსებულმა კათოლიკურმა ეკლესიამაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ცნობიერად თუ არაცნობიერად წაახალისეს ძალადობა და ძალადობის მიმართ ბასკური ეთნოსის, მათ შორის მათი სასულიერო პირების მხრიდან. ეს კი აგრძელებს

ზემოთ გადმოცემულ შეხედულებას იმის შესახებ, რომ რაციონალური არჩევანი ამ შემთხვევაში ბასკთა მხრიდან სწორედ ძალადობრივი მექანიზმების მეშვეობით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა იყო. საინტერესო ისაა, რომ არა მხოლოდ სასულიერო პირი, არამედ მრევლიც იყვნენ აღნიშნული ორგანიზაციის მხარდამჭერები. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბევრი ბასკი იმ პერიოდში ესპანელთა წინააღმდეგ ბრძოლას მეტროპოლიის მხრიდან ჩაგრული თავისი ეთნოსის ანტოკოლონიურ მოძრაობად აღიქვამდა (Conversi, 1994), გასაგები გახდება, თუ რატომ ლობირებდა ბასკური ეთნოსის წარმომადგენელთა უმრავლესობა ძალადობრივი მეთოდებით შედეგებზე გასვლის ტენდენციას. ანალიზის მიხედვით, შეიძლება ითქვას, იმდენად აუვსეს მოთმინების ფიალა ბასკებს ესპანელებმა რეგიონში პოლიტიკური ველის გაფუჭებისა და ეთნოსის პოლიტიკური სტატუსის დაქვეითების მუდმივი მცდელობებით, რომ ბასკებს სხვა გზა ფიზიკურად აღარ დარჩათ, გარდა სისხლისმღვრელი მიდგომების პრაქტიკაში რეალიზებისა.

1963 წლიდან "ETA"-მ უკვე აქტიურად დაიწყო დაბალი კლასის წარმომადგენლების გამოსვლების მხარდაჭერა იმ მოტივით, რომ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ჩაგრულთა სახელით საჭირო იყო მჩაგვრელთა წინააღმდეგ რადიკალი ნაბიჯების გადადგმა. ამან კი 2 წლის პერსპექტივაში ორგანიზაციის შეიარაღებულ ფორმირებად გარდაქმნას შეუწყო ხელი, რომლის ერთ-ერთი ყველაზე პირველი სერიოზული აქტი 1965 წელს ბანკის დაყაჩაღება იყო (Conversi, 1994). პრაქტიკულად, გარდა ზოგადი ძალადობრივი ფონის გააქტიურებისა, შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალის განვითარებაშიც შეიტანა წვლილი ექსტრემიზმის გამეფებამ ბასკეთის მასშტაბით. ამ ყოველივეში კი ძალზე მნიშვნელოვანი როლი სწორედ იმას ჰქონდა, რომ ესპანელებმა ბასკების წონა დააქვეითეს სახელმწიფოში და მათი რეგიონის ნორმალური პოლიტიკური განვითარება შეაფერხეს. ეს დასტურდება დენიელ კონვერსის სიტყვებით: "ამ წლების პოლიტიკური გარემო პლურალიზმის ფუფუნებას ვერ ქმნიდა. ამასთანავე,

“ETA”-ს ლოგიკა მოითხოვდა ერთ მარტივ და უალტერნატივო იდეოლოგიურ არჩევანს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა, მეტი მომხრის მოზიდვა ყველა კლასიდან” (Conversi, 1994, გვ. 125). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაუმართავი, არასტაბილური და სათანადო პოლიტიკური კონკურენციის ლოგიკას მოკლებული პოლიტიკური ვითარების პირობებში, რომლის მთავარი ხელშემწყობიც ესპანელები იყვნენ, ბასკთათვის ჯანსაღი პარტიული ჭიდილი და მშვიდობიანი ხასიათი საზოგადოებრივი განვითარება უცხო ხილად გადაიქცა. ეს კი, არც მეტი, არც ნაკლები, ძალადობრივი მეთოდების მომხრე ადამიანებით დაკომპლექტებული დაჯგუფებებისათვის ქმნიდა სივრცეს, რომელთა მიმართაც, როგორც ანალიზიდან ჩანს, ბასკურ ეთნოსში ბევრს ჰქონდა საკმაოდ სერიოზული სიმპთია. როგორც ზემოთ აღინიშნა, “ETA”-ს ერთ-ერთმა წამყვანმა ფიგურამ 1968 წელს შეტაკების დროს იმსხვერპლა სამოქალაქო გვარდიის თანამშრომელი, რის გამოც შემდეგ პოლიციელები მასაც სასტიკად გაუსწორდნენ და მოკლეს (“ETA ten years on: The key moments that led to the end of the Spanish terror group”, 2021). ზემოაღნიშნულ ანალიზში გადმოცემულია, რომ ეს იყო განზრახ შერჩეული, გამიზნული მსხვერპლი, რომელმაც პრაქტიკულად გააძლიერა ძალადობრივი ტენდენციები რეგიონში. შეიძლება ითქვას, რომ ჯინის ბოთლიდან ამოშვების პროცესი დაიწყო და ამ დრომდე ბასკების სოციალურ სტატუსზე ესპანელთა მხრიდან მიზანმიმართული შეტევით ეთნოსში გაჩენილი ნეგატიური ფსიქოლოგიური განწყობის თანდათან პრაქტიკაში შესაბამისი სახით გამოვლენა თვალსაჩინო გახდა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეჩებარიეტას ამბავმა მთელ ბასკურ საზოგადოებაში სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია და სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ მასობრივი გამოსვლები დაიწყო, რამაც “ETA”-ს წევრი და მომხრე ექსტრემისტი რადიკალების განზრახვების აღსრულებისათვის საუკეთესო საშუალების ფორმა მიიღო (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ ნათელი გახდება გრძელვადიანი დინამიკა იმ ძალადობრივი პროცესებისა,

რომელთა მომასწავებელიც ეს ყოველივე იყო. ის ფაქტი, რომ თავად სასულიერო პირებიც კი უერთდებოდნენ ბასკურ ეთნოსში წარმოშობილ ამ მღელვარებას და ეჩებარიეტას სახელის უკვდავსაყოფად მას უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლოდ წარმოაჩენდნენ (Conversi, 1994), ლოგიკურად კრავს მოცემულობას, რომ ერიცა და ბერიც ბასკურ ეთნოსში ესპანელთა წინააღმდეგ დაირაზმა და ამის განხორციელების ყველაზე მთავარ საშუალებად მათ "ETA" ესახებოდათ. ანალოგიური სურათი შექმნა ზემოხსენებული მილტონ მანძანასის მკვლელობის შემდგომ ექსტრემისტული დაჯგუფების წევრებზე ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ზეწოლამ და მასშტაბურმა დაპატიმრებებმა და ციხეში სასტიკმა მოპყრობამ. იმის გათვალისწინებთი, რომ აღნიშნული დაპატიმრებებისა და წამების სერია უკანონოდ ხდებოდა, ბასკურ ეთნოსში მღელვარება კიდევ უფრო გაძლიერდა და მასშტაბური დემონსტრაციები უფრო მეტად გააქტიურდა. ბასკმა საზოგადო მოღვაწე ზალბიდემ, რომელიც თავისი აქტიური საქმიანობის გამო დაკავებული იყო, ციხეში დაწერა წერილი, რომელშიც ბასკთა რადიკალური მოძრაობის "ანტი-კოლონიური თეზისი ჩაანაცვლა უფრო ფართო ანტი-იმპერიალისტური პერსპექტივით" (Conversi, 1994, გვ. 126). პრაქტიკულად, ჩანს, რომ ძალადობა ორმხრივი იყო: ერთი მხრივ, ბასკი რადიკალები იარაღით, ბომბებითა და სხვადასხვა საშუალებებით კლავდნენ ესპანელებს, ხოლო მეორე მხრივ, ესპანელები სასტიკად უსწორდებოდნენ ბასკებს. ეს ყოველივე კი კიდევ უფრო ასისტებდა ბასკეთში პოლიტიკური პროცესის ნორმალიზებას და ახალისებდა ძალადობას რეგიონის მასშტაბით. ამ მხრივ, გარდა მასობრივი გამოსვლებისა, ბასკები განმათავისუფლებელი მოძრაობის ფორმას ანიჭებდნენ იმას, რაც შინაარსობრივად ესპანელთა წინააღმდეგ ძალადობრივი მეთოდებით ბრძოლას ისახავდა მიზნად. ამ თვალსაზრისით, როგორც გამიზნული (მაგალითად, მანძანასი), ისე შემთხვევითი მსხვერპლის ალბათობა საკმაოდ მაღალი იყო, რადგან მასობრივი გამოსვლები რადიკალური მოტივებით არაძალადობრივიდან

ძალადობრივ ფონში გადადიოდა. ამასთან, როგორც რთულად, ისე მარტივად მისაღწევ ადგილებში შეიძლებოდა დაშავებულიყვნენ ან/და გარდაცვლილიყვნენ ადამიანები, რომ აღარაფერი ვთქვათ ინფრასტრუქტურული ზარალის რისკზე. ამ მხრივ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბურგოსის სასამართლომ, რომელზეც 16 ბასკ რადიკალს განაჩენი გამოუტანეს მანძანასის მკვლელობისათვის, ძალზე სერიოზული რეზონანსი გამოიწვია მსოფლიოში "ETA"-ს სასარგებლოდ (Conversi, 1994), შეიძლება ითქვას, რომ რადიკალური დაჯგუფება, პრაქტიკულად, ცენტრალური ხელისუფლების უსამართლობის წინააღმდეგ ეთნიკური უმცირესობის მხრიდან სამართლიანი ბრძოლის სიმბოლოდ გარდაიქმნა.

მნიშვნელოვანია, რომ როგორც ესპანეთის სხვადასხვა რეგიონში, ისე მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში ბასკების მხარდაჭერის მოტივით მრავალი გამოსვლა გაიმართა (Conversi, 1994). ეს ყოველივე, ერთი შეხედვით, არაძალადობრივ ფორმას იძენდა, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ შეტაკებების შედეგად სხვადასხვა დაწესებულების აქტივობა (მაგალითად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების) შეფერხდა და როგორც ქუჩებში, ისე შენობებში მოძრაობისა თუ სხვა პროცესების შეჩერდა (Conversi, 1994), ნათელი გახდება, რომ ინფრასტრუქტურული ზარალი და მწვავე დაპირისპირება კვლავ ძალადობრივი ნიშან-თვისებების გამოკვეთას უწყობდა ხელს. საინტერესოა, რომ სასამართლო პროცესამდე ერთი დღით ადრე ბასკმა რადიკალებმა სან-სებასტიანში დასავლეთ გერმანიის კონსული გაიტაცეს და მიუხედავად მოლაპარაკებების გზით მისი გათავისუფლებისა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ 16 ტყვეს მაინც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა (Conversi, 1994). ფაქტია, რომ ძალადობის წახალისება სულ უფრო და უფრო მიმდინარეობდა, რაც რასაკვირველია დიდწილად სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ მთელი ამ წლების მანძილზე ესპანელებმა სერიოზულად შეუწყვეს ხელი ბასკურ რეგიონში არაჯანსაღი პოლიტიკური

პროცესის განვითარებასა და ზოგადად, ბასკთა სტატუსის დაქვეითებას ესპანეთის მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. მიუხედავად იმისა, რომ  იმ პერიოდში "ETA"-მ ორ ფრთად გაყოფა გადაწყვიტა გარკვეული შიდა უთანხმოებების დამსახურებით ("ETA-V" და "ETA-VI"), ეს ძირითადად მაინც უფრო ფორმალური აღმოჩნდა და რაც მთავარია, რადიკალური, ექსტრემისტული სულისკვეთება ბასკთა რეგიონში ცენტრალური ხელისუფლების მიმართ არ შეწყვეტილა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ძალადობრივი მეთოდების გააქტიურება რადიკალურ დაჯგუფებებში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გაცილებით მეტ ადამიანში აღძრავდა სიმპათიას დაჯგუფებისადმი და ამან გრძელვადიან პერსპექტივაში ნაციონალისტური პროცესები გააიგივა ძალის გამოყენების პროცესებთან (Conversi, 1994), ჩანს, რომ ბასკებს ძალადობა ესახებოდათ ერთადერთ გარანტიად საკუთარი პრინციპების პრაქტიკაში გატარებისათვის. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ პოლიტიკურად დაკნინებული ეთნოსი, ავტონომიის მინიჭების თვალსაზრისით გულგრილი და გაუგებარი დამოკიდებულება ესპანელთა მხრიდან და ზოგადად, ბასკების პოლიტიკური წონის დაქვეითება ესპანურ სახელმწიფოში მთლიანობაში ძალზე სერიოზულ ბიძგს აძლევდა ბასკ ნაციონალისტებს ძალადობისაკენ გადასახრელად.

როგორც აღვნიშნეთ, "ETA"-ში განსხვავებული აზრის დამსახურებით შიდა ფრაქციები გაჩნდა, თუმცა ეს დაჯგუფება მაინც დარჩა ერთიან ცენტრად თავისი ექსტრემისტული ხედვებით. რეალურად, ეს ორგანიზაცია იყო ბასკური რეგიონის მასშტაბით არსებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების გაერთიანების სათავე ესპანელების წინააღმდეგ. სხვათა შორის, 1971 წელს იყო მცდელობა მსგავსი კონსოლიდაციისა ბასკეთში არსებულ სხვადასხვა ჯგუფებს შორის და მემარჯვენეებით დაწყებული, მემარცხენეებით დასრულებული ყველა მიმართულების ადგილობრივი ორგანიზაციის ინტეგრირებისა ეროვნულ ფრონტად. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიზეზების გამო ეს პროექტი

საბოლოოდ არ შედგა (Conversi, 1994), შეიძლება ითქვას, რომ ბასკები ძალებს არ იშურებდნენ ეთნიკურ უმცირესობაში არსებული სხვადასხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ჯგუფის ერთიანი ორგანიზაციული ფორმით ესპანელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ ესპანელთა მხრიდან დაღდასმული პოლიტიკური პროცესი ბასკეთში გახდა სერიოზული ხელშემწყობი ფაქტორი იმისათვის, რომ როგორც წამყვან, ისე მეორეხარისხოვან გაერთიანებებს ემსჯელათ მეტი რადიკალიზმისა და მეტი ძალადობის გამოყენებაზე ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს ყოველივე, ფაქტობრივად, გადარჩენისათვის ბრძოლის ტოლფასი იყო.

საყურადღებოა, რომ მას შემდეგ, რაც "ETA" უფრო მეტად გაძლიერდა (რაც დიდწილად დაკავშირებული იყო "ETA-VI"-ის გაქრობასთან და "ETA-V"-ისა და EGI-ის წევრების გაერთიანებამ კვლავ "ETA"-ს სახელის ქვეშ) 1970-იანი წლების დასაწყისში, ძალადობას კიდევ უფრო მეტი პრიორიტეტი მიენიჭა და დაჯგუფების მხრიდან მისი გამოყენების მასშტაბები კიდევ უფრო გაიზარდა. მუშათა კლასის მიმართ სოლიდარობის ნიშნად მსხვილი მეწარმე ლორენცო ზაბალის 1972 წლის გატაცების მეშვეობით (რომელიც ეთნიკურად ბასკი იყო და დასაქმებულთა გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდგომ რადიკალებმა გაათავისუფლეს) "ETA"-მ ცენტრალურ ხელისუფლებას კიდევ ერთხელ დაანახა თავისი სიძლიერე, რამაც, თავის მხრივ, ფრანკოს ხელისუფლების საპასუხო რეაქციად დაჯგუფების 4 წარმომადგენლის მკვლელობა მოიტანა (Conversi, 1994). რეალურად, გამიზნული მსხვერპლის კიდევ ერთი მაგალითი აჩვენებს, რომ ძალადობა ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობაში სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს, რაც რეგიონის პროცესების, მათ შორის, პირველ რიგში, პოლიტიკური პროცესების ნორმალიზების შესაძლებლობებს კიდევ უფრო კვეცავდა. ეს, შეიძლება ითქვას, იმის დასტურია, რომ "ETA"-ს გამოჩენით დაწყებული მანამდე განცდილი ჩაგვრის შედეგად გამოწვეული აგრესიის ამონთხევის კამპანია ბასკებში არ ცხრებოდა, რაშიც მთავარი

როლი ჰქონდა მათ დაქვეითებულ პოლიტიკურ წონას. ამ ყოველივემ კი ლოგიკურად მოიტანა 1973 წელს ბლანკოს სიკვდილი, რომელზეც ზემოთ უკვე გავაკეთეთ აქცენტი (Conversi, 1994). ის ფაქტი, რომ დაჯგუფების მიერ გამოყენებულმა ბომბმა მადრიდში ფრანკოს პოტენციური პოლიტიკური მემკვიდრის სიკვდილი გამოიწვია (Alonso, 2011), როგორც აღვნიშნეთ, მიზანმიმართული მსხვერპლისა და ინფრასტრუქტურული ზარალის მორიგი შემთხვევა, რომელიც ზოგად ფონს უფრო აუარესებდა და ძალადობას ახალისებდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნის გარედან რადიკალ ბასკებს სიმპათიაც საკმაოდ სერიოზულად მოუტანა ამ ფაქტმა (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ჩაგრულ ეთნოსში გამოკვეთილმა რადიკალურმა პროტესტმა ქვეყნის გარედან მხარდაჭერაც კი მიიღო. ამ მხრივ, კიდევ ერთხელ მივყავართ ლოგიკას იქამდე, რომ ესპანელთა მხრიდან ბასკთა სოციალური სტატუსის დაქვეითება და მათში პოლიტიკური პროცესის შეფერხება, არც მეტი, არც ნაკლები, ძალადობრივი კამპანიისათვის საფუძვლების გამყარების სერიოზული წინაპირობა აღმოჩნდა.

ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ გარე ფაქტორების ანალიზის ჰიპოთეზაში განხილული მრავალი ფაქტით დასტურდება ძალადობის გაძლიერება, განსაკუთრებით 1950-1980-იანი წლების მასშტაბით ბასკთა და ესპანელთა შორის ურთიერთდაპირისპირებაში. თუმცა აქ მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი: 1974 წელს ესპანეთის დედაქალაქში არსებულ კაფე "როლანდოში" ბომბის აფეთქებით 9 ადამიანის სიკვდილი, ხოლო მრავალი სხვა ადამიანის დაშავება (Conversi, 1994), შეიძლება შეფასდეს, როგორც ბასკთა მხრიდან ძალადობრივი კამპანიის მთელი ესპანეთის მასშტაბით გავრცელების მცდელობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ "ETA"-მ ამ ქმედების შემდგომ ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ხალხის ნეგატიური განწყობის გაღვივება სცადა იმაზე აქცენტით, რომ მათ ბომბის შესახებ წინასწარ გაავრცელეს ცნობა (რასაც ესპანელმა სამართალდამცავებმა ყურადღება დიდად არ მიაქციეს)(Conversi, 1994),

კიდევ ერთხელ გახდება ნათელი, რომ რადიკალი ბასკები უკვე ძალადობას ერთადერთ იარაღად მიიჩნევდნენ საკუთარი სურვილების აღსრულებისათვის და პოლიტიკური პროცესის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნებაზე თითქმის აღარ ფიქრობდნენ. ეს ყოველივე კი ესპანელთა არასწორმა მიდგომამ გამოიწვია ბასკთა პოლიტიკური პროცესების მიმართ. ზემოთ აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ პერსონებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ბასკურ ნაციონალიზმში. ამ მხრივ, რასაკვრიველია, საბინო არანა ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო, თუმცა გარკვეული გავლენები ბასკურ ნაციონალიზმზე მე-20 საუკუნის შედარებით გვიანდელ პერიოდებში მოახდინა ფრედერიკო კრუტვიგმაც. კრუტვიგი თითქმის მხოლოდ პრაქტიკულ ელემენტებს ამატებდა ეთნიკურ ნაციონალიზმს რეგიონში (გარდა იმისა, რომ ბასკური იდენტობის ფუნდამენტად, პირველ რიგში, ადგილობრივი ენა მიაჩნდა და არა რასობრივი ან რელიგიური მისწრაფებები) და თვლიდა, რომ მიზანმიმართული ძალადობრივი კამპანია ესპანელთა წინააღმდეგ ბასკური ეთნოსის განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო (Conversi, 1994). ამ მხრივ, ჩანს, რომ მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, ორივე პერსონას გარკვეული განსხვავებები ჰქონდათ, მათი მიდგომების არსი მაინც ერთნაირი იყო: დაუნდობელი ბრძოლა ესპანელთა წინააღმდეგ. ანალიზიდან ჩანს, რომ ამან მნიშვნელობა პრაქტიკაშიც შეიძინა, რადგან ბასკთა სოციალურ სტატუსზე მიზანმიმართული შეტევის გამო ესპანელებმა სერიოზულად წააქეზეს ძალადობისაკენ ეთნოსის წარმომადგენლები.

რეალურად, ამ ყოველივეს გამოძახილი იყო ის, რომ ნორმალური პარტიული სისტემა და საარჩევნო მარათონი ბასკეთში ადგილობრივ დონეზე, პრაქტიკულად, აღარ მიმდინარეობდა 1970-იანი წლების დასაწყისში. ნაციონალისტურმა პოლიტიკურმა ძალებმა ზრდა დაიწყეს და ჯამში 70%-ზე მაღალი შედეგი აჩვენეს 1977 წელს პირველად ჩატარებულ არჩევნებზე პოსტ-ფრანკოისტული პერიოდის განმავლობაში. “ETA”-ს მიმართ სიმპთია კვლავაც შენარჩუნებული იყო რეგიონში, მათ შორის

პოლიტიკურ ძალებსა და ლიდერებშიც. სხვათა შორის, აღნიშნულ არჩევნებზე “PNV”-იმ მცირედი უპირატესობით აჯობა “ესპანელი სოციალისტების” (“PSOE”) შედეგს. მიუხედავად ყოველივე ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ რადიკალიზმი და ესპანელთა მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება ბასკებში შენარჩუნდა ფრანკოს სათავიდან წასვლისა და მონარქიის ჩამოყალიბების შემდგომაც (Conversi, 1994), შეიძლება ითქვას, რომ ბოთლიდან ამოშვებული ჯინის, ანუ ძალადობრივი კამპანიის შეჩერება კვლავაც რთული იყო და ესპანელთა წაქეზებით ჩამოყალიბებული ექსტრემისტული განწყობები ამ დრომდე ბასკთა სავიზიტო ბარათად რჩებოდა.

საინტერესოა, რომ ძალადობა აქტიურად ვლინდებოდა ეთნოსის თითქმის ყველა საპროტესტო ფორმაში. მაგალითად, 1976 წელს, როდესაც მშრომელთა, არც მეტი, არც ნაკლები, 80 პროცენტამდე გამოვიდა ქუჩაში სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით, 5 ადამიანი დაიღუპა. ამ აქციის სოლიდარობის ნიშნად კი ესპანეთის სხვადასხვა ტერიტორიაზე მასშტაბური მანიფესტაციები გაიმართა, რომელთა მიმდინარეობისას ასევე ძალადობის ნიაღვარმა არაერთი ადამიანის დასახიჩრება და სიკვდილი გამოიწვია (Conversi, 1994). ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ მიუხედავად ფრანკოს რეჟიმის ცვლილებისა, ტრანზიციის საწყის ფაზაში კვლავაც იგრძნობოდა ესპანელთა ნეგატიური დამოკიდებულება ბასკთა მიმართ და ასევე ის, რომ ბასკთა წლების განმავლობაში დაგროვილი სიძულვილი, რომელიც ესპანელების მხრიდან მათი პოლიტიკური პროცესების შეზღუდვით იყო გამოწვეული. ეს ყოველივე კვლავ ახალისებდა ძალადობას და არ იძლეოდა საშუალებას პროცესების ნორმალურ პოლიტიკურ კალაპოტში გადასვლისათვის. საინტერესოა, რომ 1978 წელს, როდესაც ესპანეთის ახალი კონსტიტუციის მიღება მიმდინარეობდა, “PNV”-მ და სხვა ბასკურმა პარტიებმა მის წინააღმდეგ მისცეს ხმა. მთავარი მიზეზი ამ შემთხვევაში იყო ავტონომიური უფლებების ნაწილში. კერძოდ, არ იყო თვალსაჩინო ბასკებს ზუსტად

როგორი ტიპის თვითმმართველი უფლებები მინიჭებოდათ თავიანთი რეგიონის მასშტაბით (Conversi, 1994). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ესპანელების ბასკთა პოლიტიკური პროცესების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება კვლავაც არ იცვლებოდა თვისობრივად, რადგან რეგიონისათვის სათანადო ავტონომიის მინიჭების საკითხში ესპანელები ისევ პრობლემას ხედავდნენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კიდევ ერთი წელი დასჭირდა ბასკთათვის სასურველი ავტონომიური სტატუსის მინიჭებას რეგიონისათვის, რომელმაც ბასკთა ლეგიტიმური მთავრობის 43-წლიანი ფრანგული პოლიტიკური დევნილობა დაასრულა (Conversi, 1994), ფაქტია, რომ ბასკებს ძალზე დიდი ძალისხმევა დასჭირდათ ესპანელთა სასურველი ავტონომიური სტატუსის მინიჭებაზე დასაყოლიებლად და თანაც ეს ყოველივე ხდებოდა იმ პირობებში, რომ ისინი მუდმივად განიცდიდნენ ფსიქოლოგიური და ფიზიკური თვალსაზრისით დაჩაგვრას ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში შენარჩუნდა "ETA"-ს მიმართ არა მხოლოდ მორალური, არამედ ადმინისტრაციულ-ტექნიკური მხარდაჭერაც კი. ორგანიზაციის მიმართ ყოველთვის გამოყოფდნენ რესურსებს ან/და თავად ეხმარებოდნენ კერძო იურიდიული კომპანიები, უმუშევარი ადამიანები, რელიგიური გაერთიანებები და სხვ. მიუხედავად იმისა, რომ თავად "ETA"-ში კვლავ ორი ფრთა გამოიკვეთა - "ETA-pm" (უფრო პაციფისტური ფრთა) და "ETA–m" (უფრო ძალის გამოყენების მომხრე ფრთა), "ესპანური სახელმწიფო კვლავ მთავარ მტრად აღიქმებოდა… მთელი დემოკრატიზაციის პროცესი ითვლებოდა ფასადად, რომელიც ფუთავდა ესპანეთის მრავალწლიან მცდელობას ბასკური იდენტობის მოსპობასთან დაკავშირებით" (Conversi, 1994, გვ. 170). პრაქტიკულად, ძირითადი ხაზი ბასკურ ნაციონალისტურ მიმდინარეობაში უცვლელი იყო: ესპანელების წინააღმდეგ ბრძოლა სხვადასხვა მეთოდებით ბასკური ეთნოსის გადასარჩენად. ამ მხრივ, არც საარჩევნო პროცესებს და არც ზოგად პოლიტიკურ აქტივობებს ისევ

არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ბასკთა რწმენით, სერიოზული ცვლილებების განხორციელებისათვის. აღსანიშნავია, რომ ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესს გარკვეული მზის სხივი ნამდვილად დაეცა (რაც, მაგალითად, გამოიკვეთა ახალი პოლიტიკური გაერთიანებების გამოჩენით: "EE" ("ბასკი მემარცხენეები"), "EA" ("ბასკური სოლიდარობის პარტია"), "HB" ("ჰერი ბატასუნა", იგივე "სახალხო გაერთიანება"), თუმცა მთავარი მეტოქის, ანუ ესპანელების ყველაზე სერიოზულ წინააღმდეგობრივ ძალად ესპანელებს კვლავ "ETA" მიაჩნდათ (Conversi, 1994). ეს მიუთითებს, რომ ბასკები დემოკრატიული ტრანსფორმაციის პირობებშიც კი ხსნის ძირითად იარაღად ისევ ძალადობას მიიჩნევდნენ. ანალიზის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ბასკთა ამგვარი დამოკიდებულება განპირობებული იყო წლების განმავლობაში დაბეჩავებული ადგილობრივი პოლიტიკური მდგომარეობით, რომლიდან რეალურ, ხელშესახებ გამოსავალს ცენტრალური ხელისუფლება მათ კვლავ ვერ ან არ სთავაზობდა. საინტერესოა, რომ "ჰერი ბატასუნას" მიმართ საზოგადოების მხარდაჭერა გაიზარდა. ეს იყო პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა ბასკურ ეთნოსში და რომლის იდეოლოგებიც "ETA"-ს გაძლიერებას ანიჭებდნენ პრეროგატივას (Conversi, 1994). პრაქტიკულად ჩანს, რომ მიუხედავად გარკვეული პოლიტიკური გაჯანსაღებისა, ბასკებს მაინც არ ჰქონდათ ესპანურ საზოგადოებაში მშვიდობიანი გზით არსებობის იმედი და მაინც არ ანებებდნენ თავს ექსტრემისტული ხასიათის მექანიზმებს, რათა საჭიროების შემთხვევაში მათ კვლავ გამოეყენებინათ ეს მექანიზმები.

ამასობაში კი ლემონიცის ატომური ელექტროსადგურის წინააღმდეგ გამოსვლებს 200 000-კაციანი აუდიტორია აგვირგვინებდა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ "ETA"-მ ესპანელთა სიჯიუტით აღნიშნული ელექტროსადგურის გარკვეული აღჭურვილობის წინააღმდეგ ძალის გამოყენებაც კი სცადა. ამ მხრივ, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში "ჰერი ბატასუნას" რეიტინგის თანდათან ზრდამ მას ალავასა და ნავარში მე-5

ადგილი მიანიჭა პროვინციულ პოლიტიკურ დონეზე, ბისკაიაში - მეორე ადგილი, ხოლო გიპუზკოაში - პირველი. ესპანური სახელმწიფოს წინააღმდეგ განწყობილი საზოგადოებრივი ჯგუფები, მათ შორის სტუდენტები და უსამსახუროდ დარჩენილები მის სერიოზულ ელექტორატს წარმოადგენდნენ (Conversi, 1994). ეს ყოველივე იმაზე მიუთითებს, რომ ანტიესპანური განწყობები ისევ ძალზე აქტუალური იყო რეგიონის მასშტაბით და მით უმეტეს "ETA"-სთან დაახლოებული პოლიტიკური ჯგუფი საკმაოდ სერიოზულ სიმპათიას იწვევდა რეგიონის სხვადასხვა ტერიტორიაზე. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ დემოკრატიზაციის შემდგომ გარკვეული პოლიტიკური განვითარების მიუხედავად, ბასკებს ესპანელების მიმართ წყენა და ნეგატიური მიდგომა არ უნელდებოდათ და კვლავ მზად იყვნენ ძალის გამოსაყენებლად. მნიშვნელოვანია, რომ ბასკეთის მასშტაბით "ჰერი ბატასუნას" მხარდამჭერები, პირველ რიგში, ესპანეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოხატავდნენ პროტესტს და ბასკური რეგიონის ესპანეთისაგან გამოყოფის სულისკვეთება მათ ნაკლებად თუ ამოძრავებდათ (Conversi, 1994). შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მთავარი მოტივაცია ბასკთათვის როგორც პარტიული მხარდაჭერის ან აფილაციის, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი სფეროს მიმართ იყო, პირველ რიგში, ესპანელების წინააღმდეგ პროტესტი, მათ შორის ძალადობრივი მეთოდების გამოყენებითაც.

პრაქტიკულად, კვლევიდან ჩანს, რომ როდესაც რეგიონში პოლიტიკური სისტემის დასტაბილურება დაიწყო, მაშინაც კი იკვეთებოდა ესპანელთა მიმართ ნეგატიური მიდგომა, როგორც მთავარი საზომი ამა თუ იმ საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური აქტივობისათვის. ეს კი, რასაკვირველია, იმავე ლოგიკას უბრუნდება, რომელიც ზემოთ არაერთგზის განვავითარეთ: ესპანელთა ძალზე სერიოზული ნეგატიური წვლილით დაქვეითებული ბასკთა პოლიტიკური სტატუსი ესპანურ სახელმწიფოში (ავტონომიის ბუნდოვანება, საარჩევნო სისუსტე, რეგიონის

პოლიტიკური მნიშვნელობის დაქვეითება სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით და სხვ.) გრძელვადიან პერსპექტივაში სერიოზული იარა იყო, რომელსაც ბასკები დიდი ხნის მანძილზე ვერ იშუშებდნენ. საინტერესოა, რომ 1986 წლის ოქტომბერში, როდესაც "EA" საბოლოოდ გამოეყო "PNV"-ის, ამ უკანასკნელმა მართვის სადავეები დაკარგა ბასკეთის ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოში. საინტერესოა, რომ იმავე წლის ნოემბერში აღნიშნულმა ორივე პარტიამ ერთნაირი შედეგი, ანუ 14 მანდატი მოიპოვა 81-კაციან ბასკურ საკანონმდებლო ორგანოში. რეალურად ეს შედეგი "EA"-სთვის, როგორც ბასკურ პოლიტიკურ არენაზე ახალგამოჩეკილი პარტიისთვის, ძალზე სერიოზული იყო. მოწინავე ადგილი დაიკავა "PSOE"-იმ 19 მანდატით, "ჰერი ბატასუნამ" ასევე 14 მანდატი მოიპოვა და "EE"-იმ - 11 მანდატი (Conversi, 1994). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ მხოლოდ 1986 წლის ბოლოსკენ, როდესაც უკვე 10 წელზე მეტი იყო გასული დემოკრატიზაციის პროცესის დაწყებიდან გასული, მხოლოდ მაშინ დაეტყო სიჯანსაღის გარკვეული ხარისხი ბასკური რეგიონის ადგილობრივ პოლიტიკურ სისტემას პარტიათა ამგვარი ჭიდილის მეშვეობით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ "EA"-ის ლიდერი იყო კარლოს გარეკოტქსეა, რომელსაც თავისი ხედვებით ერთგვარი ბალანსი ჰქონდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალისა ბასკურ პოლიტიკურ ველზე (მაგალითად, "PNV"-ისა და "EE"-ს შორის) და ნელ-ნელა 100-ეულობით ადგილობრივი მმართველის მხარდაჭერაც მოიპოვა (Conversi, 1994), ნათელია, რომ პიროვნების ფაქტორი ბასკურ ნაციონალისტურ პროცესებში კვლავაც საგრძნობლად მნიშვნელოვან როლს ატარებდა. აქ კიდევ ერთი დეტალია ხაზგასასმელი: ის პარტიები, რომელთა ხედვებიც ან სეპარატისტული ან ავტონომიის გაზრდისაკენ მიმართული იყო და მეტწილად ანტიესპანურ მიდგომებს ემხრობოდა, ჯამურად 1986 წლის არჩევნებზე 70-პროცენტიანი შედეგით წარმოჩინდნენ (Conversi, 1994), რაც პირდაპირ აჩვენებს, რომ კვლავაც ნეგატიური ფსიქოლოგიური განწყობა ესპანელების მიმართ ბასკურ რეგიონში არ იყო განელებული და

თავის მხრივ, ესპანელებთან თანამშრომლობა ან/და მოლაპარაკებები ისევ რთულად მისაღწევი მოვლენა იყო. ეს რეალურად იმას აჩვენებს, რომ მიუხედავად პოლიტიკური სისტემის განვითარებისა, კიდევ იყო შანსი, რომ ექსტრემისტულ ჯგუფებსა და პიროვნებებს ესპანელთა წინააღმდეგ იარაღის ენით საუბარი დაეწყოთ.

როგორც ჩანს, სწორედ ამის გამოძახილი იყო ზემოთ აღნიშნული სხვადასხვა ძალადობრივი ფაქტი. მაგალითად, იმავე 1986 წელს მადრიდში სამოქალაქო გვარდიის 12 ოფიცრის მიზანმიმართული მკვლელობა, რომლის პარალელურად "ETA"-მ 50 შემთხვევით შერჩეული პიროვნება დაასახიჩრა ("ETA's bloody history: 853 killings in 60 years of violence", 2019). ეს მაგალითი აჩვენებს, რომ პოლიტიკური პროცესის ერთი შეხედვით ნორმალურ კალაპოტში ჩადგომის მიუხედავად, ესპანელთა მხრიდან მრავალი წლის მანძილზე ჩაგრული ბასკთა სოციალური სტატუსი როგორც შემთხვევით, ისე გამიზნულ ადამიანებს ძალის გამოყენებით ითრევდა სისხლისმღვრელ კამპანიაში. ის ფაქტი, რომ მომდევნო წელს ექსტრემისტული დაჯგუფების წარმომადგენლებმა "ჰიპერკორში" 22 ადამიანი გამოასალმეს სიცოცხლეს (Turner, 2015), ხოლო 45 კი დაასახიჩრეს ("ETA's bloody history: 853 killings in 60 years of violence", 2019), ასევე მეტყველებს ძალადობის მასშტაბების განვითარებაზე ადვილად მისაღწევ ტერიტორიაზე, რაც იმავე მსჯელობას უბრუნდება ბასკებისა და ესპანელების ნეგატიურ ურთიერთდამოკიდებულებასთან მიმართებით. ამავე დროს, ექსტრემისტი ბასკების მხრიდან მიერ სამოქალაქო გვარდიის სამხედრო ნაწილში 11 პირის ბომბით ამოწყვეტა იმსხვერპლა (Turner, 2015), ხოლო 40 ადამიანის სარაგოსაში მძიმედ დაზიანება ("ETA ten years on: The key moments that led to the end of the Spanish terror group", 2021), პრაქტიკულად, ჩანს, რომ ბასკი რადიკალები რთულად მისაღწევ ადგილებში როგორც მიზანმიმართული, ისე შემთხვევითი ხალხის მკვლელობით კვლავ აძლიერებდნენ ძალადობრივ კამპანიას. აქედან გამომდინარე, დასტურდება ფაქტობრივი გარემოებებით, რომ როგორც

1980-იანი წლების დეკადაში ძალადობა კვლავაც თანმხლები პროცესი იყო ბასკურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს იძლევა იმის ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ ბასკები მხოლოდ პარტიული კონკურენციის ფარგლებში საკუთარ ხსნას ვერ ხედავდნენ და ამ მხრივ, მნიშვნელოვან საშუალებას მიაჩნდათ საკუთარი მიზნების აღსრულებისათვის ძალადობრივი მეთოდების გამოყენება და უფრო მეტიც, რეზონანსული ძალადობა არა მხოლოდ ერთი რომელიმე ტერიტორიის, არამედ მთელი სახელმწიფოს მასშტაბით. საინტერესოა, რომ 1982 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე ცხადი გახდა, რომ ბასკთა 38 პროცენტი "ETA"-ს წარმომადგენლებს ღირსეულ ბასკებად მიიჩნევდა. იმავე წლის სხვა გამოკითხვით კი, ბასკთა 60 პროცენტი თავს მხოლოდ ბასკურ ეთნოსს მიაკუთვნებდა და ესპანელად არ თვლიდა, 24 პროცენტი - ორივეს მიაკუთვნება და მხოლოდ 13 პროცენტი მიიჩნევდა თავს მარტო ესპანელად (Conversi, 1994). ეს ყოველივე მეტყველებს იმაზე, რომ 1980-იან წლებში იგივე სურათი შენარჩუნდა ბასკების მხრიდან ესპანელების მიმართ დამოკიდებულების ასახვისას. რეალურად, ბასკთა უმეტესობა თავს არ თვლიდა ესპანური საზოგადოების ნაწილად და სერიოზულ დისტანცირებას განიცდიდა მისგან. ამ ყოველივეს ფონზე, ფაქტია, რომ იმავე დეკადაში "ETA" ბასკთა გარკვეული ნაწილის თვალში ჯერ კიდევ ნარჩუნდებოდა, როგორც სერიოზული ძალა ბასკური იდენტობისათვის საჭირო საქმიანობის განსახორციელებლად. მთლიანი სურათის დასანახად, საინტერესოა, ის, რასაც წერდა დენიელ კონვერსი ბასკური ეთნოსისა და მასში "ETA"-ს როლის შესახებ:

> "ETA"-ს მთავარი მახასიათებელი იყო მისი ყოვლად დამაჯერებელი ხასიათი. ტერორისტულ თავდასხმებზე პასუხისმგებელი სამხედრო ორგანიზაცია მხოლოდ აისბერგის წვერი იყო იმისა, რასაც "ETA"-ს კომპლექსი ერქვა. მთელი ოპოზიციური იდეოლოგია თავისი ენითა და ცელკეული ინსტიტუტებით წარმოიშვა კონფლიქტიდან… სლოგანები, გრაფიტი, პოსტერები, ფრესკები, პლაკატები, ბანერები

და ყველა ტიპის ვიზუალური პროპაგანდა იპყრობდა ბასკურ საზოგადოებრივ სივრცეს (Conversi, 1994, გვ. 178).

მთლიანობაში, ჩანს, რომ ბასკების პოლიტიკური წონის დაქვეითებამ დროთა განმავლობაში მათში წარმოშვა აგრესია ესპანელთა მიმართ, რაც ძალადობრივ კამპანიაში გარდაიქმნა და როგორც ინფრასტრუქტურული ზარალი, ისე ადამიანური მსხვერპლი და დაშავებები გამოიწვია. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ ესპანელების წვლილი ბასკეთის რეგიონის საარჩევნო პროცესების დაზიანების, ავტონომიის საკითხის გაპრობლემებისა და ზოგადად ბასკთა ესპანურ სახელმწიფოში პოლიტიკური როლის დაკნინების თვალსაზრისით სერიოზულ კატალიზატორად იქცა ცენტრსა და პერიფერიას შორის დაძაბული ურთიერთობების გაღრმავებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ რაციონალური არჩევანის თვალსაზრისით, ბასკების შემთხვევაში ძალადობა აღმოჩნდა ის გონივრული ხერხი, რომლითაც ისინი ცდილობდნენ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მათი დაქვეითებული პოლიტიკური სტატუსის გამო ესპანელთა წინააღმდეგ გალაშქრებას და საკუთარი სტატუსი მცირედით მაინც გაძლიერებას.

**5. 2. 2. კატალონიური უმცირესობის ანალიზი პოლიტიკური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით**

ძალზე საინტერესოა, როგორ მიმდინარეობდა პოლიტიკური პროცესები კატალონიის რეგიონში. ზემოხსენებული არგუმენტები ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან კატალონიის სასარგებლოდ ეკონომიკური პროტექციონიზმის შესახებ საკმაოდ სერიოზულ მნიშვნელობას ატარებდა რეგიონისათვის არა მხოლოდ სოციალურ-ეკონომიკური წინსვლის, არამედ პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისითაც. მიუხედავად იმისა, რომ ბასკური ნაციონალიზმისაგან განსხვავებით, კატალონიური იდენტობის საკითხებში პიროვნებების ფაქტორი დიდი დოზით არ ფიგურირდებდა, მე-19 საუკუნის პროცესებზე საუბრისას მაინც გამოსაკვეთია ვალენტი ალმირალის მოსაზრებები. ეს

თვალსაჩინო პიროვნება კატალონიის ადგილს ერთიან ესპანურ სახელმწიფოში ხედავდა და თავად ესპანური სახელმწიფოს ფედერალიზაციას ემხრობოდა (Conversi, 1994). აქედან ჩანს, რომ მე-19 საუკუნეში კატალონიურ ეთნოსში და მის ლიდერებში იყო წარმოდგენა იმასთან დაკავშირებით, რომ კატალონია იყო ესპანური სახელმწიფოსა და საზოგადოების ნაწილი. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნულ საუკუნეში კატალონიელებს ესპანელების მიმართ ნეგატიური განწყობები არ ჰქონდათ. ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კატალონიელთა პოლიტიკური წონა ესპანურ სახელმწიფოში განვითარებული უნდა ყოფილიყო. სწორედ ამიტომ, საკვლევად საინტერესოა, როგორ მიმდინარეობდა პოლიტიკური მოვლენები კატალონიაში ადგილობრივ დონეზე.

მნიშვნელოვანია, რომ 1870-იან წლებში, როდესაც ესპანეთში მონარქის მმართველობა აღდგა, ქვეყნის პოლიტიკურ პროცესში ყველაზე მთავარი როლი ლიბერალურ და კონსერვატიულ ძალებს ეკავათ. ამის ფონზე, სხვა პოლიტიკური ალტერნატივის შექმნის კონტურები სწორედ კატალონიაში გამოიკვეთა (Conversi, 1994). სიტუაცია აჩვენებს, რომ კატალონიაში ესპანური პოლიტიკასთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდში კატალონიელთა პოლიტიკური მისწრაფებები საერთოდ არ იყო მიდრეკილი სეცესიისაკენ და პირიქით, ესპანეთის ცენტრალურ პოლიტიკურ პროცესებში წვლილის შეტანას ისახავდა მიზნად (Conversi, 1994), იქმნება შთაბეჭდილება, რომ კატალონიელებს ჰქონდათ სურვილი, ესპანურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ყოფილიყვნენ ინტეგრირებულნი. შესაბამისად, საინტერესოა, როგორი მიდგომა ჰქონდათ მათი პოლიტიკური წონის მიმართ ესპანელებს. საინტერესოა, რომ 1891 წელს შეიქმნა "კატალონიური გაერთიანება", რომლის მიზანიც იყო კატალონიური ეთნოსის მრავალი წარმომადგენლის მობილიზება როგორც კატალონიის რეგიონული პროექტების, ისე ესპანეთის ფედერალიზაციის საფუძველზე საკუთარი რეგიონის

გაძლიერების იდეების ირგვლივ (Conversi, 1994). პრაქტიკულად, გამოდის, რომ საკმაოდ დინამიკურად მიმდინარეობდა კატალონიელთა შორის აზრის გავრცელება ესპანური საზოგადოების ნაწილად ყოფნის ფარგლებში ძლიერი ინსტიტუციური განვითარებით. ამ მხრივ, ისე ჩანს, რომ ამ პერიოდში თავად ესპანელთა მხრიდანაც რეგიონის წარმომადგენელთა მიმართ დამოკიდებულება დადებითი უნდა ყოფილიყო, მათ შორის პოლიტიკურ პროცესებში მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით. აქ ერთი საინტერესო ფაქტია გასათვალისწინებელი: 1890-იან წლებში "კატალონიურ გაერთიანებაში" შემავალმა პირებმა მოამზადეს ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ძლიერ ავტონომიურ სტატუსს, პოლიტიკურ უფლებებსა და რეგიონული ენის ოფიციალური სტატუსის მხოლოდ კატალონიურისათვის მინიჭებას ითხოვდნენ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან. ამ მოთხოვნების იმპერატიული ხასიათი, როგორც ჩანს, ესპანელთათვის არ იყო მისაღები, რადგან გარკვეული უთანხმოება წარმოიშვა ცენტრსა და პერიფერიას შორის. ეს ძირითადად გამოიწვია ესპანელთა ანტიპათიამ კატალონიელთა მხრიდან ბერძნებისა და თურქების დაპირისპირებაში ბერძნებისათვის მხარდასაჭერი წერილის გაგზავნამ, რის გამოც ესპანელებმა სერიოზული წნეხი განახორციელეს ეთნიკურ უმცირესობაზე (Conversi, 1994). ეს აჩვენებს, რომ ურთიერთობები არც თუ ისე ჰარმონიული იყო ცენტრალურ ხელსიუფლებასა და კატალონიურ ეთნიკურ უმცირესობას შორის, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა მე-19 საუკუნეში. როგორც ჩანს, მიუხედავად სეპარატისტული განწყობების არქონისა, ესპანელებს მაინც და მაინც დადებითი დამოკიდებულება თავდაპირველად არ ჰქონდათ კატალონიელთა მიმართ. მიუხედავად ამისა, მალევე გამოიკვეთა ამ დამოკიდებულების ცვლილების გარკვეული ტენდენცია.

ის ფაქტი, რომ 1901 წელს კატალონიელებს არჩევნებში ჩართვის უფლება მიეცათ ესპანელთა მხრიდან (Conversi, 1994) იმის დასტურია, რომ ცენტრსა და პერიფერიას შორის არსებულ ურთიერთობებში გამოკვეთილი თავდაპირველი ბზარის შევსების მცდელობა იყო თავად ესპანელთა

მხრიდან და კატალონიელებს როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ სიჯანსაღეში თავად ესპანელები ეხმარებოდნენ. აქედან გამომდინარე, შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ ესპანელებს, შესაძლოა, სულაც არ ჰქონდათ მიზნად დასახული კატალონიელთა პოლიტიკური სტატუსის დაქვეითება. სხვათა შორის, ესპანელ პოლიტიკოსთა მხრიდან კატალონიელებისათვის ერთიანი ავტონომიური მმართველობის მინიჭებასაც ესმებოდა ხაზი. მაგალითად, კამილო გარსია დე პოლავიეია, რომელიც წარსულში სამხედრო ფიგურა იყო, არაერთგზის გააკეთა აქცენტი ამ ფაქტზე და კატალონიელ პოლიტიკოსებს საკუთარ პარტიაში გაწევრიანებაც შესთავაზა. ამან ორად გაყო აზრი "კატალონიურ გაერთიანებაში": ნაწილი მიემხრო პოლავიეიას პოლიტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებას, ნაწილმა კი საკუთარი პოლიტიკური გაერთიანება ჩამოაყალიბა (Conversi, 1994). ამ მხრივ, სახეზეა პოლიტიკური ხასიათის დაპირისპირება, რომელიც, პრაქტიკულად, განსხვავებული აზრის საფუძველზე წარმოშობილი პარტიული ბრძოლის ნაწილად რჩებოდა და ამ დროისათვის არ სცდებოდა პოლიტიკურ პროცესს. შეიძლება ითქვას, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის ხელშეწყობისათვის აუცილებელიც კი იყო. ამ თვალსაზრისით, თავად კატალონიელთა შორის განსხვავება ესპანელ პოლიტიკოსებთან ურთიერთობებისას რომ იკვეთებოდა, ეს გარკვეული თვალსაზრისით მიუთითებს პოლიტიკური კონკურენციის არსებობაზე, რომელიც ძალადობრივ პროცესთან პირდაპირ კავშირში სულაც არ იყო.

საინტერესოა, რომ პოლავიეიას მომხრეთაგან დისტანცირებულ ჯგუფს, რომელიც პოლიტიკოს პრატ დე ლა რიბას გარშემო გაერთიანდა პოლიტიკურ მოძრაობა "კატალონიის ნაციონალურ ცენტრში", 1899 წლის არც ისე მაღალი რეიტინგი ჰქონდა (Conversi, 1994). მიუხედავად ამისა, 1901 წლის ესპანეთის არჩევნებზე ამ პოლიტიკურმა გაერთიანებამ წარმატებას მიაღწია და მან შეძლო კორტესებში 6 კანონმდებლის გაყვანა, რადგან კვლავ პოლავიეიას მომხრე კატალონიელების გვერდით დადგა და ჩამოყალიბდა

ზემოთ არაერთგზის ნახსენებ ერთიან "ლიგა რეჯიონალისტად". აქ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ აღნიშნულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ეს მოახერხა ფორმირების ერთი თვის თავზე. გარდა ყოველივე ამისა, "ლიგა რეჯიონალისტამ" ქალაქის საბჭოს დასაკომპლექტებლად გამართულ არჩევნებზეც საკმაოდ სერიოზული შედეგები მოიპოვა ბარსელონას (11 მანდატი, რაც უპირატესი იყო "რესპუბლიკელების" 10 და "ლიბერალების" 4 მანდატის ფონზე), რომლითაც თანდათან გამოაცალა სიძლიერე ე. წ. დინასტიურ პარტიებს და თავად გაიძლიერა გავლენები კატალონიაში მე-20 საუკუნის პირველ დეკადაში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბარსელონას გარდა, სხვა ქალაქებშიც საკმაოდ აქტიურ კონკურენციაში შევიდნენ "ლიგა რეჯიონალისტას" წარმომადგენლები სხვადასხვა პარტიასთან (პარტიამ ჟირონაში მსხვილი მეწარმეების საკმაოდ ფართო მხარდაჭერით "რესპუბლიკელთა" მსგავსად 7 მანდატი მოიპოვა, ხოლო ლეიდაში - 2 მანდატი, რომელიც "ლიბერალების შედეგზე 8-ით ნაკლები იყო და სხვ.)(Ehrlich, 1995), პრაქტიკულად, როგორც რეგიონის მასშტაბით, ისე ცენტრალურ დონეზე პოლიტიკურ პროცესში კატალონიელების მონაწილეობა საკმაოდ თვალსაჩინო ხდებოდა. ამასთან, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, კატალონიური პარტიები როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთიანად ერთვებოდნენ პოლიტიკურ პროცესში. ეს, თავის მხრივ, კატალონიის რეგიონის პოლიტიკურ სტატუსს უსვამდა ხაზს და ერთი შეხედვით, ესპანელთა მხრიდან სახელმწიფოში კატალონიელების პოლიტიკური სტატუსის მიმართ დადებით დამოკიდებულებას ავლენდა.

მნიშვნელოვანია, რომ "ლიგა რეჯიონალისტას" სულისჩამდგმელებად კატალონიურ და ზოგადად ესპანურ პოლიტიკურ სივრცეს ოთხი გამორჩეული ინდუსტრიალისტი ფიგურა მოევლინა: ბართომეუ რობერტი ("ეკონომიკური საზოგადოების" ყოფილი ლიდერი), სებასტია ტორესი ("ინდუსტრიული და კომერციული დაცვის ლიგის" ყოფილი ხელმძღვანელი), ლუის დომენეკი ("ათენაუმის" ყოფილი ლიდერი) და ალბერტ რუსინოლ ი პრატი ("ფომენტის" ყოფილი

ლიდერი)(Ehrlich, 1995). ეს მოცემულობა აჩვენებს, რომ კატალონიურ ნაციონალიზმს მხოლოდ ერთი ადამიანის ნება-სურვილი და მსოფლმხედველობა არ წარმართავდა, განსხვავებით ბასკურისაგან. თუ იმასაც გავუსვამთ ხაზს, რომ ბარსელონას გარდა, სხვა ქალაქებშიც საკმაოდ სერიოზული წარმომადგენლები ჰყავდა ამ ახლად გამოჩენილ პოლიტიკურ ორგანიზაციას (მაგალითად, ოლოთში "წმინდა ისიდორეს სახელობის სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის" ყოფილი პრეზიდენტი ჩარლზ დე კამპს ი ოლზინელესი, მანრესაში - ლეონჩი სოლერი და სხვ.)(Ehrlich, 1995), კიდევ ერთხელ ნათელი გახდება პოლიტიკური გუნდის მრავალფეროვნება და კატალონიური ნაციონალიზმის მსოფლმხედველობრივი სიჭრელე. საინტერესოა კამბოს სიტყვები, რომლებითაც მან კატალონიელებს მიმართა იმ პერიოდში:

> თუ კატალონიას არ სურს საკუთარი თავი გაუყენოს დაცემისა და სიკვდილის გზას… მაშინ მას არ აქვს სხვა გზა, გარდა ორი შესაძლო გზისა: საარჩევნო ბრძოლა ან რევოლუცია. იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ მეორე გზის რეალობაში განხორციელების არ გვჯერა დღევანდელ დღეს - და თუნდაც მისი რეალობაში განხორციელება შესაძლებელი იყოს, მაინც არ მიგვაჩნია იგი სასურველ გზად. აქედან გამომდინარე, ამ ორი გზის ფენომენი ვიწროვდება და საბოლოოდ მივყავართ ერთ გზამდე (Ehrlich, 1995, გვ. 48).

კამბო, რომელიც კატალონიის მომავალს ერთიან ესპანეთში ხედავდა, მათ რეგიონულ პოლიტიკურ პროცესში თავის გამოჩენის და ცენტრალურ პოლიტიკაში სათანადო ფიგურების მივლინების მეშვეობით სახელის გათქვისაკენ მოუწოდებდა. ამასთან, პარტიის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენდა ძლიერი ავტონომიური სტატუსის მოპოვება კატალონიის რეგიონისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ "ლიგა რეჯიონალისტა", რომელიც რეგიონში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალა იყო საკმაოდ დიდი ხნის პერიოდში, ყოველგვარი ძალადობრივი მეთოდის წინააღმდეგი იყო საკუთარი მოთხოვნების წამოსაყენებლად (Conversi, 1994), თვალსაჩინო

გახდება კატალონიელთა დამოკიდებულება ესპანელების მიმართ იყო კეთილგანწყობილი და ისინი თავს თვლიდნენ ესპანური საზოგადოების ნაწილად.

რეალურად, ჩანს, რომ გარკვეული უთანხმოებების მიუხედავად, კატალონიელებს ესპანელთა წინააღმდეგ რადიკალური პოლიტიკური ნაბიჯებისა და სისხლისღვრის მიდრეკილებები არ აწუხებდათ და პირიქით, ერთიანი ესპანეთის შიგნით საკუთარი რეგიონის გაძლიერებასა და ამ თვალსაზრისით, ერთიანი ესპანეთის განმტკიცებას ემხრობოდნენ. როგორც იკვეთება, კატალონიელი ლიდერების თვალთახედვით, რეგიონში ძლიერი პარტიული კონკურენციის გაჩაღება უზრუნველყოფდა პოლიტიკურად მომწიფებულ კატალონიას, რომელსაც თავისი ნიშა ეკავებოდა ესპანური სახელმწიფოს ცენტრალურ პოლიტიკურ პროცესებშიც. სხვათა შორის, კატალონიის ადგილობრივ პოლიტიკურ არენაზე იმ პერიოდში მხოლოდ "ლიგა რეჯიონალისტა" არ აქტიურობდა. "რესპუბლიკელები" სერიოზულად ცდილობდა, პოლიტიკურ ასპარეზზე ეაქტიურა და ამავე დროს, თანამშრომლობდა "ლიგა რეჯიონალისტასთან" საარჩევნო მანიპულაციების ნებისმიერი ფორმის პრევენციისათვის, განსაკუთრებით ამ საქმეში დაოსტატებული "ცაციკების" წინააღმდეგ. სხვათა შორის, კატალონიელმა „რესპუბლიკელებმა" თავიანთი კოლეგები ცენტრალურ დონეზე მოქმედი ამავე პოლიტიკური მსოფლმხედველობის პარტიიდანაც მოიწვიეს კატალონიაში პარტიის ინფრასტრუქტურულად გამართვისათვის (Ehrlich, 1995). ეს ყოველივე იმაზე მიანიშნებს, რომ "ლიგა რეჯიონალისტა" როგორც საკუთარ პარტიას აძლიერებდა, ისე ცდილობდა, გარკვეულ პარტიებთან ალიანსი ან რაიმე ტიპის კოორდინაციაც ჩამოეყალიბებინა, რათა ზოგადი პოლიტიკური სისტემა გამოეჯანსაღებინა რეგიონში და ამავე დროს, კატალონიელების სიძლიერე უზრუნველეყო ცენტრალურ პოლიტიკურ დონეზეც. ეს რეალურად ავითარებს ლოგიკას, რომ კატალონიელებს მშვიდობიან მეთოდებზე კონცენტრირება ერჩიათ ესპანელებთან ურთიერთობის საკითხში. აქვე თუ იმასაც გავუსვამთ ხაზს,

რომ “ლიგა რეჯიონალისტამ” თავისი საპარლამენტო წარმომადგენლობის მეშვეობით საკმაოდ სერიოზულად დაიმკვიდრა თავისი სეგმენტი ესპანეთის ცენტრალურ პოლიტიკურ არენაზე და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზეც იმუშავა (Ehrlich, 1995), თვალსაჩინო გახდება, რომ ესპანელთა მხრიდან თავდაპირველი წნეხი და ნეგატიური განწყობები კატალონიისა და მისი ეთნოსის პოლიტიკურ საკითხებში ჩართულობასთან მიმართებით იცვლებოდა ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების დათბობის ფონზე. ნათელია, რომ ესპანელები აღარ ზღუდავდნენ აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების პოლიტიკურ უფლებებს.

ამ მოცემულობამ მოიტანა ის, რაზეც ზემოთ უკვე გაკეთდა სერიოზული აქცენტები: ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოს დონეზე მათი მუშაობა თანდათან საკმაოდ თვალსაჩინო გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათ ინიცირება გაუკეთეს და შემდგომ პრაქტიკაში დანერგეს მუნიციპალიტეტთაშორისი რეფორმებისა და ზოგადი კომუნიკაციის ორგანო “მანკომუნიტატი” 1914 წელს. ამან არა მხოლოდ საკუთარი რეგიონის, არამედ სრულიად სახელმწიფოს მასშტაბით საკმაოდ სერიოზული სახელი მოუხვეჭა და მოქმედების არეალი გაუფართოვა “ლიგა რეჯიონალისტას” (Ehrlich, 1995). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ესპანელთა მხრიდან წახალისებული კატალონიელთა პოლიტიკური აქტივობა სერიოზული საფუძველი აღმოჩნდა მათი პოლიტიკური წონის სახელმწიფოს მასშტაბით ზრდისათვის. ამ მხრივ, რაციონალური არჩევანის თეორიის ლოგიკას მივყავართ იქამდე, რომ კატალონიელები არაძალადობრივი, მშვიდობიანი ხასიათის ურთიერთობებს ჩამოაყალიბებდნენ ესპანელებთან. “ლიგა რეჯიონალისტას” წარმომადგენელთა ძირითადი მიზანი იყო სრულიად ესპანეთის მასშტაბით სათანადო და დროული ცვლილებების განხორციელება და არა მხოლოდ კატალონიის რეგიონის ტრანსფორმაცია. როგორც ჩანს, ამის გამოძახილი იყო ის, რომ ამ ორგანიზაციას 1923 ჩათვლით მუდმივად

უძლიერდებოდა ელექტორალური მხარდაჭერა, საინტერესო ფაქტია, რომ ორგანიზაციის თვალსაჩინო ლიდერები, როგორებიც იყვნენ ფრანჩესკ კამბო, ენრიკ პრატ დე ლა რიბა, ლუის დურან ი ვენტოსა და სხვები, კატალონიის მთავარ დანიშნულებად მისი ესპანეთის საზღვრებში გაძლიერებასა და ამით სრულიად ესპანური სახელმწიფოს მასშტაბით დაგეგმილ ზემოხსენებულ მასშტაბურ რეფორმებში განსაკუთრებული წვლილის შეტანას ხედავდნენ (Ehrlich, 1995). სრულ სურათს თუ შევხედავთ, გამოდის, რომ თავად ორგანიზაციასა და მის წევრებს მთავარ კრედოდ ესპანური სახელმწიფოს განვითარების დინამიკის გაძლიერება მიაჩნდათ, ორგანიზაციის ლიდერები კი სტრატეგიის დაგეგმვისას ამ პრინციპით ხელმძღვანელობდნენ და ძლიერი კატალონია ესპანური სახელმწიფოს კიდევ უფრო მეტად გასაძლიერებლად წარმოედგინათ. ამ მხრივ, ის ფაქტი, რომ მე-20 საუკუნის პირველი დეკადიდან მესამე დეკადის დასაწყისის ჩათვლით "ლიგა რეჯიონალისტას" ამომრჩეველი იზრდებოდა, მეტყველებს ესპანელთა მხრიდან კატალონიელების პოლიტიკური აქტიურობის მიმართ კეთილგანწყობის გაძლიერების ტენდენციაზე. ეს კი, ბუნებრივია, არაძალადობრივ განწყობებს ნიადაგს უმყარებდა კატალონიურ ეთნოსში.

ამ ყოველივეს ფონზე, საინტერესოა, რომ პოლიტიკური პროცესი ძალზე აქტიურად მიმდინარეობდა კატალონიის მთელი რეგიონის მასშტაბით. 1903 წელს როგორც "ლიგა რეჯიონალისტა", ისე "რესპუბლიკელები" საკმაოდ აქტიურები იყვნენ რეგიონის მასშტაბით მიმდინარე სხვადასხვა არჩევნებში (მაგალითად, ბარსელონას საქალაქო არჩევნებში მიაღწიეს სერიოზულ წარმატებას, ჟირონას არჩევნებში საკმაოდ კარგი შედეგები აჩვენეს "ლიგა რეჯიონალისტას" წარმომადგენლებმა და ა. შ.)(Ehrlich, 1995). ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ ესპანელები რეალურად ხელს უწყობდნენ კატალონიაში ნორმალური პოლიტიკური სიტუაციის განვითარებას, რაც მიუთითებს კატალონიელთა საკმაოდ სერიოზულ პოლიტიკურ წონაზე რეგიონის მასშტაბით. ამასობაში ლიგის

მხარდამჭერთა რიცხვი მნიშნველოვნად, რამდენიმე 1000-ით გაიზარდა. ეს ყოველივე იმის ფონზე ხდებოდა, რომ ბარსელონას ყველა საარჩევნო ოლქში საკუთარი წარმომადგენლობების გახსნითა და 40-ზე მეტი ქალაქის, მათ შორის განსაკუთრებულად ბარსელონასა და ჟირონას მასშტაბით და ნაკლებად ტარაგონას და ლეიდას ტერიტორიებზე მისი წევრები კენჭს იყრიდნენ. მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციის დამყარების მიზნით პარტიის ხელმძღვანელობისაგან "ლიგა რეჯიონალისტას" წარმომადგენლებს დავალებული ჰქონდათ პოლიტიკური კოალიციების ჩამოყალიბება საჭიროების შემთხვევაში (Ehrlich, 1995). საარჩევნო და პოლიტიკური კამპანიის ეს მაგალითები, რეალურად, აჩვენებს რამდენად ჯანსაღად მიმდინარეობდა პარტიული პოლიტიკა რეგიონის მასშტაბით. ეს რასაკვირველია იმაზე მიანიშნებს, რომ ესპანეთში კატალონიის პოლიტიკური წონა ნამდვილად საგრძნობლად მნიშვნელოვანი იყო.

მხედველობაში არის მისაღები ისიც, რომ მიუხედავად ასეთი სამზადისისა და გაძლიერებისა (მაგალითად, 1903 წელს მათ მანრესას მასშტაბით არსებული 9 მანდატიდან მოახერხეს 8-ის მოპოვება; სანტ პერე დე რიბასში შეძლეს ყველა მანდატის მოგება; სიტგესში 11 მანდატიდან 6 მოიპოვეს და დანარჩენი მანდატები "რესპუბლიკელებსა" და "სოციალისტებს" დაუტოვეს; ჟირონაში კი "რესპუბლიკელების" ორმანდატიანი, "მუშათა პარტიის" ორმანდატიანი, "კონსერვატორების" ერთმანდატიანი და "ლიბერალებისა" და "ლიბერალ-დემოკრატების" თითო-თითო მანდატიანი შედეგების ფონზე "ლიგა რეჯიონალისტას" წარმომადგენლებმა ყველაზე მეტი, 3 მანდატი მიიღეს), "ლიგა რეჯიონალისტას" გარკვეული გამოწვევები მაინც ჰქონდა (მაგალითად, 1903 წელს ძალზე წარმატებული კამპანიის მიუხედავად ბარსელონას მასშტაბით მათ "რესპუბლიკელებმა" 66%-იანი შედეგის მიღების საფუძველზე აჯობეს)(Ehrlich, 1995). ეს კიდევ ერთხელ უბრუნდება იმ ლოგიკას, რომ კატალონიელები, რომლებიც საკუთარ თავს ესპანური სახელმწიფოს ნაწილად აღიქვამდნენ და ცდილობდნენ, თავიანთი წვლილი

შეეტანათ ესპანური საზოგადოების განვითარებაში, ესპანელთა მხრიდანაც მწვანე შუქს იღებდნენ პოლიტიკური პროცესის ნორმალურ რეჟიმში წარმართვისათვის. რეალურად გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ რაციონალური არჩევანი კატალნიელთათვის ამ შემთხვევაში სწორედ დიალოგი იქნებოდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან როგორც ძლიერი თვითმმართველი უფლებების მოპოვების, ისე სხვა საკითხების გადასაწყვეტად. ამ მხრივ, 1905 წელს "ლიგა რეჯიონალისტამ" გააუმჯობესა რეზულტატი და დადო 12-მანდატიანი შედეგი, ბარსელონას ადგილობრივ არჩევნებზე, რომლითაც "რესპუბლიკელებს" მხოლოდ ორი მანდატით ჩამორჩა. სწორედ ამ პერიოდში მან ალიანსების ფორმირება დაიწყო და მზარდი მხარდაჭერის ფონზე საკმაოდ ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა როგორც კატალონიაში, ისე სრულიად ესპანეთში. მის მიერ გამოტანილი ინიციატივები და პროექტები საკმაოდ აქტიური მსჯელობის საგანი ხდებოდა ესპანურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ წრეებში (Ehrlich, 1995). ეს აჩვენებს, რომ კატალონიის მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკური სიახლეები სერიოზული ყურადღების ცენტრში ექცეოდა ესპანელთა მხრიდან. ამ თვალსაზრისით, ლოგიკა კვლავ ისე ვითარდება, რომ კატალონიელები საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ამინდს ქმნიდნენ ესპანეთში და თავის მხრივ, ცენტრალური ხელისუფლება მათ უწყობდა ხელს თავიანთი პოლიტიკური ვითარების განვითარებაში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კამბო ესპანურ პოლიტიკურ ველზე ნელ-ნელა საკმაოდ ავტორიტეტულ ფიგურად ყალიბდებოდა (Ehrlich, 1995), კიდევ ერთხელ დადასტურდება ზემოაღნიშნული მსჯელობა იმასთან მიმართებით, რომ ესპანეთში კატალონიის პოლიტიკური წონა საკმაოდ ძლიერი და დაფასებული იყო. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება კატალონიაში მასშტაბური სოლიდარობის მოძრაობის განვითარება, რომლის მიზანიც იყო პარტიული სისტემის გაძლიერება კატალონიაში და რამაც, თავის მხრივ, უბიძგა ადგილობრივ დონეზე მოღვაწე პარტიებს ინოვაციური მიდგომები დაენერგათ თავიანთ პარტიულ

ინფრასტრუქტურაში. ამ მოძრაობამ ასევე გზა გაუხსნა ახალ პოლიტიკურ გაერთიანებებს ასპარეზზე გამოსასვლელად (Ehrlich, 1995). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს კატალონიის როგორც რეგიონის საკმაოდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ დატვირთვას ესპანეთისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ კამბო და მისი თანამოაზრეები კატალონიის რეგიონის განვითარებას არა რეგიონის შიგნით ერთი პარტიის გაძლიერებაში, არამედ მრავალპარტიული სისტემის განვითარებით ესპანეთის ცენტრალურ პოლიტიკურ სისტემასთან დაახლოებასა და სხვადასხვა საინტერესო ინიციატივის ერთობლივი მუშაობის საფუძველზე შემუშავებაში ხედავდა (Ehrlich, 1995), კიდევ ერთხელ გახდება ნათელი კატალონიის სურვილი, ესპანურ სახელმწიფოში განვითარებულიყვნენ და მაქსიმალურად გამოეძებნათ საერთო ენა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და ზოგადად ცენტრალურ დონეზე მოღვაწე ლიდერებთან და პარტიებთან. სწორედ ამას უკავშირდება ის ფაქტი, რომ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ანტონიო მორას მეშვეობით, რომელმაც მე-20 საუკუნის საწყის პერიოდში მრავალგზის დაიკავა ესპანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი, "ლიგა რეჯიონალისტამ" ესპანეთის დედაქალაქში ე. წ. "რეგენერაციონიზმის", ანუ ქვეყნის პოლიტიკური გარემოს განახლებისა და თანამედროვეობასთან თავსებადობის შესახებ გაავრცელა ხმა (Ehrlich, 1995). ეს ყოველივე კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ კატალონიელები საკმაოდ აქტიურად ცდილობდნენ, თავიანთი პოლიტიკური სისტემის შიგნით წარმოშობილი იდეები და პროექტები გაევრცელებინათ ესპანეთის მასშტაბით. ამასთანავე, აქ ჩანს ისიც, რომ მათი იდეები ემსახურებოდა სრულიად ესპანეთის განახლების იდეის რეალიზებას. ბუნებრივია, ამ იდეებს გასაქანი არ ექნებოდა ესპანელებსა და კატალონიური ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს შორის კომპრომისული ურთიერთობის სურვილისა და მშვიდობიან ფორმებში დიალოგისათვის მზადყოფნის გარეშე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცენტრსა და პერიფერიას შორის აზრთა სრული თანხვედრა იყო.

ესპანეთის ცენტრალურ პოლიტიკურ სისტემაში არსებობდნენ პარტიები, რომლებთანაც გარკვეული უთანხმოება ჰქონდათ კატალონიელებს. მაგალითად, 1906 წელს, ბარსელონას არჩევნებში მიღწეული შედეგების აღნიშვნისას "ლიგა რეჯიონალისტამ" გააქილიკა ესპანური არმია, რის გამოც "ლიბერალების" მაშინდელმა ცენტრალურმა ხელისუფლებამ მათ მიმართ მკაცრი ზომები მიიღო (Ehrlich, 1995). აქ იკვეთება, რომ მიუხედავად კატალონიელთა გამორჩეული მდგომარეობისა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ პოლიტიკურ პროცესებში, მაინც იყო გარკვეული შემთხვევები, როდესაც ცენტრსა და პერიფერიას შორის გარკვეული უთანხმოება იჩენდა თავს. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ესპანელთა მხრიდან კატალონიელები მაინც გრძნობდნენ პატივსაცემ დამოკიდებულებას, რაც, მაგალითად, იკვეთება "რესპუბლიკელთა კავშირის" ლიდერის, ესპანელი პოლიტიკოსის, ნიკოლას სალმერონის შემდეგ სიტყვებში, რომლებიც მან ქვეყნის ცენტრალურ საკანონმდებლო ორგანოში წარმოთქვას:

> კატალონიაში სამშობლოს წარმომადგენლობაა… კატალონიელებო: მეთანხმებით იმაში, რომ ჩვენ მშვიდობა უნდა შემოვიტანოთ კატალონიაში? გსურთ, რომ კატალონიელები და "რესპუბლიკელები" მხარდამხარ უნდა იდგეთ ბარსელონაში, რათა ერთად თქვათ: ჩვენი იდეები, შესაძლოა, განსხვავდებოდეს, ჩვენ შორის, შესაძლოა, აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს; მაგრამ ჩვენ ეს აზრები უნდა წამოვწიოთ და გადმოვცეთ ჩვენს ერთიან ესპანურ დედა-სამშობლოს სივრცეში (Ehrlich, 1995, გვ. 115).

ეს ყოველივე მიუთითებს იმაზე, რომ კატალონიელები იმდენად კარგი ავტორიტეტით სარგებლობებდნენ ესპანურ პოლიტიკურ წრეებში და იმდენად მნიშვნელოვანი იყო მათი პოლიტკური დატვირთვა ესპანური სახელმწიფოსათვის, რომ მრავალ ესპანელ პოლიტიკოსს მათ მიმართ მხარდაჭერის გამოხატვის სურვილი უჩნდებოდა მაშინ, როდესაც მათ ან რომელიმე ცენტრალურ დონეზე მოღვაწე პოლიტიკურ პარტიასთან ან

თუნდაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან გარკვეული უთანხმოება მოუვიდოდათ. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ "ლიგა რეჯიონალისტას" ძალისხმევით ნახევრად ავტონომიური ხასიათის მმართველობა ჩამოყალიბდა და "მანკომუნიტატის" პრაქტიკაში დანერგვა დაიწყო 1914 წლიდან. პრაქტიკულად, 1913-1917 წლების პერიოდი განსაკუთრებულად კარგი იყო პარტიისათვის. 1913 წელს პარტიამ მოახერხა 11 მანდატის მოპოვება ბარსელონაში, 3 მანდატის მოპოვება - ჟირონაში, ხოლო 14-დან 7 მანდატის - ტარაგონაში. საინტერესოა, რომ ეს ყველაზე მაღალი შედეგები იყო აღნიშნული პროვინციების მასშტაბით, რამაც საკმაოდ დიდი ძალაუფლება შესძინა პარტიას კატალონიის მასშტაბით (Ehrlich, 1995). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ საარჩევნო თვალსაზრისით პარტია, რომელსაც საკმაოდ სერიოზული დატვირთვა ჰქონდა კატალონიის მასშტაბით, სრულიად ესპანურ სახელმწიფოშიც მნიშვნელოვან როლს ატარებდა. ამ თვალსაზრისით, ნათელია, რომ ესპანელები ხელს არ უშლიდნენ კატალონიელებს თავისუფალი პოლიტიკური კონკურენციის ჩამოყალიბებაში, რაც, რასაკვირველია, მნიშვნელოვან სტიმულს სძენდა რეგიონის მოსახლეობას, უფრო მეტად გაეჯანსაღებინათ თავიანთი პოლიტიკური სისტემა და უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღოთ პოლიტიკურ პროცესებში.

თუ გავითვალისწინებთ, რომ კატალონიის "მანკომუნიტატს" როგორც პოლიტიკური, ისე მენეჯმენტის თვალსაზრისით საკმაოდ გამართული ხასიათი ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ კატალონიისრეგიონის მხრიდან საკუთარი პროვინციების მართვის ეს პროექტი ძალიან მოიწონეს როგორც ესპანეთის დედაქალაქში, ისე ესპანეთის სხვა ტერიტორიებზე (სარაგოსა, ლოგრონო და ა. შ.) (Ehrlich, 1995), ნათელი გახდება ამ იდეის საკმაოდ სერიოზული გავლენა სრულიად ესპანეთის ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ კატალონიის გარდა არცერთ რეგიონში ამ იდეას არ მიეცა პრაქტიკაში რეალიზების შესაძლებლობა (რისი მიზეზიც ძირითადად სხვა რეგიონებში არსებული

პარტიების ძველი წესრიგის მიმართ შემგუებლობა და ცვლილებების მიმართ შიში იყო)(Ehrlich, 1995), ფაქტია, რომ კატალონიას ესპანური სახელმწიფოსათვის საკმაოდ სერიოზული დატვირთვა ჰქონდა არა მხოლოდ ფორმალური, არამედ რეალური პოლიტიკური პროცესის თვალსაზრისით. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ "მანკომუნიტატს" ირჩევდა კატალონიის პროვინციების მასშტაბით მოქმედი გენერალური ასამბლეა და მის სათავეში იყვნენ პრეზიდენტი და მისი 8-კაციანი საბჭო. 1914 წელს პრეზიდენტის თანამდებობაზე პირველად პრატ დე ლა რიბა აირჩა, რომელმაც "მანკომუნიტატის" ადგილობრივი მმართველობის გაფართოება და ამ პროექტის სრულიად ესპანეთის მასშტაბით პოპულარიზაცია მოინდომა (Ehrlich, 1995). პრაქტიკულად, კიდევ ერთხელ ჩანს, რომ ესპანელები ლოიალურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ კატალონიაში მიმდინარე პოლიტიკური სიახლეების მიმართ და ცდილობდნენ, გარკვეული ხასიათის ავტონომიური მმართველობისათვის შეეწყოთ ხელი კატალონიის ადგილობრივ დონეზე. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ კარგი მდგომარეობა ჰქონდა კატალონიას ესპანეთის სივრცეში და ესპანელებს თავადაც აინტერესებდათ კატალონიელთა მიდგომები პოლიტიკური პროცესის განახლებასთან დაკავშირებით. თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პრატ დე ლა რიბას რეგიონის ხელმძღვანელის პოზიციაზე მუშაობის პროცესში სხვადასხვა პარტიას მასთან თანამშრომლობის სურვილი ჰქონდა და მასთან ურთიერთობებისას ინოვაციური მიდგომები ჩამოიყალიბეს თვით "რადიკალმა რესპუბლიკელებმა" და ე. წ. დინასტიური პოლიტიკური გაერთიანებების წარმომადგენლებმაც კი (Ehrlich, 1995), კიდევ ერთხელ ცხადი გახდება ის პოლიტიკური სიჯანსაღე და ცოცხალი პროცესი, რომელიც "მანკომუნიტატის" დაკანონებამ და პრაქტიკაში ამოქმედებამ შემოიტანა რეგიონში. აქ ისიც ნათელია, რომ ესპანელები კატალონიის ავტონომიურ პოლიტიკურ პროცესებს, ბასკებთან შედარებით, უფრო ლმობიერად და დადებითად უყურებდნენ და მათ აძლევდნენ

დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმის უფლებას რეგიონის შიგნით, რაც, ბუნებრივია, მათ პოზიციებს აძლიერებდა მთელი ესპანეთის მასშტაბითაც. პრატის შესახებ, ელრიჩი გადმოსცემს, რომ მას კატალონიაში იცნობდნენ, როგორც ზეპარტიულ ფიგურას, რომელიც, პირველ რიგში, კატალონიური ეთნოსის კეთილდღეობის განვითარებისათვის შრომობდა და მხოლოდ ამის შემდეგ ამახვილებდა ყურადღებას პოლიტიკურ საკითხებზე (Ehrlich, 1995). აქ ჩანს, რომ ესპანელების ხელშეწყობით კატალონიელებმა საკუთარი თავისუფლების ხარისხით იმდენად ჯანსაღი ხედვები და იდეები ჩამოაყალიბეს პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებით, რომ ჯანსაღი პარტიული კონკურენციისა და აზრთა სხვადასხვაობის პირობებში ეთნიკური უმცირესობის მასშტაბით გარკვეულ საკითხებზე შეჯერება და კონსენსუსიც ხერხდებოდა.

ამ ყოველივეს ფონზე, მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ 1917 წელს კამბომ, პრაქტიკულად, მოიპოვა სერიოზული ნდობა და გავლენა ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან. ის იმჟამად რეალურად ცენტრალური ხელისუფლების მთავარი მრჩეველი იყო მინისტრების დანიშვნის, საერთაშორისო შეთანხმებების დადებისა და კიდევ არაერთი ეროვნული საკითხის გადაწყვეტის მიმართულებით. მან ესპანეთის მონარქის შეთავაზებით კოალიციური მთავრობის ფორმირებაში მიიღო მონაწილეობა, რომელშიც “ლიგა რეჯიონალისტას” ორი წარმომადგენელი დაინიშნა მინისტრების პოსტებზე (Ehrlich, 1995). ეს საკმაოდ სერიოზულ აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ კატალონიელების როლი ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისა და ზოგადად ესპანური პოლიტიკურ პროცესის მსვლელობაში ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ამ მხრივ, ლოგიკა გვიბიძგებს იმისკენ, რომ, პრაქტიკულად, ესპანელებისაგან სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდათ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე მნიშვნელოვანი იდეები შეეტანათ სახელმწიფოს პოლიტიკურ ამინდში. ეს კი ბუნებრივია, მიანიშნებს, რომ კატალონიელთათვის არაძალადობრივი მეთოდებით

ურთიერთობა ესპანელებთან უფრო ხელსაყრელი იყო, ვიდრე იარაღის ენით ლაპარაკი, რადგან მათ პოლიტიკური წონა თანდათან უფრო ძლიერდებოდა ქვეყნის მასშტაბით. ამ ყოველივეს ფონზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალია გასათვალისწინებელი: "ლიგა რეჯიონალისტას" ავტორიტეტის ამგვარი გაფართოების მიუხედავად, მისი ლიდერები და წევრები ყველაზე მნიშვნელოვან უპირატესობად მაინც პარტიათა შორის დიალოგსა და სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან კავშირების დამყარებას მიიჩნევდნენ. იმ პერიოდისათვის პარტიას მართვის სადავეები ეკავა როგორც ბარსელონის ადგილობრივ მმართველობაში, ისე "მანკომუნიტატში" და როგორც აღინიშნა, სერიოზული გავლენებით სარგებლობდა ცენტრალურ ხელისუფლებაშიც (Ehrlich, 1995). ეს ფაქტები კიდევ ერთხელ აჩვენებს კატალონიელთა პოლიტიკური თვალსაზრისით განვითარების ხარისხს ესპანურ სახელმწიფოში და იმაზე მიუთითებს, რომ ესპანელებს საკმაოდ სერიოზული მიდგომები ჰქონდათ კატალონიელთა პოლიტიკური წონის მიმართ სახელმწიფოში. ფაქტების ანალიზიდან ჩანს, რომ კატალონიაში ადგილობრივ დონეზე მოღვაწე პოლიტიკოსებსა და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს საკმაოდ მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდათ ესპანური ცხოვრების მიმდინარეობაზე მე-20 საუკუნის საწყის პერიოდში.

ამ მხრივ, 1919-1920 წლებში "ლიგა რეჯიონალისტასა" და მისი კოალიციური პარტნიორების მიმართ კატალონიელთა ელექტორალური მხარდაჭერა კიდევ უფრო გაიზარდა. 1919 წლის მუნიციპალურ არჩევნებში "ლიგა რეჯიონალისტასა" და მისი პარტნიორების ჯამურმა შედეგმა ადგილობრივ საბჭოში 30 კაცამდე გაზარდა მათი წარმომადგენლობა და მათი წარმომადგენლებიდან აირჩნენ პროვინციების ლიდერებიც, ხოლო 1920 წლის ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებზე კი "ლიგა რეჯიონალისტა" აღმოჩნდა მოწინავე პოლიტიკური გუნდი, რომლის რიგებიდანაც ყველაზე მეტი კანონმდებელი აირჩა კორტესებში კატალონიის მასშტაბით (Ehrlich, 1995). ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს

როგორც “ლიგა რეჯიონალისტას” სიძლიერეზე ესპანეთისა და თავისი რეგიონის მასშტაბით, ისე უშუალოდ კატალონიის რეგიონის სიჯანსაღეზე საარჩევნო და პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ პროცესებში კი მნიშვნლოვნად ჩანს ესპანელების დადებითი დამოკიდებულება კატალონიის ამგვარი განვითარების საკითხში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრსა და პერიფერიას შორის სრულად ჰარმონიული ურთიერთობები ყოველთვის არ იყო. საინტერესოა, რომ 1910-იანი წლების ბოლოს “ლიგა რეჯიონალისტა” და ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლება ვერ შეთანხმდნენ კატალონიელთა ავტონომიის არსზე. რეალურად, “ლიგა რეჯიონალისტა” არ დათანხმდა ცენტრალური ხელსიუფლების მხრიდან მოწოდებულ გარკვეულ წინადადებებს. ამ პერიოდში წარმოიშვა ახალგაზრდების საპროტესტო მოძრაობა კატალონიაში, რომელსაც ყურადღება მიაქციეს რეგიონის მასშტაბით არსებულმა მემარცხენე პოლიტიკურმა ძალებმა. ახალგაზრდულ ჯგუფებს გარკვეული რადიკალიზმიც ახასიათებდათ. ამ მხრივ, დაიწყო “ლიგა რეჯიონალისტას” რეიტინგის დაქვეითება. მიუხედავად ამისა, მემარცხენეებს არ სურდათ რეგიონში არსებული წესრიგის აღრევა და მათ რეალურად “ლიგა რეჯიონალისტას” მხარდამჭერების მეშვეობით გადაწყვიტეს აღნიშნული გამოსვლებით შექმნილი მცირედი პრობლემები რეგიონის მოწესრიგებულ მდგომარეობაში და ნორმალურ პარტიულ კონკურენციაში ამჯობინეს პირველობისათვის ბრძოლა (Ehrlich, 1995). ეს აჩვენებს, რომ ერთი მხრივ, ნორმალურ რეჟიმში მიდიოდა კატალონიელთა მოლაპარაკებები ესპანელებთან ავტონომიასთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ აზრთა სხვადასხვაობა იკვეთებოდა და შეთანხმების მიღწევა არც ისე იოლი იყო. მეორე მხრივ კი პროტესტის მასშტაბები რეგიონში ძირითადად მშვიდობიანი ხასიათის იყო და წესრიგიდან მცირედით გადახვევაც კი ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისათვის არ იყო მიზანშეწონილი. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მთლიანობაში კატალონიელებს მშვიდობიანი თანაცხოვრება სურდათ ესპანელებთან და აზრთა სხვადასხვაობის

მიუხედავად ძალადობაზე წასვლას ამ ეტაპზე ნამდვილად არ მიმართავდნენ.

ამასობაში "ლიგა რეჯიონალისტას" რეიტინგის ვარდნამ მას წარუმატებლობა მოუტანა 1923 წლის პროვინციულ არჩევნებზე. კამბომ დატოვა თავისი თანამდებობა. მიუხედავად ამისა, რეგიონის ძირითად მოსახლეობაში კამბოსა და მისი თანაგუნდელების აზრები ესპანელებთან კომპრომისული დიალოგის შესახებ არ ჩამცხრალა. რეალურად, პრიმო დე რივერას მმართველობის ბოლოს, 1930-იანი წლების პერიოდში უკვე რეფორმირებულმა "ლიგა რეჯიონალისტამ", რომელსაც "კატალონიის ლიგა" ერქვა ახალ სახელად, კვლავ შეძლო პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა (Ehrlich, 1995). ეს ყოველივე მიუთითებს, რომ კატალონიაში დანერგილი პოლიტიკური სიჯანსაღე, რომელსაც ესპანელები წლების განმავლობაში უწყობდნენ ხელს, საკმაოდ სერიოზული ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა კატალონიელთათვის, რომ აქ პრიმო დე რივერას დიქტატურამ, რომელმაც "მანკომუნიტატი" მრავალმხრივ შეზღუდა, საბოლოოდ ვერ გათელა ეს პოლიტიკური სიჯნასაღე. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1901 წლიდან მოყოლებული 1923 წლის ჩათვლით "ლიგა რეჯიონალისტას" ესპანეთის ცენტრალური საკანონმდებლო არჩევნების შედეგად წარმომადგენლობები ყოველთვის ჰყავდა კორტესებში (1901 წელი - 6 მანდატი, 1903 წელი - 7 მანდატი, 1905 წელი - 7 მანდატი, 1907 წელი - 41 მანდატი, 1910 წელი - 8 მანდატი, 1914 წელი - 13 მანდატი, 1916 წელი - 14 მანდატი, 1918 წელი - 32 მანდატი, 1919 წელი - 23 მანდატი, 1920 წელი - 19 მანდატი, 1923 წელი - 22 მანდატი) და რეალურად, მუდმივად ახერხებდა გავლენის მოხდენას ცენტრალურ დონეზე მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე (Ehrlich, 1995), კიდევ ერთხელ დადასტურდება, რომ კატალონიას საკმაოდ მნიშვნლოვანი წონა ჰქონდა ესპანური პოლიტიკური ცხოვრებისათვის, რადგან რეგიონში წამყვანი პოლიტიკური პარტია 1923 წელის ჩათვლით სტაბილურად აძლიერებდა თავის პოზიციებს ცენტრალურ საკანონმდებლო ცხოვრებაში.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ამ პერიოდიდან უკვე თავი იჩინეს სამოქალაქო გაერთიანებებმა. სხვადასხვა ტიპის საზოგადოებრივი ჯგუფები მაქსიმალურად ცდილობდნენ, კატალონიის კულტურის განვითარებაში შეეტანათ თავიანთი წვლილი და საზოგადოებრივი ასპარეზიდან მიეღწიათ რეგიონისათვის სასარგებლო შედეგებისათვის (Conversi, 1994). ეს მეტყველებს იმაზე, რომ კატალონიაში პოლიტიკური კლასის გარდა, საკმაოდ განვითარდა სამოქალაქო თანამონაწილეობის პროცესები, რაც მთლიანობაში ჯანსაღი პოლიტიკური კულტურის გაჩენის ხელშემწყობი ფაქტორი იყო. ეს ყოველივე კი კვლავაც იმას უკავშირდება, რომ ესპანეთში კატალონიელების პოლიტიკური დატვირთვა საკმაოდ სერიოზული იყო. სწორედ კატალონიელების ამგვარი პოლიტიკური წონა და "ლიგა რეჯიონალისტას" მიერ დამკვიდრებული ამგვარი ჯანსაღი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება როგორც რეგიონში, ისე სრულიად ესპანეთში გარკვეული თვალსაზრისით იქცა იმის მიზეზად, რომ პრიმო დე რივერას მმართველობის (ამ უკანასკნელმა, როგორც ზემოთ გამოიკვეთა, კატალონიური მიწების - ბარსელონას, ჟირონის, ლეიდასა და ტარაგონას - გაერთიანების პროექტი ჩააგდო (Etherington, 2003)) შემდგომ, 1930-იანი წლების დასაწყისში კატალონიამ კვლავ მიიღო ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან მსხვილი და ნოყიერი ავტონომიური სტატუსი და მის ავტონომიურ მმართველობას სათავეში ჩაუდგა ფრანჩესკ მაცია. საინტერესოა, რომ ძველი ტენდენცია კატალონიელების ესპანეთის ცენტრალურ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით გაგრძელდა და ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების შიგნით მინისტრების პოსტები დაიკავეს ლუის ნიკოლამ, ჯეუმ კარნერმა, მარსელ ლი დომინგომ და სხვა კატალონიელმა პოლიტიკოსებმა (Ehrlich, 1995). რეალურად, ჩანს, რომ ის, რასაც ხელი შეუშალა პრიმო დე რივერას მმართველობის დაწყებამ, მოხერხდა გრძელვადიან პერსპექტივაში მეორე რესპუბლიკის პირობებში: კატალონია, რომელსაც თავისი გავლენები ყოველთვის მზარდი ჰქონდა ესპანურ პოლიტიკაში, მიუხედავად

“მანკომუნიტატისა” და “ლიგა რეჯიონალისტას” რაღაც ეტაპზე განცდილი წარუმატებლობებისა, მთლიანობაში მაინც მივიდა 1930-იან წლებში ფართო ავტონომიურ მმართველობამდე. ეს მიანიშნებს, რომ კატალონიელები, რომლებიც წლების განმავლობაში ხვეწავდნენ თავიანთ პოლიტიკურ გარემოს და სიტყვა ეთქმოდათ ზოგად ესპანურ პოლიტიკაშიც, საკმაოდ ანგარიშგასაწევ ეთნიკურ უმცირესობად ითვლებოდნენ ესპანელებისათვის. როგორც ჩანს, ამაზე იმოქმედა იმანაც, რომ თავად კატალონიელების დიდი სურვილი იყო ესპანური სახელმწიფოს ნაწილად დარჩენა და ესპანურ საზოგადოებრივ სივრცეში სრულფასოვანი ინტეგრირება.

ყოველივე ზემოხსენებულის ფონზე, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ავტონომიური სტატუსი რეგიონს ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე 600 000 კატალონიელის (ჯამში 800 000 გამოკითხულიდან) დადებითი პასუხის საფუძველზე მიენიჭა (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ გამოიკვეთება, რომ ესპანეთში კატალონიური ეთნოსის მიმართ დამოკიდებულება გაცილებით ლოიალური და შემწყნარებლური იყო, ვიდრე ბასკების. “ზოგიერთ მიმართულებაში, კატალონია იქცა რადიკალური ინოვაციების თეატრად ევროპაში”, - წერს დენიელ კონვერსი (Conversi, 1994, გვ. 72). ეს ყოველივე მიანიშნებს, რომ კატალონიის მასშტაბი და ავტორიტეტი არა მხოლოდ საკუთარი ქვეყნის, არამედ სრულიად ევროპის სივრცეშიც თვალსაჩინო იყო. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მათი პოლიტიკური წონა ძალზე შესამჩნევი იყო და ამაში მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა იმას, რომ კატალონიელები დაფასებულად გრძნობდნენ თავს ესპანეთში, რაც მათ უძლიერებდა ესპანური სახელმწიფოს შიგნით ღირსეულად დამკვიდრების სურვილს. ეთნიკური უმცირესობის რაციონალური არჩევანი ამ შემთხვევაში ფაქტია არაძალადობრივი მიდგომები იქნებოდა, რადგან არავითარი ძალადობრივი ნაბიჯი იმჟამად მას ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ არ გადაუდგამს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ იმჟამად კატალონიის საშუალო განათლების სისტემა რეალურად მისაბაძ მოდელად იქცა არა მხოლოდ

ერთი კონტინენტის, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც კი (Conversi, 1994), ეს, პრაქტიკულად, უბრუნდება სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორის ნაწილში განხილულ მსჯელობას განათლების სისტემის სიძლიერის შესახებ კატალონიის მასშტაბით და მიანიშნებს, რომ ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის შედეგად არა მხოლოდ პარტიული პოლიტიკა და პოლიტიკურ პროცესებში კატალონიელთა მონაწილეობის საკითხები დაიხვეწა, არამედ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისითაც ძალზე მნიშნველოვანი გავლენა იქონიეს კატალონიელებმა მრავალი მიმართულებით. ეს კი კვლავ იმ ლოგიკას უბრუნდება, რომ კატალონიელებს ესპანელებმა შეუქმნეს მეტ-ნაკლებად თავისუფალი სივრცე საკუთარი პოლიტიკური მოღვაწეობისათვის და გარკვეული უთანხმოებების მიუხედავად, ძირითადი ტენდენცია ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობებში მაინც პოზიტიური იყო. საინტერესოა, რომ 1931 წელს, მას შემდეგ, რაც მუნიციპალურმა არჩევნებმა მონარქიული ხელისუფლების დაცემას შეუწყო ხელი, ეთნოსმა საკუთარი მოთხოვნები წამოაყენა ცენტრალურ ხელისუფლებასთან და მიაღწია შეთანხმებას "გენერალიტეტის" ჩამოყალიბების შესახებ. სწორედ ამის შემდგომ მიიღო კატალონიამ ზემოხსენებული ფართო ავტონომია თავისი მოქნილი ფინანსური და ინსტიტუციური ბერკეტებით. ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც 1932 წლის არჩევნებით დაკომპლექტდა, იყო ამ ფინანსურ-ადმინისტრაციული ბერკეტების ზედამხედველი ორგანო ("The contemporary Government of Catalonia (20th and 21st centuries)", 2021). რეალურად, ჩანს, რომ კატალონიელთა პოლიტიკური სიჯანსაღე ძალზე გამოსადეგი აღმოჩნდა ძალადობრივი ხაზით კონფლიქტის წარმართვის პრევენციისათვის. მაშინ, როდესაც მეორე რესპუბლიკა ფეხს იკიდებდა და ცვლილებები მიმდინარეობდა ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, კატალონიელები კვლავ ცდილობდნენ, კომპრომისული გზით გადაელახათ ნებისმიერი წინააღმდეგობა თუ გამოწვევა. როგორც ჩანს, ეს სერიოზული ფაქტორი იყო, ცენტრალური

ხელისუფლების მხრიდან მათთან დათმობებზე წასასვლელად, რაც მთლიანობაში ისევ და ისევ კატალონიელთა პოლიტიკურ წონას ამაღლებდა ესპანეთის მასშტაბით. ამასთანავე, კვლავ ჩანს ესპანელთა პოლიტიკური ნება რეგიონში არჩევითი ორგანოების არჩევნების გზით დაკომპლექტებასთან დაკავშირებით, რაც კვლავ კატალონიელთა სოციალური სტატუსის ამაღლებისაკენ გადადგმული ნაბიჯი იყო.

ამასობაში 1933-1936 წლებში კატალონიის მასშტაბით მემარცხენე პარტიების კონტროლქვეშ გადავიდა როგორც "გენერალიტეტი", ისე რეგიონის უმეტესი ქალაქები. საინტერესოა, რომ 1936 წელს მემარცხენე პარტიათა "სახალხო ფრონტის" კოალიციურმა ძალამ არჩევნების გზით მოახერხა ესპანეთის სათავეში მოსვლა. იმ პერიოდისათვის კატალონიის სათავეში იყვნენ „რესპუბლიკელი მემარცხენეები" („რესპუბლიკელი მემარცხენეები"), ანარქისტული პოლიტიკური ჯგუფი "CNT" და „უნიო დე რიბასარესი" (Conversi, 1994). ეს ყოველივე მიანიშნებს იმაზე, რომ გარკვეული ცვლილებების მიუხედავად პოლიტიკური პროცესი მაინც აქტიურად მიმდინარეობდა კატალონიის რეგიონში და თავის მხრივ, გარკვეულ როლს ასრულებდა ესპანეთის ზოგად პოლიტიკურ მდგომარეობაში. საინტერესოა, რომ იმ დროისათვის კატალონია აღიქმებოდა, როგორც ესპანეთის ტერიტორიაზე არსებული "ასოციაციური და ინტელექტუალური პოტენციალის ძალზე განვითარებული ტრადიციის მქონე მიწა" (Conversi, 1994, გვ. 137). აქ იკვეთება ის, რომ კატალონია მთლიანი ესპანეთის მასშტაბით იყო რეგიონი, რომელშიც ძალზე განვითარებული იყო პოლიტიკური პროცესები და სხვა რეგიონებთან შედარებით მომწიფებული იყო საზოგადობრივი ჩართულობის საკითხები. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ ახასიათებს კატალონიის ზოგად მდგომარეობას კონვერსი ფრანკოს მმართველობის პირობებში შემდეგი სიტყვებით:

> ...კატალანიზმი ემსახურებოდა თავისი ძლიერი კულტურული ხასიათის ხაზგასმასა და მიზეზებს იმისა, თუ რატომ ჩამოყალიბდა

> იგი ფართო არაძალადობრივ, კლასთაშორის და ინტერპარტიულ ალიანსად. ბასკეთის ქეისისგან განსხვავებით, …კატალანიზმის მრავლისმომცველი კულტურული ბუნება არსულებდა სტიმულის როლს ძველი იდოლოგიური წინააღმდეგობების მოწესრიგების საკითხში. ის ქმნიდა საფუძველს არაძალადობრივი დემოკრატიული მოძრაობისათვის დიქტატურის დაცემის ფონზე ადგილობრივ პოლიტიკას წაახალისებდა (Conversi, 1994, გვ. 135)

ეს, პრაქტიკულად, აჩვენებს, რომ მიუხედავად ფრანკოს დიქტატურის პრობლემური ხასიათისა, კატალონიელთა ეთნოსის მიდრეკილებები მთლიანობაში არაძალადობრივი იყო, რადგან მისი ზოგადი ხასიათი ისევ და ისევ პარტიათა შორის დიალოგსა და კლასობრივი განსხვავების მიუხედავად, ურთიერთგატანას ემსახურებოდა. ამაში კი ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა წლების მანძილზე იმ პოლიტიკურმა წონამ, რომელიც კატალონიამ შეიძინა ესპანეთის სახელმწიფოში ესპანელების ხელშეწყობით როგორც საკუთარი რეგიონის მასშტაბით, ისე ცენტრალურ დონეზე.

საინტერესოა, რომ ფრანკოს რეჟიმის საწყის ეტაპზე, ეთნიკური უმცირესობების მხრიდან შესაძლო გამოყოფის სურვილით შეშინებული ცენტრალური ხელისუფლება გარკვეულ წნეხს ახორციელებდა როგორც ლინგვისტური, ისე კულტურული თვალსაზრისით თითქმის ყველა ეთნოსის, მათ შორის კატალონიელების მიმართ. ამ მხრივ, მიუხედავად გარკვეული სირთულეებისა, კატალონიელებმა მაინც შეძლეს საერთო ენის გამონახვა ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ეს განსაკუთრებით მოხერხდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, როდესაც, როგორც ზემოთ მოცემულ ანალიზში გამოიკვეთა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ გარკვეულ დათმობებზე დაიწყო წასვლა კატალონიელებთან, იქნებოდა ეს სპექტაკლებისა თუ თეატრალური წარმოდგენების კატალონიურ ენაზე დაშვება, ლიტერატურული კონკურსების გამართვა (აქ განსაკუთრებით გამოსაკვეთია გარემოება, რომ ამ პერიოდიდან კატალონიაში ამგვარი

ღონისძიებების გამართვაში პოლიტიკური ელიტის გარდა ჩაერთო ადგილობრივი კერძო სექტორიც), კატალონიელი საზოგადო მოღვაწეების, მაგალითად, კარლს რიბას, პელე კუარტისა და სხვათა აქტიურად ინტეგრირება საზოგადოებრივ აქტივობებში და ა. შ. (Conversi, 1994). მთლიანი სურათი აჩვენებს, რომ მიუხედავად ფრანკოს ხელისუფლების მხრიდან თავდაპირველად კატალონიელთათვის დაწესებული გარკვეული ბარიერებისა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ 1940-იან წლებში კვლავ გააჯანსაღა კატალონიის პოლიტიკური მდგომარეობა ესპანეთს შიგნით. ეს მოწმობს იმას, რომ მიუხედავად ცენტრალურ ხელისუფლებაში არსებული პოლიტიკური გუნდისა და რეჟიმის ხასიათისა, ესპანელებს გრძელვადიან პერსპექტივაში კატალონიელთა თავიან ქვეყანაში სოციალური სტატუსის საკითხი აღელვებდათ. როგორც ჩანს, ეს უკავშირდება იმ საკითხს, რომ თავად კატალონიელები საკუთარ ეთნოსს ესპანური საზოგადოების შემადგენელ ნაწილად მიიჩნევდნენ და ადრე თუ გვიან, ამას ყველა ხელისუფლება მეტ-ნაკლებად იაზრდებდა ესპანეთში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცენტრსა და პერიფერიას შორის მრავალწლიანი თბილი ურთიერთობები, როგორც ანალიზიდან იკვეთება, სერიოზული ფაქტორი აღმოჩნდა კატალონიელთათვის, რომ მათ გარკვეული წნეხისათვის გაეძლოთ ფრანკოს მმართველობის დასაწყისში. რასაკვირველია, აქ კიდევ ერთხელ ჩანს ის გარემოება, რომ ესპანელებსა და კატალონიელებს შორის გარკვეული განსხვავებები და წინააღმდეგობები არსებობდა და სრული ჰარმონია მათ ურთიერთობებში ნამდვილად არ სუფევდა, თუმცა ბასკებისაგან განსხვავებით, სიტუაციის განმუხტვის, კომპრომისების გამოძებნისა და მშვიდობიანი, არაძალადობრივი გზით პრობლემების გადაწყვეტისათვის სივრცე ყოველთვის არსებობდა. საინტერესოა ასევე გამომცემლობა "სელექტას" მიერ 1955 წელს ჯოზეფ ფერატერის წიგნის "კატალონიური ცხოვრების ფორმების" გამოცემა. ამ წიგნში აქცენტი იყო კატალონიური ეთნოსის მხრიდან ახალ გამოწვევებთან ადაპტირების აუცილებლობაზე და ასევე, ანტისეცესიონისტურ, ესპანურ

სახელმწიფოში დარჩენის საკითხზე (Conversi, 1994). ეს მიანიშნებს იმაზე, რომ კატალონიელთა შორის არ ჩამცხრალა სურვილი ესპანურ სახელმწიფოში დარჩენისა და განვითარების შესახებ, რაც კიდევ ადასტურებს იმას, თუ რატომ ნარჩუნდებოდა ამ დრომდე არაძალადობრივი ხასიათის მიდგომები პერიფერიისა და ცენტრის ურთიერთობებში. კატალონიის სამოქალაქო კოდექსის თავად კატალონიელთა ხედვების შესაბამისად მოდიფიცირება ფრანკოს რეგიონში ჩასვლის პერიოდში (Conversi, 1994) კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ კატალონიელთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური იდეების გათვალისწინება კვლავ მიმდინარეობდა ესპანელთა მხრიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ კატალონიელების პოლიტიკური წონა ესპანეთის საზღვრებში ნორმალურ მდგომარეობაში იყო და ფრანკოს პერიოდში გარკვეული ხარვეზების მიუხედავად მაინც სიმშვიდე სუფევდა რეგიონში, კატალონიელებმა წამოიწყეს მშვიდობიანი არაძალადობრივი ხასიათის მოძრაობა 1960-იან წლებში სახელწოდებით “ნოვა კანცო” (“ახალი სიმღერა”), რომელიც მშვიდობიანი ხასიათის პროტესტს გადმოსცემდა რეჟიმის მიმართ. ეს იყო შემოქმედებითი ადამიანების გაერთიანება, რომელიც არ იზიარებდა ძალადობრივ მიდგომებს ესპანელებთან ურთიერთობისათვის და მშვიდობიანი ფორმით სურდა კატალონიური ენის პოპულარიზაცია (Conversi, 1994). ეს აჩვენებს, რომ კატალონიელებმა, მიუხედავად ხელისუფლებასთან მათი გარკვეული უთანხმოებისა, მაინც გადაწყვიტეს მშვიდობიანი ფორმით მიეტანათ თავიანთი სათქმელი ადრესატამდე. პრაქტიკულად, წლების განმავლობაში არსებული ნორმალური ხასიათის ურთიერთობები კალაპოტიდან არ ამოვარდნილა და როცა საქმე პროტესტს ეხებოდა, მაშინაც კი ამას ეძლეოდა მშვიდობიანი ხასიათი. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ცენტრალურ ხელისუფლებასა და ეთნიკურ უმცირესობას შორის ყოველთვის გამოიძებნებოდა რესურსი კომპრომისული გარემოს შესაქმნელად. თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული მოძრაობა სიმღერებს ყოველგვარი მატერიალური სარგებლის

მიღების გარეშე მღეროდა მრავალ საზოგადოებრივ ადგილას, დაწყებული უნივერსიტეტებიდან, ბოისკაუტების თავშეყრის ადგილებით დამთავრებული. როგორც ზემოთ მოცემულ ანალიზში გამოიკვეთა, კატალონიელთა ეთნოსისათვის კასტილიური ენა სავსებით მისაღები იყო (Smith, 2014), თუმცა მათ არც კატალონიური ენის შეზღუდვები სურდათ. სწორედ ამ მოტივით კატალონიაში არსებული პოლიტიკური ძალები, რომელთა შორისაც იყვნენ ნაციონსლისტრუი, კომუნისტური, სოციალისტური, ანარქისტული და კათოლიკური მსოფლმხედველობის ფიგურები, გაერთიანდნენ. აღნიშნულ პოლიტიკურ ძალებს, რომელთაც კატალონიის ესპანეთის საზღვრებს შიგნით ავტონომიის გაფართოება სურდათ, მათ შორის ეთნო-ლინგვისტური თვალსაზრისით, ანალოგიური მოთხოვნის საფუძველზე შეუართდნენ როგორც პროფესიული კავშირები, ისე სხვადასხვა ახალგაზრდული თუ მოხალისეობრივ საფუძვლებზე ჩამოყალიბებული ორგანიზაციები (Conversi, 1994). ეს მოცემულობა შემდგომ რეალობას აჩვენებს: მიუხედავად კატალონიელების გარკვეული უთანხმოებისა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, მათ ბრძოლის გზად კვლავაც პოლიტიკური პარტიებისა და სოციალური მოძრაობების მეშვეობით მშვიდობიანი ხასიათის პროტესტის დემონსტრირება გადაწყვიტეს ცენტრის მიმართ, განსხვავებით ბასკებისაგან, რომელთათვისაც ძალადობის გამოყენება ყველაზე პრიორიტეტული იყო. რეგიონში პარტიული კონკურენცია, საჭიროების შემთხვევაში იდეოლოგიურად განსხვავებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების კოორდინირებულად მოქმედება და იარაღის ნაცვლად მშვიდობიანი მეთოდებით ხელისუფლებასთან შეთანხმების მიღწევის სურვილი აქცენტს აკეთებს კატალონიელთა პოლიტიკურ სიმწიფეზე, რაც დიდწილად განაპირობა ამ ეთნიკური უმცირესობის პოლიტიკური მნიშვნელობის ამაღლებამ ესპანელთა მხრიდან. ფაქტია, რომ ვერავითარმა რყევებმა და პრობლემებმა ვერ შეუშალა ხელი ძირითად ტენდენციას კატალონიელთა ესპანურ სახელმწიფოში დარჩენის სურვილთან

დაკავშირებით. ზემოთ გაკეთდა აქცენტი კატალონიაში სხვადასხვა სამოყვარულო გაერთიანებასა და საზოგადოებრივად აქტიურ ჯგუფებზე. მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფს შორის კოორდინირებული მოქმედება, რეალურად, იქცა ძალიან სერიოზულ საყრდენად მშვიდობიანი ფორმით ხელისუფლებისათვის მოთხოვნების წაყენებისათვის (Conversi, 1994). შეიძლება ითქვას, რომ ადრე გაძლიერებული სოლიდარობა კატალონიურ ეთნოსში კვლავ აღდგა და თან ბევრად უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინა.

თუ ხაზი გაესმება იმ გარემოებას, რომ არაერთი ინტერეს ჯგუფი გახდა კატალონიაში თვითმმართველი უფლებების ზრდის მოთხოვნის თანაზიარი, იქნებოდნენ ისინი ფოლკლორული სიმღერების მომღერლები თუ სხვადასხვა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, ფეხბურთის მოყვარულები თუ სკაუტები, მოცეკვავეები თუ სხვადასხვა ჰობის გარშემო გაერთიანებული ადამიანები (Conversi, 1994), ნათელი გახდება ისიც, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრისთვის კატალონიური ეთნოსი საზოგადოებრივად იმდენად გამობრძმედილი იყო, რომ ამ დროისათვის არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები, არამედ საკმაოდ აქტიური სამოქალაქო გაერთიანებებიც არსებობდა. აქ ისიც მნიშვნელოვანია, რომ ყველა აღნიშნული კატალონიური ჯგუფი აფასებდა მრავალწლიან დადებით დამოკიდებულებასა და დაფასებას ესპანელთა მხრიდან, რის გამოც მათი რაციონალური არჩევანი კვლავ არაძალადობრივი გზით ხელისუფლებისათვის მოთხოვნების წაყენება და წარმატების სისხლისღვრის გარეშე მიღწევა იყო. სხვათა შორის, სკაუტების მოძრაობა საკმაოდ სერიოზული სოციალური კაპიტალის შემქმნელი აქტორი გახდა იმჟამინდელ კატალონიაში. მათი წიაღიდან შემდგომ პოლიტიკასა და საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე არაერთი ადამიანი ჩამოყალიბდა, რომ აღარაფერი ითქვას 1970-იანი წლების დასაწყისისათვის მათთან ასოცირებული ადამიანების რიცხვის 10 000-მდე ზრდის შესახებ (Conversi, 1994). ეს ყოველივე მიუთითებს, რომ კატალონიაში საზოგადოებრივი

წრეები თავიანთ სათქმელს ყოველთვის ხმამაღლა ამბობდნენ და მათთან ერთად ადგილობრივი პოლიტიკური ძალები არა მხოლოდ პოლიტიკური აქტივების მოპოვებაზე, არამედ ზოგადად რეგიონის გაძლიერებაზე კოორდინირებულად მოქმედებას სერიოზულად განიხილავდნენ. ეს ყოველივე კი მიუთითებს კატალონიური ეთნიკური უმცირესობის პოლიტიკური და სამოქალაქო თვალსაზრისით მომწიფებულობასა და მოქნილობაზე. მიუხედავად იმისა, რომ დიქტატურის პირობებში 1940-1960-იან წლებში ამგვარ ჯგუფებს მაინც გარკვეული შეზღუდვები ჰქონდათ, "...კატალონიური სამოქალაქო საზოგადოება ყვაოდა ყველა დონეზე, ისეთი კრეატიული სიძლიერით, რომელიც სხვაგან არსად იკვეთებოდა და რომელიც განპირობებული იყო ეთნოსში ორგანიზაციული ავტონომიის მანამდე არსებული ინდივიდუალისტური ტრადიციით" (Conversi, 1994, გვ. 157). პრაქტიკულად, ჩანს, რომ საკმაოდ ძლიერი იყო კატალონიაში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლების ჩართულობის ხარისხი საზოგადოებრივ პროცესებში და რეალურად, როგორც რეგიონის, ისე სახელმწიფოებრივი აზროვნების თვალსაზრისით კატალონიელები საკმაოდ შორს იყვნენ ესპანეთის ტერიტორიაზე არსებულ სხვა ეთნოსებთან, მათ შორის ბასკებთან შედარებით. ამას ისიც ემატება, რომ კატალონიელები ესპანეთში მე-19 საუკუნის პერიოდიდან მოყოლებული ამ დრომდე ინარჩუნებდნენ სტაბილურ პოლიტიკურ სიტუაციას და ასევე პოლიტიკურ წონას, მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არსებული გარკვეული პრობლემებისა. ამ მხრივ, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ საზოგადოებრივი თვალსაზრისით განვითარებული ეთნოსი ნაბიჯების გადადგმას განაგრძობდა "...ძალადობრივი სტრატეგიების გამოყენების გარეშე" (Conversi, 1994, გვ. 157), რადგან სახეზე იყო "...კატალონიური კულტურის მოულოდნელი აღმავლობა ყველა მიმართულებით თავისუფლების პირველივე გამოვლინებისთანავე" (Conversi, 1994, გვ. 157). ეს კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ ანახებს, რომ ესპანელების მხრიდან წლების მანძილზე ჩამოყალიბებული დადებითი

დამოკიდებულება კატალონიური ეთნიკური უმცირესობის მიმართ აღმოჩნდა სერიოზული წინაპირობა იმისა, რომ გარკვეულ ეტაპზე შერყეული ურთიერთობების დროს არაძალადობრივი, მშვიდობიანი ხასიათის პროტესტი გამოეხატათ კატალონიელებს თავიანთი გაძლიერებული სამოქალაქო გაერთიანებებით ცენტრალური ხელსიუფლების მიმართ და ემოქმედათ იმ სივრცეში, რომელშიც კომპრომისების გამოძებნის შესაძლებლობა კვლავაც არსებობდა.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რომ 1970-იანი წლების დასაწყისში, როდესაც გადაწყდა მონარქიის აღდგენის საკითხი ესპანეთში, ბასკეთში მიმდინარე ძალადობრივი კონფლიქტის ფონზე კატალონიაში მიმდინარეობდა კვლავ მშვიდობიანი პროტესტი სახელწოდებით "კატალონიური ენის სკოლისათვის". 1971 წელს, პრაქტიკულად, ძალზე შთამბეჭდავი ისტორიული შინაარსის ამბავი მოხდა კატალონიაში, რადგან პოლიტიკურმა გაერთიანებებმა რეგიონში შექმნეს საკოორდინაციო ორგანო სახელწოდებით "კატალონიის ასამბლეა". აღნიშნული ორგანო პოლიტიკურად ძალზე ჰეტეროგენური იყო, რადგან მასში ძირითადი კომუნისტური მსოფლმხედველობის პოლიტიკური გაერთიანების გარდა, შედიოდნენ სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტური, ლიბერალური, ნაციონალისტური და მემარცხენე მიმართულების ნაციონალისტური, კათოლიკური და კიდევ სხვა იდელოგიური მრწამსის მიმდევარი პოლიტიკური ჯგუფები (Conversi, 1994). ეს აჩვენებს, რომ მიუხედავად სხვა რეგიონში განვითარებული ძალადობრივი კამპანიისა, კატალონიამ შეინარჩუნა მეტ-ნაკლებად სტაბილური მდგომარეობა და თავისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური სიმწიფის გამორჩეული ხარისხი აჩვენა, რადგან შესაძლებელი გახდა განსხვავებული შეხედულებებისა და მიდგომების მქონე პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან გადაკვეთის საერთოდ წერტილების მოძებნა ეთნოსისათვის სასარგებლო საქმის გასაკეთებლად. ეს, თავის მხრივ, იმ იდეასაც უქმნის არსებობის საფუძველს, რომ კატალონიელებს როგორც ერთმანეთში, ისე ესპანელებთანაც სურდათ

ამგვარი გადაკვეთის საერთო წერტილების მოძებნა, რათა სიტუაცია კვლავ სტაბილურად შენარჩუნებულიყო და გარკვეული უთანხმოების მიუხედავად, ძალადობისაკენ არ გადახრილიყო. ამაში კი, ბუნებრივია, ისევ და ისევ, სერიოზული წვლილი ჰქონდა კატალონიის პოლიტიკურ სიძლიერეს ესპანურ სახელმწიფოში.

მნიშვნელოვანი საკითხია, რომ აღნიშნული საზოგადოებრივი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა, რეჟიმის მძევალი პოლიტპატიმრების გათავისუფლებისა და საზოგადოებრივი მოძრაობების თავისუფლების ხარისხის გაძლიერების გარდა, იყო 1932 წლის მდგომარეობით ავტონომიური მდგომარეობის ჩამოყალიბება, მათ შორის ლინგვისტური უფლებამოსილებების ნაწილშიც. ბასკი ექსტრემისტების მხრიდან პრემიერ ბლანკოს მკვლელობამ ესპანეთის ზოგად პოლიტიკურ სიტუაციაში სერიოზული ბზარი შეიტანა, რამაც კატალონიაში მოღვაწე პოლიტიკურ ძალებს პოლიტიკურ პროცესებში აქტიურობის დინამიკის კიდევ უფრო გაძლიერებისაკენ უბიძგა (Conversi, 1994). ეს მოცემულობა იმის დასტურია, რომ კატალონიელთათვის მთავარი იყო თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილება, თუმცა ამ მიზნის მისაღწევად ისინი ყველანაირი საშუალების, მათ შორის პირველ რიგში ძალადობის გამოყენებაზე თანახმა არ იყვნენ. პირიქით, როგორც ანალიზიდან ცხადად ჩანს, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, საარჩევნო მარათონი, პარტიული კონკურენცია, პოლიტიკური პლატფორმების შეპირისპირება, მშვიდობიანი სოციალური მოძრაობების პროტესტი და უბრალოდ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინოვაციური იდეების გარშემო დისკუსია ექციათ ესპანელთათვის თავიანთი მოთხოვნების წაყენების ან ზოგადად ესპანელებთან ურთიერთობის ძირითად ფორმებად. ეს კი, ბუნებრივია, თუ არ გამორიცხავს, მნიშვნელოვნად ამცირებს ძალადობას. ამ მხრივ, ჩანს, რომ ისტორიის ამ ეტაპზეც, ისევე როგორც წინა პერიოდებშიც, კატალონიელებისათვის ესპანელებთან მშვიდი ხასიათის ინტერაქციის შენარჩუნება და კომპრომისული ურთიერთობების მეშვეობით სასურველი

შედეგების მიღწევა იყო. ამ ყოველივეს ფონზე, 1974 წელს ჯერ კიდევ მოქმედი რეჟიმის მხრიდან გარკვეული ცვლილებების წამოწყებამ ის შედეგი მოიტანა, რომ იმავე წლიდან რადიო "ბარსელონამ" კატალონიურ ენაზე დაიწყო მაუწყებლობა, ხოლო მომდევნო წელს წარმოშობით კატალონიელმა პოლიტიკოსმა, ჯორდი პუიოლმა სერიოზული პოლიტიკური კონსულტაციების დაწყებისაკენ მოუწოდა ადგილობრივ პარტიებსა და ფიგურებს (Conversi, 1994). ფაქტობრივად, კატალონიელები იმ გენერალური ხაზის ერთგულნი დარჩნენ, რომელიც მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მათი მთავარი გზამკვლევი იყო მოქმედებისათვის. ეს გენერალური ხაზი იყო მშვიდობიანი სახის საზოგადოებრივი, პოლიტიკური და საარჩევნო აქტივობა, რომელმაც ფრანკოს რეჟიმის რყევისა და დასასრულის პროცესში მათ სერიოზული გააქტიურებისაკენ მისცა ბიძგი. ეს ყოველივე კი კიდევ ერთხელ მიუთითებს ესპანელთა მხრიდან ეთნიკური უმცირესობის მიმართ ლოიალური დამოკიდებულების საფუძველზე წლების განმავლობაში ამ უმცირესობის პოლიტიკური წონის განვითარებით ზოგადი სოციალური სტატუსის ამაღლების საკითხზე.

მას შემდეგ, რაც მონარქმა ადოლფო სუარესი პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე დაამტკიცა, დაიწყო პოლტიკური ორგანიზაციების თანდათან დაკანონების პროცესი, რომელიც კატალონიაში მოღვაწე პოლიტიკურ პარტიებსაც ეხებოდა. "პოლიტიკური რეფორმების" შესახებ კანონი, რომელიც დემოკრატიზაციის პროცესში ახლა შესულ ცენტრალურ ესპანურ ხელისუფლებას ქვეყანაში პლურალიზმის ამოქმედების მიზნით სჭირდებოდა, კატალონიელ ამომრჩეველთა 69%-მა მოიწონა. ამან, თავის მხრივ, განამტკიცა კატალონიელებში რწმენა იმისა, რომ მათი მთავარი იარაღი კანონის ფარგლებში მოქმედება იყო საკუთარი მიზნების მიღწევისათვის. სწორედ ამან უბიძგა მონარქიის ეჭვქვეშ დაყენებისა და ცენტრალური ხელისუფლების ბიუროკრატიის პიკეტირების მიზნით მასშტაბური გამოსვლების გადაფიქრებისაკენ და აქცენტის საარჩევნო

კამპანიის მიმართულებით გადატანისაკენ, განსხვავებით ბასკებისაგან, რომლებიც ამ ცვლილებების მიუხედავადაც კი ძალადობრივი სტრატეგიის ერთგულნი რჩებოდნენ (Conversi, 1994). თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდში გამოიკვეთა ერთი სერიოზული კონტრასტი ბასკურ და კატალონიურ ეთნოსთა შორის: ის ფაქტი, რომ კატალონიელთა პოლიტიკური ასპექტის მიმართ ესპანელთა დამოკიდებულება გრძელვადიან პერსპექტივაში დადებითი იყო, გახდა წინაპირობა იმისა, რომ არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში მათ არაძალადობრივი მიდრეკილებები შეინარჩუნეს და დემოკრატიისაკენ სვლის დაწყების შემდგომ ცენტრალურ ხელისუფლებასთან საარჩევნო და პოლიტიკური მეთოდების გარდა, ყველა სხვა მეთოდი მოხსნეს ურთიერთობისათვის (მიუხედავად იმისა, რომ მათი გამოხატვის ფორმები მშვიდობიან აქციების ფორმებს არ გასცდენია). ბასკების შემთხვევაში გამოჩნდა, რომ პოლიტიკურ ნაწილში მათ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დაძაბული და რთული ურთიერთობები ჰქონდათ ესპანელებთან, რომელთა განეიტრალება თვით დემოკრატიული რეჟიმის პირობებშიც კი გართულდა, მით უმეტეს, რომ ბასკეთში უკვე ტერორისტული დაჯგუფებები არსებობდნენ ამ დროისათვის. ამ ყოველივეს ფონზე, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ პოლიტიკური პარტიების დაკანონება-გაძლიერების ზემოხსენებულ პროექტში მნიშვნელოვნად იყო გათვალისწინებული "კატალონიური ასამბლეის" ინიციატივები (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახდება კატალონიელთა პოლიტიკური წონა ესპანურ სახელმწიფოში, რომელიც 1970-იან წლების ჩათვლით გაჰყვა და დემოკრატიული პროცესების ამოქმედების პროცესში ძალზე რელევანტური გახდა ესპანურ პოლიტიკურ ცხოვრებაში. თუმცა სახელმწიფო ორგანოებზე შეტევასა და მონარქიის ლეგიტიმური ხასიათის ეჭვქვეშ დაყენებაზე უარის თქმის საკითხი არ ნიშნავს, რომ კატალონიელებმა მშვიდობიანი გამოსვლები გადაიფიქრეს. ზემოხსენებული სამი ძირითადი მოთხოვნა (ავტონომიის საკითხი, პოლიტპატიმრების თემა და გამოხატვის თავისუფლების

გაფართოება) კვლავ ძალაში იყო 1970-იანი წლების მეორე ნახევარშიც, რამაც 1977 წელს ევროპის მასშტაბით მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ყველაზე ფართო ფორმისა და შინაარსის აქცია მოიტანა კატალონიაში (ესწრებოდა 1 მილიონზე მეტი კაცი) ანალოგიური მოთხოვნების სულისკვეთებით, რამაც საგრძნობლად შეარბილა ცენტრალური ხელისუფლების მიდგომები რეგიონების, მათ შორის კატალონიის მიმართ (Conversi, 1994). ეს ფაქტი კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ დემოკრატიის რელსებზე შემდგარ ესპანეთში კატალონიელთა პოლიტიკური წონა კიდევ უფრო გაძლიერდა და მათ მიერ გამართულმა აქციამ ძალზე დიდი რაოდენობის ხალხის მობილიზება მოახდინა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მიუხედავად მემარცხენეთა განსაკუთრებული კონტრიბუციისა, ამ გამოსვლაშიც სერიოზული იყო განსხვავებული შეხედულებების მქონე პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების ჩართულობა (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ გაესმება ხაზი კატალონიელთა პოლიტიკურ სიმწიფესა და სიძლიერეს ქვეყნის შიგნით. ამ მხრივ, ლოგიკურია, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ იმავე წელს კანონიერი ფორმით დროებითი ადგილობრივი მმართველობა ჩამოაყალიბა, რომლის სათავეშიც მოიყვანა ფრანკოს რეჟიმის მიერ რეპრესირებული ჯოზეფ ტარადელასი (Conversi, 1994). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ ფრანკოს მმართველობის პერიოდში არსებული წნეხი გარკვეულ ხარვეზებს უქმნიდა რეგიონს და სრული ჰარმონია ნამდვილად არ იყო ცენტრსა და პერიფერიას შორის. თუმცა ამ ფაქტებიდან ნათელია ისიც, რომ კატალონიის პოლიტიკური სიმწიფე, რაშიც ესპანელებს წლების განმავლობაში შეჰქონდათ წვლილი, მათი მხრიდან არაძალადობრივი ხასიათის მიდგომებს უზრუნველყოფდა ცენტრალური ხელისუფლების მიმართ და გრძელვადიან პერსპექტივაში კატალონიელთა გაძლიერებისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი წინაპირობები შექმნა იმისათვის, რომ ესპანეთის დემოკრატიული ტრანსფორმაციის პროცესში კატალონიას საკმაოდ სერიოზული დინამიკა შეეტანა თავის ადგილობრივ

მმართველობაში. ამ ყოველივეს კი უკვე სავსებით ლოგიკურად მოჰყვა ავტონომია 1979 წელს, რომლის მიღების მიზნით გამართულ რეფერენდუმში ხმის მიცემის უფლების მქონე ამომრჩეველთაგან 61 პროცენტის მონაწილეობის საფუძველზე 88-პროცენტიანი მხარდაჭერა მიიღო ფართო ავტონომიის კატალონიისათვის მინიჭების საკითხმა. გარდა იმისა, რომ "გენერალიტეტისა" და საკანონმდებლო ორგანოს გაძლიერებული უფლებამოსილებებით განახლება მოჰყვა რეგიონში ამ რეფერენდუმს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგი იყო კატალონიური ენის ოფიციალური სტატუსით დაკანონება კასტილიური ენის თანაბარ დონეზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ბასკეთსაც ამ წელიწადს მიენიჭა ავტონომიური სტატუსი (Conversi, 1994). მიუხედავად იმისა, რომ ორივე რეგიონს ფრანკოს მმართველობის შემდგომი დემოკრატიზაციის პროცესში მიენიჭა ავტონომიური სტატუსი ერთსა და იმავე წელს, შეიძლება ითქვას, რომ ჩანს სერიოზული განსხვავებები. ფაქტია, რომ ბასკეთი იმგვარ დამოკიდებულებას არ გრძნობდა ესპანელთა მხრიდან მე-19 საუკუნის პერიოდიდან მოყოლებული 1979 წლის ჩათვლით, როგორსაც - კატალონია.

ის ფაქტი, რომ ბასკეთში იმ პერიოდისათვის "ETA"-ს მძვინვარება კვლავ საზოგადოებრივი მხარდაჭერით სარგებლობდა, ხოლო კატალონიაში კი წამყვან ამინდს პოლიტიკური პარტიები ქმნიდნენ და ექსტრემისტებს გასაქანი ნაკლებად ეძლეოდათ (Conversi, 1994) აჩვენებს იმ განსხვავებას, რომელმაც ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში რეგიონებში განსხვავებული მდგომარეობა ჩამოაყალიბეს ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობებში. რეალურად, ანალიზის საფუძველზე ავტონომიისაკენ სვლა ბასკეთის რეგიონში ძალადობრივი გზით მიმდინარეობდა, კატალონიაში კი - არაძალადობრივი გზით. აქ კი, პირველ რიგში, მათი ადგილობრივი და ცენტრალური თვალსაზრისით პოლიტიკური წონის მიმართ ესპანელების მიდგომაა ხაზგასასმელი. რეალურად, ბასკეთისაგან განსხვავებით, კატალონიის მიმართ შედარებით უფრო შემწყნარებლური დამოკიდებულება უზრუნველყოფდა იმას, რომ

კატალონიაში არა ძალადობრივი, ექსტრემისტული ხასიათის შეიარაღებული დაჯგუფებების სისხლისმღვრელი მიდგომებით მიმდინარეობდა ესპანელთა მიმართ კონკრეტული მოთხოვნების არტიკულაცია (როგორც ეს ბასკეთში ხდებოდა), არამედ მშვიდობიანი გამოსვლების გზით, რომლებშიც არაერთი ადგილობრივ დონეზე მოღვაწე საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაცია მონაწილეობდა. ეს ორგანიზაციები კი, როგორც კვლევიდან ნათლად ჩანს, დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდნენ და ვითარდებოდნენ როგორც პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი, კულტურული, საგანმანათლებლო და სხვადასხვა თვალსაზრისით. "კატალონიის მაგალითი ნამდვილად ერთადერთი აღმოჩნდა ძალაუფლების მოლაპარაკებების გზით გადაცემის თემაზე. …ძალაუფლების გადაცემა უფრო მეტად შეთანხმების საგანი იყო", - წერდა კლარკი (Conversi, 1994, გვ. 167). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს კატალონიის სიმწიფესა და პოლიტიკურ წონას სახელმწიფოს მასშტაბით. თუმცა სიტუაცია იდეალურად კვლავ არ მიდიოდა. საინტერესო საკითხია, რომ ავტონომიის მინიჭების შემდგომ სოციოლოგთა გარკვეულმა წრემ ცილი დასწამა კატალონიელებს კასტილიური ენის შებღალვის მცდელობაში. ამის საპასუხოდ 1981 წელს კატალონიელებმა კვლავ დიდი მშვიდობიანი აქცია გამართეს 1300 სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციის მონაწილეობით კონტინენტის მასშტაბით უდიდესი "ნოუ კამპის" სტადიონზე, რომელიც ამ აქციის დამსახურებით სრულად გადაიჭედა. მომდევნო წელს ამას კიდევ ერთი გამოსვლა მოჰყვა ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიცირებული კანონპროექტის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ავტონომიების შეზღუდვას ისახავდა რეგიონებში. კანონპროექტი 1983 წელს ჩავარდა (Conversi, 1994). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ კატალონიელები მუდმივად ცდილობდნენ, წინააღმდეგობა გაეწიათ ნებისმიერი ხასიათის უსამართლობისათვის პროტესტის არაძალადობრივი ფორმებით. ამ მხრივ, კვლავ იგრძნობა მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიმწიფე ესპანეთში. თუ გავითვალისწინებთ, რომ ცენტრიდან მომდინარე ამ მოვლენებმა მაშინ

კატალონიელებში სეპარატიზმისკენ მიდრეკილებებიც კი გააჩინა, რაზეც ცენტრალური ხელისუფლება იძულებული გახდა, მოლაპარაკებები გაემართა რეგიონთან და გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, განსაკუთრებით ენობრივ საკითხებზე და ამით ეთნოსის გარკვეული სეცესიონისტური მიდრეკილებები შეეჩერებინა (Conversi, 1994), კიდევ ერთხელ იკვეთება ესპანელთა სურვილი არა კატალონიელებისთვის რამის შეზღუდვის, არამედ მაქსიმალურად მეტი ბენეფიტის მიცემის საკითხზე. ამ თვალსაზრისით, კვლავ ჩანს კატალონიელების მისწრაფება არა ძალადობრივი, არამედ მშვიდობიანი პროტესტის გზით ცენტრალურ ხელისუფლებასთან დიალოგის მიმართ.

რეალურად, ანალიზიდან ჩანს, რომ გარკვეული გადაცდომებისა თუ ცენტრსა და პერიფერიას შორის გარკვეული უთანხმოებების მიუხედავად, დიალოგისათვის ორივე მხარე ყოველთვის მზად იყო და ფაქტია, რომ ეს მეტ-ნაკლებად წარმატებით ხერხდებოდა. როგორც ჩანს, ამის დამსახურება იყო ის ფაქტი, რომ 1970-იან წლებში ძალადობრივი მიდრეკილებების მქონე დაჯგუფება “FAC” უმნიშვნელო სახელით სარგებლობდა რეგიონში და 100-მდე შემთხვევას არ გასცდა მისი ქმედებები, თანაც  უმნიშვნელო, მხოლოდ ერთკაციანი მსხვერპლით. თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ერთიანი ექსტრემისტული პლატფორმის “ტიერა ლიურის” შექმნის მიუხედავად, ამას არც ინფრასტრუქტურული ზიანი და არც ადამიანური მსხვერპლი არ მოჰყოლია, საბოლოოდ კი მომდევნო დეკადაში მალევე გაქრა ასპარეზიდან (De la Calle, 2015), გამოიკვეთება არა მხოლოდ სერიოზული კონტრასტი ბასკეთსა და კატალონიაში ექსტრემისტული დაჯგუფებების პოპულარობასთან დაკავშირებით, არამედ კატალონიელების სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით სიმწიფის საკმაოდ მაღალი დონე, რომელშიც ესპანელებს საკმაოდ სერიოზული წვლილი ჰქონდათ. საინტერესოა, რომ 1982 წელს ჩატარებული გამოკითხვის მონაწილე კატალონიელების 30 პროცენტი თავს მიაკუთვნებდა პირველ რიგში ესპანურ საზოგადოებას, 26 პროცენტი -

კატალონიურ ეთნოსს, ხოლო ორივე ეთნოსის კომბინაციას გამოკითხულ კატალონიელთა 40 პროცენტი ასახელებდა (Conversi, 1994). დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ 1982 წელს, როდესაც სულ რაღაც 7 წლის დასრულებული იყო დიქტატორული რეჟიმი, კატალონიელების დიდი ნაწილი საკუთარ თავს ან უშუალოდ ესპანური საზოგადოების ნაწილად ან კიდევ ჯერ კატალონიური, ხოლო შემდგომ ესპანური ეთნოსის ნაწილად აღიქვამდა. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ კატალონიელთა საკმაოდ კარგი პოლიტიკური მდგომარეობა ესპანურ სახელმწიფოში და ესპანელთა წვლილი მათ სამოქალაქო და პოლიტიკურ განვითარებაში ნამდვილად გახდა სერიოზული ბაზისი იმისა, რომ კატალონიელებს ურყევად შეუნარჩუნდათ სურვილი ესპანურ საზოგადოებაში დარჩენასთან დაკავშირებით. საინტერესოა, რომ 1980 წლის არჩევნებზე "ერთიანობა და კავშირი" ("CiU") აღმოჩნდა ის პარტია, რომელმაც რეგიონის არჩევნებში უპირატესობა მოიპოვა. მნიშვნელოვანია, რომ 1979 წელს "CiU"-მ, რომელმაც თავისი კვოტის მოპოვება შეძლო კორტესებში, მხარი დაუჭირა ადოლფო სუარესის მინისტრთა კაბინეტს, რის სანაცვლოდაც მიიღო დათმობები ავტონომიასთან მიმართებით. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ორი წლით ადრე 1977 წელს კატალონიის მასშტაბით ჩატარებულ საკმაოდ მნიშვნელოვან არჩევნებში ადგილობრივი პოლიტიკური ძალების მთავარმა პოლიტიკურმა ალიანსმა აიღო სუარესის პარტიის, "დემოკრატიული ცენტრის კავშირის" ("UCD") ხმებზე ცოტათი მეტი და ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე მოქმედი "სოციალისტების" კოალიცია "PSOE-PSC"-ზე (28.4%) საგრძნობლად დაბალი შედეგები (Mujal-Leon, 1981), გამოიკვეთება, რომ პარტიული კონკურენცია კვლავ აქტიურად მიმდინარეობდა კატალონიაში ქვეყნის მასშტაბით დემოკრატიზაციის დაწყების შემდგომ, თანაც ჯერ კიდევ მანამდე, სანამ რეგიონს სრულფასოვანი ავტონომია მიენიჭებოდა.

ჯორდი პუიოლის ცენტრისტულმა გუნდმა, რომელმაც ამ არჩევნებზე სერიოზული შედეგი ვერ დადო, გადაწყვიტა საკუთარი

პოლიტიკური პლატფორმის გაძლიერება. ამან მოიტანა ის შედეგი, რომ პუიოლის გუნდმა დაახლოებით 400 000-მდე გაზარდა თავისი ელექტორალური ძალა 1979 წლის ადგილობრივ არჩევნებზე (Mujal-Leon, 1981). ეს კიდევ ერთხელ აჩვენებს პარტიული კონკურენციის თავისუფლების ხარისხსა და პარტიების შიდა-ინფრასტრუქტურული მუშაობის დონეს იმისათვის, რომ მათ შედეგებისთვის მიეღწიათ. მთლიანობაში კი ეს კარგი დასტურია იმისა, რომ კატალონიის პოლიტიკური მდგომარეობა საკმაოდ კარგი იყო, რაც, პრაქტიკულად, პრევენციას უკეთებდა ძალადობას. ამ მხრივ, 1980 წლის კატალონიის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებზე "PSOE-PSC"-ის მხარდაჭერის 29.2%-დან 22.3%-მდე ვარდნამ (370 000-იანი ზარალი წინა რეზულტატთან შედარებით) და ასევე "UCD"-ის ელექტორალური პოტენციალის 19%-დან 10.5%-მდე კლებამ (300 000-იანი შემცირება) პარტიები უკან დახია. სამაგიეროდ, პუიოლის პოლიტიკური გაერთიანების რეიტინგმა 16.1%-დან 27.7%-მდე აიწია, რაც ნიშნავდა იმას, რომ ეს პოლიტიკური ჯგუფი გახდა ლიდერი პარტია კატალონიის ყველა პროვინციის მასშტაბით და შედეგად პუიოლმა დაიკავა "გენერალიტეტის" ხელმძღვანელის პოზიცია. სუარესთანაც და მის შემდგომ პრემიერ ლეოპოლდო კალვო სოტელოსთანაც კარგი ურთიერთობები ჰქონდა პუიოლს, რამაც "CiU"-ს გავლენა გააძლიერა ესპანეთის ცენტრალურ პოლიტიკაში (Mujal-Leon, 1981). შეიძლება ითქვას, რომ მოცემულობა იგივე იყო: კატალონიელების მასშტაბი ესპანურ პოლიტიკურ ცხოვრებაში 1980-იანი წლების დასაწყისში კვალვ იზრდებოდა. ამავე დროს, როგორც პოლიტიკური კონკურენციის, ისე საარჩევნო მარათონისა და ადგილობრივი ავტონომიის საკითხებში კატალონიელებს ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისაგან მხარდაჭერა ჰქონდათ. ეს ყველაფერი მთლიანობაში კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მათ მნიშვნელობას ესპანეთის პოლიტიკური პროცესებისათვის. ამ ყოველივეს ფონზე კი, თავის მხრივ, ბასკებისაგან განსხვავებით, ექსტრემისტული მიდრეკილებების ჯგუფის არაპოპულარული

მდგომარეობა რეგიონში იმას აჩვენებს, რომ კატალონიელებს არა მხოლოდ არ სურდათ, არამედ არც სჭირდებოდათ ძალადობრივი მეთოდების გამოყენება ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობისათვის. რეალურად, ის ფაქტი, რომ დემოკრატიული განვითარება და ავტონომიის საკითხი იყო ორი მთავარი პირობა ცენტრსა და პერიფერიას შორის მოლაპარაკებების პროცესში კატალონიის ქეისში (Edles, 1999), ნათლად აჩვენებს, რომ კატალონიელების სურვილი ესპანური საზოგადოების შიგნით განევითარებინათ საკუთარი პოლიტიკური და საზოგადოებრივი სივრცე და თავიანთი წვლილი შეეტანათ ესპანური სახელმწიფოს არა გახლეჩაში, არამედ ინტეგრირებასა და გაძლიერებაში ნამდვილად იყო ბიძგი იმისათვის, რომ სხვადასხვა პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების რეჟიმის ფორმის მიუხედავად, ესპანელებს მაინც გარკვეული უპირატესობა მინიჭებინათ ამ ეთნოსისათვის და მიეცათ განვითარების შესაძლებლობები. მთლიანობაში კი, როგორც კვლევიდან ჩანს, ესპანელები მათ არა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე აძლევდნენ სერიოზულ გასაქანს პოლიტიკური პროცესების განვითარებისთვის, არამედ ცენტრალურ პოლიტიკურ დონეზეც ჰქონოდათ გარკვეული გავლენები. საინტერესო საკითხია, რომ პუიოლის პოლიტიკური გუნდი “CiU”, რომელშიც “კატალონიის დემოკრატიული ერთიანობა” (“CDC”), “კატალონიის დემოკრატიული კავშირი” (“UDC”) და “რესპუბლიკელი მემარცხენეები“ (ეს უკანასკნელი მხოლოდ 1984-1987 წლებში შედიოდა აღნიშნულ კოალიციაში) შედიოდნენ, საკმაოდ სერიოზულად გადაერთო არა მხოლოდ პარტიის, არამედ რეგიონისა და ქვეყნის მასშტაბით ინოვაციური რეფორმების განხორციელებაზე. თავად პუიოლი, რომელიც “გენერალიტეტს” 2003 წლის ჩათვლით მართავდა, ახერხებდა კომპრომისული ურთიერთობების ჩამოყალიბებას მრავალ განსხვავებულად მოაზროვნე პოლიტიკოსთან, მათ შორის “სოციალისტების” წარმომადგენელ პასკალ მარაგალთან, რომელიც ბარსელონას მერის თანამდებობაზე 1982 წლიდან 1997 წლის ჩათვლით

მუშაობდა და შემდგომ 2003 წლიდან პუიოლი ჩაანაცვლა რეგიონის ხელმძღვანელის თანამდებობაზე (“The contemporary Government of Catalonia (20th and 21st centuries)”, 2021). პრაქტიკულად, ჩანს, რომ პოლიტიკური პლურალიზმი, პარტიათა ჭიდილი და სერიოზული იდეოლოგიური მრავალფეროვნება 1980-იან წლებშიც იყო იმის საფუძველი, რომ კატალონიელებს თავიანთი პოლიტიკური ნიშა დაეკავებინათ ესპანურ სახელმწიფოში და აზრთა სხვადასხვაობის ფონზე გაეძლიერებინათ როგორც რეგიონი, ისე მთლიანად ქვეყანა.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ კატალონიის მასშტაბით მე-19 საუკუნიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით, გარკვეული პრობლემური პერიოდების მიუხედავად, როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური ორგანიზაციები გაცილებით დახვეწილი და გამართული იყო, ვიდრე ბასკეთის რეგიონში. ამ მხრივ, ანალიზიდან იკვეთება, რომ ესპანურ სახელმწიფოში კატალონიელები თავს კარგად გრძნობდნენ და მიუხედავად არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში განცდილი კონკრეტული წნეხისა, ახერხებდნენ თავიანთი პროტესტი მშვიდობიანი ფორმით გამოეხატათ და სასურველი მიზნისთვისაც მიეღწიათ. ამაში კი საკმაოდ სერიოზული წვლილი ჰქონდა მრავალი წლის განმავლობაში ესპანელთა მხრიდან არაერთმა გადადგმულმა ნაბიჯმა როგორც საარჩევნო, ისე პოლიტიკური პროცესების გაჯანსაღების მიმართულებით და ზოგადად რეგიონის ჩართვას სახელმწიფოებრივი დონის მრავალ პროცესში, რომლითაც მის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე სერიოზული აქცენტების დასმა ხდებოდა. მთლიანობაში რომ შევხედოთ, უახლეს ისტორიაში ბასკებს 1910-იან და 1920-იან წლებში არავითარი თვითმმართველი ორგანო არ ჰყოლიათ, ხოლო კატალონიელებს 1914-1925 წლებში “მანკომუნიტატი”, რომელმაც მათ ინსტიტუციური განვითარების პრინციპების ჩამოყალიბება შეასწავლა. ამასთანავე, მეორე რესპუბლიკის პირობებში კატალონიელებს საკმაოდ სერიოზული ავტონომიური სტატუსი ჰქონდათ ძლიერი თვითმმართველი

უფლებებით, განსხვავებით ბასკებისაგან, რომელთაც ამგვარი შესაძლებლობები მხოლოდ შინაშლილობის დროს გაუჩნდათ 1930-იან წლებში (Conversi, 1994). ამ მხრივ, ჩანს, რომ კატალონიელთა პოლიტიკური წონა და ასევე ადგილობრივი მმართველობის ინსტიტუტების აღმშენებლობის მიმართულებით თავისუფლების ხარისხი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ბასკების. ამის ფონზე კი, რაციონალური არჩევანის თეორიის ლოგიკა, გვიჩვენებს, რომ კატალონიელებს რეალურად არაძალადობრივი მეთოდებით უფრო აწყობდათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან ურთიერთობა და მათი მიდგომები უფრო მეტად კომპრომისული ხასიათის იყო.

**5. 3. ბასკური და კატალონიური უმცირესობების ანალიზი ფსიქოლოგიური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით**

ბასკებისა და კატალონიელების სოციალური სტატუსის შესწავლის საკითხში, გარდა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორებისა, ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ ქვეინდიკატორებსაც. ამ მხრივ, საინტერესოა, როგორი სტერეოტიპები, ცრურწმენები და სხვა ტიპის ასპექტები არსებობდა, ერთი მხრივ, კატალონიელებსა და ესპანელებს, ხოლო მეორე მხრივ, ბასკებსა და ესპანელებს შორის ურთიერთობებში. ამავე დროს, საინტრესოა, რამდენად იყო ეს ფაქტორები ხელშემშლელი ცენტრსა და პერიფერიას შორის პროცესების ნორმალიზების საკითხში ან პირიქით, რამდენად უწყობდა ხელს პროცესების მოწესრიგებას. ამ მხრივ, საჭიროა ორივე ეთნოსის ქეისის განხილვა მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით.

**5. 3. 1. ბასკური უმცირესობის ანალიზი ფსიქოლოგიური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით**

საინტერესოა, რომ ბასკების მიმართ ესპანეთში მუდმივად არსებობდა ნეგატიური ფსიქოლოგიური დამოკიდებულება და თავის მხრივ, ბასკებიც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი ესპანელების მიმართ. ამ მხრივ, ყურადღებას იქცევს ეს ურთიერთდამოკიდებულება მე-19

საუკუნიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით. ბასკების მიმართ არსებობდა სტერეოტიპი პრესაში იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი, როგორც ევროპის კონტინენტზე მცხოვრები ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ეთნოსი, გამოირჩეოდნენ თავიანთი იდუმალი და არაპროგნოზირებადი ხასიათით. პრესის გადმოცემით, ბასკები იყვნენ მითოსურ-ფილოსოფიური აზროვნებით შემკული ეთნოსი, რომელსაც ცრურწმენები უშლიდა ხელს პოლიტიკური და საზოგადოებრივი თვალსაზრისით ერთ მუშტად შეკრულობაში (MacClancy, 1988). როგორც ჩანს, ბასკებს იცნობდნენ, როგორც სტერეოტიპებსა და ცრურწმენებში ჩაძირულ ეთნოსს. ამ თვალსაზრისით საკვლევად საინტერესოა, რამდენად ქმნიდა პრობლემებს ფსიქოლოგიური ფაქტორი ბასკებსა და ესპანელებს შორის ურთიერთობაში.

ბასკების შემთხვევაში, მათ სერიოზული გაუცხცოება ჰქონდათ ესპანელებისაგან, მით უმეტეს, როცა საქმე ეხებოდა ეროვნულ და იდენტობის საკითხებზ (Molina, 2010). როგორც ზემოთ მოცემულ ანალიზში გამოიკვეთა, ამ ორი ეთნოსის დაპირისპირების საკითხი საკმაოდ პრობლემური თემა იყო ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც სერიოზული პრობლემები წარმოიშვა ცენტრსა და პერიფერიას შორის. გრეჰემ სტაბსის თქმით, ბასკების ქეისში "იდენტობამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კონფლიქტში, რადგან ანტაგონისტების სიძულვილის ინტენსივობა, როგორც წესი, იწვევს გაგებისა და თანაგრძნობის სიმცირეს" (Stubbs, 2012, გვ. iii). ამ მხრივ, ჩანს, რომ ბასკთა და ესპანელთა შორის ურთიერთობებში არსებობდა ფსიქოლოგიური ბარიერები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ზიზღისა და სკეპტიციზმის ელფერით იყო შემკული. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, თუ ორ ეთნოსს ერთმანეთის მიმართ მრავალი სტერეოტიპი და ცრურწმენა ჩამოუყალიბდა. ის ფაქტი, რომ ბასკურ ტრადიციებსა და ადათ-წესებს ესპანელები ყოველთვის ჩრდილს აყენებდნენ და თავის მხრივ, ბასკთა ესპანურ სახელმწიფოებრივ და

საზოგადოებრივ სივრცეში კულტურული თვითმყოფადობის საკითხს მრავალი წლის განმავლობაში მკაცრად უპირისპირდებოდნენ (Stubbs, 2012), შეიძლება ითქვას, გახდა სერიოზული პრობლემა ცენტრსა და პერიფერიას შორის და ძალადობისაკენ უბიძგა ბასკებს. ის ფაქტი, რომ ბასკებისათვის მამულიშვილობის ცნება არ ასოცირდებოდა ესპანეთთან და მათთვის ესპანურ საზოგადოებასთან თანაარსებობა პრობლემური საკითხი აღმოჩნდა (Stubbs, 2012) იმაზე მიუთითებს, რომ როგორც ესპანელებს ბასკთა მიმართ, ისე ბასკებს ესპანელების მისამართით ბევრი ფსიქოლოგიური ბარიერი უპრობლემებდათ ურთიერთობებს. სტაბსი ბასკურ ნაციონალისტურ მოძრაობას ახასიათებს, როგორც ესპანელთა მხრიდან ეთნიკური უმცირესობის ფასეულობათა სისტემაზე ძლიერი უარყოფითი ზემოქმედებით გამოწვეულ რეაქციას. ის გარემოება, რომ ესპანელები საკუთარ საზოგადოებრივ სივრცეში თავისუფლად მოქმედების საკუთხში ყველაზე მეტ პრობლემას სწორედ ბასკებს უქმნიდნენ (Stubbs, 2012) რეალურად, შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგიური სირთულეები ესპანელთა მხრიდან ნამდვილად ითესებოდა ბასკებში. ამას კი ბუნებრივად შეიძლებოდა, მოჰყოლოდა ძალადობრივი მეთოდების გამოყენება ეთნიკური უმცირესობის მხრიდან.

ბასკეთი არის ისეთი კონფლიქტი, რომლის საფუძველიც არის ეთნოფსიქოლოგიური ხასიათის პრობლემები. ამგვარი პრობლემები კი ძალიან ხშირად სისხლისმღვრელი, მანკიერი პოლიტიკის გამომწვევი ფაქტორი ხდება ხოლმე და რასაკვირველია, ბასკებიც ამ მხრივ გამონაკლისი არ ყოფილან (Stubbs, 2012). ეს აჩვენებს იმას, რომ ბასკების ფსიქოლოგია მიმართული იყო ესპანელთა წინააღმდეგ, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, ესპანელები მათ ეროვნულ იდენტობას სერიოზულ ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებდნენ. უფრო მეტიც ბასკები თავიანთი რეგიონის ტერიტორიას აღიქვამდნენ სივრცედ, რომელსაც სიმყუდროვეს ურღვევდნენ როგორც ესპანელები, ისე ფრანგები. საინტერესოა, რომ განსაკუთრებით მე-18 საუკუნეში იკვეთებოდა ბასკების მხრიდან თავიანთი

იდენტობის განსაკუთრებულობის ხაზგასმა და ასევე საკუთარი განსაკუთრებით ნიჭიერი და ნათელი გონების აქცენტირება. ფსიქოლოგიის ენაზე რომ ითქვას, ბასკთა ჯგუფური ცნობიერება, პრაქტიკულად, გაჟღენთილი იყო ამგვარი თვითკმაყოფილების შეგრძნებით (Stubbs, 2012). ეს აჩვენებს, რომ ბასკებს საკუთარი ეთნოსი ძალზე მნიშვნელოვან და გამორჩეულ ეთნიკურ ჯგუფად მიაჩნდათ და მათი შეზღუდვა ან მათ ეთნოსზე ნებისმიერი ფორმით ზეწოლა ბუნებრივად გამოიწვევდა მათში მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ესპანეთის ყველა სხვა რეგიონისაგან, მათ შორის კატალონიისაგან განსხვავებით, ბასკური ეთნოსის ჩამოყალიბებაში საგრძნობლად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მათმა ენამ (Stubbs, 2012). ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ მე-19 საუკუნეში არა მხოლოდ საბინო არანას ესპანელების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების გავლენის, არამედ თავად ესპანელთა ქმედებების დამსახურებით (მაგალითად, როცა მე-19 საუკუნეში ეთნიკური ესპანელების რეგიონში მასობრივად ჩასახლებით ესპანელებმა ზიანის მიყენება სცადეს ბასკური იდენტობისათვის, განსაკუთრებით იმით, რომ ესპანური ენის მასობრივად გავრცელებით ცდილობდნენ, "ეუსკერას" არეალის შეზღუდვას რეგიონში) რთული ფსიქოლოგიური ფონი შეიქმნა ბასკეთში. ბასკები "საზიზღარ უცხოელებად", "ბინძურ უცხოელებად" და "ესპანეთის მომხრეებად" (Dayioglu, 2019, გვ. 81) ნეგატიურ კონტექსტში მოიხსენიებდნენ რეგიონში დასახლებულ ესპანურენოვან მოსახლეობას, რადგან მიაჩნდათ, რომ მათი ბასკურ სივრცეში ყოფნა პრობლემებს უქმნიდა ბასკთა განვითარებას (Dayioglu, 2019). ანალიზი აჩვენებს, რომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ბასკებს უკვე გარკვეული სტერეოტიპები და ცრურწმენები უყალიბდებოდათ ესპანელების მიმართ, რაც არა მხოლოდ მათი წარსული დამოკიდებულებების, არამედ ესპანელთა მხრიდან ბასკების მიმართ განხორციელებული მე-19 საუკუნის პერიოდში განხორციელებული ქმედებები მკაფიო ფსიქოლოგიური წნეხი, რომელსაც

ესპანელები ეთნოსზე ავრცელებდნენ მის შესახებ გარკვეული ცრურწმენების დასამკვიდრებლად.

საინტერესოა, რომ მე-19 საუკუნეში, განსაკუთრებით 70-იან წლებში როგორც ესპანელი ჟურნალისტები, ისე მეცნიერები და პოლიტიკური ანალიტიკოსები ბასკებზე სტერეოტიპების დამკვიდრებას ცდილობდნენ. ისინი პაციფისტური, მუყაითური და მართლმორწმუნე თვისებების მქონე ეთნოსისაგან ცდილობდნენ პრესაში დაეხატათ ფუნდამენტალისტი და აგრესიული ადამიანების ჯგუფი, რომელიც ერთიანს გავლენის შედეგიც იყო. ის ფაქტი, რომ ცენტრალური ხელისუფლება მიზანმიმართლად ცდილობდა ესპანურენოვანი ხალხის ჩასახლებით, კასტილიურ ენაზე სწავლა-სწავლების აუცილებლობის 1850 წლიდან დაწესებით (რაც განსაკუთრებული პრობლემა იყო ბასკთათვის, რადგან კატალონიელებისგან განსხვავებით, მათ არ შეეძლოთ კასტილიურთან არც დროებით შეგუება და არც მისი "ეუსკერას" პარალელურად გამოყენება) და კიდევ სხვა მეთოდებით დაეკნინებინა ბასკური ეთნოსის მახასითებლები (Shih, 1998), მიუთითებს ესპანელთა სურვილზე ფსიქოლოგიურად გაეტეხათ ბასკური ეთნიკური უმცირესობა და მათში ჩაეკლათ განვითარების სურვილი. რეალურად, ამ ყოველივეს ემატება ისიც, რომ თავად ბასკები არანასა და მისი თანამოაზრეების პერიოდში საკუთარ თავს ესპანელთა მიერ ანექსირებულ ტერიტორიად მიიჩნევდნენ (Woodworth, 2001). ეს გარემოება მკაფიოდ აჩვენებს, რომ ბასკები თავს ესპანური სახელმწიფოსა და საზოგადოების ნაწილად არ მიიჩნევდნენ. ამის ფონზე, მით უმეტეს არ არის გასაკვირი, თუ მათში ფიზიკური აგრესიის სურვილს აღძრავდა ესპანელთა მხრიდან მათ ეთნიკურ სიმბოლოებზე, პირველ რიგში კი ენაზე შეტევა. რაციონალური არჩევანი მათთვის ამ შემთხვევაში სწორედაც რომ ძალის გამოყენება შეიძლებოდა ყოფილიყო. ამ ყოველივეს ფონზე, თუ ისიც ხაზგასმით აღინიშნება, რომ საბინო არანასა და მისი თანამოაზრეების გაშარჟებით, ირონიზებითა და შეურაცხყოფით (რაც გამოიხატებოდა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზების საშუალებით,

დეზინფორმაციის ტირაჟირებით, ზედაპირულ საკითხებზე აუდიტორიის ყურადღების გადატანითა და სხვა მრავალი ხრიკით) ესპანელები ცდილობდნენ ბასკთა დისკრიმინაციასა და ჩრდილის მიყენებას (Bopp, 2021), კიდევ ერთხელ გამოიკვეთებაი ესპანური საზოგადოების განადგურებისაკენ იყვნენ მიდრეკილნი. ჟურნალ "ელ კანონ კრუპში" ბასკების შესახებ იწერებოდა მრავალი პროპაგანდისტული ხასიათის ინფორმაცია, რომ ისინი კარლისტური ომების პერიოდში მრავალ სისაძაგლეს ჩადიოდნენ, როგორიც იყო გაუპატიურება, დატუსაღებული და მძიმედ დაჭრილი ადამიანების მიმართ არაადამიანური მოპყრობა, ძარცვა და ყაჩაღობა, ქონების უკანონოდ მითვისება და კიდევ მრავალი სხვა გადაჭარბებული ფაქტი (Molina, 2010). პრაქტიკულად, ჩანს, რომ ესპანელები ცდილობდნენ, ფაქტებით მანიპულირებას ბასკების მონსტრებად გამოსაყვანად. ეს, რასაკვირველია, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ბასკებს შურისძიების სურვილი შეიპყრობდათ ამ ყოველივეს მიმართ და ეს ნამდვილად მოასწავებდა ძალისმიერი მეთოდების გამოყენების საკითხს. ამ მხრივ, თუ ხაზი გაესმება იმას, რომ მაშინ ესპანურ საზოგადოებრივ და საქმიან სივრცეებში მუსირებდა აზრი "ფუეროების" იმპერიული მმართველობის სტილთან გაიგივების შესახებ და ბასკები ესპანელთა მხრიდან წარმოჩენილნი იყვნენ, როგორც კათოლიკურ რელიგიაში ფუნდამენტალისტური მიდრეკილებების ერთ-ერთი მთავარ დამნერგავებად (Molina, 2010), ნათელი გახდება ესპანელთა მხრიდან ისეთი სტერეოტიპებისა და ცრურწმენების შექმნის სურვილი, რომლებითაც ბასკები კიდევ უფრო მეტად დაკნინდებოდნენ ესპანურ სახელმწიფოში. ეს მიუთითებს, რომ ესპანელებს მე-19 საუკუნიდანვე დიდი სურვილი ჰქონდათ ბასკებისათვის ჩირქის მოცხების და ეთნოსის სოციალური სტატუსის დაქვეითების თვალსაზრისით. ეს კი, თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო ბასკთაგან როგორც ანალოგიური დისკრიმინაციული მიდგომების გენერირების, ისე რადიკალური, ძალადობრივი პრაქტიკული ნაბიჯების წყარო. საინტერესოა კარლისტური

ომების მიმდინარეობისას ყველაზე გაყიდვად ესპანურ ჟურნალ "ლა კორესპონდენცია დე ესპანას" ჟურნალისტის სტატიაში წარმოდგენილი კარლისტური პოლიტიკის ანალიზი, რომლიდანაც ჩანს, თითქოს ბასკეთში ყველაზე რთულია ამ ამბავთან ბრძოლა: "ის სხვაგან არსად არის ისეთი საფრთხე, როგორიც არის ჩრდილოეთის მიუწვდომელ მთებში [ბასკეთის პროვინციებში], რადგან სხვა ადგილებში მას არ აქვს… ჭარბი [ადამიანური] ელემენტები…, ჰიბრიდული ინსტიტუტები, ნებისმიერი სახის პროგრესის მოწინააღმდეგე ბუნება და ექსტრემალურად გამოკვეთილი ფანატიზმი" (Molina, 2010, გვ. 244). ეს ყოველივე მიანიშნებს, რომ ესპანურ პრესაში მაქსიმალურად ცდილობდნენ, ბასკებთან დაკავშირებით ჩამოეყალიბებინათ წარმოდგენა, თითქოს ისინი მუდმივად ეწინააღმდეგებოდნენ ინოვაციურობას და სასათბურე პირობებს უქმნიდნენ ყოველგვარ რეტროგრადულ, პრობლემურ და საფრთხეშემცველ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპექტს.

გასათვალისწინებელია, რომ მე-19 საუკუნეში როგორც პოლიტიკურ, ისე პრესის წრეებში სერიოზულად მიმდინარეობდა ბასკთა დისკრედიტაცია. ეთნოსი "გაუნათლებელი მთიელის" (Molina, 2010, გვ. 245) ეპითეტით იყო მოხსენიებული ესპანურ ჟურნალ-გაზეთებში, ხოლო მისი წარმომადგენლების მსოფლმხედველობა ხშირად პროვინციალიზმთან იყო შედარებული. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1876 წელს ესპანეთის საკანონმდებლო ორგანოში ერთ-ერთმა კანონმდებლებმა ბასკები სახელმწიფოს წინააღმდეგ მიზანმიმართულ სიძულვილში დაადანაშაულა და მათ საწინააღმდეგოდ ნაბიჯების გადადგმა ესპანელი ერისათვის სასარგებლო საქმედ წარმოაჩინა (Molina, 2010). ამ მოცემულობიდან იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული სტერეოტიპებისა და ცრურწმენების დამკვიდრებით ესპანელები ცდილობდნენ ბასკთა დისკრიმინაციას. ეს, პრაქტიკულად, ერთვოდა იმ რთულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, რომელიც ასევე ბასკების ხელშეწყობით ყალიბდებოდა რეგიონში. ეს ყოველივე კი უდავოდ ძალადობისაკენ აქეზებდა

კონფლიქტურ ვითარებას ცენტრსა და პერიფერიას შორის. იმავე წელს, როცა შედგა მონარქის, ალფონსო XII-ის ვიზიტი ბასკეთში, აღნიშნული ვიზიტის გაშუქების საკითხებში ჩართულმა ჟურნალისტმა ბასკები შეაფასა, როგორც ღირებულებითი და ნორმატიული თვალსაზრისით ესპანელთაგან აბსოლუტურად განსხვავებული ეთნოსი, რომელიც ესპანურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დღის წესრიგში არსებულ ყველა საკითხს ანტაგონისტურად უდგება (Molina, 2010). ეს მიუთითებს იმაზე, რომ ესპანურ საზოგადოებაში ჟურნალისტები და პოლიტიკოსები ცდილობდნენ, ბასკებთან დაკავშირებით დაემკვიდრებინათ აზრი, თითქოს ისინი სახელმწიფოსათვის სასარგებლო ყოველგვარი პოზიტიური ცვლილებისა თუ პროგრესის მტრები იყვნენ. ამ მხრივ, ყველა წინაპირობა იყო შექმნილი ესპანელებსა და ბასკებს შორის ძალადობის ექსკალაციისათვის.

ფაქტებიდან იკვეთება, რომ ბასკებისათვის ძალზე მტკივნეული იყო მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთნიკური მახასიათებლის, ენის მიმართ განხორციელებული შევიწროება, რამაც სერიოზული ფსიქოლოგიური ბარიერები შექმნა ესპანელებთან ურთიერთობებში. ეს მოცემულობა აჩვენებს, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უკვე მე-19 საუკუნეში არსებობდა სტერეოტიპული და ცრურწმენების გავლენის ქვეშ არსებული ანტაგონისტური ურთიერთდამოკიდებულება ცენტრსა და პერიფერიას შორის. აღსანიშნავია ისიც, რომ თავად არანას მიდგომა ესპანელების მიმართ, რომელიც მან მასობრივად დანერგა ბასკებში და ამით იდეოლოგიური საფუძველი შეუქმნა ეთნიკურ უმცირესობას, განპირობებული იყო ბასკების მიმართ ესპანელთა დისკრედიტაციული დამოკიდებულებით. საგანმანათლებლო ბენეფიტების მიწოდებისა და სამხედრო სამსახურში ჩარიცხვის საკითხებში უმცირესობების, განსაკუთრებით კი ბასკთა მიმართ შერჩევითი დამოკიდებულება იქცა სერიოზულ იარაღად არანას ხელში, რათა მას დაერწმუნებინა ბასკები ესპანელთა მათ მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებაში (Garcia, 2021).

მაგალითად, 1878 წელს ბასკებს ესპანელებმა ჩამოართვეს ჯარიდან გათავისუფლების ბენეფიტი, რადგან ეს მათი, როგორც ეთნოსის, ღირსების შელახვას ისახავდა მიზნად (Shih, 2001). საზოგადოების თვალში ამგვარი პრიორიტეტული ბერკეტების ბასკებისათვის ჩამორთმევას ესპანელები იმით ამართლებდნენ, რომ ბასკები კარლისტების მხარდამჭერები და ამ თვალსაზრისით, ეპანური სახელმწიფოს პროგრესის მოწინააღმდეგეები იყვნენ, თანაც პროვინციალიზმით დაავადებულნი (Molina, 2010). ეს ფაქტი ნამდვილად ქმნიდა საფუძველს, რომ როგორც არანას, ისე ნებისმიერ სხვა ბასკს ევარაუდა, რომ ესპანელები ცდილობდნენ მათ შესახებ გარკვეული ნეგატიური შეხედულება დაემკვიდრებინათ და ამავე დროს, მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა მოეხდინათ. ეს ყოველივე მიუთითებს, რომ ბასკების ეთნიკური ნაციონალიზმის განვითარებაში სერიოზული წვლილი შეიტანეს ესპანელებმა თავიანთი დისკრიმინაციული დამოკიდებულებით ეთნიკურ უმცირესობათა, მათ შორის განსაკუთრებით ბასკთა მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არანამ ბასკების ნაციონალისტური მსოფლმხედველობა ააგო იმ ნეგატიურ სტერეოტიპულ და ცრურწმენით ფუნდამენტზე, რომლის ჩასხმაშიც მას მნიშვნელოვნად "დაეხმარნენ" ესპანელები. მან, პრაქტიკულად, სერიოზული ბერკეტი ჩაიგდო ხელში თავისი იდეოლოგიის პოპულარიზაციისათვის.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არანამ შეძლო, ბასკთა შორის მყარად გაევრცელებინა წარმოდგენა, თითქოს ბასკეთი, როგორც ცალკე ეთნოსი, შეუთავსებელი იყო ესპანური სახელმწიფოს მოდელთან და მას ჰქონდა ცალკე ერის ფორმირების უნარი (Mees, 2001), კიდევ ერთხელ გახდება ნათელი ესპანელების წვლილი ბასკეთის მასშტაბით დისკრიმინაციული ხასიათის მსოფლმხედვლების გაძლიერების საკითხში. პრაქტიკულად, ბასკების ესპანელებთან გაუცხოებასა და დისტანცირებაში თავად ესპანელებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი. თუ გავითვალისწინებთ, რომ არანამ და მისმა თანამოაზრეებმა ესპანელების მიმართ დაამკვიდრეს ცრურწმენითი ტერმინი "დამპყრობელი უცხოელები"

(Da Silva, 1975, გვ. 230) და ბასკების მხრიდან წარმოშობით არაბასკი ეთნოსის წარმომადგენლებთან ქორწინებაზე დაამკვიდრეს ნეგატიური შეხედულება (Da Silva, 1975), შეიძლება ითქვას, რომ თავის მხრივ, ესპანელთა მჩაგვრელი, უარყოფითი დამოკიდებულების შესაბამისად ბასკურ ეთნიკურ უმცირესობაში სწრაფად ვრცელდებოდა შეხედულებები მათი სისასტიკის, მანკიერებისა და მტრობის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს იყო ურთიერთანტაგონიზმი, რომელიც არა მხოლოდ ესპანელთა მხრიდან ბასკების შესახებ ამკვიდრებდა ცრურწმენებსა და სტერეოტიპებს, არამედ თავად ბასკებსაც უბიძგებდა ესპანელების შესახებ უარყოფითი მიდგომები განევითარებინათ. ლოგიკას მივყავართ იქით, რომ მე-19 საუკუნიდან უკვე სათავეს იღებდა ისეთი ურთიერთდამოკიდებულება ესპანელთა და ბასკთა შორის, რომელსაც სიძულვილის ენისა და ერთმანეთის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების საფუძველზე შეეძლო, სერიოზულად ძალადობრივი ხასიათი მიეღო და სისხლისმღვრელ დაპირისპირებაში გადაზრდილიყო. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ესპანელთა დიდი ძალისხმევით ბასკთა სერიოზულად დაქვეითებული სოციალური სტატუსი ესპანეთში ხდებოდა კონფლიქტის ესკალაციის კატალიზატორი. თავის მხრივ, ის გარემოება, რომ 1899 წლისთვის ბილბაოში მაცხოვრებელთა 70%-ს ესპანურენოვანი ადამიანები ქმნიდნენ (Da Silva, 1975), აჩვენებს, რომ დემოგრაფიული ექსპანსია, როგორც ბასკთა დისკრიმინაციისა და დამცირების დინამიკის გასაძლიერებელი იარაღი კარგად მუშაობდა სასურველი შედეგების მისაღწევად. ამ მხრივ, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ბასკთა რაციონალური არჩევანი ამ შემთხვევაში ძალადობის სასარგებლოდ იყო, რაც პრობლემურ სიტუაციას აყალიბებდა ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობებში. ესპანელთა დისკრედიტაციული, ანტაგონისტური მოქმედებები ფსიქოლოგიურად ძალზე ართულებდა ბასკთა სიტუაციას და ეთნიკურ უმცირესობას უბიძგებდა თავადაც დისკრიმინაციული ხასიათის მიდგომები ჩამოეყალიბებინა ესპანელებთან მიმართებით. ეს კი გრძელვადიან

პერსპექტივაში კომპრომისული დიალოგის შესაძლებლობების ალბათობას ამცირებდა და სისხლისმღვრელი კონფლიქტის საშიშროებას აჩქარებდა. როგორც ჩანს, სწორედ ამის დამსახურება იყო, რომ სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, "კათოლიკური, ულტრა-კონსერვატიული ეთნო-ნაციონალიზმი, რომელიც ტრადიციონალისტურ ჯგუფთა შორის წარმოიშვა, …უნიკალურად ბასკური მოვლენა იყო" (Molina, 2010, გვ. 245). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბასკურ ნაციონალიზმს აგრესიული ფორმა დიდწილად სწორედ იმან მიანიჭა, რომ ესპანელები მათი დისკრედიტაციისათვის ძალებს არ იშურებდნენ და მრავალ სტერეოტიპსა და ცრურწმენას ამკვიდრებდნენ მათი მორალური თუ სამართლებრივი უფლებების შესაზღუდად.

მნიშვნელოვანია, რომ ფრანკოს მმართველობას ბასკების მიმართ ჰქონდა მიდგომა, რომ მათი ეთნოსის მახასიათებელი ნებისმიერი ასპექტი, იქნებოდა ეს ლინგვისტური, კულტურული თუ ნებისმიერი სხვა ტიპის ასპექტი, ითვლებოდა პროვინციულ, დაბალი დონის მოვლენად და შესაბამისად, შეიძლებოდა მოქცეულიყო ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან წნეხის ქვეშ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, განსაკუთრებით საშალო განათლების დაწესებულებებში ბასკურად მოსაუბრე ყველა ადამიანი სტერეოტიპულად აღიქმებოდა გაუნათლებელ, არაცივილიზებულ ადამიანად და ესპანელთა მხრიდან სერიოზული აგრესია მიმდინარეობდა მათ მიმართ (Aiartza & Zabalo, 2010). პრაქტიკულად, გამოდის, რომ 1930-იანი წლებიდან 1970-იანი წლების ჩათვლით ბასკური იდენტობის გამომხატველი სიმბოლოების მიმართ საკმაოდ სერიოზული ფსიქოლოგიური ზეწოლა მიმდინარეობდა, რაც ბასკების, როგორც ეთნიკურად შემოსაზღვრული ჯგუფის მიმართ ესპანურ საზოგადოებაში ბადებდა მრავალ სტერეოტიპსა და ცრურწმენას. ამ მხრივ, გასაკვირი სულაც არ არის, თუკი ეს ყოველივე გახდა სერიოზული კატალიზატორი ეთნიკურ უმცირესობაში ძალადობისაკენ წაქეზების საკითხში. ის გარემოება, რომ 1930-იან წლებში ბასკებს ავტონომია სურდათ,

რომელიც ჩავარდა, გამოწვეული იყო ესპანელთა მხრიდან, განსაკუთრებით ესპანეთის დედაქალაქიდან წამოსული პროტესტის მკრეხელური ნიაღვრით მათი სარწმუნოების საკითხების მიმართ. ბასკთათვის გაზრდილი თვითმმართველი უფლებები იქნებოდა დამცავი ფარი თავიანთი კათოლიკური მსოფლმხედველობის დასაცავად (Molina, 2010). რეალურად, ამ საკითხში ჩანს ის, რომ ბასკთა შევიწროებას ესპანელები რელიგიური თვალსაზრისითაც ცდილობდნენ, თანაც უკვე მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. ეს უდავოდ მძიმე ფსიქოლოგიური დარტყმა იყო ისეთ რელიგიურ ეთნოსზე, როგორიც ბასკები იყვნენ. აქედან გამომდინარე, ბასკების მხრიდან სრულებით შესაძლებელი იყო რადიკალური ზომები მოჰყოლოდა ამგვარ ნეგატიურ განწყობებს მადრიდიდან. ამ თვალსაზრისით,.აიარცა და ზაბალო წერდნენ: "რეპრესიები ასევე შეეხო ბასკეთის ეკლესიასაც, რომელიც ფრანკოიზმს აპროტესტებდა და ბასკებს იცავდა. ეს იყო კოლექტიური ტრავმა და ტანჯვა… ბასკები სტიგმატიზებულნი იყვნენ, როგორც ბასკები" (Aiartza & Zabalo, 2010, გვ. 11). შესაძლოა, ამ ფაქტებში ისიც ამოვიკითხოთ, რომ თავად ბასკებიც მოწყვლადნი იყვნენ ძალადობისაკენ წაქზების საკითხში. რასაკვირველია, ამ აზრს აქვს არსებობის უფლება, თუმცა რეალურად ესპანელებს სერიოზული წვლილი ჰქონდათ მათ ექსტრემიზმიში იმ თვალსაზრისით, რომ მუდმივად ცდილობდნენ ბასკური ეთნოსის დამცირებას. ეს ძალიან კარგად ჩანს ფერნანდო მოლინას მხრიდან 1930-იან წლებში ბასკთა მდგომარეობის აღწერისას:

> მადრიდის პარლამენტში ხმა დაირხა, რომ ეს იყო მიწა, "რომლის ყველა სოფელიც გაჯერებულია ცრურწმენებითა და ფანატიზმით, რესპუბლიკის… ტრადიციული მტრებით". ბასკი რეგიონული წარმომადგენლები აღიქმებოდნენ, როგორც შთამომავლები "იმ რენეგატებისა, რომლებმაც ბასკეთის მიწები მორწყეს სისხლით კარლისტური ომების პერიოდში". ისინი ზუსტად იმავე იმიჯითა და კლიშეებით აღიწერებოდნენ, როგორებითაც სამოცი წლით ადრე:

> "უცხოელები", "კლერიკალები", "გამოქვაბულის ხალხი" და "გამოქვაბულში მცხოვრები ადამიანები", "კლერიკალური და რეაქციული" რეგიონული ავტონომიის მომხრეები. ბასკური იდენტობა კიდევ ერთხელ მოთავსდა ერის გარეთ, უხეში სიველურის სამყაროში (Molina, 2010, გვ. 249).

ამ ყოველივეს გათვალისწინებით, ნათელია ესპანელთა წვლილი ბასკთა შესახებ სხვადასხვა ცრურწმენისა და სტერეოტიპის დამკვიდრებაში. ამ მხრივ, ცხადია ისიც, რომ ესპანელთა ამგვარ დამოკიდებულებას ეთნიკური უმცირესობის მიმართ მაღალი ალბათობით სწორედ ძალადობრივი პასუხი მოჰყვებოდა.

აღსანიშნავია, რომ ფრანკოს მმართველობის დასაწყისში, 1930-იან წლებში ბასკური ეთნოსის უმრავლესობამ სამოქალაქო ომი აღიქვა თავისი ეთნოსისათვის ტრაგიკულ მოვლენად, რადგან, მათი წარმოდგენით, ეს იყო ესპანელთა ძალადობრივი ქმედება ბასკური ეთნიკური უმცირესობის დეგრადაციის მიზნით (Molina, 2010). ეს ყოველივე მკაფიოდ მიანიშნებს, რომ ბასკებისათვის ესპანელთა მჩაგვრელობა ფსიქოლოგიურად ძალზე რთულ მდგომარეობას უქმნიდა მათ, რაც თავისუფლად შეიძლებოდა მათი მხრიდან ჩათვლილიყო ასევე საპასუხო ექსტრემისტული ქმედებების მომზადებისა და განხორციელების წინაპირობად. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბასკთა მხრიდან მარცხის სიმძიმით გამოწვეული ტკივილი მათ სძენდა უფრო აგრესიულ განწყობას (Molina, 2010), ცხადი ხდება, რომ ესპანელები ყველანაირად უწყობდნენ ხელს არა მხოლოდ ბასკების შესახებ სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გავრცელებას, არამედ მათ ფსიქოლოგიურად იმდენად დამძიმებას, რომ განვითარების პერსპექტივები შეფერხებოდათ. ეს უდავოდ იმაზე აკეთებს აქცენტს, რომ ბასკები ძალზე რთულ და გაუგებარ მდგომარეობაში იყვნენ, რადგან მათი ფსიქოლოგიური უღელი უფრო და უფრო მძიმდებოდა და თავისუფლად შეიძლებოდა გამოსავლად მხოლოდ და მხოლოდ ძალადობრივი მეთოდები დაენახათ. ამის ფონზე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს

პოლიტიკურ ველზე შემოსულმა “PNV”-მ ესპანელებისაგან მტრის ხატის შექმნის პროცესი საკმაოდ აქტიურად და წარმატებულად დაიწყო ესპანელთა წინააღმდეგ (Molina, 2010), რაც მიუთითებს ბასკებში ძალადობის პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობაზე იმ ფსიქოლოგიური წნეხის გათვალისწინებით, რომელსაც ისინი ესპანელთაგან განიცდიდნენ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფრანკოს სათავეში მოსვლიდან მალევე არა თუ სკოლებსა და საგანმანათლებლო ცენტრებში, არამედ პარკებში, სკვერებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ნებისმიერ ადგილებში ბასკურ ენაზე საუბარი არა მარტო მორალურად ცუდ ტონად, არამედ ფინანსური ჯარიმის გამომწვევ მიზეზადაც იქცა (Aiartza & Zabalo, 2010), შეიძლება ითქვას, რომ ბასკებმა პოლიტიკური და ეკონომიკური ჩაგვრის გარდა, სერიოზული ფსიქოლოგიური ტრავმაც მიიღეს, როგორც ეთნოსმა. ჩანს, რომ ბასკები სერიოზულ დისკრიმინაციას განიცდიდნენ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან, რადგან როგორც სამოქალაქო საზოგადოება, ისე ეკლესია რეგიონის მასშტაბით სერიოზული ჩაგვრის სუბიექტები იყვნენ არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ეს ყოველივე კი მიუთითებს იმაზე, რომ ბასკთათვის მაღალი ალბათობით რაციონალური არჩევანი სწორედ რადიკალური ზომების მიღება იქნებოდა. ამ მხრივ, სულაც არ არის გასაკვირი ექსტრემისტული დაჯგუფებებისაკენ ბასკების, მათ შორის ეთნოსის ახალგაზრდული ნაწილის მისწრაფება და თავის მხრივ, “ETA”-ს წევრობის სურვილით შეპყრობილი ადამიანების რიცხვი დაახლოებით 330% პროცენტით გაზრდა ერთი წლის განმავლობაში, 1959 წლიდან 1960 წლამდე (Turner, 2015). ამავე დროს, იმის გათვალისწინებით, რომ თავად დაჯგუფების მიერ მოკლულ ადამიანთა რაოდენობა 800 კაცს აჭარბებდა (1968-2003 წლებში) (De la Calle & Snchez-Cuenca, 2006), ნათელია ძალადობის ის მასშტაბები, რომელთა განვითარებაშიც ესპანელთა მხრიდან ბასკურ ეთნოსზე განხორციელებულმა როგორც პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა, ისე ფსიქოლოგიურმა წნეხმა შეიტანა წვლილი. ეს ყოველივე

ნათლად აჩვენებს, თუ როგორ ეცემოდა ბასკთა სოციალური სტატუსი ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების მნიშვნელოვანი წვლილის საფუძველზე და ამის პარალელურად როგორ იმატებდა ეთნიკურ უმცირესობაში არა მხოლოდ ძალადობრივი განწყობები, არამედ ძალადობის პრაქტიკაში გატარების შემთხვევები.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბასკეთის რეგიონში დაპატიმრებების სერია, პოლიციისაგან ჩვეულებრივ ადამიანებზე თავდასხმები, ფიზიკური მუქარისა და ზეწოლის ფაქტები და კიდევ სხვა მსგავსი ფიზიკური განადგურების საფრთხის შემცველი ასპექტები ბასკეთის რეგიონის მასშტაბით ყველაზე ფართო იყო მთელ ესპანეთში (Stubbs, 2012). 45 000-ზე მეტი დატუსაღებული, 150 000-მდე ქვეყნიდან გაძევებული, 1000-ზე მეტი უგზუკვლოდ დაკარგული… - ეს არასრული ჩამონათვალია იმ ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად დაძაბული ფონის ასახვის მიზნით, რომელსაც ბასკეთში ცენტრალური ხელისუფლება ამკვირდებდა ფრანკოს მმართველობის პერიოდში (Aiartza & Zabalo, 2010). ეს იმაზე მიუთითებს, რომ ცენტრის მხრიდან განსაკუთრებული მონდომებით ხდებოდა ბასკთა ჩაგვრა და მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლა. რასაკვირველია, არ იქნება გასაკვირი, თუკი ეს მოცემულობა ბასკთა მხრიდან ძალადობრივი მეთოდების გამოყენებას გამოიწვევდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 1956-1975 წლების პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების მიერ გამოცხადებული 11 საგანგებო მდგომარეობიდან 10-მა განსაკუთრებით მავნე გავლენა მოახდინა ბასკეთის რეგიონის მნიშვნელოვან ნაწილზე (Stubbs, 2012), ცხადი გახდება, რომ ბასკებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედებისათვის ესპანელები სამართლებრივ ბერკეტებსაც იყენებდნენ პოლიტიკური ნიშნით. სწორედ ამ პოლიტიკური წნეხის პირობებში ბასკები საკუთარი რეგიონის სივრცეში მოსისხლის, ანუ ესპანელების ჩარევად აღიქვამდნენ ესპანელი სამართალდამცავების მიყურადებას, თვალთვალსა და სხვადასხვა სახის დამამცირებელ მიდგომებს. სწორედ ამგვარმა სახელმწიფოებრივმა ტერორმა მიანიჭა

ბასკთა თვალში ლეგიტიმაცია “ETA”-ს, რომელიც რეჟიმთან ბრძოლის სიმბოლო გახდა ბევრი ბასკის თვალში და რომელსაც ბევრი ესპანელი ჩვეულებრივ ბასკთა წარმომადგენლობად აღიქვამდა (Molina, 2010). აღნიშნული თემები ადასტურებს, რომ ესპანელთა მხრიდან სტერეოტიპებისა და ცრურწმენების დამკვიდრება ბასკთა ღირსების შელახვისათვის იქცა სერიოზულ მუხტად ბასკთათვის, რათა ეთნიკურ უმცირესობას ჩამოეყალიბებინა ძალადობრივი კამპანია ესპანელთა წინააღმდეგ. ამის ფონზე, ნამდვილად არ არის გასაკვირი ის, რომ ტერორისტული აქტები ძალზე მომრავლდა ბასკებში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

საინტერესოა, რომ შიჰი ესპანელთა მხრიდან ბასკების მიმართ დისკრიმინაციის შესახებ წერდა: “განხორციელებული წნეხი ბასკებში ამკვიდრებდა პოპულარულ შეხედულებას, რომ ისინი “დამარცხებული ერი” იყვნენ” (Shih, 1998, გვ. 49). ეს აჩვენებს, რომ ესპანელები არა მხოლოდ თავიანთ ეთნოსში, არამედ ბასკებშიც ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ ცრურწმენა ბასკთა უსარგებლო, დაცემულ და უუნარო ხასიათზე. აქ მნიშვნელოვანია ერთი დეტალის დაზუსტება: ავტორი ბასკებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოიხსენიებს, როგორც ერს და არა როგორც ეთნოსს. აქ, როგორც ჩანს, ხდება ხაზგასმა იმისა, რომ ესპანელები ბასკებს არ აღიქვამდნენ ბასკური საზოგადოების ნაწილად და ამავე დროს, არ თვლიდნენ, რომ ბასკებს ცალკე ერად ფორმირებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღმშენებლობის რესურსი ჰქონდათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი ამკვიდრებდნენ სტერეოტიპს ბასკების, როგორც არასაკმარისად მომწიფებული ეთნოსის შესახებ და თავად ბასკთა ეთნოსში ცდილობდნენ, ჩაენერგათ ნიჰილიზმი და უპერსპექტივო, ბუნდოვანი მომავლის შესახებ. ეს კი თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო სერიოზული მოტივაციის მიმცემი თავად ბასკური ეთნოსისათვის იარაღის ხელში ასაღებად და ძალადობრივი გზით მოვლენათა განვითარებისათვის. ის ფაქტი, რომ ფრანკო ასე ეგრესიულად უტევდა ბასკური ეთნოსის

განვითარების საკითხებს და ცდილობდა მათი ეთნიკური მახასიათებლების განადგურებას, ბასკებისათვის ნათელს ხდიდა, რომ ეს იყო რასობრივი დისკრიმინაციისა და წელში გატეხვისაკენ მიმართული პოლიტიკა. ამან ამ პერიოდისათვის არანას იდეების ხელახლა გამოვლენას შეუწყო ხელი ბასკურ ეთნოსში, რომელსაც საკუთარი მეობის ესპანელთაგან განცალკევების აუცილებლობის შეგრძნება გაუჩნდა (Martin, 2005). რეალურად, ფაქტია, რომ ფრანკოს არადემოკრატიული სტილით მმართველობის პირობებში ყველანაირი შეზღუდვა და წნეხი, რომელიც ბასკთათვის ცხოვრების გასაპრობლემებლად იყო ჩამოყალიბებული, მათ ცნობიერებაში ესპანელებზე ამკვიდრებდა სტერეოტიპს, რომ ისინი მათ არა მხოლოდ დისკრედიტაციას, არამედ განვითარების ზოგად შეფერხებას უზრუნველყოფდნენ. ამას კი, როგორც იკვეთება კვლევიდან, შედეგად ბასკთა ფსიქოლოგიური გაუცხოება მოჰყვათ ესპანური საზოგადოებისაგან. ამ მხრივ, ცალსახაა, რომ ძალადობრივი მიდგომების ალბათობა ნამდვილად იმატებდა. აქედან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ 1974 წლის დამდეგს "ETA"-ს ბალანსზე უკვე 29 ადამიანის ცხედარი იდო (Molina, 2010). სიკვდილიანობისა და სისხლისღვრის ეს სურათი იმაზე მიანიშნებს, რომ ესპანელთა მხრიდან ეთნიკური უმცირესობის მიმართ განხორციელებულმა წნეხმა უარყოფითი საპასუხო რეაქცია გამოიწვია. ეს უდავოდ მძიმე მდგომარეობა იმ სტერეოტიპებისა და ცრურწმენების შედეგი იყო, რომლებსაც ცენტრი და პერიფერია აქტიურად ამკვიდრებდნენ ერთმანეთის შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ესპანელებმა აამოქმედეს პოლიტიკური პროექტები ბასკების როგორც სიბრაზის, ისე აღშფოთების პრევენციისათვის. ესპანელთა თვალთახედვით, სწორედ ეს ორი ასპექტი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ბასკთა მოქმედებებში ესპანელების მიმართ. სწორედ ამიტომ, ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ტერორიზმთან ბრძოლის ინოვაციური მეთოდები პირველად ზუსტად ბასკთა ექსტრემისტული დაჯგუფებების

წინააღმდეგ გამოეყენებინა (Stubbs, 2012). ეს მოცემულობა აჩვენებს, რომ ბასკები იმდენად მძიმე ფსიქოლოგიურ წნეხს განიცდიდნენ ესპანელთა მხრიდან, რომ მათთვის მთავარი იარაღი ძალადობა იყო ცენტრთან ურთიერთობისათვის. ამ მხრივ, მათი სოციალური სტატუსი ძალზე დაქვეითებული იყო და ისინი რეალურად კვლავ აწყდებოდნენ ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მჩაგვრელი, რეპრესიული ხასიათის დამოკიდებულებას. გრეჰემ სტაბსი 1970-იანი წლების ბასკეთზე წერს: "შეიარაღებული ძარცვები, პირადი, კომერციული და სამხედრო ქონების აფეთქებები, ადამიანის გატაცებები და მკვლელობები განიხილებოდა, როგორც საჭირო ღონისძიებები ბასკების მხრიდან ესპანელთა ჩაგვრის მიმართ" (Stubbs, 2012, გვ. 38). შეიძლება ითქვას, რომ ბასკების ტერორისტული ქმედებები საპასუხო რეაქცია იყო იმ ნეგატიური ფსიქოლოგიური მიდგომების მიმართ, რომლებსაც ესპანელები იჩენდნენ ბასკთა მხრიდან. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ბასკები, გარდა ფიზიკური სირთულეებისა, სერიოზულ ფსიქოლოგიურ სტრესს განიცდიდნენ ესპანელთა მხრიდან, რაც მათში აძლიერებდა მრავალი წლის მანძილზე დაგროვილ ძალადობრივ განწყობებს და ამ განწყობების შესაბამისი ქმედებების პრაქტიკაში განხორციელების სურვილს. რეალურად, გამოდის, რომ ბასკები ძალადობრივი მიდგომების გარდა ვერ ხედავდნენ სხვა შესაძლებლობას თავიანთი მიზნების აღსრულებისათვის და ეს სისხლისმღვრელ, მანკიერ პროცესებს უფრო აჩქარებდა. სწორედ ამის მაგალითია მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ბასკი ექსტრემისტების მიერ ესპანეთის პრემიერ ბლანკოს აფეთქება (Alonso, 2011) და ასევე უსაფრთხოების სამსახურის შენობაში 12 ადამიანზე სასიკვდილო შეტევა (Turner, 2015). გამიზნული მსხვერპლისა და ინფრასტრუქტურული ზარალის ეს შემთხვევები რეალურად გამოწვეული არ იყო მხოლოდ ესპანელთა მხრიდან ბასკების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური დაკნინებით, არამედ ასევე მათზე სერიოზული ფსიქოლოგიური შეტევით. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1982 წელს ჩატარებული გამოკითხვით, "ETA"-ს

38 პროცენტი უჭერდა მხარს (Conversi, 1994). ეს მიანიშნებს იმაზე, რომ დისკრიმინაციული კამპანია ესპანელთა მხრიდან ბასკების მიმართ აღმოჩნდა ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების გრძელვადიანად დამაზიანებელი ფაქტორი. თუ აქვე ვახსენებთ იმ ფაქტს, რომ იმავე 1982 წლის მორიგ გამოკითხვაში მონაწილე ბასკთაგან 60-მა პროცენტმა განკერძოებულად ბასკური ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლად გამოიყვანა საკუთარი თავი და მარტო 13-მა აღიარა საკუთარი თავი მხოლოდ ესპანური ეთნოსის ნაწილად (Conversi, 1994), ეს კიდევ ერთხელ ასახავს ფსიქოლოგიური წნეხის შედეგად ძალადობრივი მეთოდებისაკენ მიდრეკილი ბასკების დამოკიდებულებას ესპანელთა მიმართ: ბასკებში 1980-იანი წლებიდან უკვე საგრძნობლად მცირდებოდა ესპანური საზოგადოების ნაწილად საკუთარი თავის აღქმის საკითხი, რომელიც ისედაც დაქვეითებული იყო მანამდე მრავალი წლის მანძილზე.

ამ მხრივ, დაბალი სოციალური სტატუსი, რომელშიც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან ბასკურ ეთნოსზე სტერეოტიპებისა და ცრურწმენების დამკვიდრებამაც ითამაშა სერიოზული როლი, ბასკებისათვის ხელშემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა ნორმალური განვითარებისათვის. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამოძახილი იყო ბასკი მეცნიერის, ბეგონა არეტჩაგას შემდეგი ფრაზა:

> "ტერორისტები" და მათ გარშემო არსებული სოციალური გარემო არ არიან სოციალურად მარგინალიზებული ან პათოლოგიური ფიგურები, არც აბსტრაქტული და შორეული გარე მტრები, რომლებიც ბოროტებას განასახიერებენ. ეს "ტერორისტები" ზოგიერთი ჩვენგანის მეზობლები, ნაცნობები ან ოჯახის წევრები არიან - ხალხი, რომელიც ძალიან ახლოს არის ჩვენთან, რომლის ცხოვრებასაც კარგად ვიცნობთ და რომელსაც ასე ადვილად იგნორირებას ვერ გავუკეთებთ (Whitfield, 2015, გვ. 4).

ეს ყოველივე აჩვენებს, რომ ესპანელებმა იმდენად დაჩაგრეს ბასკები, რომ ეთნიკური უმცირესობა გრძელვადიან პერსპექტივაში ტერორიზმის არა

მხოლოდ მომხრე აღმოჩნდა, არამედ ძალადობის მომხრეებთან საკუთარი თავის გაიგივებაც კი დაიწყო. ეს რეალურად სხვა არაფერია, თუ არა ძალიან მძიმე ფსიქოლოგიურ წნეხზე პასუხი, რომელმაც ძალზე რთული და დაძაბული ურთიერთობები ჩამოაყალიბა ცენტრსა და პერიფერიას შორის. როგორც ჩანს, ეს ფაქტორი სერიოზულად მოქმედებდა იმაზე, რომ 1978 წელს 91 ადამიანი "ETA"-მ მძიმედ დააშავა და 67 კაცი მოკლა, ხოლო 1979 წელს - 141 კაცი დაასახიჩრა და 72 ადამიანი კი სიცოცხლეს გამოასალმა (Edles, 1999). სხვადასხვა წყაროს ცნობით 1977-1981 წლებში ორგანიზაციამ 240 კაცი მოკლა, ხოლო 100-ზე მეტი კი სხვადასხვა ფორმით დააშავა (Molina, 2010). ეს ფაქტები, აჩვენებს, რომ ძალადობის დინამიკა დროში კვლავ მიმდინარეობდა და ეს რეალურად ესპანელების მხრიდან საბინო არანასა და მისი თანამოაზრეების დისკრედიტაციის პერიოდიდან მოყოლებული 1980-იანი წლების ჩათვლით ბასკების დაკნინებაში გამოიხატებოდა. ფაქტია, რომ ის, ვინც ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისათვის ექსტრემისტი იყო, ბასკთათვის მისაღები, ანგარიშგასაწევი და პატივსაცემი ფიგურაც კი შეიძლებოდა ყოფილიყო. ეს რეალურად იყო პროტესტი იმ სტერეოტიპის წინააღმდეგ, რომელსაც ბასკებთან მიმართებით ამკვიდრებდნენ ესპანელები, რომ ბასკებს აკლდათ საღი აზრი და მათი ქმედებები მხოლოდ ვითარების გაუარესებისაკენ იყო მიმართული. თუ ზემოაღწერილი კვლევის მიხედვით გავითვალისწინებთ, რომ 1974 წელს დედაქლაქში ერთ-ერთ დაწესებულებაზე იერიშის შედეგად ბასკებმა დაჭრეს 56, ხოლო მოკლეს 16 ადამიანი, რომლებიც იქ აბსოლუტურად შემთხვევით მოხვდნენ (Edles, 1999), აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1970-იან წლებში, როდესაც დემოკრატიული ტრანსფორმაციის პერიოდი დაიწყო სახელმწიფოში, ესპანელები ცდილობდნენ ბასკეთის მასშტაბით არსებული მასმედიიდან დაწყებული საგანმანათლებლო და პოლიტიკური ორგანიზაციების ჩათვლით სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფის ორად - ესპანელთა მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად - გახლეჩას. საზოგადოების დაპირისპირების ეს სცენარი ძალიან ჰგავს ფრანკოს გუნდის

შერჩევით მიდგომებს, რომელიც პოზიტიურ და ნეგატიურ თანამემამულეებად ყოფდა ესპანელებს (Molina, 2010). ჩანს, რომ ძალადობის მასშტაბები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა და ესპანელთა სტერეოტიპული დამოკიდებულების წაქეზებით ბასკები სულ უფრო და უფრო სძენდნენ ლეგიტიმაციას თავიანთი ეთნოსის ექსტრემისტი წარმომადგენლების ძალადობას. ფაქტია, რომ ძალადობის მასშტაბები სულ უფრო მეტად იზრდებოდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით, რაშიც ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეჰქონდა ესპანელთა მხრიდან ეთნიკური უმცირესობის დისკრედიტაციის გამო დაწყებულ ამ სისხლისმღვრელ კამპანიას.

ამგვარად, ჩანს, რომ ესპანელები ცდილობდნენ ბასკების შესახებ მრავალი სტერეოტიპისა თუ ცრურწმენის დამკვიდრებით ესპანურ საზოგადოებაში სახელი გაეტეხათ და სოციალური სტატუსი დაექვეითებინათ ბასკთათვის. ამაზე ბასკთა რეაქცია ასევე დისკრიმინაციული იყო ესპანელთა მიმართ და გრძელვადიან პერსპექტივაში, როგორც ანალიზიდან გამოიკვეთა, მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით ძალადობრივი მიდგომები გააძლიერა ეთნიკურ უმცირესობაში ტიტულარული უმრავლესობის მიმართ.

**5. 3. 2. კატალონიური უმცირესობის ანალიზი ფსიქოლოგიური ქვეინდიკატორების თვალსაზრისით**

საინტერესოა, რამდენად იკვეთებოდა სტერეოტიპები და ცრურწმენები კატალონიელებსა და ესპანელებს შორის ურთიერთობებში და როგორი გავლენა იქონია ამან მთლიანობაში ეთნიკურ უმცირესობასა და ტიტულარულ უმრავლესობას შორის დიალოგზე. ამ მხრივ, საინტერესოა, დავაკვირდეთ როგორი იყო ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების ფსიქოლოგიური დინამიკა.

უპირველესად, უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ როგორც მილერი და მილერი გადმოსცემდნენ, ესპანელების რწმენით, კატალონიაში პროცესები არც გაჩერებულ მდგომარეობაში იყო და არც ძალზე

დადგენილი სტანდარტების ფარგლებში მიდიოდა. აღნიშნული ეთნიკური უმცირესობა მუდმივად გამოირჩეოდა სწრაფი, საინტერესო და ამავე დროს, გარკვეული საპროტესტო ტონის შემცველი მოვლენებით (Miller & Miller, 1996). ეს რეალურად მიუთითებს, რომ ესპანურ საზოგადოებაში კატალონიელთა შესახებ არსებობდა შეხედულება იმის შესახებ, რომ ეს ეთნიკური უმცირესობა არც ძალზე ხიფათიანი და სისხლისმღვრელი მიდრეკილებებით და არც მთლად უშფოთველი და ყველაფრით კმაყოფილი მდგომარეობით გამოირჩეოდა. ეს მიანიშნებს, რომ ესპანელები ცდილობდნენ, კატალონიელთა ადგილი თავიანთ საზოგადოებაში დაენახათ არა ერთი, არამედ მრავალფეროვანი გადმოსახედიდან. ზემოაღნიშნული დახასიათება მიანიშნებს, რომ ესპანელთა თვალსაზრისით, კატალონიის რეგიონი არა კეთილისა და ბოროტის დიქოტომიაში, არამედ ჩვეულებრივი ადამიანებით დაკომპლექტებული ეთნოსის პრიზმაში თავსდებოდა. ესპანურ საზოგადოებაში გავრცელებული იყო აზრი, რომ კატალონიელები და მათი ეთნოსის მახასიათებლები ასოცირდებოდა ეკონომიკურ წინსვლასთან და წარმოების თვალსაზრისით დაწინაურებულ ფენასთან (Miller & Miller, 1996), შეიძლება ითქვას, რომ ესპანურ სახელმწიფოში კატალონიელთა შესახებ დამკვიდრებული იყო სტერეოტიპი იმასთან დაკავშირებით, რომ ისინი განსხვავებული აზრის მიუხედავად, დოვლათს ქმნიდნენ და საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეს აკეთებდნენ. აღნიშნული ფაქტებიდან იკვეთება, რომ კატალონიელები გარკვეული თვალსაზრისით ელიტარული ხასიათის უმცირესობას წარმოადგენდნენ, რაზეც ზემოთ მოცემული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით მათი ანალიზიც მეტყველებს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კატალონიელთა დიდი უმრავლესობა ესპანელების მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი და როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით სერიოზულად ბევრ ერთობლივ პროექტს ნერგავდა. ის ფაქტი, რომ 1770-იანი წლებიდან

მოყოლებული კატალონიელებს საკუთარი განვითარების სივრცედ სწორედ ესპანური სახელმწიფო ესახებოდათ (Smith, 2014), იკვეთება, რომ ფსიქოლოგიური და ემოციური თვალსაზრისით მათ აბსოლუტურად ნორმალური დამოკიდებულება ჰქონდათ ესპანელთა მიმართ. ამ მხრივ, სერიოზული იყო იმის ალბათობა, რომ ფსიქოლოგიური ბარიერები ცენტრს და პერიფერიას შორის არ ან ნაკლები დოზით აღმართულიყო და მათ გადაელახათ თავიანთი განსხვავებების მიუხედავად თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა ერთმანეთთან დიალოგის საფუძველზე. ეს კი, ბუნებრივია, კონფლიქტის ძალადობრივ სიბრტყეში გადასვლის ალბათობას ამცირებდა. თუ იმასაც გაესმება ხაზი, რომ როგორც 1500-იან, ისე 1600-იან წლებში (ისევე, როგორც ისტორიის მომდევნო პერიოდებშიც), კატალონიელთათვის პრობლემა არ იყო კატალონიური და კასტილიური ენების თანასწორობა (Smith, 2014), კიდევ ერთხელ ნათელი გახდება ცენტრსა და პერიფეიას შორის ურთიერთკავშირის სასარგებლო ხასიათი, რომელიც თავის თავში ბუნებრივად მოიაზრებს მრავალ, მათ შორის ფსიქოლოგიურ ფაქტორსაც. ეს გარემოება ადასტურებს, რომ ბასკებისაგან განსხვავებით, კატალონიელთათვის სირთულე არ იყო თავიანთი ენის პარალელურად სახელმწიფოში გავრცელებული ძირითადი ოფიციალური ენის გამოყენების საკითხი და ისინი ტოლერანტულნი, კომპრომისულნი იყვნენ ესპანელთა გარკვეული კულტურული მახასიათებლების მათი რეგიონის სივრცეში შესვლასთან მიმართებით. ეს მოცემულობა აჩვენებს, რომ მე-19 საუკუნისათვის, პრაქტიკულად, კარგი ნიადაგი მომზადდა კატალონიელთა და ესპანელთა მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის და მინიმუმამდე იყო დაყვანილი იმ ფსიქოლოგიური კლიშეების ალბათობა, რომელთაც შეიძლებოდა, დაეზარალებინათ ეს ურთიერთობები.

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ანალიზიდან გამოიკვეთა მე-19 საუკუნის დასაწყისში ფრანგები ვერ ახერხებდნენ კატალონიელებზე გავლენების გავრცელებას, რადგან ეთნიკურ უმცირესობას სერიოზული მისწრაფება ჰქონდა ტიტულარულ უმრავლესობასთან

თანაარსებობისათვის ერთსა და იმავე სახელმწიფოში (Smith, 2014), ჩანს, რომ 1800-იანი წლების საწყისი ეტაპიდან მოყოლებული რეალურად ფსიქოლოგიური ხასიათის დაძაბულობა ესპანელებსა და კატალონიელებს შორის არ ყოფილა. ეს ქმნიდა მოცემულობას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში არაძალადობრივი ხასიათის მიდგომები შენარჩუნდებოდა ცენტრსა და პერიფერიას შორის. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კატალონიის იმჟამინდელი მედიასაშუალებებით მუდმივად ქვეყნდებოდა ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობის ესპანელთა მიმართ კეთილგანწყობის შესახებ. იმის ფონზე, რომ მამულიშვილური გრძნობები კატალონიელებს სწორედ ესპანელებთან ერთად უჩნდებოდათ (Smith, 2014), ნათელი ხდება ფაქტი, რომ კატალონიელთათვის ესპანეთი არ იყო უბრალოდ გეოგრაფიული განსახლების სივრცე ან ტერიტორია, რომელზეც მათ არ სურდათ ცხოვრება. რეალურად, ჩანს, რომ ესპანურ სახელმწიფოსა და საზოგადოებასთან სრულფასოვანი ინტეგრირება კატალონიელთათვის საკმაოდ სერიოზულ ფსიქო-ემოციურ დატვირთვას ატარებდა. თუ აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კატალონიელთა გარკვეული ნაწილისთვის ესპანური სახელმწიფოს დაცემა საკუთარი ეთნოსის აღსასრულსაც კი ნიშნავდა (Smith, 2014), კიდევ ერთხელ ჩანს, რომ კატალონიელებს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სერიოზული ბმა ჰქონდათ ესპანელებთან. როგორც ჩანს, ეს ფაქტი იქცა იმის წინაპირობად, რომ მათ გრძელვადიანად შეუნარჩუნდათ ესპანელთა მიმართ დადებითი დამოკიდებულება, მიუხედავად გარკვეული ქარტეხილებისა ცენტრსა და პერიფერიას შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ მე-19 საუკუნის 50-იანი წლებში ეთნიკურ უმცირესობაში მუსირებდა აზრი კატალონიელთა ესპანეთში ცხოვრებისა და სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით განვითარების მიმართულებით (Payne, 1971), ცხადი ხდება, რომ კატალონიელები ძალზე წარმატებულად ახერხებდნენ იმ პერიოდში ესპანურ საზოგადოებასთან ინტეგრირებას. საინტერესოა, რომ

1875 წელს განხორციელებული სახელმწიფოებრივი ცვლილებების საფუძველზე კატალონიელებს, როგორც ეთნიკურ უმცირესობას, მიეცათ სერიოზული პოლიტიკური ბერკეტები (Payne, 1971), რაც აჩვენებს ესპანელთა წვლილს მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდის კატალონიის გაძლიერების საკითხში. ეს თავისუფლად შეიძლებოდა, გამხდარიყო უმცირესობისათვის ბიძგი, რათა მათ ესპანელებთან მშვიდობიანი ფორმის ურთიერთობებისათვის მეტი დინამიკა მინიჭებინათ. აქ ბუნებრივია სერიოზული როლი ითამაშა ნაციონალისტური მიდგომების იდეოლოგების ფაქტორმაც. ის გარემოება, რომ ვალენტი ალმირალი და მსგავსი პერსონები რეგიონის პერსპექტივებს ესპანურ სახელმწიფოში ხედავდნენ და სახელმწიფოს ფედერალიზაციის საფუძველზე ეთნიკური უმცირესობის განვითარება მიაჩნდათ აუცილებლად ესპანეთში (რაზეც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ალმირალმა სერიოზული აქცენტები დასვა, მაგალითად, თავისი "კატალონიური გაზეთის" ფურცლებზე) (Payne, 1971), საკმაოდ ნათლად წარმოაჩენს კატალონიელთა ფსიქოლოგიური ბარიერების თითქმის არარსებობას ესპანელებთან ურთიერთობაში. როგორც კვლევიდან იკვეთება, იმავე საუკუნის ბოლოს კატალონიელი პუბლიცისტი, ხუან მანე ი ფლაკერიც კატალონიელთა ძლიერი თვითმმართველი უფლებების აღჭურვით ეთნიკური უმცირესობის ესპანეთის სახელმწოფში გაძლიერების მომხრე იყო და ამავე დროს, ესპანური პოლიტიკური პროცესის მიმართ სიმპათია ჰქონდა (Payne, 1971). ეს ყოველივე აჩვენებს, რომ კატალონიელები, რომლებიც თავიანთი უმცირესობის უფლებების ზრდის მომხრენი იყვნენ, თავიანთ მომავალს ხედავდნენ ესპანეთის საზღვრებში. ეს კი რეალურად გამოწვეული იყო არა მხოლოდ იმით, რომ პოლიტიკური გავლენებითა და კარგი ეკონომიკური მდგომარეობით ხასიათდებოდნენ ესპანურ სახელმწიფოებრივ სივრცეში, არამედ იმითაც, რომ დისკრიმინაციული ფსიქოლოგიური ფონი ნაკლებად იკვეთებოდა მათ მიმართ ესპანური საზოგადოების მხრიდან. რეალურად, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული მსგავსება იკვეთება ბასკებსა და

კატალონიელებს შორის თვითმმართველი უფლებების ზრდის მოთხოვნასთან მიმართებით, თუმცა ის ფაქტი, რომ ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლებისა და საზოგადოების მხრიდან კატალონიელთა მიმართ გაცილებით შემწყნარებლური და კომპრომისული დამოკიდებულება იგრძნობოდა, ეს ახდენდა არაძალადობრივი მეთოდების წახალისებას კატალონიაში, განსხვავებით ბასკეთისაგან, სადაც მკაფიოდ ძალადობრივი ფონი იკვეთებოდა დროთა განმავლობაში.

ესპანელი მკვლევრების, ხუან ნოგუესა და ხუან ვისენტეს აზრით, ესპანურ საზოგადოებაში კატალონიურ ეთნოსზე დამკვიდრდა შეხედულება, რომ მათ ახასიათებთ მრავალფეროვანი მიდგომები. ესპანელების თვალთახედვით, კატალონიელები, ერთი მხრივ, არიან გონებამახვილები და შორსმჭვრეტელნი, ინტელექტის მაღალი დონით გამორჩეულნი, დიალოგისა და კომპრომისების მომხრენი. თუმცა საჭიროების შემთხვევაში მათ შესწევთ უნარი, გამოავლინონ მღელვარე ხასიათი და საპროტესტო განწყობა (Nogué & Vicente, 2004). ეს ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ესპანელები ცდილობდნენ, კატალონიელები არ წარმოეჩინათ ერთი მხრიდან და ხაზი გაესვათ იმისათვის, რომ ისინი არც კარგები იყვნენ და არც ცუდები. აქ აქცენტი კეთდება იმაზე, რომ ისინი ეთნოსის ფსიქოლოგიას მრავალი სხვადასხვა თვისებით წარმოაჩენდნენ, რითაც მიანიშნებდნენ მათზე, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებზე. ამ მხრივ, საყურადღებოა, რომ საჭიროების შესაბამისად მშფოთვარე ხასიათი და კომპრომისული მოლაპარაკებების სურვილი გარკვეული საკითხების ირგვლივ საერთო ენის გამონახვის სურვილზე მიანიშნებს. აქედან გამომდინარე, ესპანური საზოგადოება, პრაქტიკულად, აღიარებდა კატალონიელებს თავიანთი პოზიტიური და ნეგატიური მხარეებით და ბასკებისაგან განსხვავებით, ერთი, „მტრის ხატის“ პოზიციიდან მათ წარმოჩენას სულაც არ ცდილობდა. ეს კი ხელს უწყობდა ნეგატიური სტერეოტიპებისა და ცრურწმენებისაგან ეთნოსის დაცვასა და მათში

მშვიდობიანი ხასიათის ურთიერთობების გაგრძელების სურვილის გაძლიერებას ესპანელებთან.

მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ფრანკოს ხელისუფლების პერიოდში, განსაკუთრებით მე-20 საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში ეთნიკური ესპანელები ჩადიოდნენ საცხოვრებლად კატალონიის რეგიონში და ამავე დროს, კატალონიელების ადგილობრივ ენასა და ტრადიციებს გარკვეული წნეხის ქვეშ აქცევდა ცენტრალური ხელისუფლება (Serra i Salamé, 2004). რეგიონში იმ პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების მომხრეთა მხრიდან ისმოდა ხოლმე ფრაზა: "თუ თქვენ ხართ ესპანელი, ისაუბრეთ ესპანურად"(Miller & Miller, 1996, გვ. 116). ერთი შეხედვით, პრაქტიკულად, ისეთივე სიტუაცია იყო, როგორიც ბასკეთში და პროცესები თითქოს იქით მიდიოდა, რომ სერიოზული ფსიქოლოგიური ბარიერები უნდა აღმართულიყო ეთნიკურ უმცირესობასა და ტიტულარულ უმრავლესობას შორის. ეს კი, თავის მხრივ, შემდგომ ძალადობის გამომწვევი მიზეზი შეიძლებოდა, გამხდარიყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ კატალონიელთათვის ესპანურ ეთნოსთან თანაცხოვრება სულაც არ წარმოადგენდა პრობლემას და თავის მხრივ, ესპანელებსაც არ ექმნებოდათ დისკომფორტი კატალონიელებთან მიმართებით (Serra i Salamé, 2004), შეიძლება ითქვას, რომ ეთნოსთა შორის კულტურული დიალოგი მიმდინარეობდა და ზემოხსენებული ცრურწმენა ის იშვიათი ბარიერი იყო, რომლის გადალახვაც საბოლოოდ ტიტულარულმა უმრავლესობამ და ეთნიკურმა უმცირესობამ შეძლეს. ამ მხრივ, ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან არც თუ ისე მისაღები ფსიქოლოგიური ფონის შექმნის მიუხედავად (რაც, მაგალითად, გამოიხატებოდა იმაში, რომ რეგიონში კატალონიურ ენაზე მოსაუბრეთა რიცხვი ფრანკოს მმართველობის სრულ პერიოდში 90-პროცენტიანი ნიშნულიდან 60%-მდე დაეცა (Miller & Miller, 1996)), პრაქტიკულად, კატალონიელებს შემწყნარებლური დამოკიდებულება შეუნარჩუნდათ ესპანელებისადმი, რადგან ესპანური საზოგადოება კეთილგანწყობილი იყო მათ მიმართ გრძელვადიან

პერსპექტივაში. როგორც კვლევიდან ჩანს, სწორედ ის ფაქტი, რომ ესპანელები მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ფრანკოს მმართველობის დამყარებამდეც, გარკვეული თვალსაზრისით ფრანკოს მმართველობის პირობებშიც და შემდგომაც კატალონიელთა მიმართ დადებითად იყვნენ განწყობილნი, აისახა იმ მოცემულობაში, რომელსაც მორენო, არიბა და სერანო შემდეგ სიტყვებში გადმოსცემენ: "კატალონიური ნაციონალიზმი… იყო უფრო ინტელექტუალური და ყოველთვის ნაკლებად იყო სეცესიონისტური" (Moreno, Arriba & Serrano, 1998, გვ. 67). ენრიკ უცელაი-და კალი ესპანელთა კატალონიელების მიმართ არსებული დამოკიდებულების შესახებ წერს:

> ეს იყო მართალი 1980-იან წლებამდე, რომ კატალონიური საზოგადოების, მით უმეტეს კატალონიურად მოსაუბრე ნაწილის აღქმისას იკვეთებოდა ისეთი გამოკვეთილი მახასიათებლები, როგორებიცაა სერიოზული პუნქტუალობა, ფესვგადგმული მუშაობის კულტურა, განსხვავებული ხასიათის თანაგრძნობა და ურთიერთობების უნარი ესპანეთის სხვა ტერიტორიებისგან განსხვავებით (Ucelay-Da Cal, 2014, გვ. 17).

რეალურად, კატალონიის ქეისის ფსიქოლოგიურ ჭრილში ანალიზიდან იკვეთება, რომ კატალონიელების მიმართ ესპანურ საზოგადოებაში დამკვიდრებული იყო დადებითი შეხედულება და ესპანელთა უმრავლესობა მათ მიმართ პოზიტიურად იყო განწყობილი თვით არადემოკრატიული რეჟიმის პირობებშიც კი. ამ თვალსაზრისით, უდავოა, რომ თავად კატალონიელები არ იყვნენ მიდრეკილნი ძალის გამოყენებისაკენ, თუმცა მათ პაციფისტურ და უპრობლემო მდგომარეობაში იმანაც შეიტანა წვლილი, რომ მთლიანობაში ესპანელები არ ცდილობდნენ მათზე სტერეოტიპული თუ ცრურწმენების მეშვეობით დამოკიდებულების ჩამოყალიბებას და მათი, როგორც ეთნიკური უმცირესობის მიმართ სიმპათიით იყვნენ განწყობილნი. საინტერესოა, როსის, კანოსა და ჰუიცის სიტყვები კატალონიელების იმჟამინდელ მდგომარეობასთან

დაკავშირებით ესპანეთში: “კატალონიელები ყველაზე წარმატებული ჯგუფი აღმოჩნდნენ თავიანთი მშობლიური ენისათვის გარკვეული პრესტიჟის შესანარჩუნებლად” (Ros, Cano & Huici, 1987, გვ. 244). რეალურად, გამოდის, რომ კატალონიელებს სხვა ეთნიკურ უმცირესობებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ მათი ეთნოსის კულტურული მახასიათებლები, მათ შორის პირველ რიგში ენა, გაცილებით უფრო დაფასებული და მისაღები იყო. ამ ყოველივეში ბუნებრივია ყველაზე მთავარი წვლილი იმას ჰქონდა, რომ ესპანელები მათ მიმართ დადებითად იყვნენ განწყობილნი და ცდილობდნენ მათ წინსვლას, მიუხედავად ფრანკოს რეჟიმის გარკვეული წნეხისა როგორც კატალონიელების, ისე სხვა უმცირესობების მიმართ.

კარლს სერა ი სალამე კატალონიის რეგიონში გადასული ესპანელების შესახებ წერდა: “წარმოშობით ესპანელი იმიგრანტებისა და მათი შთამომავლების ძალზე მცირე რაოდენობა აღიქვამს საკუთარ თავს, როგორც იმიგრანტებს…” (Serra i Salamé, 2004, გვ. 435). ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ ესპანელთა და კატალონიელთა თანაცხოვრება მაინც ხერხდებოდა, მიუხედავად ფრანკოს არადემოკრატიული რეჟიმის მიერ აღმართული გარკვეული წინააღმდეგობებისა. ამის უმთავრესი ხელშემწყობი ფაქტორი კი ორივე ეთნოსის კეთილგანწყობა და ერთ საზოგადოებად თანაარსებობის სურვილი იყო, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ნეგატიური სტერეოტიპებისა და ცრურწმენების ნაკლებობასა და არაძალადობრივი, მშვიდი, კომპრომისული ხასიათის ურთიერთდამოკიდებულებას უზრუნველყოფდა ტიტულარულ უმრავლესობასა და ეთნიკურ უმცირესობას შორის. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია კრისტინა სანცის სიტყვები ბასკური და კატალონიური ენების დატვირთვის შესახებ ესპანეთში: “მიუხედავად ლინგვისტური რეპრესიების ხანგრძლივი პერიოდისა, …კატალონიურ ენას ყოველთვის მაღალი სტატუსი ჰქონდა, რადგან იგი ტრადიციულად ასოცირდებოდა მაღალ ძლევამოსილ სამრეწველო ბურჟუაზიასთან. ბასკური ჩვეულებრივ

ასოცირდებოდა სოფლის ტიპის დასახლებებში მცხოვრები ადამიანების სასაუბრო ენასთან" (Sanz, 2000, გვ. 27). ეს თვალნათლივ ანახებს კონტრასტს ესპანურ საზოგადოებაში ბასკებთან და კატალონიელებთან დაკავშირებით არსებულ სტერეოტიპებთან დაკავშირებით. რეალურად, კატალონიური ეთნოსის მახასიათებლები, მათ შორის, პირველ რიგში, ენა და კულტურა, ესპანელთა თვალთახედვით, იყო მაღალი დონის, დაწინაურებული ფენომენი, რომელიც, როგორც ზემოთ მოცემულ ანალიზშიც გამოიკვეთა, გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენებითა და უპირატესობებით სარგებლობდა ესპანურ სახელმწიფოში. კატალონიელთაგან განსხვავებით, ბასკების ეთნიკური ასპექტები, ესპანელთა შეხედულებით, უკავშირდებოდა პროვინციალიზმსა და განუვითარებელ მდგომარეობას. ამ მხრივ, ნათელია, რომ კატალონიელების შესახებ არსებული დადებითი სტერეოტიპი აღნიშნულ ეთნოსს აშკარა პრივილეგიას ანიჭებდა და პრაქტიკულად, "კარტ ბლანშს" აძლევდა ესპანურ საზოგადოებაში თავის სრულფასოვნად დამკვიდრებისათვის. ეს კი ხსნის იმას, არადემოკრატიული რეჟიმის პირობებში არსებული წნეხის მიუხედავად, როგორ ინარჩუნებდნენ კატალონიელები ტოლერანტობას ესპანელებთან ურთიერთობაში, რამაც მათ გრძელვადიან პერსპექტივაში სასარგებლო მდგომარეობა შეუქმნა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, 1980-იანი წლების დასაწყისში არსებული გამოკითხვის საფუძველზე ჩამოყალიბდა სტატისტიკა, რომ კატალონიელთა 30 პროცენტისათვის მათი ეთნიკური წარმომავლობა უპირველესად ესპანური იყო, 26 პროცენტისათვის - კატალონიური და 40 პროცენტისათვის - კატალონიური და ესპანური ერთობლივად (Conversi, 1994). ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ წლების განმავლობაში ურთიერთსიმპათია, რომელსაც ძალზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ეფექტი ჰქონდა ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების დინამიკისათვის, კვლავ ძალაში რჩებოდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით, მიუხედავად ფრანკოს პერიოდში ცენტრალური ხელისუფლების

მიერ განხორციელებული მძიმე პოლიტიკისა რეგიონის მიმართ. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1983 წლის ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე მალევე როგორც სატელევიზიო (მაგალითად, “TV3”), ისე ბეჭდვით მედიაში მომრავლდა კატალონიურ ენაზე ინფორმაციის მსმენელთან და მკითხველთან მიტანის ტენდენცია და ახალგაზრდა აუდიტორია კატალონიის რეგიონში კატალონიურ ენაზე მიწოდებული მედია-კონტენტის სერიოზული მომხმარებელი გახდა (Clots-Figueras & Masella, 2013), ფაქტია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ესპანელებმა ხელი შეუწყვეს კატალონიელთა იდენტობის შენარჩუნება-განვითარების საკითხს, რასაც თავისებურად დადებითი გავლენა ჰქონდა ეთნიკური უმცირესობის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ეს გარემოება მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობების ნორმალიზების პროცესში და ბუნებრივია, დიალოგის ფორმატის მნიშვნელობა გაზარდა, იარაღის ენით საუბრის ნაცვლად. ეს ე. წ. ორენოვანი საგანმანათლებლო პოლიტიკა სერიოზულად უწყობდა ხელს ეთნოსების ინტეგრირებას ერთიან სახელმწიფოში (Clots-Figueras & Masella, 2013), რაც რეალურად აჩვენებს დიქტატორული რეჟიმის დასრულებიდან მალევე ეთნიკურ უმცირესობასა და ტიტულარულ უმრავლესობას შორის ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივების განვითარებას სტერეოტიპებისა და ცრურწმენების მინიმიზაციის ფონზე.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელებთან მიმართებით გარკვეული სტერეოტიპებისა და ცრურწმენების განსაკუთრებით ფრანკოს მმართველობის პერიოდში არსებობის მიუხედავად, ეთნიკურ უმცირესობასა და ტიტულარულ უმრავლესობას ერთმანეთთან პოზიტიური ურთიერთობები აკავშირებდა. ამ მხრივ, კვლევიდან ჩანს, რომ ესპანელები უმეტესწილად დადებითი სახის სტერეოტიპებსა და შეხედულებებს აყალიბებდნენ კატალონიელებთან დაკავშირებით და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ცდილობდნენ, ბარიერები არ შეექმნათ ეთნიკური უმცირესობისათვის. როგორც იკვეთება, სწორედ ამან

შეაძლებინა მათ ფრანკოს არადემოკრატიული წნეხის პირობებში ძალადობაზე უარის თქმა, რასაც ზურგს უმაგრებდა მრავალწლიანი მშვიდობიანი თანაცხოვრება ცენტრსა და პერიფერიას შორის, რომელიც 1970-იანი წლების შემდგომაც კვლავ მშვიდ ფორმებში გაგრძელდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევიდან იკვეთება კატალონიელების კრიტიკული, პრინციპული განწყობები კონკრეტული საკითხების მიმართ, რომელთა გადაწყვეტაც მათ მრავალჯერ არა იარაღის, არამედ მშვიდობიანი, კომპრომისული დიალოგისა და არაძალადობრივი შეკრებების გზით მოისურვეს.

ის ფაქტი, რომ კატალონიელების რაციონალური არჩევანი მთლიანობაში არაძალადობრივი ხასიათის ურთიერთობები იყო ცენტრალურ ხელისუფლებასთან, დიდწილად გამოიწვია ესპანელთა მრავალწლიანმა ლოიალურმა დამოკიდებულებამ მათი, როგორც ჩვეულებრივი ადამიანებით დაკომპლექტებული ეთნოსის მიმართ. როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, ესპანელები კატალონიელთა შესახებ არაერთგზის ავრცელებდნენ აზრს, რომ ამ ეთნოსის წარმომადგენლები არც აპრიორი კარგი და არც აპრიორი ცუდი ადამიანები იყვნენ. ისინი რეალურად ბევრი ესპანელის თვალში აღიქმებოდნენ როგორც თავიანთი მინუსებისა და პლიუსების მქონე ადამიანები, რომელთა შესახებაც ერთი უკიდურესი შეხედულება არ არსებობდა ესპანელ ერში. ის ფაქტი, რომ არაერთი ესპანელისა თუ კატალონიელის თვალში კატალონიური ენა და კულტურა თვით კასტილიურზე უფრო მაღალი დონის მოცემულობადაც კი ითვლებოდა ხოლმე (რაც, ვულარდის 1988 წლის კვლევის მიხედვით, დიდწილად გამოწვეული იყო კატალონიელთა საკმაოდ ძლიერი სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით)(Miller & Miller, 1996), ნათლად აჩვენებს, რომ კატალონიელთა მიმართ დამოკიდებულება გაცილებით უფრო უპირატესი იყო, ვიდრე ბასკების ესპანეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში.

## დასკვნა

ბასკეთისა და კატალონიის ძალადობრივ-არაძალადობრივ კონტექსტში კვლევით საკმაოდ საინტერესო შედეგები დაიდო. კვლევით დგინდება, რომ დასტურდება პირველი ჰიპოთეზა: ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას ხელი შეუწყო ამ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების მზარდმა გავლენამ, ხოლო კატალონიაში არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას კი - აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებზე გარე ფაქტორების გავლენის არარსებობამ. პირველი ჰიპოთეზის თვალსაზრისით, გარე აქტორების სერიოზული ჩარევა იგრძნობოდა ბასკეთის რეგიონში ისტორიულად, რაც მთლიანობაში ახალისებდა რეგიონის ძალადობისაკენ მიდრეკილებებს და საბოლოოდ საქმე ტერორისტული დაჯგუფებების შექმნამდეც კი მიიყვანა. კვლევით დადგინდა, რომ საფრანგეთი იყო ის მთავარი გარე აქტორი, რომლის მოქმედებამაც ბასკური ეთნიკურ უმცირესობაში სერიოზული მიდრეკილებები გააჩინა ძალადობისაკენ და ესპანელებთან ძალისმიერი მეთოდებით დაპირისპირების საკითხში თავისი როლი შეასრულა. საფრანგეთსა და ესპანეთს შორის საზღვრის დადგენის საკითხი, ბილბაოს ეკონომიკური პოტენციალით დაინტერესებისა და ესპანური სახელმწიფოს დაკნინების მიზნით ბასკეთზე ფრანგების მხრიდან გავლენების მცდელობები (Stubbs, 2012), ფრანგების სამ-საუკუნოვანი კონტროლის შემდგომ ესპანელთა ხელში გადასული ბასკური ტერიტორიები (Post, 2007) და კიდევ სხვა უამრავი ზემოთ განხილული ფაქტი დასტურია იმისა, რომ ბასკები, რომლებიც ფრანგებისა და ესპანელების გავლენებს შორის მოქცეულ ეთნოსად ითვლებოდნენ ისტორიულად, ნამდვილად განიცდიდნენ გარე აქტორების გავლენას. ეს გარემოება კი, როგორც კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, მათ ხელს უშლიდა არა მხოლოდ ერთი კონკრეტული სახელმწიფოს შიგნით ნორმალური არსებობისათვის, არამედ ხელს უწყობდა ძალადობრივი,

სისხლისმღვრელი ნაბიჯებისაკენ აქტიური მიდრეკილებების გაჩენის საკითხში.

კვლევის შედეგების საფუძველზე, მართალია საფრანგეთი აღმოჩნდა მთავარი გარე აქტორი, რომელსაც ყველაზე დიდი გავლენა ჰქონდა ბასკების ძალადობისაკენ წახალისების საკითხში, თუმცა დროთა განმავლობაში იკვეთებოდნენ სხვა აქტორებიც, რომელთაც გარკვეული წვლილი ჰქონდათ ბასკების ძალადობრივი გზით სვლისაკენ წაქეზების საკითხში. ამ აქტორებს საფრანგეთის მსგავსი დიდი წვლილი არ ჰქონიათ ბასკთა ესპანელებთან აგრესიულ დაპირისპირებაში, თუმცა მათ პრაქტიკულად ფრანგულ გავლენებს დააშენეს თავიანთი გარკვეული ეფექტი ამ საქმეში. "ირგუნის" გავლენა და ცნობადობა "Ekin"-ის რიგებში და თავის მხრივ, მენაჰემ ბეგინის მსოფლმხედველობრივი ზემოქმედება ბასკურ ეთნოსზე (Conversi, 1993), ირლანდიური "შინ ფეინის" ზემოქმედების საფუძველზე ბასკთა ნეგატიური დამოკიდებულება დემოკრატიული პრინციპებისადმი და ნაციონალისტური ჯგუფის გაძლიერება ინსტიტუციურად (McCreanor, 2019). ეს ბუნებრივია, ქმნის სურათს, რომ ბასკებს დასახული მიზნების მიღწევა თავდაპირველადვე ძალადობრივი მიდრეკილებების მეშვეობით ესახებოდათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ მე-12 საუკუნის პერიოდიდან იკვეთებოდა მონათესავე კავშირები ბასკ და ირლანდიურ ეთნოსებს შორის (McCreanor, 2019), მე-19 საუკუნის ბოლო პერიოდში ირლანდიელი ნაციონალისტების, მათ შორის დენიელ ო'კონელის, ჩარლზ სტიუარტ პარნელისა და სხვათა მოწოდებები ბასკების ნაციონალიზმის დინამიკის რადიკალიზაციის მიზნით (McCreanor, 2020) და კვლევის პროცესში გამოკვეთილი კიდევ სხვა არაერთი გარემოება დასტურია იმისა, რომ საფრანგეთის ძლიერ გავლენას ბასკეთში არსებული ეთნიკური კონფლიქტის ძალადობრივი ესკალაციისათვის, პრაქტიკულად, კიდევ უფრო აძლიერებდა როგორც მე-19 საუკუნეში, ისე მომდევნო მე-20 საუკუნის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა გარე აქტორის გარე ეფექტი ბასკურ ეთნოსზე. როგორც ანალიზში გამოიკვეთა, ბასკებზე არსებული

ამგვარი გარე გავლენები სერიოზული წამახალისებელი ფაქტორი გახდა ძალადობის ესკალაციისათვის, რამაც კონკრეტული სისხლიანი და დესტრუქციული შედეგები მოიტანა გრძელვადიანად, იქნებოდა ეს "ETA"-ს ხელით 800-ზე მეტი მკვლელობა 1968-2003 წლების პერიოდში (De la Calle & Snchez-Cuenca, 2006), მე-20 საუკუნის 70-იან წლებში ბასკი რადიკალების მიერ ესპანეთის პრემიერ ბლანკოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობაზე იერეშით 12 უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა (Turner, 2015) და სხვ. მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ კვლევით დასტურდება ძალის დემონსტრირების გავლენის თეორიის (Conversi, 1993) ლოგიკა: ფაქტია, რომ საფრანგეთისა და სხვა გარე აქტორების ზეგავლენით ბასკების ფსიქოლოგიაში ძალადობის მიმართ მიდრეკილებები გაძლიერდა და თავის მხრივ, უმცირესობის მხრიდან ტიტულარულ უმრავლესობასთან მიმართებით ძალადობრივი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში გაიზარდა.

ამ ყოველივეს ფონზე, კვლევის შედეგებიდან ნათელია, რომ კატალონიაში საპირისპიროდ მიმდინარეობდა პროცესები. როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, კატალონიელები გაცილებით მოწადინებულნი იყვნენ, ესპანელებთან თანაცხოვრებისათვის და მათზე გაცილებით ნაკლები გავლენები იგრძნობოდა გარე სივრციდან. მიუხედავად იმისა, რომ როგორც კვლევით დგინდება, მაგალითად, საფრანგეთის მხრიდან მრავალჯერ იყო მცდელობა როგორც კატალონიელებზე ზემოქმედების, ისე მათი ესპანელების წინააღმდეგ მიდგომების რადიკალიზაციის შესახებ, კატალონიელები მაინც ესპანური ეთნოსის მიმართ სიმპათიით დარჩნენ განწყობილნი და თავიანთი პრეტენზიების მხოლოდ მშვიდობიანი ფორმით წამოყენებისა და დიალოგის ფორმატში განხილვის მომხრეებად ჩამოყალიბდნენ. როგორც კვლევაში გამოიკვეთა, კატალონიურ მედიაში მუსირებდა ანტი-ფრანგული და პრო-ესპანური განწყობები და კატალონიელთათვის მამულიშვილობა ასოცირდებოდა ესპანურ საზოგადოებასთან თანაცხოვრებასთან (Smith, 2014). ამ მხრივ, არც

ფრანგების მავნე გავლენებს დაუთესავს მათ ეთნოსში ძალადობრივი მიდრეკილებები და არც სხვა ერებსა თუ არასახელმწიფო აქტორებს მოუხდენიათ მათზე ესპანელებთან დაპირისპირების ესკალაციისათვის მავნე გავლენები. გრძელვადიანად საკვლევ პერიოდში თუ ბასკებისა და კატალონიელების ძალადობის მაჩვენებლებს შევხედავთ, 800-ზე მეტი კაცი შეიწირა ბასკებში საკმაოდ სერიოზული პოპულარობით მოსარგებლე "ETA"-ს ქმედებებს (De la Calle & Snchez-Cuenca, 2006), ხოლო მაქსიმუმ 100 ინციდენტი დევს "FAC"-ის ბალანსზე, თანაც მისი ცნობადობა, პრაქტიკულად, დაარსების დღიდან მაღალი არ იყო კატალონიელებში და სულ უფრო და უფრო ქვეითდებოდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით (De la Calle, 2015). ამასთანავე, როგორც კვლევიდან გამოიკვეთა უბედური შემთხვევების, ნგრევისა და ზოგადად პრობლემური ფონის თვალსაზრისით ბასკეთში გაცილებით უარესი სიტუაცია იყო, ვიდრე კატალონიაში. ამ მხრივ, ძალის დემონსტრირების გავლენის თეორიის (Conversi, 1993) ლოგიკით ნათელია, რომ კატალონიელებზე გარედან გავლენების სიმწირით ძალადობისაკენ ეთნოსის წახალისება თითქმის არ მინდინარეობდა და ამ მხრივ, კატალონიელებმა ესპანელებთან არაძალადობრივი, მშვიდობიანი ხასიათის ფარგლებში შეინარჩუნეს თანამშრომლობის სურვილი, მიუხედავად გარკვეულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობისა.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში დადასტურდა მეორე ჰიპოთეზაც: ბასკეთში ძალადობრივი კონფლიქტური სიტუაციის განვითარებას ხელი შეუწყო ამ ეთნიკური უმცირესობის დაბალმა სოციალურმა სტატუსმა ესპანეთში, ხოლო კატალონიაში არაძალადობრივი კონფლიქტური ვითარების ჩამოყალიბებას კი - აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის მაღალმა სოციალურმა სტატუსმა ქვეყანაში. კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ ბასკებს როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები ჰქონდათ ესპანურ სახელმწიფოსა და საზოგადოებაში

სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის. ის ფაქტი, რომ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული 1980-იანი წლების ჩათვლით, რეგიონის საგანმანათლებლო პროცესები რეგრესს განიცდიდნენ ესპანელთა ხელშეწყობით, რისი ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითიც მრავალ ზემოთ განხილულ ფაქტს შორის იყო 1847 წელს ესპანეთში კომერციის, ინსტრუქციებისა და საზოგადო საქმეთა სამინისტროს ჩამოყალიბების ფონზე კომერციული და სანავიგაციო საგანმანათლებლო დაწესებულებების კონტროლის სხვადასხვა მექანიზმის ცენტრალური ხელისუფლების ხელში გადასვლა (Anduaga Egaña, 2008), იძლევა იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ საგანმანათლებლო თვალსაზრისით რეგიონის დაქვეითება მთლიანობაში მის სოციალურ სტატუსზე ცუდად აისახებოდა. ამასთანავე, როგორც კვლევიდან გამოიკვეთა, რეგიონში არსებული უმუშევრობის გაუარესებული ტენდენციით, არასრულყოფილი სოციალური მომსახურებითა და ეკონომიკური განვითარების არასტაბილური, კლებადი მაჩვენებლებით ბასკთა სოციალური სტატუსი საკმაოდ დაქვეითებული იყო. ამ თვალსაზრისით, კვლევიდან ჩანს, რომ ესპანელებს 1800-იანი წლებიდან მოყოლებული მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ჩათვლით სერიოზული წვლილი ჰქონდათ ბასკების სოციალურ-ეკონომიკური რეგრესის საკითხში. ის ფაქტი, რომ, მაგალითად, 1975-1981 წლებში ბასკი ახალგაზრდა მუშახელის რიცხვი 11 პროცენტით შემცირდა, რამაც გარდა მთლიანი შიდა პროდუქტის გაუარესებისა,. “ETA”-ს რიგებში ახალგაზრდების გაწევრიანების პროცესს შეუწყო ხელი (Conversi, 1994) და დაჯგუფებას 998 ტერაქტის მოწყობაშიც შეუწყო ხელი (Shatzer, 2021) აჩვენებს ბასკთა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გავლენას რეგიონში ძალადობის ესკალაციის საკითხში.

ამ თვალსაზრისით, განსხვავებული მდგომარეობა გამოიკვეთა კატალონიაში. კვლევიდან ნათელია, რომ ესპანელები ხელს არ უშლიდნენ და უფრო მეტიც, ცდილობდნენ ეთნოსის დახმარებას სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით წინსვლაში. როგორც ზემოთ აღინიშნა,

ესპანელების დახმარებით კატალონიელებს სერიოზული წინსვლა ჰქონდათ ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების კუთხით, რისი მაგალითებიც არის უბნის კეთილმოწყობილი და აღჭურვილი საავადმყოფოები, კვალიფიციური თანამშრომლებით დაკომპლექტებული და ასევე კეთილმოწყობილი ლაბორატორიები, საქველმოქმედო შემოწირულობებით დაფუძნებული სხვადასხვა ტიპის სამკურნალო დაწესებულებები და სხვ. (Barceló-Prats & Bekele, 2021). სოციალური მიმართულებით ეს წინსვლა, რომელიც მომდევნო საუკუნეშიც სწრაფი ტემპით პროგრესირდა, კატალონიელთა საკმაოდ მაღალ სოციალურ სტატუსზე მიუთითებს ესპანეთში. კვლევიდან ისიც ცხადი გახდა, რომ ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებების ამგვარი დინამიკის საფუძველი ესპანელთა მტკიცე დახმარებით (რაც, პირველ რიგში, რეგიონში წარმოებული პროდუქტის მიმართ სახელმწიფოს პროტექციონისტური პოლიტიკაში ვლინდებოდა (Medrano, 1994)) კატალონიელთა მრეწველობის გაძლიერება და კაპიტალის სწრაფი დინება იყო (Barceló-Prats & Bekele, 2021). ის გარემოება, რომ 1860-იან წლებში კატალონიის საფეიქრო წარმოება 80%-იან ასპექტს შეადგენდა ესპანური სახელმწიფოს ეკონომიკაში (Medrano, 1994) და მე-20 საუკუნის დასაწყისში ეს რაოდენობა კიდევ 2%-ით გაიზარდა (Domenech, 2008), მიუთითებს კატალონიელთა სერიოზულ ეკონომიკურ როლზე ესპანეთში, რაშიც, თავის მხრივ, სერიოზული მხარდაჭერა ჰქონდა ეთნიკურ უმცირესობას ცენტრალური ხელისუფლებისაგან. გარდა ყოველივე ამისა, კვლევით დგინდება, რომ კატალონიელებს სერიოზული წინსვლა ჰქონდათ, როგორც დასაქმების, ისე განათლების თვალსაზრისით, რაშიც ასევე ესპანელებს ჰქონდათ სერიოზული წვლილი. ის ფაქტი, რომ 1877 წლიდან 1920 წლამდე ბარსელონაში სამრეწველო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 37.1-პროცენტიანი ნიშნულიდან 54-იან ნიშნულამდე ავიდა, რაც მადრიდის შედეგებს საგრძნობლად აღემატებოდა (Moreno, Arriba & Serrano, 1998), ნათლად აჩვენებს, რომ დასაქმების თვალსაზრისით ძალზე კარგი შედეგები

ჰქონდა რეგიონს, რაშიც გარკვეული როლი ესპანელებსაც ჰქონდათ. ის გარემოება, რომ ამგვარი წარმატებით გაგრძელდა დასაქმების საკითხები რეგიონში, იმის დასტურია, რომ ესპანეთში კატალონიელთა სოციალური სტატუსი ამაღლდა. ამას თუ დავამატებთ განათლების სფეროში არსებულ წინსვლას, რაც გამოიხატებოდა, მაგალითად, "მანკომუნიტატის" მმართველობისას ჩამოყალიბებული როგორც საშუალო, ისე პროფესიული განათლების ინოვაციური რეფორმები, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების თანამედროვე რელსებზე გადაყვანა, გაცვლითი პროგრამების შექმნა, კვლევებზე დაფუძნებული სასწავლო გარემოს შექმნა და კატალონიელების იდენტობისათვის მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენახვა-განვითარების იდეები (Ehrlich, 1995), შეიძლება ითქვას, რომ კვლევით დგინდება კატალონიელთა სოციალური სტატუსის განვითარება 1800-იანი წლებიდან მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით, რაშიც ესპანელებს მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდათ. განათლების ნაწილში კატალონიელების მიმართ ესპანელთა ლოიალური დამოკიდებულების შედეგად ეთნიკური უმცირესობის წინსვლაზე მიუთითებს მე-20 საუკუნის 30-იანი წლების კატალონიური საშუალო განათლების სისტემის მისაბაძ მაგალითად ქცევა ესპანეთსა და მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში; იმავე საუკუნის 40-იან წლებში ფრანკოს მხრიდან კატალონიელების მიმართ დამოკიდებულების პოზიტიურად ჩამოყალიბების ფონზე კატალონიური ენის რეგიონის მასშტაბით სხვადასხვა სასწავლო საგნის ფაგლებში ინტეგრირება (Conversi, 1994) და კიდევ სხვა არაერთი ფაქტი. ამან კი მთლიანობაში რეგიონში არაძალადობრივი მიმართულებით წაიყვანა კონფლიქტი და რესურსი შექმნა ესპანელთა და კატალონიელთა შორის დიალოგისათვის.

კვლევიდან ჩანს, რომ ბასკების სოციალური სტატუსი პოლიტიკური თვალსაზრისითაც ძალზე ქვეითდებოდა მე-19 საუკუნიდან მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ჩათვლით და ეს ხელს უწყობდა ბასკებში ძალადობის განვითარებას. კვლევიდან გამოიკვეთა, რომ საარჩევნო თვალსაზრისით

სერიოზულად ავიწროებდა ბასკებს ცენტრალური ხელისუფლება. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითი იყო ბასკეთის ერთ-ერთ პროვინციაში, ბისკაიაში დეპუტაციონის სწორედ ესპანელების უხეში ძალისხმევით დაშლა და ცენტრალური ხელისუფლების ფავორიტი კანონმდებლებით დაკომპლექტება (Conversi, 1994). კვლევით დგინდება, რომ მსგავსი ფაქტები საკმაოდ მრავლად ხდებოდა, რაც მიუთითებს ბასკთა საარჩევნო პროცესებში ჩართულობის დაბალ დონეზე და ზოგადად ესპანელთა მხრიდან ბასკთათვის საარჩევნო თვალსაზრისით განვითარების პერსპექტივების შეზღუდვებზე. ამასთანავე, ცენტრალური ხელისუფლების მე-19 საუკუნის 70-იანი წლების გადაწყვეტილება ბასკთათვის ადგილობრივ დონეზე როგორც საკანონმდებლო, ისე ადმინისტრაციული უფლებამოსილებების ჩამორთმევასთან დაკავშრებით (Conversi, 1994), რომლის მსგავსი ფაქტებიც, კვლევის თანახმად, შემდგომ პერიოდებშიც მრავლად მოხდა, დასტურდება, რომ ესპანელთა თვალთახედვით ესპანური პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით ნულის ტოლფასი იყო ბასკთა მნიშვნელობა. ბასკეთში ადგილობრივ დონეზე არსებული პოლიტიკური პროცესების ნორმალიზებისათვის ხელშეშლის მცდელობებიც იმაზე მიანიშნებს, რომ ბასკების პოლიტიკური წონა ქვეყნის შიგნით სერიოზულად ირყეოდა ესპანელების ხელით, რაც მთლიანობაში ძალადობის წახალისებას უზრუნველყოფდა რეგიონში. კვლევიდან იკვეთება განსხვავებული სიტუაცია კატალონიაში. კატალონიური უმცირესობის პოლიტიკური წონა ესპანურ სახელმწიფოში გაცილებით უფრო ძლიერი იყო. ესპანეთის 1901 წლის ცენტრალური საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების პერიოდში მომავალმა "ლიგა რეჯიონალისტად" (იმჟამად "კატალონიის ნაციონალურმა ცენტრმა" (Conversi, 1994)) 6 მანდატის მოპოვება შეძლო და შემდგომ ბარსელონას ქალაქის საბჭოს არჩევნებზეც გარკვეული წარმატებების მიღწევა მოახერხა (Ehrlich, 1995), აჩვენებს, რომ საარჩევნო თვალსაზრისით რეგიონში საქმე კარგად მიდიოდა. თავის მხრივ, ის ფაქტი,

რომ “ლიგა რეჯიონალისტა” თავისუფლად შედიოდა ჯანსაღ კონკურენციაში როგორც ბარსელონაში, ისე რეგიონის სხვადასხვა ქალაქში “ლიბერალებთან”, “რესოუბლიკელებთან” და სხვა პარტიებთან (Ehrlich, 1995), აჩვენებს, რომ ცენტრალური ხელისუფლება ხელს არ უშლიდა რეგიონში ნორმალური პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობას და თავის მხრივ, ჯანსაღი პოლიტიკური პროცესის პირობებში ეთნიკური უმცირესობის პოლიტიკური წონა თანდათან ძლიერდებოდა ქვეყნის შიგნით დროთა განმავლობაში. კვლევიდან გამოიკვეთა ისიც, რომ სახელმწიფო დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საკითხში კატალონიელებს ასევე ჰქონდათ გარკვეული წონა. ამის დასტურია 1910-იან წლებში ფრანჩესკ კამბოს სერიოზული ავტორიტეტი ესპანეთის ცენტრალური ხელისუფლების რიგებში. ის ფაქტი, რომ კამბო აღმასრულებელი ხელისუფლების დაკომპლექტების საკითხში მონაწილეობდა კონსულტანტის სტატუსით პირადად ესპანეთის სახელმწიფოს მეთაურის მიწვევით და “ლიგა რეჯიონალისტას” წარმომადგენლებიც კი გაიყვანა მინისტრების თანამდებობებზე (Ehrlich, 1995) დასტურია იმისა, რომ კატალონიელები საკმაოდ სერიოზული ბერკეტებით სარგებლობდნენ ესპანეთის პოლიტიკურ პროცესებში და ესპანელთა ხელშეწყობით მათი დატვირთვა სულ უფრო და უფრო საგრძნობი ხდებოდა მე-19 საუკუნიდან 1980-იანი წლების ჩათვლით. ამ მხრივ, კვლევაში გამოიკვეთა, რომ ესპანეთის სახელმწიფოს შიგნით ამგვარი პოლიტიკური სიძლიერე ცენტრსა და პერიფერიას შორის რადიკალურ ველს ამცირებდა და კომპრომისული დიალოგის ფორმატს ყველაზე მისაღებს ხდიდა ურთიერთობების ჩამოყალიბებისათვის.

კვლევიდან გამოჩნდა, რომ ბასკეთსა და კატალონიაში არსებული ვითარება განსხვავდებოდა ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც. კვლევის შედეგების თანახმად, როგორც ნეგატიური სახის სტერეოტიპები, ისე ცრურწმენები ბასკებზე საკმაოდ მრავლად არსებობდა ესპანურ საზოგადოებაში, რაც, ერთი მხრივ, ესპანელებში უარყოფით

დამოკიდებულებას აყალიბებდა ბასკების მიმართ და მეორე მხრივ, თავად უმცირესობაში აღვივებდა უარყოფით განწყობებს ტიტულარული უმრავლესობის მიმართ. ბასკების მიმართ ესპანურ საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები, რომ ეს ეთნიკური უმცირესობა ზნედაცემული, დროს ჩამორჩენილი, არაეთიკური და სიახლეების მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ადამიანების ერთობა იყო (Molina, 2010) და მათი წაგებულის პოზიციაში მუდმივი ჩამოყალიბება (Shih, 1998) იქცა საკუთრივ ბასკებში ესპანელთა მიმართ გრძელვადიანად ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბების წინაპირობად. რეალურად, კვლევიდან ნათელი გახდა, რომ ესპანურ სახელმწიფოში ბასკების შესახებ უარყოფითი სტერეოტიპებისა და ცრურწმენების მომრავლებამ ძალადობის მიმართ ინტერესი გააძლიერა ეთნიკურ უმცირესობაში, რაც ვლინდებოდა მათი ლოიალური დამოკიდებულებით ტერორისტებისა და ტერორისტული აქტების მიმართ (Whitfield, 2015). კვლევით ნათელი ხდება კატალონიის განსხვავებული სურათი. ესპანურ საზოგადოებაში აღნიშნული ეთნიკური უმცირესობის შესახებ არსებული ცრურწმენების ნაკლებობა და დადებითი სტერეოტიპების არსებობა (მაგალითად, იმის, რომ ისინი ეკონომიკურად საჭირო დოვლათის შემქმნელი, საქმიანი, ნიჭიერი და მონდომებული ეთნოსი იყო (Miller & Miller, 1996)), გახდა ფუნდამენტი იმისათვის, რომ ესპანელებსა და კატალონიელებს შორის არსებული განსხვავებები თუ პროტესტი უმცირესობას მშვიდობიანი, არაძალადობრივი ფორმებით გამოეხატა ტიტულარული უმრავლესობის მიმართ და მათ შორის დიალოგი შემდგარიყო. იმის გათვალისწინებით, რომ მე-18 საუკუნიდან მოყოლებული კატალონიელთა ცნობიერებაში ესპანეთი სამშობლოდ და წინსვლის ყველაზე მთავარ ადგილად განიხილებოდა და მათ ნაკლებად ეპრობლემებოდა კასტილიურ ენასთან შეხება (Smith, 2014) მთლიანობაში გახდა უარყოფითი სტერეოტიპებისა და ცრურწმენების მინიმიზაციის წინაპირობა ორ ეთნოსს შორის და ურთიერთობების გაჯანსაღებას შეუწყო ხელი. ამ მხრივ, მთლიანობაში მეორე ჰიპოთეზის ყველა ქვეინდიკატორის

ერთიანი სურათი, კვლევის საფუძველზე, რაციონალური არჩევანის თეორიის (Lockert & Suarez, 2022) ჭრილში შემდეგ ლოგიკას ავითარებს: ბასკების დაბალი სოციალური სტატუსი ესპანურ სახელმწიფოში და მზარდი უარყოფითი დამოკიდებულება ესპანელთა მხრიდან იქცა ძალადობის წამახალისებელ ფაქტორად ეთნიკურ უმცირესობაში და კონფლიქტის ესკალაციას შეუწყო ხელი. ამის საპირისპიროდ, კატალონიელთა მაღალი სოციალური სტატუსი ქვეყნის მასშტაბით და ესპანელთა ლოიალური მიდგომა აღნიშნული უმცირესობის მიმართ გახდა წინაპირობა ძალადობრივი განწყობების დაქვეითებისა და არაძალადობრივი, მშვიდობიანი ფორმის ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად ტიტულარულ უმრავლესობასა და კატალონიელებს შორის.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია რეკომენდაციების ჩამოყალიბება სამომავლოდ ჩასატარებელ კვლევებთან მიმართებით. სასურველია კვლევა გაგრძელდეს ენის საკითხის მიმართულებით როგორც ბასკების, ისე კატალონიის ქეისში. მართალია, სადისერტაციო კვლევაში საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი მიენიჭა სწორედ ენის საკითხს, თუმცა სამომავლოდ კარგი იქნება, უფრო სიღრმისეული კვლევა ჩატარდეს უშუალოდ ენობრივი საკითხის ირგვლივ. გარდა ამისა, შესასწავლია ეკლესიის როლიც ორივე ეთნიკური უმცირესობის იდენტობის ჩამოყალიბების საკითხში კონფლიქტურ ვითარებაში. კვლევაში გამოვლინდა ასპექტები, როდესაც კათოლიკური ეკლესიის როლი გარკვეული თვალსაზრისით გამოიკვეთა პროცესებში. ამის გათვალისწინებით, საინტერესო იქნება, ესპანეთის ორივე აღნიშნული რეგიონის კონფლიქტური სიტუაციის კონტექსტში რელიგიის ფაქტორის კვლევა.

**ბიბლიოგრაფია**

ბალიაშვილი, მ. (2010). *სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები.* „მწიგნობარი“.

დვალი, ა., და ბადასიანი, ე. (2014). *ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში არსებული პრობლემები და ადგილობრივი მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური პრეფერენციები.* „კავკასიური სახლი“. http://regional-dialogue.com/wp-content/uploads/2014/06/Ethnic-MInorities-Research-Report.pdf - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

დავითაშვილი, ზ. (2003). *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია.* „მეცნიერება“.

კაუფმანი, ჯ. პ. (2020). *შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში, თეორია და პრაქტიკა.* “სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა”.

ჯენტლესონი, ბ. (2015). *ამერიკის საგარეო პოლიტიკა.* “ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომაცემლობა”.

Abadie, A. & Gardeazabal, J. (2001). *The Economic Costs of Conflict: a Case-Control Study for the Basque Country (Working Paper 8478).* National Bureau of Economic Research.

Aiartza, U., & Zabalo, J. (2010). *The Basque Country: The Long Walk to a Democratic Scenario (Berghof Transitions Series No. 7).* Berghof Conflict Research.

Alonso, R. (2004). Pathways Out of Terrorism in Northern Ireland and the Basque Country: The Misrepresentation of the Irish Model. *Terrorism and Political Violence, 16(4),* 695–713.

Alonso, R. (2011). The International Dimension of ETA's Terrorism and the Internationalization of the Conflict in the Basque Country. *Democracy and Security*, *7(2),* 184–204.

Anduaga Egaña, A. (2008). Technical Education in the Basque Country: An Historical Perspective, 1776-1900. *Basque Museum of the History of Medicine & Science. UPV/EHU-University of the Basque Country. Faculty*

*of Medicine. Sarriena, z/g. 48940 Leioa. BIBLID 0212-7016, 53(2);* 367-396. https://core.ac.uk/download/11501175.pdf - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Babbie, E. (2016). *The practice of social research.* Cengage learning.

Barceló-Prats, J. & Bekele, D. (2021). Historical roots of hospital centrism in Catalonia (1917- 1980). *Journal of Evolutionary Studies in Business-JESB, 6(1),* 156-181.

Bartlett, J., & Miller, C. (2012). The Edge of Violence: Towards Telling the Difference Between Violent and Non-Violent Radicalization. *Terrorism and Political Violence, 24(1),* 1–21.

Belsey, C. (2013). Textual analysis as a research method. In the book – Griffin, G. (Ed.). *Research methods for English studies.* (pp. 160-178). Edinburgh University Press.

Bopp, J. R. (Ed.) (2021). *The anticolonialism of Sabino Arana, the founder of Basque nationalism.* About Basque Country. https://aboutbasquecountry.eus/en/2021/09/08/the-anticolonialism-of-sabino-arana-the-founder-of-basque-nationalism-video/?fbclid=IwAR1LUR3CL2FE8gb2mdAdZfkVgvXSld0HLZV-BfkYc9H-PXGs_QeGx4pJwNk - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Bothen, A. (2014). *An Analysis of the Basque Independence Movement and the Political Position of the Basque Country Within the Spanish State* (A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for a Degree with Honors (International Affairs - POS and Anthropology)). University of Maine.

Bowen, G. A. (2009). Document analysis as a qualitative research method. *Qualitative research journal, 9(2),* 27-40.

Brück, T., Justino, P., Verwimp, P., & Tedesco, A. (2016). *Measuring Violent Conflict in Micro-level Surveys: Current Practices and Methodological Challenges (Policy Research Working Paper 7585).* World Bank Group.

Camprubí, L. (2012). "Frankie the Frog": the total transformation of a river basin as "totalitarian" technology (Spain, 1946–1961). *Endeavour, 36(1),* 23–31.

Camprubi, L. (2017). How the Catalan economy benefited under Franco – and what this means for the ongoing stalemate. The Conversation. https://theconversation.com/how-the-catalan-economy-benefited-under-franco-and-what-this-means-for-the-ongoing-stalemate-85943 - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Caprioli, M., & Trumbore, P. F. (2003). Ethnic Discrimination and Interstate Violence: Testing the International Impact of Domestic Behavior. *Journal of Peace Research, 40(1),* 5–23.

Castroviejo, P. M. P. (2002). La formación del sistema hospitalario vasco: administración y gestión económica, 1800-1936. *Transportes, Servicios y telecomunicaciones, (3),* 73-97.

Chikhi, S. (2017). Non-violence or violent extremism: young refugees' propensities pending the resolution of the conflict in Western Sahara. *Journal of Peacebuilding & Development*, *12(2),* 51–65.

Conversi, D. (1993). Domino effect or internal developments? The influences of international events and political ideologies on Catalan and Basque nationalism. *West European Politics, 16(3),* 245-270.

Conversi, D. (1994). *Language, immigration and nationalism: Comparing the Basque and Catalan cases.* University of London, London School of Economics (United Kingdom).

Clots-Figueras, I., & Masella, P. (2013). Education, language and identity. *The Economic Journal, 123(570),* F332–F357.

Conversi, D., & Jeram, S. (2017). Despite the crisis: The resilience of intercultural nationalism in Catalonia. *International Migration, 55(2),* 53–67.

Cunningham, K. G. (2013). *Understanding strategic choice: The determinants of civil war and nonviolent campaign in self-determination disputes. Journal of Peace Research, 50(3),* 291–304.

Dayioglu, A. G. (2019). Disputes Between the National States and Ethnic Identities with the Basque Example. *Polish Political Science Review 7(2),* 68-86.

De la Calle, L. (2015). *Nationalist Violence in Postwar Europe.* Cambridge University Press.

Da Silva, M. M. (1975). Modernization and Ethnic Conflict: The Case of the Basques. *Comparative Politics, 7(2),* 227–251.

Domenech, J. (2008). Labour Market Adjustment a Hundred Years Ago: The Case of the Catalan Textile Industry, 1880-1913. *The Economic History Review, 61(1),* 1–25.

Dowling, A. (2017). Catalonia, Spain's Biggest Problem. *History Today.* https://www.historytoday.com/miscellanies/catalonia-spain%E2%80%99s-biggest-problem - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Edles, L. D. (1999). A Culturalist Approach to Ethnic Nationalist Movements: Symbolization and Basque and Catalan Nationalism in Spain. *Social Science History, 23(3),* 311–355.

Ehrlich, C. E. (1995). *The Lliga Regionalista: failure of a Spanish political movement, 1901-1923* (Doctoral dissertation). Wolfson College, University of Oxford.

ETA's bloody history: 853 killings in 60 years of violence. (2019). AP News. https://apnews.com/article/-----62a64037ca0e47358c771947ace133b - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

ETA ten years on: The key moments that led to the end of the Spanish terror group. (2021). Euronews. https://www.euronews.com/2021/10/20/eta-ten-years-on-the-key-moments-that-led-to-the-end-of-the-spanish-terror-group - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Etherington, J. (2003). *Nationalism, national identity and territory: the case of Catalonia* (Doctoral dissertation). Universitat Autònoma de Barcelona.

Garcia, R. T. (2021). Narod brez države v večnarodni državi: primer Baskov. *Razpotja, 44.* https://razpotja.si/razpotja_article/narod-brez-drzave-v-vecnarodni-drzavi-primer-baskov/ - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Gerrits, A. W. M., & Bader, M. (2016). Russian patronage over Abkhazia and South Ossetia: implications for conflict resolution. *East European Politics, 32(3),* 297–313.

Giner, S. (1984). *The social structure of Catalonia.* The Anglo-Catalan Occasional Publications.

Gómez-Isla, J., & Zelich, C. (2020). Fiat Lux. A cross-cutting analysis of the photographic medium in the Spanish cultural, educational and editorial context. *Photographies, 13(1),* 7–31.

Greer, S. L. (2007). *Nationalism and self-government. The politics of autonomy in Scotland and Catalonia.* State University of New York Press.

Greer, S. L., Béland, D., Lecours, A., & Dubin, K. (2023). Interests, Nationalism, Regionalism, and Jurisdictionalism. In *Putting Federalism in Its Place: The Territorial Politics of Social Policy Revisited* (pp. 67–108). University of Michigan Press.

Guibernau, M. (2004). *Catalan nationalism: Francoism, transition and democracy*. Routledge.

Keohane, R. O., King, G., & Verba, S. (1994). *Designing social inquiry. Scientific inference in qualitative research.* Princeton University Press.

Lockert, M. & Suarez, J. (Ed.) (2022). Rational choice theory: A school of thought that predicts economic and social behaviors. https://www.businessinsider.com/personal-finance/rational-choice-theory - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

López- Goñi, L. (2005). Basque Schools in Navarre: The Early Stages, 1931–1936. *History of Education Quarterly, 45(4),* 565–592.

MacClancy, J. (1988). The Culture of Radical Basque Nationalism. *Anthropology Today, 4(5),* 17–19.

Martín, A. (2005). Basque Postnationalism, Identity Politics, and the Reconfiguration of Transgression in "Urte Ilunak." *Chasqui, 34(2),* 95–108.

McCreanor, K. (2019). *Ireland and the Basque Country: Nationalisms in Contact, 1895-1939 (A Thesis in the Department of History).* Concordia university.

McCreanor, K. (2020). The Irish revolution and the Basque nationalist movement, 1916–23. *History Ireland, 28(1),* 38–41.

McCreanor, K. (2022). Ireland, the Basques and the Spanish Civil War. *Irish Historical Studies, 46(169),* 136-154.

Medina-Albaladejo, F. J., Higón, D. A., Díez-Minguela A., Lana-Berasain J. (2021). Old wine in new wineskins? Understanding the cooperative movement: Catalonia, 1860–1939. *European Review of Economic History, 25, (2),* 328–354.

Medrano, J. D. (1994). Patterns of Development and Nationalism: Basque and Catalan Nationalism before the Spanish Civil War. *Theory and Society, 23(4),* 541–569.

Mees, L. (2001). Between votes and bullets. Conflicting ethnic identities in the Basque Country. *Ethnic and Racial Studies, 24(5),* 798–827.

Miconi, D., Calcagni, A., Mekki-Berrada, A., & Rousseau, C. (2020). Are there local differences in support for violent radicalization? A study on college students in the province of Quebec, Canada. *Political Psychology, 42(4),* 637–658.

Miller, H., & Miller, K. (1996). Language policy and identity: the case of Catalonia. *International Studies in Sociology of Education, 6(1),* 113-128.

Miranda, J. A., & Ruiz-Moreno, F. (2022). Selling the past. The use of history as a marketing strategy in Spain, 1900-1980. *Business History, 64(3),* 491-510.

Molina, F. (2010). The historical dynamics of ethnic conflicts: confrontational nationalisms, democracy and the Basques in contemporary Spain. *Nations and Nationalism, 16(2),* 240–260.

Moreno, L., Arriba, A., & Serrano, A. (1998). Multiple identities in decentralized Spain: the case of Catalonia. *Regional & Federal Studies, 8(3),* 65-88.

Mujal-Leon, E. (1981). Catalanismo, the Left, and the Consolidation of Centrism in Spain. *World Affairs, 143(3),* 298–317.

Muro Ruiz, D. (2004). *Ethnicity and violence: The case of radical Basque nationalism* (Doctoral dissertation). University of London.

Nogué, J., & Vicente, J. (2004). Landscape and national identity in Catalonia. *Political Geography 23(2),* 113-132.

Nyanga, T., Sibanda, R., & Kruger, J. (2019). Destruction of Economic Infrastructure by Armed Conflict: Implications on Job Satisfaction among Workers in Juba, South Sudan. *Amity Journal of Economics 4 (1),* 82-92.

Payne, S. (1971). Catalan and Basque Nationalism. *Journal of Contemporary History, 6(1),* 15–51.

Post, J. M. (2007). *The Mind of the Terrorist. The Psychology of Terrorism from the IRA to al-Qaeda.* Palgrave Macmillan.

Ramon-Muñoz, R., Ramon-Muñoz, J. (2023). The urban–rural height gap: evidence from late nineteenth-century Catalonia. *Cliometrica,* 1-47.

Richmond, D. W. (1987). The Politics of Spanish Financial and Economic Policies During the Second Republic, 1931-1933. *The Historian, 49(3),* 348–367.

Ros, M., Cano, J. I., & Huici, C. (1987). Language and Intergroup Perception in Spain. *Journal of Language and Social Psychology, 6(3-4),* 243–259.

Rykała, A. (2007). *Spatial and historical conditions of the Basques aiming to obtain political independence.* Państwowy Instytut Naukowy-Instytut Śląski w Opolu, Katedra Geografii Politycznej i Studiów Regionalnych Uniwersytetu Łódzkiego.

https://dspace.uni.lodz.pl/bitstream/handle/11089/3808/R%40R_2007_Ryka%C5%82a.pdf?sequence=1&isAllowed=y - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Sabanadze, N. (2017). *Globalization and Nationalism: The Cases of Georgia and the Basque Country.* Central European University Press.

Santamaria, G. D. C. (2005). Bilbao and the Basque Paths to Globalization. *GaWC Research Bulletin 178.* https://www.lboro.ac.uk/microsites/geography/gawc/rb/rb178.html?fbclid=IwAR1PcJaJkH2zb8MEFvt2EV_UgBW_H3YNdM0r9ocu4Mmq1iHh1bWFsWxsseA - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Sanz, C. (2000). Bilingual education enhances third language acquisition: Evidence from Catalonia. *Applied psycholinguistics, 21(1),* 23-44.

Saegert, S. C., Adler, N. E., Bullock, H.E., Cauce, A. M., Liu, W. M., & Wyche, K. F. (2006). *Report of the APA task force on socioeconomic status.* American Psychological Association.

Serra i Salamé, C. (2004). Rhetoric of Exclusion and Racist Violence in a Catalan Secondary School. *Anthropology & Education Quarterly, 35(4),* 433–450.

Santisteban, A. (2013). Teaching the history of Catalonia: past, present and 'futures'. *International Journal of Historical Learning, Teaching and Research, 11(2),* 33-42.

Shafir, G. (1992). Relative overdevelopment and alternative paths of nationalism: a comparative study of Catalonia and the Baltic Republics. *Journal of Baltic Studies, 23(2),* 105–120.

Shatzer, J. (2021). *Before and After Terrorism: Economic and Political Development in the Basque Country* (Doctoral dissertation). Texas A&M University.

Shih, C. F. (1998). The emergence of Basque nationalism in Spain: struggle for peace in a multiethnic state. *Peace Research, 30(3),* 41–58.

Smith, A. (1991). Social conflict and trade-union organisation in the Catalan cotton textile industry, 1890-1914. *International Review of Social History, 36(3),* 331–376.

Smith, A. (2014). *The origins of Catalan nationalism, 1770-1898.* Palgrave Macmillan.

Stubbs, G. M. (2012). *A Comparative Analysis of the Intractability of the Basque Conflict (A Thesis submitted to the Faculty of The School of Continuing Studies and of The Graduate School of Arts and Sciences in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Arts in Liberal Studies).* Georgetown University. file:///C:/Users/User/Downloads/Stubbs_georgetown_0076M_11588.pdf - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

The contemporary Government of Catalonia (20th and 21st centuries) (2021). Gencat. https://web.gencat.cat/en/generalitat/historia/generalitat-contemporania/ - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Turner, C. P. (2015). *How terrorism ends: a comparative conflict analysis of Northern Ireland, the Basque Country and Corsica* (Doctoral dissertation). University of Hull. https://hull-repository.worktribe.com/output/4218487 - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Ucelay-Da Cal, E. (2014). Catalan Nationalism, 1886-2012: An Historical Overview. *Pôle Sud 40(1),* 13-28.

Vallory, E. (2019). *Rethinking Education in Catalonia: The Escola Nova 21 alliance – A case study.* Education Research and Foresight. Working Papers. https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000367467/PDF/367467eng.pdf.multi?fbclid=IwAR2VUIKFs7IdqFQ0dDbSR01O4MHTwcjZI-NYfzGoqBWcjpUnOvHts26ki1k - უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 17.12.2023.

Van Evera, S. (1997). *Guide to methods for students of political science.* Cornell University Press.

Webber, J., & Strubell i Trueta, M. (1991). *The Catalan language. Progress towards normalisation.* The Anglo-Catalan Society occasional publications, Sheffield Academic Press Ltd & BPCC Wheatons Limited, Exeter.

Whitfield, T. (2015). *The Basque Conflict and ETA. The Difficulties of an Ending (Special Report).* United States Institute of Peace.

Wolff, S. (2007). Paradiplomacy: scope, opportunities and challenges. *The Bologna Center Journal of International Affairs, 10(1),* 141-150.

Woodworth, P. (2001). Why Do They Kill? The Basque Conflict in Spain. *World Policy Journal, 18(1),* 1–12.

Zubiri, I. (2010). *The economic agreement between the Basque Country and Spain.* Ad Concordiam.